

# საოჯახო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე

2020, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)

2020, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)

2020, №8

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)

2020, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ქატიკვან შინგელია**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;

[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიჯბელი

- 1. დაქორწინების წესი და პირობები**  
ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების უკან დაბრუნება  
დაუქორწინებლობის შემთხვევაში ..... 4; 13
- 2. მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები**  
მეუღლეთა თანასაკუთრება ..... 24  
მეუღლეთა ვალების გაყოფის წესი ..... 34  
არასრულწლოვანი შვილის ინტერესების გათვალისწინებით  
თანასაკუთრების გაყოფა ..... 42
- 3. მშობელთა უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ**  
შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა ..... 73; 88;  
შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა ..... 112; 127
- 4. საალიმენტო მოვალეობანი**  
ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა ..... 147; 162  
ალიმენტის ოდენობის შემცირება ..... 175
- 5. მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა**  
მხარდამჭერის დანიშვნა ..... 188

# 1. დაქორწინების წესი და პირობები

## ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების უკან დაბრუნება და დაქორწინებლობის შემთხვევაში

### განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-168-168-2018

11 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთების  
გამოთხოვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელების მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი სა-  
ფუძვლები:**

1.1. გ. და ც. დ-ებმა (შემდგომში – მოსარჩელები, აპელანტები  
ან კასატორები) სარჩელი აღძრეს სასამართლოში ე. ხ-ის (შემდგომ-  
ში – მოპასუხე ან მონინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვეს  
მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ქონების გამოთ-  
ხოვა (ერთი ბეჭედი ფიანეტის თვლებით (გოზინაყის ფორმის); ერ-  
თი ბეჭედი მარგალიტის დიდი თვლით; ერთი წყვილი საყურე ცირ-  
კონის თვლებით; ერთი ოქროს საათი ოქროს სამაჯურით; ერთი ნიშ-  
ნობის ბეჭედი).

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: გ. დ-  
ი და ე. ხ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში არასოდეს ყოფილან,  
თუმცა რამდენიმე თვე ცხოვრობდნენ ერთად მოსარჩელის მშობ-  
ლების ბინაში და ჰყავთ საერთო შვილი – დ. დ-ი. 2016 წლის 1 მარტს,  
როდესაც გ. დ-ი სამუშაოდ გაემგზავრა საზღვარგარეთ, მოპასუხე  
საცხოვრებლად თავის მშობლებთან გადავიდა და ამის შემდგომ  
დასრულდა მხარეთა ურთიერთობა. მოსარჩელის მშობლების ბი-  
ნიდან გადასვლისას მოპასუხემ წაიღო მოთხოვნილი ნივთები, მი-  
უხედავად იმისა, რომ ძვირფასეულობა მას არ ეკუთვნოდა. სამკა-  
ულები წარმოადგენს საგვარეულო ნივთებს და გარდა ღირებულე-  
ბისა, მათ სხვა მნიშვნელობაც აქვს. გ. დ-მა არაერთხელ მიმართა  
მოპასუხეს ნივთების დაბრუნების თხოვნით, თუმცა, უშედეგოდ.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოპასუხეს ნივთების ფლობის ფაქტი სადავოდ არ გაუხდია, არამედ, სარჩელის წინააღმდეგ წარადგინა კვალიფიციური შედაგება და განმარტა, რომ მხარეებმა იქორწინეს რელიგიური წესით, ჰქონდათ ჯვრისწერა და ნიშნობა. 2014 წლის 18 ნოემბერს, ნიშნობაზე ც. დ-მა საჩუქრად გადასცა მოთხოვნილი ნივთები მოპასუხეს, რომლებიც არ წარმოადგენს საგვარეულო ნივთებს, არამედ, საჩუქარია, რაც ტრადიციისამებრ ხდება ყველა ოჯახში. ჯვრისწერის სურათით ნათლად დასტურდება, რომ სადავო ნივთებს კანონიერად ფლობს მოპასუხე. გარდა ამისა, შესაგებლით შედაგებულია სარჩელში მითითებული მოძრავი ქონების ღირებულება.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ბაჯვალლოს რგოლი (ღირებული 800 ლარად) და დაუბრუნდა გ. დ-ს, დანარჩენი ნივთების გამოთხოვის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## **4. აპელანტების მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა, მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

## **6. კასატორების მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს აპელანტებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად**

## **დაბრუნების დასაბუთება:**

### **1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორთა პრეტენზიები):**

განსახილველი დავის ფარგლებში შეფასების საგანს წარმოადგენს მონინალმდევე მხარისაგან მოძრავი ქონების – ძვირფასეულობის გამოთხოვაზე უარის კანონიერება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორთა პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სარჩელის უარყოფის მთავარ საფუძვლად, როგორც პირველი ინსტანციის, ისე – სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მიჩნეულ იქნა სადავო ქონებაზე მოსარჩელის საკუთრების უფლების წარმოშობა, კერძოდ, სასამართლოებმა ჩათვალეს, რომ ც. დ-მა შეასრულა გ. დ-ის გარდაცვლილი ბებუის ზეპირი დავალება და მის მიერ საკუთარი შვილიშვილისათვის შეძენილი სადავო ნივთები ჩუქების გზით გადასცა მოპასუხეს. ამ გარემოებიდან გამომდინარე, პალატამ ც. დ-ი არასათანადო მხარედ მიიჩინა და მისი მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა, ხოლო გ. დ-ის მოთხოვნის უარსაყოფად პალატამ განმარტა, რომ ამ უკანასკნელმა ვერ დაამტკიცა ვინდიციურების წინაპირობების არსებობა. კასატორები არ ეთანხმებიან სასამართლოს ხსენებულ დასკვნებს შემდეგი საფუძვლებით:

1.1.1. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ევროკონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, რაც გამოიხატა მიღებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობაში. პალატამ ისე დაასკვნა, რომ სადავო ნივთები ქალბატონისათვის იყო განკუთვნილი, რომ არ გამოუკვლევია მტკიცებულებები, არ აუხსნია, რატომ არ შეიძლება გ. დ-ს ჰქონდეს სადავო ნივთები, მით უფრო, როდესაც გასაჩივრებული განჩინებით ადგენს გარდაცვლილი ბებუის დანაბარების შესრულებას, რომ მან ნივთები გ-სათვის შეიძინა;

1.1.2. სააპელაციო პალატამ მხოლოდ მონინალმდევე მხარის განმარტების საფუძველზე დაადგინა ც. დ-ის მიერ ოქროს ნივთების მოპასუხისათვის ჩუქების ფაქტი, რაც გაუმართლებელს ხდის მის დასკვნას, რომ ც. დ-ი არ წარმოდგენს ვინდიკაციური სარჩელის აღძვრის უფლების მქონეს;

1.1.3. სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო კო-

დექსის 1109-ე მუხლი და ნივთების დაბრუნებას საფუძვლად არ დაუდო ის გარემოება, რომ მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან, ამასთანავე, ქვემდგომმა სასამართლოებმა დაადგინეს ის გარემოებაც, რომ მოპასუხემ ნივთები საჩუქრად მიიღო ქორწინებასთან დაკავშირებით და ეს ნივთები მათი ფაქტობრივი თანაცხოვრების პერიოდში ინახებოდა ც. დ-ის სახლში. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, როდესაც დადგენილად მიიჩნია მოსარჩელების მხრიდან ნივთების მოპასუხისათვის გადაცემის ფაქტი, თუმცა, მოსარჩელებსვე დააკისრა იმის დადასტურების ვალდებულება, რომ ძვირფასეულობა არ იყო საჩუქარი.

## **1.2. ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:**

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორებს არ მიუთითებიათ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. ე. ხ-ი და გ. დ-ი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 2015 წლის 25 იანვარიდან;

1.2.2. მხარეთა შორის შეწყვეტილია ფაქტობრივი თანაცხოვრება;

1.2.3. ოქროს ნივთები (ბეჭედი ფიანეტის თვლებით (გოზინაყის ფორმის), ბეჭედი დიდი მარგალიტის თვლით (ბურთივით მარგალიტი), ერთი წყვილი საყურე ცირკონის თვლებით, ოქროს საათი ოქროს სამაჯურით) მოპასუხემ მოსარჩელებისაგან მიიღო საჩუქრად, როგორც გ. დ-ის მეუღლემ, ხოლო ბაჯალლოს რგოლი გ. დ-მა ე. ხ-ისაგან მიიღო საჩუქრად, როგორც ქორწინების ბეჭედი;

1.2.4. თანაცხოვრებისას მოპასუხე გარკვეული პერიოდი ფლობდა გ. დ-ის დედის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას. ამ უძრავ ქონებაში იყო განთავსებული სადავო ნივთები. საცხოვრებელი სადგომის დატოვების შემდეგ თან წაიღო.

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, კასატორთა მხრიდან ქვემდგომი სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი გამოყენების, ასევე, ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასების თაობაზე წარმოდგენილი პრეტენზია დასაბუთებულია და ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2. მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საფუძვლებს (სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა). ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

1.3.1. სამოქალაქო საქმის განხილვისას სასამართლოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის სწორად მოძიება. აღნიშნული დამოკიდებულია მხარეთა მიერ სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმულ პოზიციებზე, მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმის სწორად მოძიების შემდგომ მნიშვნელოვანია დადგინდეს მის აღწერილობით ნაწილში გადმოცემული აბსტრაქტული ელემენტები (მისათითებელი ფაქტები) და იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს მტკიცების საგანს, სწორად უნდა განაწილდეს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი.

1.3.2. სარჩელისა და შესაგებლის შესწავლით პალატა დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მხარე არა სანივთო, არამედ – საოჯახო სამართლის ნორმების საფუძველზე აყენებს მოთხოვნას, ხოლო, ნივთის გამოთხოვას უკავშირებს მათ შორის ქორწინების არარსებობის ფაქტს. სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე თვლის გ.დ-ი, რომ მოპასუხე არ არის მოძრავი ნივთებს მესაკუთრე. სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლით მოპასუხე აღიარებს, რომ სადავო ქონება მას ნიშნობაზე გადაეცა და მხარეები იმყოფებიან არა სამოქალაქო, არამედ – რელიგიურ ქორწინებაში. სწორედ ჯვრისწერის სურათების წარდგენით სურს მოპასუხეს ნივთებზე ნამდვილი, მართლზომიერი უფლების დამტკიცება. გარდა ამისა, სააპელაციო შესაგებელში მოპასუხე კვლავ აღიარებს ნიშნობაზე სადავო ნივთების გადაცემას და განმარტავს, რომ საქმეში წარმოდგენილი ფოტოებით დასტურდება, როგორც ნიშნობის ფაქტი, ისე – სადავო ნივთების ნიშნობაზე გადაცემა. ამ ფაქტობრივ გარემოებებს საკასაციო სასამართლო აფასებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის ფარგლებში (ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა



თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას), უფრო მეტიც, საქმეზე დაკითხული მოწმეების ჩვენება ნივთების გადაცემის თაობაზე სრულად შეესაბამება შესაგებლებში მოპასუხის მიერ აღიარებულ ფაქტებს. შესაბამისად, პალატა სრულიად ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას ჩუქების გზით ოქროს ნივთებზე მოპასუხის საკუთრების უფლების წარმოშობის თაობაზე (ნიშნობის მონაწილე პირებისათვის საჩუქრად გადაცემულ ნივთებზე საკუთრების წარმოშობის საკითხზე პალატა ქვემოთ გაამახვილებს ყურადღებას).

1.3.3. საოჯახო სამართლიდან გამომდინარე მეუღლეთა უფლებრივ მდგომარეობაზე საუბრისას უნდა შეფასდეს ასევე ნიშნობისას გადაცემული საჩუქრის იურიდიული ბედი. ზოგადი წესის თანახმად, ჩუქება განკარგვითი ხელშეკრულების ნაირსახეობაა და სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის შესაბამისად, დასაჩუქრებული საჩუქარზე საკუთრების უფლებას ნივთის გადაცემის მომენტიდან მოიპოვებს, თუმცა, საგამონაკლისო წესს ადგენს საოჯახო სამართალი, იმ შემთხვევისათვის, როდესაც მომავალი მეუღლისათვის (მეუღლეებისათვის) საჩუქრის გადაცემა ხდება ნიშნობაზე. ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული შედეგი დამოკიდებულია პირთა რეგისტრირებული ქორწინების ფაქტზე, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებიდან გამომდინარე, დასაქორწინებულ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) დაქორწინების ვალდებულებას არ წარმოშობს და არც მხარეები შედიან საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობაში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ქორწინების რეგისტრაციის მომენტამდე ნიშნობის სუბიექტი საჩუქრის მართლზომიერი მფლობელია (სკ-ის 158-ე, 159-ე, 170-ე მუხლები).

1.3.4. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება არ შემდგარა, ხოლო ნივთები, რომელთა გამოთხოვა სარჩელის საგანია, მოპასუხეს გადაეცა ნიშნობის საჩუქრად, ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის კონკურენცია (სკ-ის 168-ე, 172-ე და 1109-ე მუხლები) საოჯახო სამართლის ნორმების სასარგებლოდ უნდა გადანყდეს.

1.3.5. სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა შემდეგი: მითითებული ნორმა ასახავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომ დაქორწინების მსურველ პირთა ნათესავებმა და ახლობლებმა სამომავ-

ლო ქორწინების აღსანიშნავად დაასაჩუქრონ მომავალი მეუღლეები, რაც ეფუძნება ვარაუდს, რომ დანიშნული წყვილი გარკვეული პერიოდის შემდეგ უთუოდ იქორწინებს, თუმცა, კანონმდებელი ნიშნობის ფაქტს რაიმე სავალდებულო სამართლებრივ შედეგს, დაქორწინებას არ უკავშირებს და ადგენს ნიშნობის საჩუქრის (რაც ხშირ შემთხვევაში ძვირად ღირებული ნივთებია) მხარეთათვის დაბრუნების წესს. იმის გათვალისწინებით, რომ ნიშნობის მხარეებს წარმოადგენენ დასაქორწინებელი პირები, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოხსენებული საჩუქრის დაბრუნების შესახებ მოთხოვნის წარდგენა შეუძლია ნიშნობის ერთ-ერთ მხარეს, რომლის მიმართ პატივისცემის გამოხატვის მიზნითაც შედგა ჩუქება (იხ. სუსგ №ას-297-280-2010, 14 ივნისი, 2010 წელი). მესამე პირის კონტექსტში ამავე საქმეზე საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მჩუქებელს შეიძლება საჩუქარზე პრეტენზია მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას წარმოეშვას.

#### **1.4. გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ უცვლელად დატოვების, იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:**

1.4.1. საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკისა და სარჩელში ც. დ-ის მიერ გამოთქმული პრეტენზიების გათვალისწინებით (მას ჩუქების გაუქმების კანონით გათვალისწინებულ რომელიმე საფუძველზე არ მიუთითებია და ამგვარი წინაპირობები არც ქვემდგომ სასამართლოებს არ დაუდგენიათ, გარდა ამისა, ც.დ-ი არ წარმოადგენს ნიშნობის მხარეს), საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება ც. დ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძვლები, შესაბამისად პალატა ამ ნაწილში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, უცვლელად ტოვებს მას, რაც შეეხება გ. დ-ის პრეტენზიას, სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ხელახლა განსახილველად უბრუნებს საქმეს სააპელაციო პალატას. ამ შემთხვევაში სასამართლო ძირითადად ემყარება შემდეგ გარემოებებს:

1.4.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლის თანახმად, ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადანყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადანყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება. დასახელებული ნორმა ემსახურება სამართლიანი სასამართლო პრინციპის განმტკიცებას და ორიენტირებულია მხარეთა შორის არსებული დავის გადანყვეტის

საბოლოო ხასიათზე. მართლმსაჯულების ამოცანას წარმოადგენს არა მხოლოდ დარღვეული სადავოდ ქცეული უფლების დაცვა, არამედ, ამ დაცვისათვის ქმედითი, ეფექტიანი წინაპირობების შექმნა რათა მხარისათვის შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი მართლწესრიგის სისრულეში მოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალწარმოება დაკარგავს ეფექტს. ადამიანის უფლებათა ევროსასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (იხ. მაგ: *Apostol v. Georgia*; §37; *Hornsby v. Greece*, §40; *IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia*, §42; *Burdov v. Russia*, §34). განსახილველ შემთხვევაში ქვემდგომ სასამართლებს არ დაუდგენით სადავო ქონების ღირებულება, მით უფრო მაშინ, როდესაც სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მოსარჩელები მიუთითებდნენ თითოეული ნივთის ღირებულებას, ხოლო, მოპასუხე შესაგებლითვე შეედავა მათ და წარმოადგინა გარკვეული მტკიცებულებები (იხ. შესაგებელი და თანდათული მასალები), რომლებიც დასაშვებადაა მიჩნეული, თუმცა არ არის შეფასებული;

1.4.3. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები), არ წარმოადგენს რა ფაქტების დამდგენ სასამართლოს, არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მტკიცებულებები რის გამოც, ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად (საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა), გ. დ-ის მოთხოვნის ნაწილში საკასაციო პალატა საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც უნდა დაადგინოს მოთხოვნილი ქონების ფასი და ამ განჩინებაში ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეფასების გათვალისწინებით გადაწყვიტოს უფლე-

ბის საკითხი.

## **2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

2.1. საკასაციო პასუხს მოწინააღმდეგე მხარემ დაურთო მტკიცებულებები და იშუამდგომლა მათი საკასაციო პალატის მიერ შეფასების თაობაზე. სასამართლო ამ განჩინების 1.4.3. პუნქტში გადმოცემული სამართლებრივი დასაბუთებიდან გამომდინარე არ იზიარებს ხსენებულ იშუამდგომლობას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104.1 მუხლის შესაბამისად (სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ), მიიჩნევს, რომ მტკიცებულებები უნდა დაუბრუნდეს მათ წარმომდგენს.

## **3. სასამართლო ხარჯები:**

წინამდებარე საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 300 ლარი. ვინაიდან ც. დ-ის მოთხოვნის ნაწილში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, იგი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც შეეხება გ. დ-ის პრეტენზიას, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, პროცესის ხარჯები უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 104-ე, 407-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. ც. დ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც გ. დ-ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად.
4. ე. ხ-ს დაუბრუნდეს საკასაციო პასუხზე დართული მტკიცებულებები: ე.წ ქორნილის სურათების ასლები 5 (ხუთი) ფურცლად და ჯვრისწერის ჩანაწერი 1 (ერთი) CD დისკად.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების უკან  
დაბრუნება დაუქორწინებლობის შემთხვევაში**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ას-205-2019

24 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების დაბრუნება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. რ. ჩ-ძემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე ან პირველი კასატორი) და ნ. თ-ძემ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი ან მეორე კასატორი) 2014 წლის მარტში გაიცნეს ერთმანეთი, დაქორწინება გადანიშნეს და იმავე წლის 1 ივლისს ჰქონდათ ნიშნობა.

2. მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა ნიშნობასთან დაკავშირებული შემდეგი საჩუქრები: 12 000 ლარად ღირებული ასოცთვლიანი ბრილიანტის ყელსაბამი (ე.წ. „კოლიე“); 2600 ლარად ღირებული ნახევარკარატიანი ბრილიანტის ბეჭედი; 3150 ლარად ღირებული ბრილიანტის თექვსმეტთვლიანი ოქროს სამაჯური; 2655 ლარად ღირებული 1.5-კარატიანი ბრილიანტის ბეჭედი და 600 ლარად ღირებული ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადავო ნივთები ან ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქარი).

3. მხარეები ერთად ცხოვრობდნენ 20... წლის ... იანვრამდე და დაქორწინების გარეშე დასცილდნენ ერთმანეთს. მოპასუხემ დატოვა მოსარჩელის საცხოვრებელი ბინა.

4. მოპასუხემ ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები მოსარჩელეს არ დაუბრუნა, რის გამოც მოსარჩელემ მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული საჩუქრით ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების დაბრუნება მოითხოვა.

5. მოპასუხემ მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებლით საჩუქრები არ ცნო და მიუთითა, რომ ნამდვილად მიიღო ამ საჩუქრებისა და რაოდენობის საჩუქრები, მაგრამ არა იმ ღირებულების, რაც საჩუქრშია

მითითებული, თავად დახია და გადაყარა იარღიყები, რომელიც მოგვიანებით მოსარჩელის თხოვნით არასათანადო პირმა შეადგინა. ისინი ექვსი თვის მანძილზე ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ; ის ნიშნობის შემდეგ ცოლად გაჰყვა მოსარჩელეს, საცხოვრებლად გადავიდა მის ოჯახში და ეს ნივთებიც აჩუქეს, როგორც მის მეუღლეს და არა – როგორც დანიშნულს. მან სადავო ნივთები მოსარჩელის დაჟინებული მოთხოვნით უკან დააბრუნა. სწორედ ამან განაპირობა მათი დაშორება. მან ოჯახიდან პოლიციის დახმარებით წამოიღო მხოლოდ პირადი ნივთები, რაზეც პატრულ-ინსპექტორმა შეადგინა ოქმი, რომელშიც მკაფიოდ დააფიქსირეს, რომ მათ ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნდათ.

6. რადგანაც მოპასუხემ შესაგებელში უარყო ნივთების მასთან არსებობის ფაქტი, მოსარჩელემ მოსამზადებელ სხდომაზე იმ საფუძვლით, რომ მომავალში გადაწყვეტილების აღსრულებას შეექმნებოდა საფრთხე, მოპასუხისათვის ამ ნივთების ღირებულების, 21 005 ლარის, დაკისრება მოითხოვა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს 21 005 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ. სასამართლომ დავის მოსანესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 477-ე, 1106-ე და 1109-ე მუხლები გამოიყენა.

8. მოპასუხემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

**9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს 10 502.5 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ.**

9.1. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ოქროს ნივთების არსებობისა და ჩუქების ფაქტი მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. ამასთან, პალატამ აპელანტის (მოპასუხის) მსჯელობა, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად შეაფასა სადავო ნივთების მოსარჩელისთვის გადაცემის, ან/და ამ ნივთების მოსარჩელის ოჯახში დატოვების ფაქტი, უარყო და მიუთითა, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა, კერძოდ:

პატრულ-ინსპექტორის ოქმები, მოწმეთა ჩვენებები და მხარეთა ახსნა-განმარტებები, აპელანტის პრეტენზიების უსაფუძვლობაზე მიუთითებდა. საქალაქო სასამართლოში მოპასუხის შუამდგომლობით დაკითხულმა მოწმეებმა უტყუარად და დამაჯერებლად ვერ დაადასტურეს მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის სადავო ნივთების უკან დაბრუნების ფაქტი.

9.2. სააპელაციო სასამართლომ სადავო ნივთების ღირებულებაზე მხარეთა მიმართებითაც უარყო აპელანტის პრეტენზია და მიუთითა საქმეში არსებულ ფასების დამადასტურებელ წერილობით დოკუმენტებზე, ე.წ. „იარლიყებზე“, რომლებიც შეიცავდა მითითებას ნაჩუქარი ნივთების საფასურზე, რაც დასტურდებოდა ერთ-ერთი მოწმის ჩვენებითაც. პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტმა ვერ შეძლო კუთვნილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და, გარდა თავისი ზეპირსიტყვიერი განმარტებისა, მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს კანონით დასაშვები და გამაბათილებელი მტკიცებულება ვერ დაუპირისპირა.

9.3. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ერთობლივად შეფასებით, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებმა არარეგისტრირებული ქორწინებისას ოჯახის ერთობლივ საჩუქრად მიიღეს სადავო ნივთები. პალატის დასკვნით, მართალია, მხარეები დაინიშნენ, მაგრამ მათი ურთიერთობა გასცდა ნიშნობის ფარგლებს (იყვნენ საქორწინო მოგზაურობაში, ჩამოსვლის შემდეგ კი, გააგრძელეს ერთად ცხოვრება) და, რადგანაც სადავო ნივთები განკუთვნილი იყო ორივესთვის, შესაბამისად, თანამესაკუთრებებიც იყვნენ.

**10. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვეს.**

10.1. პირველი კასატორის (მოსარჩელის) საკასაციო პრეტენზიით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, დაუსაბუთებელია, სახელდობრ:

10.2. მისი მტკიცებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა მოპასუხესთან ფაქტობრივ ქორწინებაში ყოფნის ფაქტი. მათი ურ-

თიერთობა, სულ ორი თვე გაგრძელდა და მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხემ რამდენიმე ნივთი გადაიტანა მის ბინაში და ლამეს ათევედა, არ ადასტურებს ქორწინებას. ისინი მხოლოდ დანიშნულები იყვნენ, რაც მათ არ უკრძალავდა ერთად ყოფნას და თუნდაც ერთ ბინაში ცხოვრებას; მათი ურთიერთობა ისე შეწყდა, რომ არ დაქორწინებულან, შესაბამისად, ისინი ცოლ-ქმარი არ ყოფილან და მათ შორის დავის მონესრიგება მეუღლეთა უფლება-მოვალეობების შესახებ ნორმებით უკანონოა.

**11. მეორე კასატორის (მოპასუხის) პრეტენზიით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა და დაადგინა სადავო ნივთების რეალური ღირებულება, რადგან ნივთი ვერ შეფასდება იმ კრიტერიუმით, თუ რამდენი გადაიხადა მოსარჩელემ მის შესაძენად. ერთადერთი წერილობითი მტკიცებულება რაც წარდგენილია, არის მოწმის მიერ დაწერილი „ფასის იარლიყი“, რომელიც სასამართლოს სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეუფასებია და არ გამოუკვლევია, რამდენად დასაშვებია მტკიცებულება იყო მოცემული დავის გადასაწყვეტად.**

11.1. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად მიიღო და დაუშვა საპატრულო პოლიციის მიერ კანონდარღვევით შედგენილი მეორე ოქმი. საქმეში წარდგენილი იყო მისი გამოძახების შედეგად შედგენილი, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი ოქმი, სადაც დაფიქსირებულია, რომ მხარეებს ერთმანეთის მიმართ რაიმე პრეტენზია არ გააჩნდათ, მათ შორის, არც ოქროს ნივთებთან მიმართებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აიასახებოდა ოქმში. მოგვიანებით, საპატრულო პოლიციის იმავე თანამშრომელმა კანონდარღვევით შეადგინა მეორე ოქმი, რომელზედაც არც გამოძახება და არც მისი ხელმოწერა არ ფიქსირდება და აღნიშნულია, რომ თურმე მოსარჩელეს საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორის მიერ იმავე დღეს გაენია კონსულტაცია სამოქალაქო საქმეზე.

11.2. კასატორის მტკიცებით, მან სადავო ნივთები მოსარჩელეს გაცილებით ადრე დაუბრუნა, რაც გახდა კიდევ მათი დაშორების ერთადერთი მიზეზი.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაბუთებული, ხოლო მო-



პასუხის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

13. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის/პირველი კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები სარჩელის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, დასაბუთებულია, ხოლო მოპასუხის/მეორე კასატორის პრეტენზიები უსაფუძვლოა და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

14. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, კერძოდ, იმაზე რომ ის 2015 წლის 30 ნოემბრის სარჩელით მოპასუხისაგან მოითხოვდა ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების დაბრუნებას. მართალია, მან მოგვიანებით, საქმის მომზადების სტადიაზე მოპასუხისათვის გადაცემული ნივთების ღირებულების – 21 005 ლარის დაკისრება მოითხოვა, მაგრამ აღნიშნული არა მოთხოვნის დაზუსტებას, არამედ მომავალში სსკ-ის 253-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე (ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა გადახდეს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება), გადაწყვეტილების აღსრულების წესის განსაზღვრას ემსახურებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნის (ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების უკან დაბრუნება), სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 1109-ე მუხლის მესამე ნაწილს (ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში, მხარეებს უკან უბრუნდებათ) ეფუძნება და, აქედან გამომდინარე, მოსარჩელისათვის სასურველ შედეგს შემდეგი სამართლებრივი წინაპირობების შესრულება განაპირობებს: დასაქორწინებულ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა), ნიშნობასთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის საჩუქრების გადაცემა, მხარეთა დაუქორწინებლობა და ნაჩუქარი ნივთების დაუბრუნებლობა.

15. სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტი დაადგინა, მაგრამ სამართლებრივად არასწორად შეაფასა ისინი. სსკ-ის 1106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდი-

ნარე, დაქორწინების თაობაზე მხარეთა შეთანხმება იურიდიულ ძალას იძენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში დარეგისტრირების შემდეგ. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ სადავო ნივთები განკუთვნილი იყო ორივე მათგანისათვის და ამიტომ ისინი ამ ნივთების თანამესაკუთრეები იყვნენ, სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რადგანაც თანასაკუთრება შეიძლება, წარმოიშვას კანონის ან გარიგების საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში კი, დავა ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრების დაბრუნებას ეხება და არა მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფას (სსკ-ს 1158-ე მუხლი). სსკ-ის 1109-ე მუხლის მესამე ნაწილის დებულება „ასახავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციას, რომ დაქორწინების მსურველ პირთა ნათესავებმა და ახლობლებმა სამომავლო ქორწინების აღსანიშნავად დაასაჩუქრონ მომავალი მეუღლეები, რაც ეფუძნება ვარაუდს, რომ დანიშნული წყვილი გარკვეული პერიოდის შემდეგ უთუოდ იქორწინებს, თუმცა, კანონმდებელი ნიშნობის ფაქტს რაიმე სავალდებულო სამართლებრივ შედეგს, დაქორწინებას არ უკავშირებს და ადგენს ნიშნობის საჩუქრის (რაც ხშირ შემთხვევაში ძვირად ღირებულ ნივთებია) მხარეთათვის დაბრუნების წესს. იმის გათვალისწინებით, რომ ნიშნობის მხარეებს წარმოადგენენ დასაქორწინებელი პირები, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოხსენებული საჩუქრის დაბრუნების შესახებ მოთხოვნის წარდგენა შეუძლია ნიშნობის ერთ-ერთ მხარეს, რომლის მიმართ პატივისცემის გამოხატვის მიზნითაც შედგა ჩუქება (შდრ. სუსგ №ას-297-280-2010, 14.06.2010 წელი).

16. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი და შეფასებული ის ფაქტი, რომ მხარეები ნიშნობის შემდეგ ერთად ცხოვრობდნენ და საერთო მეურნეობას ეწეოდნენ, ამ დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანი ვერ იქნება, რადგანაც მათ ქორწინება კანონით დადგენილი წესით არ დაურეგისტრირებიათ და, აქედან გამომდინარე, არც მეუღლეთა უფლება-მოვალეობები წარმოშობილა (სსკ-ის 1151-ე მუხლი). დე ფაქტო „ოჯახური ცხოვრების“ დადგენას სხვა – ასე მაგალითად, მამობის დადგენის, ან მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის საქმეებზე – შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი დატვირთვა (შდრ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 27 ოქტომბრის №18535/91 გადაწყვეტილება საქმეზე Kroon and others v. The Netherlands) და არა ნიშნობასთან დაკავშირებულ დავაში.

17. ზოგადი წესის თანახმად, ჩუქება განკარგვითი ხელშეკრუ-

ლების ნაირსახეობაა და, სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის შე-საბამისად, დასაჩუქრებული საჩუქარზე საკუთრების უფლებას ნივთის გადაცემის მომენტიდან მოიპოვებს, თუმცა საგამონაკლი-სო წესს ადგენს საოჯახო სამართალი იმ შემთხვევისათვის, როდესაც მომავალ მეუღლეს (მეუღლეებს) საჩუქარი გადაეცემა ნიშნობაზე. ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული შედეგი დამოკიდებულია პირთა რეგისტრირებული ქორწინების ფაქტზე, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებიდან გამომდინარე, დასაქორწინებელ პირთა ნი-ნასწარი თანხმობა (ნიშნობა) დაქორწინების ვალდებულებას არ წარმოშობს და არც მხარეები იწყებენ საოჯახოსამართლებრივ ურ-თიერთობას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ქორწინების რეგის-ტრაციის მომენტამდე ნიშნობის სუბიექტი საჩუქრის მართლზო-მიერი მფლობელია (სკ-ის 158-ე, 159-ე, 170-ე მუხლები).

18. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეებს ქორწინება არ დაურეგისტრირებიათ, ხოლო ნივთები, რომელთა ღირე-ბულების ანაზღაურებაც სარჩელის საგანია, მოპასუხეს გადაეცა ნიშნობასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქვემდგომმა ინსტანციის სასა-მართლომ სადავო ნივთები არასწორად მიიჩნია მეუღლეთა თანა-საკუთრებად და მათი ღირებულების ნახევრის ანაზღაურების სა-მართლებრივ საფუძველად არასწორად განსაზღვრა სსკ-ის 1158-ე და 1159-ე მუხლები და სადავო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არ გამოიყენა 1109-ე მუხლი.

19. რაც შეეხება მოპასუხის მიერ სადავო ნივთების ფლობის ფაქტს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს ვალდებულებაა, სწორად მიმართოს მტკიცებითი საქმიანობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მან საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტე-ბის განსაზღვრის შემდეგ სადავო და უდავო ფაქტები უნდა გა-მიჯნოს ერთმანეთისგან. სადავო ფაქტები მტკიცების საგანში შე-მავალ ფაქტებს წარმოადგენს და მტკიცების ტვირთის განაწილე-ბის პროცესიც სწორედ აქ ვლინდება. სასამართლომ, როგორც საპ-როცესო საქმიანობის წარმმართველმა სუბიექტმა, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა გაანაწილოს, რომ საფრთხე არ შეექმნას მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების რეალიზაციას. მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი პროცესუალური წესი მოცემულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის მი-ხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მითითებული ნორმა საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლთან კავში-რით იმ დასკვნის საფუძველს ქმნის, რომ მხარეს, რომელიც სასა-

მართლოს მიმართავს კონკრეტული მოთხოვნით, აწევს როგორც ამ მოთხოვნის საფუძვლად არსებული ფაქტების მითითების, ასევე – მათი დამტკიცების, ანუ მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი. როგორც წესი, ფაქტის მითითებისა და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურსამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს – სანინალმდეგოს დამტკიცების ტვირთი.

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ სადავო ნივთების ფლობის ფაქტის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრება. მან აღნიშნულს წარმატებით გაართვა თავი. საქმეში წარდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ვაკის მიმართულების მე-4 ოცეულის პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი ოქმი, სადაც მოსარჩელე უთითებს, რომ ნიშნობის დროს მოპასუხეს გადასცა ოქროს ნივთები და მოითხოვდა მათ დაბრუნებას. გასაუბრების ოქმის შინაარსი დაადასტურა მონმის სახით დაკითხულმა პატრულ-ინსპექტორმა, მან განმარტა, რომ მოპასუხე სადავო ნივთების დაბრუნებაზე უარს აცხადებდა, იმ მოტივით, რომ ნივთები მისი საკუთრება იყო (იხ. ოქმი და პატრულ-ინსპექტორის ჩვენება), სანინალმდეგოს მტკიცება მოპასუხეს ევალებოდა. მან კი ვერ შეძლო თავისი ნილი მტკიცების ტვირთის რეალიზება, საქმეში სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო, სახელდობრ, საქალაქო სასამართლოში მისი შუამდგომლობით დაკითხულმა მონმებმა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ვერ დაადასტურეს მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის სადავო ნივთების დაბრუნების ფაქტი (იხ. მონმე გ. ფ-ისა და ლ. ლ-ის ჩვენება).

21. საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების მე-11 პუნქტში მითითებულ მეორე კასატორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, განმარტავს, რომ მისთვის ნიშნობის საჩუქრის სახით გადაცემული ნივთების ღირებულებაზე მითითებას შეიცავს ე.წ. „ფასის იარლიყები“ და მონმის ჩვენება, რომლის განმარტებით, აღნიშნული ოქროს სამკაულები, სულ ზუთი ერთეული, მისი საკუთრება იყო, რომელიც, ფინანსური პრობლემების გამო, 2014 წლის მაისში მიჰყიდა მოსარჩელის მამას, რომელსაც მანამდეც იცნობდა. გაყიდვამდე ნივთები შეაფასებინა საიუველირო ნაკეთობების ექსპერტს და მისი დადგენილი ფასები აღნიშნა ამ ნივთების იარლიყზე (იხ. მონმის ჩვენება). შესაბამისად, მოსარჩელის მიერ მითითებული და მოპასუხის მიერ არაკვალიფიციურად შედავებული გარემოება, სამართლებრივად ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ სადავო ნივთების

ღირებულება სწორია, აღნიშნული პრეზუმირებული გარემოებების დამაჯერებლად და სარწმუნოდ გაქარწყლება კი, სწორედ მოპასუხის ვალდებულებაა და მისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში უნდა დაიძლიოს. მოპასუხემ/მეორე კასატორმა ვერ შეძლო დაკისრებული მტკიცების ტვირთის წარმატებული რეალიზება და მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებას (გარდა ზეპირსიტყვიერი განმარტებისა) გამაქარწყლებელი მტკიცებულება ვერ დაუპირისპირა.

22. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 253-ე მუხლის თანახმად, ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც უნდა დაეკისროს მოპასუხეს, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას ნივთები მას არ აღმოაჩნდება. დასახელებული ნორმა ემსახურება სამართლიანი სასამართლო პრინციპის განმტკიცებას და ორიენტირებულია მხარეთა შორის არსებული დავის გადაწყვეტის საბოლოო ხასიათზე. მართლმსაჯულების ამოცანას წარმოადგენს არა მხოლოდ დარღვეული სადავოდ ქცეული უფლების დაცვა, არამედ ამ დაცვისათვის ქმედითი, ეფექტური წინაპირობების შექმნა, რათა მხარისათვის შესაძლებელი იყოს განწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი მართლწესრიგის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალწარმოება უმოქმედოა (შდრ. სუსგ. №ას-168-168-2018, 11.05.2018წ). ადამიანის უფლებათა ევროსასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (იხ. მაგ: Apostol v. Georgia; §37; Hornsby v. Greece, §40; IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia, §42; Burdov v. Russia, §34).

23. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს

ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხეს უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟები, სულ – 1 155.28 (ათას ას ორმოცდათხუთმეტი ლარი და ოცდარვა თეთრი) ლარი; მასვე უნდა დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 19 თებერვლის განჩინებით (საქმე №ას-205-2019) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის სრულად – 525.13 (ხუთას ოცდახუთი ლარი და ცამეტი თეთრი) ლარის გადახდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 264.3, 257.1, 253-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ნ. თ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. რ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. რ. ჩ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს, ნ. თ-ძეს დაეკისროს, დაუბრუნოს რ. ჩ-ძეს შემდეგი ნივთები: ბრილიანტის ყელსაბამი (ე.წ. „კოლიე“) ღირებულებით – 12 000 ლარი, ნახევარკარატიანი ბრილიანტის ბეჭედი – 2600 ლარი, ბრილიანტის თექვსმეტვლიანი ოქროს სამაჯური – 3150 ლარი, 1.5-კარატიანი ბეჭედი – 2655 ლარი, პატარა ბრილიანტებიანი ბეჭედი – 600 ლარი, სულ – 21 005 ლარის სამკაული;
5. თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება არ აღმოჩნდება ნ. თ-ძესთან, მოსარჩელის სასარგებლოდ, მას დაეკისროს შემდეგი ნივთების ღირებულების: ბრილიანტის ყელსაბამის (ე.წ. „კოლიე“) – 12 000 ლარის, ნახევარკარატიანი ბრილიანტის ბეჭედის – 2600 ლარის, ბრილიანტის თექვსმეტვლიანი ოქროს სამაჯურის – 3150 ლარის, 1.5-კარატიანი ბეჭედის – 2655 ლარის, პატარა ბრილიანტებიანი ბეჭედის – 600 ლარის, სულ – 21 005 ლარის გადახდა;
6. ნ. თ-ძეს რ. ჩ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის

მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟები სულ – 1 155.28 (ათას ას ორმოცდათხუთმეტი ლარი და ოცდარვა თეთრი) ლარი;

7. ნ. თ-ძეს (პ/ნ 0102...) დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 19 თებერვლის განჩინებით (საქმე №ას-205-2019) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გადავადებული სახელმწიფო ბაჟის სრულად – 525.13 (ხუთას ოცდახუთი ლარი და ცამეტი თეთრი) ლარის გადახდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

8. სახელმწიფო ბაჟი გადახდილი იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...;

9. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. მეუღლეთა ქონებრივი უფლებები და მოვალეობები

### მეუღლეთა თანასაკუთრება

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1270-1192-2015

4 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: 2011 წლის 19 სექტემბერს გაცემული თანხმობის ბათილად ცნობა, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების აღიარება, სამკვიდრო მონუმბაში ცვლილების შეტანა

#### აღწერილობითი ნაწილი:

##### 1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. თ. კ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე, კასატორი, უფლებამონაცვლეები: თ. ზ-ი და ლ. გ-ი, იხ. 09.06.2017წ. განჩინება) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. კ-ის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტი ან კასატორის მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა 2011 წლის 19 სექტემბერს მის მიერ გაცემული თანხმობის ბათილად ცნობა, 2012 წლის 20 მარტის სამკვიდრო მონუმბაში ცვლილების შეტანა და სამკვიდროს (ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, თ-ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილიდან 1/4 ნაწილის, ანუ მთელი ქონების 1/8 ნაწილი, ასევე, ნივთის 1/2 ნაწილის) მესაკუთრედ აღრიცხვა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2011 წლის 17 აგვისტოს გარდაიცვალა მოსარჩელის მეუღლე – ვ. კ-ი (შემდგომში – მამკვიდრებელი). 2012 წლის 20 მარტის სამკვიდრო მონუმბის საფუძველზე მოპასუხემ საკუთრებაში მიიღო სადავო უძრავი ქონება. მთლიანი ქონების საკუთრებაში მიღების საფუძველს წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ 2011 წლის 19 სექტემბერს გაცემული თანხმობა, რომელიც არ შეესაბამება მოსარჩელის ნებას, კერძოდ, თანხმობის გაცემის დროისათვის იგი დაავადებული იყო ე.წ სკლეროზით და არ შეეძლო, შეეგნო თავისი მოქმედების



მნიშვნელობა, გარდა ამისა, კიდევაც, რომ გაეცნობიერებინა თანხმობის არსი, თანხმობა არ შეიძლება ჩაითვალოს მთლიან ქონებაზე გაცემულად, რადგანაც სამკვიდრო მასას არ წარმოადგენს მთლიანი ქონების 1/2 ნაწილი, რომელიც მოსარჩელის საკუთრებაა (მოსარჩელემ და მამკვიდრებელმა იქორწინეს 1968 წლის 28 მაისს, ხოლო სადავო უძრავი ქონება შეიძინეს ქორწინების შემდგომ – თანაცხოვრების პერიოდში, რის გამოც ქონება წარმოადგენს თანასაკუთრებას. ამონაწერში ნათლად ჩანს, რომ უფლების დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს 1998 წლის 30 აპრილის №2 დადგენილება (გაცემული დაბა ბაკურიანის საკრებულოს მიერ) და 1987 წლის 11 მარტს დამონმებული ბორჯომის ტექტიუროს მიერ გაცემული პასპორტი). ქონების დარჩენილ 1/2-ს, რომელიც არის სამკვიდრო, უნდა გამოეყოს 1/4 ნაწილი, ანუ მთლიანი ქონების 1/8 (მთლიანობაში  $1/2 + 1/8 = 5/8$  ნაწილი). მოსარჩელეს ქმედუწუნარობის გამო დანიშნული ჰყავს მეურვე.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხე არ დაეთანხმა სარჩელს და განმარტა, რომ მან მამის გარდაცვალებიდან სამ თვეში მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მიღების თხოვნით, ასევე წარუდგინა მამკვიდრებლის ყველა პირველი რიგის მემკვიდრის წერილობითი თანხმობა, რომ სამკვიდრო აღრიცხულიყო მოპასუხის საკუთრებად (მამკვიდრებელს დარჩა პირველი რიგის ოთხი მემკვიდრე: მეუღლე – მოსარჩელე და შვილები: მოპასუხე, თ. ზ-ი და ლ. გ-ი). მემკვიდრეთა მიერ თანხმობის გაცემა განპირობებული იყო მათი შეთანხმებით, რომ თ. ზ-სა და ლ. გ-ს მიეცემოდათ ქ. თბილისში მდებარე უძრავი ქონება, ხოლო მოპასუხეს – დაბა ბაკურიანში. გარდა ამისა, მოსარჩელე არ არის ფსიქიკურად დაავადებული, იგი ფლობს სადავო ქონებას, უძღვება მეურნეობას და არ გააჩნია ჯანმრთელობის პრობლემები, რაც შეეხება მის მიერ წარმოდგენილ დასკვნას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ეს კვლევა არ არის ობიექტური და არ ასახავს რეალობას.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, თ-ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ №6-...) 1/2-ის მესაკუთრედ, 2011 წლის 19 სექტემბერს გაცემული თანხმობის გაუქმებისა და მამკვიდრებლის დანაშთი ქონების 1/2-ის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცვალა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და მოსარჩელეს უარი ეთქვა სადავო ქონების 1/2-ის თანამესაკუთრედ ცნობაზე.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

##### **1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამომშოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პრეტენზიათა ფარგლებში პალატის მსჯელობის საგანი იქნება იმის გარკვევა არის თუ არა მოსარჩელე უძრავი ქონების თანამესაკუთრე. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია, მხარის მოთხოვნა მიმართულია სარჩელის სრულად დაკმაყოფილებისკენ, ხოლო სარჩელის საგანს ასევე წარმოადგენს მოსარჩელის მიერ გაცემული თანხმობის ბათილად ცნობა და სამკვიდროდან წილის მიკუთვნებაც, თუმცა, ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, რის გამოც, იგი შესულია კანონიერ ძალაში (იხ. სსსკ-ის 264.1. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში სააპელაციო

ნესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ ნესით გასაჩივრებული და ამ გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგი კვლავ განხილვის საგნად ველარ იქცევა (იხ. სსსკ-ის 266-ე მუხლი: გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი).

## **1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:**

წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. თ. ბ-ი (ქორწინების შემდგომ – კ-ი) და ვ. კ-ი დაქორწინდნენ 1968 წლის 28 მაისს;

1.2.2. მამკვიდრებელი გარდაიცვალა 2011 წლის 17 აგვისტოს და დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე – მოსარჩელე, შვილები: მოპასუხე, თ. ზ-ი და ლ. გ-ი;

1.2.3. 2012 წლის 15 მარტის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დასტურდება, რომ მამკვიდრებლის სახელზე რეესტრირებულ საკუთრებას წარმოადგენდა ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, თ-ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობა: ობიექტი №1 (საცხოვრებელი), №2 (არასაცხოვრებელი) და ბენზინგასამართი სადგური), რომელზეც საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტებია: 1. დადგენილება №2 (დამონმების თარიღი: 30.04.1998წ. დაბა ბაკურიანის საკრებულო); 2. სახელმწიფო კომისიის აქტი „მშენებლობით დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ“ (დამონმების თარიღი: 20.02.2005წ.); 3. ტექნიკური პასპორტი (დამონმების თარიღი: 11.03.1987წ. ბორჯომის

ტექტიურ). სახელმწიფო კომისიის 2005 წლის 20 თებერვლის აქტის („მშენებლობით დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება-ჩაბარების შესახებ“) თანახმად, ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ბენზინგასამართი სადგური (ს/კ №...);

1.2.4. ბენზინგასამართი სადგური მამკვიდრებელმა თავის სიცოცხლეში გაასხვისა მოპასუხეზე და დაბა ბაკურიანში, თ-ის ქ. №...-ში მდებარე 55 კვ.მ უძრავი ქონება (მინის ფართი: 212 კვ.მ), 2010 წლის 16 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რეგისტრირებულია მოპასუხის საკუთრებად (ს/კ №...);

1.2.5. მამკვიდრებლის გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო და მოპასუხემ, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო გარდაცვლილის სახელზე რეგისტრირებული მთელი უძრავი ქონება (ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, თ-ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ნივთი, მახასიათებლები: ზონა – ბორჯომი 64; სექტორი – დაბა ბაკურიანი 30; კვარტალი – 0... ნაკვეთი – 3...; სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, დაზუსტებული ფართობი: 1245,00 კვ.მ, ნაკვეთის წინა ნომერი: 6-... შენობა-ნაგებობა: ობიექტი №1 (საცხოვრებელი), ობიექტი №2 (არასაცხოვრებელი). უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: 2012 წლის 20 მარტს დამონებული №1... სამკვიდრო მონობა).

### **1.3. საკასაციო განხილვის ფარგლები (საკასაციო საჩივრის საფუძვლები):**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის მიზნებისათვის კანონდარღვევად განიხილება სასამართლოს მიერ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის არასწორი მოძიება ან მისი არასწორი გამოყენება ან/და განმარტება. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი. თავის მხრივ, განსახილველი ნორმიდან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ საკასაციო საჩივრის წარმატებას თავად კასატორის მიერ ზემოხსენებულ საფუძვლებზე მითითება და ამ გზით საკასაციო შედავებათა დასაბუთება განაპირობებს. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადანყვეტილების დასკვნას იმის თაობაზე, რომ საქმის მასალებით არ დგინდება სადავო უძრავი ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებობის ფაქტი, კერძოდ, არ დასტურდება ის გარემოება, რომ მამკვიდრებლის სახელზე რეგისტრირებული ქონება მათი თანაცხოვრების პერიოდშია შექმნილი. ამ თვალსაზრი-

სით მხარე აცხადებს, რომ სასამართლომ დაარღვია მტკიცებულებათა შეფასების ფარგლები და იმსჯელა იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც საქმეში არ არის წარმოდგენილი. მონინალმდევე მხარეს არ წარმოდგენია იმგვარი დოკუმენტები, რომლებიც გააქარწყლებდა სადავო ქონების მეუღლეთა მიერ ერთობლივად შეძენის ფაქტს. აღნიშნულის შედეგად დარღვეულია შეჯიბრებითობის პრინციპი. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ მიღებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო მხოლოდ ვარაუდი, რომ შესაძლოა ქონება არ ყოფილიყო მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი. საკასაციო საჩივარში პრეტენზიაა გამოთქმული ასევე მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაზე, კერძოდ, სააპელაციო პალატამ უფლების დამდგენი დოკუმენტები ისე მიიჩნია მხოლოდ ბენზინგასამართი სადგურის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებლად, რომ ყურადღება არ გაუმახვილებია საჯარო რეესტრში უფლების დამდგენად მითითებული დოკუმენტების თარიღზე, რომლებიც უდავოდ მოწმობს იმას, რომ ქონება მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდშია შეძენილი. საგულისხმოა, რომ მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, თუმცა, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას ეს ფაქტიც უარყო და მას მოპასუხის სასარგებლოდ დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

#### **1.4. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს (გარდა სახელმწიფო ბაჟის დაკისრების თაობაზე გამოთქმული პრეტენზიისა) კასატორის პოზიციას გადაწყვეტილების უსწორობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ გამოიკვეთა მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ასევე, 393.3 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

1.4.1. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს ის საკითხი, წარმოეშვა თუ არა მოსარჩელეს თანასაკუთრების უფლება დავის საგანზე და ქონების 1/2 ნაწილი შეადგენს თუ არა სამკვიდრო მასას. ამ კონტექსტში სააპელაციო სასამართლომ სწორად მოიძია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა – სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას,

უელიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. განსახილველი ნორმის აღწერილობითი ნაწილი იძლევა იმ წინაპირობების ჩამონათვალს, რომელთა დადასტურებაც ერთ-ერთი მეუღლისათვის ქონებაზე თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველია, კერძოდ, მოთხოვნის წარმატებას განაპირობებს, თუკი დადგინდება, რომ მეუღლეები იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში (იხ. სკ-ის 1106-ე, 1151-ე მუხლები) და ქონება შეძენილია სწორედ ამ მოვლენის დადგომის შემდგომ, ამასთან, კანონი არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ ფაქტს ეს ქონება შეძენილია მხოლოდ ერთი მეუღლის თუ მათი ერთობლივი სახსრებით. იმ შემთხვევაში, თუკი დადასტურდება, რომ ქონება წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, მაშინ თანასაკუთრებაში წილთა თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე (იხ. სკ-ის 173.1 და 954-ე მუხლები), ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში, სამკვიდრო მხოლოდ ქონების 1/2 ნაწილზე გაიხსნება (სკ-ის 1339-ე მუხლის თანახმად, ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება არ ეხება ქონების იმ ნაწილს, რომელიც მას მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ეკუთვნის);

1.4.2. მსგავსი კატეგორიის დავისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მტკიცების სტანდარტზეც: როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმიდან, ისე – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებიდან გამომდინარე, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურება ეკისრება ფაქტის მიმთითებელ მხარეს – მოსარჩელეს და მოპასუხეს მხოლოდ მას შემდგომ წარმოეშობა ამ ფაქტების გაქარწყლების ვალდებულება, რაც მოსარჩელე გაართმევს თავს საკუთარ პროცესუალურ ვალდებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო არ მიიღებს მოსარჩელის პოზიციის გამაქარწყლებელ მოპასუხის განმარტებას/მტკიცებას და იმ საფუძვლით, რომ ფაქტის მიმთითებელმა მხარემ ვერ გაართვა თავი მტკიცებას, უარყოფს სარჩელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება ემყარება რა შეჯიბრებითობის პრინციპს, სასამართლოს მხრიდან მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის არასწორად განაწილება სწორედ ხსენებული ფუნდამენტური პრინციპის დარღვევად განიხილება, რაც გადაწყვეტილების გაუქმების საკმარისი საფუძველია;

1.4.3. ამ გადაწყვეტილების 1.2.1., 1.2.3. პუნქტებში მითითებული ფაქტების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, თითქოს სადავო უძრავი ქონება (ს/კ №6-...) მეუღლეთა ქორწინების პერიოდშია შეძენილი და შესაბამისად მოსარჩელის თანასაკუთრებას

წარმოადგენს. ხსენებულ დასკვნას სასამართლომ საფუძვლად დაუდო ვარაუდი, რომ 1978 წელს დამონმებული პასპორტი არ არის საკმარისი სადავო გარემოების დასადასტურებლად, რადგანაც იგი ამ დოკუმენტის შედგენის დროისათვის არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას ადასტურებს და არა ქონების შექმნას ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა საერთო სახსრებით, გარდა ამისა, არ შეიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ სადავო ნივთი მამკვიდრებელს არ მიუღია მემკვიდრეობით ან არ შეუქმნია ქორწინებამდე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ხსენებული პოზიცია არ გამომდინარეობს უფლების დამდგენი დოკუმენტის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით (ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად) შეფასებიდან, ამასთანავე, ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობის პრინციპს, ვინაიდან იმ პირობებში, როდესაც დგინდება რომ ტექნიკური პასპორტი მხარეთა რეგისტრირებული ქორწინების შემდეგაა შედგენილი და დავის საგანზე მეუღლეთა უფლების წარმომშობი რაიმე დოკუმენტი საქმეში არ მოიპოვება, ეს გარემოება სავესებით საკმარისი საფუძველია იმ პრეზუმფციის დაშვებისათვის, რომ ქონებაზე ვრცელდება მეუღლეთა თანასაკუთრების სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლით გათვალისწინებული რეჟიმი. პრეზუმირებული ფაქტის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, მისი გაქარწყლება ეკისრება იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაცაა ეს ფაქტობრივი გარემოება მიმართული. მოცემულ შემთხვევაში, არც ქვემდგომ სასამართლოებს დაუდგენიათ და არც კასატორის მოწინააღმდეგე მხარეს არ მიუთითებია საქმეში მისი მხრიდან იმგვარი მტკიცებულების წარდგენის თაობაზე, რომელიც ხსენებულ ვარაუდს გააქარწყლებდა. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა უხეში დარღვევით, რომლის წინააღმდეგაც დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიაა წარმოდგენილი;

1.4.4. სასამართლო უარყოფს მხარის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ მას, როგორც ბაჟისაგან გათავისუფლებულ პირს, მოგებული მხარის სასარგებლოდ არ უნდა დაკისრებოდა პროცესის ხარჯის გადახდა და განმარტავს, რომ თუკი გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩებოდა ძალაში, უცვლელად იქნებოდა დატოვებული პროცესის ხარჯების საკითხიც, რამდენადაც, როგორც „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი, ისე – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი პირს ათავისუფლების ბიუჯეტის სასარგებლოდ ხარჯების გადახდისაგან, ხოლო, იმის მიხედვით, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე მხარეთა შორის ანგარიშსწორება კანონ-

ნიერია და ეს გარემოება ვერ გახდება მართლმსაჯულების აქტის გაუქმების საფუძველი (პროცესის ხარჯების განაწილების საკითხზე ქვემოთ იმსჯელებს სასამართლო).

### **1.5. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:**

1.5.1. ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები), უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს დავა: იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ სათანადო მტკიცებულების წარდგენით ვერ გააქარწყლა მამკვიდრებლისა და მოსარჩელის მიერ დავის საგნის რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შექმნილი ფაქტი, სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის საფუძველზე, პალატა მოსარჩელეს მიიჩნევს უძრავი ქონების 1/2-ის თანამესაკუთრედ, რომელიც, ამავე კოდექსის 1339-ე მუხლის შესაბამისად, არ წარმოადგენდა ვ. კ-ის დანაშთ სამკვიდროს. ეს გარემოება კი, თავისთავად გამორიცხავს მოპასუხის მიერ სამკვიდრო მონაწილის საფუძველზე ამ ოდენობით უძრავი ქონების საკუთრებაში მიღებას.

### **2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

2.1. 2016 წლის 13 იანვარს სასამართლოს შუამდგომლობით მართა კასატორმა და მოითხოვა მტკიცებულებათა საქმისათვის დართვა. პალატა არ იზიარებს ხსენებულ შუამდგომლობას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104.1 მუხლის შესაბამისად (სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ), მიიჩნევს, რომ მტკიცებულებები უნდა დაუბრუნდეს მათ წარმომდგენს, რამდენადაც ამავე კოდექსის 407.1 მუხლიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები), საკასაციო სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება, მიიღოს და შეაფასოს ახალ მტკიცებულებები, არამედ, იგი შემოიფარგლება საქმეში არსებული დოკუმენტებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების



შემომნებით, ამდენად, პალატა ასკვნის, რომ არ არსებობს შუამდგომლობის გაზიარების საფუძველი, რის გამოც, კასატორის უფლებამონაცვლეებს: თ. ზ-სა და ლ. გ-ს უნდა დაუბრუნდეთ 13.01.2016წ. №ა-103-16 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 3 (სამი) ფურცლად.

### **3. სასამართლო ხარჯები:**

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ“ ქვეუნიქტის თანახმად, კასატორი ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან გათავისუფლებულია. წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილი მატერიალურ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მხარეთა შორის ხარჯების განაწილების საფუძველი (სსსკ-ის 53-ე მუხლი), რაც შეეხება ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებას, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილით (სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია) და ყურადღებას ამახვილებს საქმეში მოპასუხის მიერ წარმოდგენლ აუდიტორულ დასკვნაზე, რომლის თანახმადაც, სადავო უძრავი ქონების 1/2 შეფასებულია 38 000 ლარად. ვინაიდან ზემოხსენებული საფუძველით სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადაუხდელია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39.1 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეუნიქტების შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ ხსენებული თანხის 3% და 5% – 3 040 ლარი ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს გ. კ-ს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 104-ე, 407-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. თ. კ-ის უფლებამონაცვლეების: თ. ზ-ისა და ლ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი.

3. თ. კ-ის უფლებამონაცვლეების: თ. ზ-ისა და ლ. გ-ის სარჩელი ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, თ-ის ქ. №...-ში მდებარე სა-

კარმიდამო მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

4. აწ გარდაცვლილი თ. კ-ი ცნობილ იქნას ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, თ-ის ქ. №...-ში მდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის 1/2-ის თანამესაკუთრედ.

5. კასატორების შუამდგომლობა მტკიცებულებების საქმისათვის დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

6. თ. კ-ის უფლებამონაცვლეებს: თ. ზ-სა და ლ. გ-ს დაუბრუნდეთ 13.01.2016წ. №ა-103-16 განცხადებაზე დართული მტკიცებულებები 3 (სამი) ფურცლად.

7. გ. კ-ს (პ/№0-...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს 3 040 ლარის გადახდა.

8. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **მეუღლეთა პალატის გაყოფის წესი**

### **ბანჩინება**

### **საქართველოს სახელის**

№ას-1334-1254-2017

18 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი**

**დავის საგანი:** განქორწინება, მამობის სააქტო ჩანაწერის ბათილად ცნობა, მეუღლისათვის ქორწინებამდელი გვარის მიკუთვნება, არასრულწლოვნის დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილებების შეტანა, შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა (თავდაპირველ სარჩელში), მეუღლეთა შორის საერთო ვალების განაწილება (შეგებებულ სარჩელში)

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის/შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა და სარჩელის/შეგებებული სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:**

1.1. ზ. ჩ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, მოპასუხე შეგებებულ სარჩელზე, აპელანტი ან კასატორის მონინალმდევე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ჩ-ის (შემდგომში – მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, აპელანტის მონინალმდევე მხარე ან კასატორი) მიმართ და მოითხოვა 2004 წლის 17 თებერვალს მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა, მოპასუხის დავალდებულება, შეიცვალოს გვარი და დაუბრუნდეს ქორწინებამდელი გვარი ხ-ი, მცირეწლოვანი შვილის – მ. ჩ-ის საცხოვრებელი ადგილის მამის მისამართის მიხედვით განსაზღვრა და აღსაზრდელად მამისათვის (მოსარჩელე) გადაცემა, იმის დადგენა, რომ მოსარჩელე არ არის მ. ჩ-ის მამა, შესაბამისად, მ. ჩ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამად მოსარჩელის რეგისტრაციის ბათილად ცნობა და არასრულწლოვანი მ-ს გვარის – ჩ-ის, შეცვლა ხ-ით.

1.1.1. თავდაპირველი სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მხარეებმა იქორწინეს 2004 წლის 17 თებერვალს. ქორწინების შემდეგ მოპასუხემ მიიღო ქმრის გვარი. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი – მ. ჩ-ი (დაბადებული 2005 წლის 12 მარტს) და მ. ჩ-ი (დაბადებული 2011 წლის 16 ივნისს). მოპასუხე მედდად მუშაობს სხვადასხვა საავადმყოფოში და სამსახურში სასიყვარულო ურთიერთობა დაიწყო ნ. ს-ესთან, 2011 წლის 16 ივნისს მისგან შეეძინა მ. ჩ-ი. მოსარჩელემ არ იცოდა, რომ მ. ჩ-ის მამა არ იყო, ამიტომ მის დაბადების სააქტო ჩანაწერში, ის იქნა მითითებული მამად. გარდა ამისა, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ განქორწინების შემდეგ მოპასუხეს არ აქვს მორალური უფლება, ატარებდეს მოსარჩელის გვარს. მოპასუხეს არ აქვს საცხოვრებელი ადგილი და შვილის აღზრდისათვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები. მხარეთა საერთო შვილი მამასთან უკეთ გაიზრდება ვიდრე დედასთან. მოპასუხის ამორალური საქციელი შვილს აძლევს ცუდ მაგალითს.

1.2. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ მოითხოვა თავდაპირველი მოსარჩელისათვის მეუღლეთა საერთო ვალების ნახევრის დაკისრება (შპს „ბ-ის“ მიმართ დავალიანება შეადგენს 3 131 აშშ დოლარს, ხოლო, სს „ს-ის“ მიმართ – 5 083 ლარს).

1.2.1. შეგებებული სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში, ოჯახური საჭიროებების გამო, შეგებებულმა მოსარჩელემ შპს „ბ-იდან“ და სს „ს-იდან“ აიღო სესხები და ამ სესხებს ფარავს პერიოდული შენატანებით. ვინაიდან ნასესხები თანხა მოხმარდა საერთო საოჯახო მიზნებს, შეგებებული მოსარჩელე მიიჩნევს, რომ იგი მეუღლეთა საერთო ვალია და ამ თანხის ნახევრის გადახდა უნდა დაეკისროს მოპასუხეს შეგებებულ სარჩელზე.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. მოპასუხემ თავდაპირველი სარჩელი განქორწინების ნაწილში ცნო, დანარჩენ ნაწილში მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველზე, რომ სამსახურში სასიყვარულო ურთიერთობა არავისთან ჰქონია და არც შეუფერებელი საქციელი ჩაუდენია. მ. ჩ-ი არის მოსარჩელის შვილი და არ არსებობს არასრულწლოვნის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის გრაფასა და ბავშვის გვარში ცვლილებების შეტანის, ისევე, როგორც მოპასუხის გვარის შეცვლისა და ქორწინებამდელი გვარის დაბრუნების საფუძველი. მოპასუხე დასაქმებულია და აქვს სტაბილური შემოსავალი, მას აქვს შვილების სათანადო აღზრდის ყველა წინაპირობა, რაც მამის საცხოვრებლის მიხედვით მ. ჩ-ის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში სარჩელის უსაფუძველობას ადასტურებს;

2.2. შეგებებული სარჩელი არ ცნო არც თავდაპირველმა მოსარჩელემ და მის წინააღმდეგ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, კერძოდ, მოპასუხემ უარყო შეგებებული მოსარჩელის მიერ ნასესხები თანხის საოჯახო საჭიროებისათვის აღება-განკარგვა, მისი განმარტებით, შეგებებულ მოსარჩელეს თანხა არც ოჯახში მიუტანია და არც საერთო სამეურნეო მიზნით არ გამოუყენებია, შესაბამისად, იგი მეუღლეთა საერთო ვალს არ წარმოადგენს.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეწყდა მხარეთა შორის 2004 წლის 17 თებერვლის №47 სააქტო ჩანაწერით რეგისტრირებული ქორწინება განქორწინებით, აღიარებულ იქნა ფაქტი, რომ მოსარჩელე არ არის მ. ჩ-ის (პ/ნ...) ბიოლოგიური მამა. ბათილად იქნა ცნობილი მ. ჩ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერის მამის გრაფაში, ზ. ჩ-ის რეგისტრაცია, ზ. ჩ-ის სარჩელი ნ. ჩ-ისა და მ. გვარის შეცვლის დავალდებულების, ასევე, მ. ჩ-ის საცხოვრებელი ადგილის მამის მისამართის მიხედვით განსაზღვრის ნაწილში, არ დაკმაყოფილდა, ნ. ჩ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, მეუღლეთა საერთო ვალები განანიღდა და ამ მიზნით ზ. ჩ-ს, ნ. ჩ-ის სასარგებლოდ, დაეკისრა სს „ს-იდან“ და შპს „ბ-იდან“ მიღებული სესხის ნახევარის – 2 540 ლარის და 1 565 აშშ დოლარის გადახდა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თავდაპირველმა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარ-

ჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

## **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეს უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტის მონინალმდეგე მხარემ, მოითხოვა მისი გაუქმება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

## **1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

### **1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფაქტობრივი საფუძვლები (კასატორის პრეტენზიები):**

საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს ქორწინების განმავლობაში ერთ-ერთი მეუღლის მიერ აღებული ვალეები წარმოშობს თუ არა მეუღლეთა საერთო ვალდებულებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას პალატა სწორედ კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეგებებული სარჩელის უარყოფის მთავარ საფუძვლად სააპელაციო პალატამ მიიჩნია ის გარემოება, რომ შეგებებულმა მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სადავო თანხის ოჯახის საერთო მიზნებისათვის გამოყენების ფაქტი. სააპელაციო პალატის ხსენებული დასკვნების წინააღმდეგ კასატორი პრეტენზიას ძირითადად პრო-

ცესუალური წესების დარღვევაზე აცხადებს, კერძოდ: მხარეები 2004 წლის 17 თებერვლიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად, ჰქონდათ საერთო მეურნეობა, საერთო ფულით ყიდულობდნენ, როგორც საოჯახო, ისე – პირადი მოხმარების ნივთებსა და საკვებს. მოწინააღმდეგე მხარე არის უმუშევარი, ეკლესიურობის მოტივით არ იღებს ე.წ. აიდი ბარათს, კასატორი კი სტაბილურადაა დასაქმებული, მუშაობს ორ ადგილას, რამაც განაპირობა სესხის კასატორის და არა მოწინააღმდეგე მხარის მიერ აღება, ამ უკანასკნელს არ წარუდგენია მტკიცება იმისა, რომ სადავო თანხა არა ოჯახის საერთო, არამედ პირადი მიზნებით იქნა გამოყენებული. ამ მხრივ სასამართლომ შეფასება არ მისცა მოწმე რ. შ-ის ჩვენებას, რომელმაც მეუღლეთა ბინაში ჩაატარა სარემონტო სამუშაოები. სარემონტო მასალები შექცენილ იქნა კასატორის მიერ და რემონტის საზღაურიც მოწმეს კასატორმა გადაუხადა, საპირისპირო მტკიცებულება მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია, ხოლო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ 2011 წლიდან მხარეების ცხოვრება აღარ შეიძლება სრულფასოვან საოჯახო ურთიერთობად ჩაითვალოს და 2011 წელს აღებული სესხიც არ მიიჩნევა მეუღლეთა საერთო ვალად, არასწორია. სააპელაციო პალატამ არასწორად განსაზღვრა სესხის ოდენობაც, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მშს „ბ-ის“ ხელშეკრულების თანახმად, 2013 წლის 23 ნოემბერს, 12 თვის ვადით შეგებულმა მოსარჩელემ ისესხა 1 500 აშშ დოლარი, საქმეში წარმოდგენილია მეორე ხელშეკრულებაც, რომლითაც ირკვევა, რომ გაგრძელდა პირველი ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ამ დროისათვის ვალი არ იყო გასტუმრებული და ვალდებულების მოცულობამ შეადგინა 3 131 აშშ დოლარი, ასევე არ არის დაფარული სს „ს-ში“ არსებული დავალიანება.

## **1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:**

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სა მოქალაქე საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალისაა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ის ფაქტობრივ გარემოებები, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებე-

ბის არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. ზ. ჩ-ი და ნ. ჩ-ი დაქორწინდნენ 2004 წლის 17 თებერვალს;

1.2.2. მათ ჰყავთ საერთო შვილი;

1.2.3. 2013 წლის 23 ნოემბერს შეგებებულმა მოსარჩელემ შპს „ბ-ისაგან“ ისესხა 1 500 აშშ დოლარი, 2015 წლის 24 მარტს სს „ს-ისაგან“ – 833 ლარი, 2015 წლის 30 ივლისს კი – 4 250 ლარი.

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. განსახილველი დავის საგანს მეუღლეთა შორის საერთო ვალების განაწილება წარმოადგენს, ამ თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლომ სწორად მოიძია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა და სწორად მიუსადაგა იგი საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1169-ე მუხლისა და 1170-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად. ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღება ქონების გაყოფის შემთხვევაში. აღნიშნული ვალების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის. დასახელებული ნორმებით დადგენილია ის ქონებრივი წონასწორობა, რომელიც კანონისმიერი თანასაკუთრების (საოჯახო ურთიერთობიდან ნაწარმოები უფლება) სპეციალური ურთიერთობიდან გამომდინარეობს და განსაზღვრავს საერთო ვალდებულებაში თითოეული მეუღლის პასუხისმგებლობის მოცულობას. იმის გასარკვევად, თუ რა წარმოადგენს საოჯახო სამართლის მიზნებისათვის მეუღლეთა საერთო ვალს, ზემოხსენებული ნორმები უნდა განიმარტოს სისტემურად, ამავე კოდექსის 1158-ე (მეუღლეთა თანასაკუთრება), 1160-ე (თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ურთიერთშეთანხმებით) და 1161-ე (მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება) მუხლებთან ერთობლიობაში. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი, გარდა ქორწინებამდე მეუღლეთათვის კუთვნილი, ასევე, ქორწინების შემდგომ მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონებისა, მეუღლეთა თანასაკუთრებად განიხილავს სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებულ ყველა ქონებას, მიუხედავად შეძენის წყაროსი, კერძოდ, იგი შეძენილია ერთობლივი სახსრებით, თუ ერთ-ერთი მეუღლის მიერ. გარდა ამისა, კანონისმიერი პრეზუმციისა, რომ თანასაკუთრების განკარგვა ემყარება თანამესა-

კუთრე მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებას, შესაბამისად, საოჯახო სამართლით მონესრიგებული თანასაკუთრების რეჟიმის პროპორციულია დანახარჯები და ვალდებულებებიც.

1.3.2. მეუღლეთა საერთო ვალის დაფარვის საკითხის გადანყევტისას მეტად პრაქტიკული მნიშვნელობისაა პროცესუალური საკითხი მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, კერძოდ, ვინ უნდა ამტკიცოს ის ფაქტი, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული ვალი საერთო ვალს. საკასაციო სასამართლომ არაერთ გადანყევტილებაში აღნიშნა, რომ ამ საკითხის გადანყევტისას მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები არ გვთავაზობს პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას და მტკიცების საგანში შედის სწორედ საერთო მიზნებისათვის სადავო ხარჯების განევის ფაქტი, ხოლო მტკიცების სტანდარტს ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი (იხ. სუსგ-ები: №ას-516-489-2015, 17 ივნისი, 2015 წელი, №ას-1035-1228-2008, 23 მარტი, 2009 წელი, №ას-605-579-2016, 17 თებერვალი, 2017 წელი. საკასაციო პალატის მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკა ზედმიწევნითაა ასახული გასაჩივრებულ გადანყევტილებაში).

1.3.3. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა სრულად უარყოფს კასატორის პრეტენზიას, რომ მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება და მეუღლეთა ერთად ცხოვრების ფაქტი ადასტურებს სადავო თანხის ოჯახის ერთიანი მიზნებისათვის მოხმარების ფაქტს, გარდა ამისა, თანხის საერთო საოჯახო მიზნით გამოყენების პრეზუმფციას არც ის გარემოება არ იძლევა, რომ კასატორის მოწინააღმდეგე მხარე არ იყო დასაქმებული, ამ მხრივ სააპელაციო პალატამ სწორად მიუთითა ამავე საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყევტილების იმ ნაწილზე (რომელიც სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში, თანახმად სსსკ-ის 264.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა, შესაბამისად, ფაქტს, ამავე კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, პრეიუდიციული მნიშვნელობა გააჩნია), რომლის თანახმადაც 2011 წლიდან მეუღლეებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც საბოლოოდ მათი ოჯახის დანგრევის მიზეზი გახდა, ხოლო ყველა სასესხო ვალდებულება წარმოშობილია 2011 წლის შემდგომ, ამით გაქარწყლებულია პრეზუმფცია, რომ კასატორის მიერ ნასესხები თანხა შესაძლოა, ოჯახის საერთო მიზნებს მოხმარებოდა. საკასაციო სამართლომ საკასაციო პრეტენზიის შესაბამისად, შეისწავლა მოწმედ დაკითხული რ. შ-ის ჩვენება, რომელიც არ შეიძლება სადავო ფაქტის მტკიცების საკმარის საფუძვლად იქნეს მიჩნეული, რამდენადაც მოწმე მხოლოდ იმას უთითებს, რომ თანხა – 100 ან 150 ლარი ქალბატონმა გადასცა, გარდა ამისა, მოწმე აღნიშ-



ნავს, რომ რემონტი 3 წლის წინ ჩატარდა (იხ. 15.03.2017წ. სხდომის ოქმი). ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებულნი გადანყვეტილება ემყარება საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივ კვლევა-შეფასებას (სსსკ-ის 105-ე მუხლი), ხოლო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული დასკვნების წინააღმდეგ კასატორის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი გონივრული და წონადი არგუმენტები. ამ მხრივ გაზიარებას არ ექვემდებარება მხარის ის მტკიცებაც, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არ წარუდგენია იმგვარი მტკიცებულებები, რაც შეგებებული სარჩელის მოთხოვნას გამორიცხავდა, რადგანაც, როგორც უკვე ითქვა, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის წინაპირობების მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრებოდა შეგებებულ მოსარჩელეს, რომელმაც მას თავი ვერ გაართვა. გარდა ამისა, საკასაციო პალატა შეფასების გარეშე ტოვებს მხარის იმ არგუმენტს, რომელიც საფინანსო ინსტიტუტის მიმართ არსებული დავალიანების ოდენობას შეეხება. იმ პირობებში, როდესაც არ დგინდება საერთო ვალების განაწილების წინაპირობები, სამართლებრივად მნიშვნელობას კარგავს თავად ვალდებულებების მოცულობის განსაზღვრა.

#### **1.4. გასაჩივრებული გადანყვეტილების უცვლელად დატოვების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ გადანყვეტილებას, რადგანაც მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ დაამტკიცა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების საპროცესო წესების დარღვევით გამოკვლევა, შესაბამისად, პალატა იზიარებს ქვემდგომი სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს და თვლის, რომ შეგებებული სარჩელი არის დაუსაბუთებელი.

#### **2. სასამართლო ხარჯები:**

ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები, ხსენებული ხარჯი, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2017 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება დარჩეს უც-  
ვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-  
ჩივრდება.

**არასრულწლოვანი შვილის ინტერესების  
გათვალისწინებით თანასაკუთრების გაყოფა**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-733-733-2018

11 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავიძე**

**დავის საგანი:** აღმენტი დაკისრება, დამატებით ხარჯებში  
მონაწილეობა, თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების გან-  
კარგვით მიღებული სარგებლიდან წილის კომპენსაცია, გარიგების  
თვალთმაქცურად აღიარება, გარიგების მოპასუხის მიერ დადებუ-  
ლად ცნობა და უძრავი ქონების ნაწილზე მესაკუთრედ აღიარება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ნ. გ-ვილმა (შემდეგში: მოსარჩელე ან მეორე აპელანტი ან მე-  
ორე კასატორი) სარჩელი აღძრა ა. გ-ის, (შემდეგში: მოპასუხე ან  
პირველი აპელანტი ან პირველი კასატორი) მიმართ და მოითხოვა:
2. მოპასუხისათვის თანასაკუთრების განკარგვით მიღებული  
სარგებლიდან 2/3 წილის სახით 169 472 აშშ დოლარის დაკისრება  
(შემდეგში: პირველი სასარჩელო მოთხოვნა);

3. არასრულწლოვანი შვილის – ა-ვილის (დაბადებული 1999 წლის 28 სექტემბერს) (შემდეგში: არასრულწლოვანი ბავშვი) სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის დაკისრება ყოველთვიურად 250 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრიდან (2015 წლის 13 მაისიდან) ბავშვის სრულწლოვანებამდე (შემდეგში: მეორე სასარჩელო მოთხოვნა);

4. არასრულწლოვანი ბავშვის სასარგებლოდ დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მიღების მიზნით (მოთხოვნა განპირობებული არასრულწლოვანი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობითა და მკურნალობის საჭიროებით) 100 ლარის დაკისრება ყოველთვიურად სარჩელის აღძვრიდან (2015 წლის 13 მაისიდან) ბავშვის სრულწლოვანებამდე (შემდეგში: მესამე სასარჩელო მოთხოვნა);

5. 2010 წლის 13 აგვისტოს შპს „ბ-სა“ და მოპასუხეს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 2010 წლის 25 აგვისტოს მოპასუხესა და მოპასუხის მამას შორის დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების თვალთმაქცურ გარიგებებზე ცნობა; შპს „ბ-სთან“ დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარედ მოპასუხის მიჩნევა და ქ. თ-ში, ...-ის ქ. №, სართული 4, ბინა 15-ში (კორპუსი III) მდებარე უძრავი ქონების, 2/3 წილზე მესაკუთრედ აღიარება (შემდეგში: მეოთხე სასარჩელო მოთხოვნა);

6. 2013 წლის 22 მაისს გ. ს-იას და მოპასუხეს შორის 2013 წლის 22 მაისს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების თვალთმაქცურ გარიგებზე ცნობა, ხელშეკრულების მხარედ მოპასუხის მიჩნევა და ქ. თ-ში, გ-ის მ-ი, მე-4 მკ/რ, კორპუსი № 103-ში მდებარე უძრავი ქონების 2/3 წილზე მოსარჩელის საკუთრების უფლების ცნობა (შემდეგში: მეხუთე სასარჩელო მოთხოვნა).

7. მოსარჩელემ მოპასუხებზე აგრეთვე დაასახელა: შპს „ბ.“ ნ. გ-ი (შემდეგში: მოპასუხის მამა) და გ. ს-ია.

8. მოპასუხემ წარმოადგინა, როგორც მოთხოვნის გამომრიცხავი ისე, განხორციელების მუდმივად შემაფერხებელი (ხანდაზმულობა) შესაგებელი. იმავდროულად, სადავო გახადა მოცემულ დავაზე საქართველოს სასამართლოს კომპეტენცია.

9. თ-ის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა თანასაკუთრების განკარგვით მიღებული სარგებლის სახით 44751 აშშ დოლარის 2/3 ნაწილის ანაზღაურება, რაც შეადგენს 29 834 აშშ დოლარს;

10. მოპასუხეს დაეკისრა არასრულწლოვანი ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 180 ლარის ოდენობით,

სარჩელის აღძვრიდან – 13.05.2015 წლიდან ბავშვის სრულწლოვანებაამდე;

11. მოპასუხეს დაეკისრა არასრულწლოვანი ბავშვის სასარგებლოდ დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მიღება (რაც უკავშირდება ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მკურნალობისთვის აუცილებელ ხარჯებს) ყოველთვიურად 60 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრიდან – 13.05.2015 წლიდან ბავშვის სრულწლოვანებაამდე;

12. მოსარჩელის დანარჩენი მოთხოვნები უარყოფილი იქნა.

13. გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 06 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივრები უარყოფილი იქნა.

14. საკასაციო პალატა მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

15. მხარეები დაქორწინდნენ 1996 წლის 20 ნოემბერს.

16. მხარეებს თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: 1997 წლის 04 მარტს დაბადებული ნ. გ-ი და 1999 წლის 28 სექტემბერს დაბადებული ა-ვილი.

17. მოპასუხეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 27 ივნისის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა.

18. მხარეები 1996 წლიდან 2003 წლამდე ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ რუსეთის ფედერაციაში, ქ. ტ-ში.

19. ქორწინების განმავლობაში, 2002 წლის 17 დეკემბერს, მოპასუხემ დაარეგისტრირა საკუთრების უფლება საცხოვრებელ ბინაზე, მდებარე რუსეთის ფედერაცია, ქ. ტ-ი, ს-ის ქუჩა, შენობა 84, კორპუსი 1, ბინა 34 (შემდეგში: რუსეთში მდებარე პირველი უძრავი ქონება).

20. რუსეთში მდებარე პირველი უძრავი ქონება 2003 წლის 03 მარტს ბინების გაცვლის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხემ გაცვალა ლ. ი-ასთან ტ-ის ოლქი, ქ. ტ-ი, ზ-ის გასასვლელი, სახლი 45, კორპუსი 4, მდებარე №8 ბინაში (შემდეგში: რუსეთში მდებარე მეორე უძრავი ქონება).

21. რუსეთში მდებარე პირველი უძრავი ქონების საკადასტრო ღირებულებაა 2 093 365.7 რუბლი, რაც შეადგენს 66 303 აშშ დოლარს.

22. 2003 წლის ივნისში, მოსარჩელე არასრულწლოვან შვილებთან ერთად საქართველოში გადმოვიდა საცხოვრებლად.

23. 2005 წელს სამი თვის ვადით მოსარჩელე ისევ დაბრუნდა არასრულწლოვან შვილებთან ერთად რუსეთის ფედერაციაში, ხო-

ლო 2005 წლის ოქტომბრის თვეში კვლავ დაბრუნდნენ საქართველოში.

24. რუსეთის ფედერაციის სახელით გამოტანილი ქ. ტ-ის მოსკოვის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიხედვით ირკვევა, რომ მხარეები არასრულწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრობდნენ პირველ სადავო ბინაში ბინაში. 2003 წლის 04 თებერვალს ბინების გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხემ შეიძინა მეორე სადავო უძრავი ქონება – ბინა, რომელშიც შესახლდა და ცხოვრობს. ამ ბინაში რეგისტრირებული არიან მხარეები და მათი არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც ბინაში არ შესახლდნენ, 2003 წლის ივნისში გაემგზავრნენ საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლებით. ამ გადაწყვეტილებით, მოსარჩელეს და არასრულწლოვან შვილებს არ შეუძენიათ უფლება საცხოვრებელი ფართით სარგებლობაზე მეორე სადავო უძრავი ქონებაზე. აღნიშნული ბინა მოპასუხემ გაასხვისა 2010 წლის 28 აპრილს.

25. 2010 წლის 06 მაისს მოპასუხემ შეიძინა ბინა რუსეთის ფედერაციაში, ტ-ი, გამარჯვების გამზირი, სახლი 6, ბინა №52 (შემდეგში: რუსეთში მდებარე მესამე უძრავი ქონება), რომელიც 2010 წლის 27 ივლისს გაყიდა. ბინის ღირებულება შეადგენს 1442964.46 რუბლს ანუ, 47622 აშშ დოლარს.

26. 2010 წლის 26 ივლისს მოპასუხემ შეიძინა ბინა რუსეთის ფედერაციაში, ქ. ტ-ი, ო-იძის ქუჩა (შემდეგში: რუსეთში მდებარე მეოთხე უძრავი ქონება), სახლი 55/39, ბინა №14, რომელიც 2012 წლის 16 ოქტომბერს გაასხვისა. ბინის ღირებულებაა 1390833.28 რუბლი ანუ, 44 751 აშშ დოლარი.

27. 2010 წლის 13 აგვისტოს მოპასუხის მამამ, ნ. გ-მა (შემდეგში: მოპასუხის მამა) შპს „ბ-სგან“ შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე ქ. თ-ი, ხ-ის №..., სართული 4, ბინა №15 (კორპუსი III) (შემდეგში: საქართველოში მდებარე მეხუთე უძრავი ქონება). ნასყიდობის საფასური შეადგენდა 68000 ლარს.

28. საქართველოში მდებარე მეხუთე უძრავი ქონება 2010 წლის 25 აგვისტოს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხის მამამ საკუთრებაში გადასცა მოპასუხეს, რომელზედაც რეგისტრირებულია მოპასუხის საკუთრების უფლება.

29. 2013 წლის 22 მაისის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის მამამ გ. ს-იასაგან შეიძინა უძრავი ქონება (კომერციული ფართი), მდებარე მისამართზე ქ. თ-ი, გ-ის მ-ი, მე-4 მკ/რ, კორპუსი №103 (შემდეგში: მეექვსე უძრავი ქონება). ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 30 000 აშშ დოლარად, რომელიც საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია

მოპასუხის მამის სახელზე.

30. მხარეები განქორწინდნენ 2013 წლის 19 აგვისტოს.

31. მოსარჩელე არ არის დასაქმებული.

32. მოსარჩელე და მისი არასრულწლოვანი ბავშვი რეგისტრირებული არიან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

33. მოსარჩელე შვილებთან ერთად 2003 წლის ივნისის თვიდან ცხოვრობდა თ-ში, ძმის საცხოვრებელ მისამართზე. 2011 წლიდან ბავშვები სწავლობდნენ ხარაგაულის რაიონის, სოფელ ნ-ში მდებარე სკოლაში.

34. 2011 წელს ნ. გ-ი საცხოვრებლად გადავიდა და მას შემდეგ ცხოვრობს მამასთან, ა. გ-თან, რომელიც იმ პერიოდისათვის დაბრუნებული იყო საქართველოში.

35. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის მიხედვით არასრულწლოვანი ბავშვის დიაგნოზია: „ნაადრევი სქესობრივი მომნიშვნის შემდგომი ფიზიკური განვითარების შეფერხება, დასაზუსტებელი E28.1 პარკუჭთაშუა ძგიდის დეფექტის და 2000 წელს ჩატარებული ღია ბოტალის სადინრის ქირურგიული კორექციის შემდგომი მდგომარეობა“. მას ასევე, აქვს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ – „მიოპიური ასტიგმატიზმი, შეუღლებული გარეთა სიელმე“, რის გამოც, პერიოდულად ესაჭიროება ოფთალმოლოგიური გამოკვლევა – კონსულტაცია, ოფთალმოლოგიური ელექტროსტიმულაცია, თვალის ვარჯიში და წვეთები. ამასთან, შპს „ორთოდონტიული ცენტრის“ 2016 წლის 01 ივნისის გაცემული „ფორმა – 100“-ის მიხედვით, ბავშვის დიაგნოზია – „კბილთა რკალის ანომალია, კბილთა დგომის ანომალია, რეტენციული კბილი, ზეკომპექსური კბილი“.

36. 2010 წლის 28 ივლისის მდგომარეობით, უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე ქ. თ-ი, კ-ანის ქუჩა, №4, (იგივე III მ-ი, მე-7 კვარტალი, კორპუსი №4), სართული 3, ბინა 49, „ბ“ ბლოკი, 45.58 კვ.მ. ფართი საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მოსარჩელის სახელზე. ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ვ. 2006“ მიერ 23.09.2015 წელს გაცემული ცნობის მიხედვით, აღნიშნული საცხოვრებელი კორპუსი არის მშენებარე და საცხოვრებლად უვარგისი, მასში არანაირი კომუნიკაცია არ არის და ადამიანისთვის შეუძლებელია მასში ცხოვრება.

37. მოსარჩელის დედა არის ნ-ის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი. 1986-2006 წლების ხელფასის გაცემის უწყისებით დასტურდება, რომ იგი მუშაობდა ნ-ის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლად 1986 წლის იანვრის თვიდან 2006 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით.

38. მოპასუხის მამა 1959 წლიდან დასაქმებულია სამეურნეობა-თაშორისო სატყეო მეურნეობაში და მუშაობდა სატყეოს უფროსის თანამდებობაზე. იგი წარმოადგენს ხარაგაულის რაიონის სოფელ ნ-ის კომლის წევრს. ამ კომლს აქვს საკუთრებაში საცხოვრებელი სახლი და 6300 კვ.მ.-ის მიწის ნაკვეთი. ოჯახი დაკავებულია სოფლის მეურნეობის შედეგად მიღებული მოსავლის რეალიზაციით.

39. მოპასუხე რუსეთის ფედერაციაში ყოფნის პერიოდში დასაქმებული იყო ქ. ტ-ის სასჯელალსრულების დაწესებულებაში და გააჩნდა შესაბამისი მატერიალური შემოსავალი ხელფასის სახით. ამჟამად, იგი პენსიის სახით იღებს დაახლოებით 800 ლარის ოდენობით თანხას.

40. სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2015 წლის 21 სექტემბრის წერილის თანახმად, ა. ლ-ძისაგან (დამსაქმებელი) მოპასუხე აქვს მატერიალური შემოსავალი 2014 წლის მარტის თვიდან ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით.

41. მოპასუხე ა. გ-ი ასევე დაკავებულია სოფლის მეურნეობით (ჰყავს საქონელი და შინაურული ფრინველი) და მეურნეობის წარმოების შედეგად იღებს შესაბამის პროდუქციას. აღნიშნული საქმიანობის შედეგად, მოპასუხეს ფულადი თანხით შემოსავალი არ გააჩნია.

42. მოპასუხე და ნ. გ. დაქორწინდნენ 2014 წლის 04 ივნისს.

43. სააპელაციო პალატამ იმსჯელა პირველ სასარჩელო მოთხოვნაზე, რომელიც შეეხება მოპასუხისათვის თანასაკუთრების განკარგვით მიღებული სარგებლიდან 2/3 წილის სახით 169 472 აშშ დოლარის დაკისრებას. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოთხოვნის ამ ნაწილიდან მოპასუხეს დაეკისრა 29 834 აშშ დოლარის გადახდა, რამდენადაც სასამართლოს მოსაზრებით, ნასყიდობის საფასურს შეადგენდა 44751 აშშ დოლარი, რომლის 2/3 ნაწილი ერგებოდა მოსარჩელეს. ამავე ნაწილში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრების განხილვის შედეგად (ერთი მხრივ, მოპასუხე უარყოფდა აღნიშნულ ფასში ბინის გაყიდვას, ხოლო მეორე მხრივ, მოსარჩელე მიიჩნევდა რომ უფრო მაღალ ფასში, გასხვისდა ბინა), სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ მეოთხე უძრავი ქონება გაასხვისა 2012 წლის 16 ოქტომბერს და ბინის ღირებულება განისაზღვრა 44 751 აშშ დოლარით (იხ., ამ განჩინების პ-24), რომლის 2/3 წილი მიაკუთვნა მოსარჩელეს. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ უარყო მოსარჩელის მითითება, რომ მოპასუხემ 2003 წლის 03 მარტს რუსეთის ფედერაციაში მდებარე პირველი უძრავი ქონების განკარგვით მიიღო შემოსავალი 2 093365.7 რუბლი ანუ,

66 303 აშშ დოლარი, როგორც ეს აღნიშნული იყო ქონების საკადასტრო ღირებულების სახით (იხ., ამ განჩინების 3-19).

44. საგულისხმოა, რომ პირველი სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნებოდა სულ ოთხი უძრავი ქონების (რუსეთის ფედერაციაში მდებარე პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე უძრავი ქონება) განკარგვით მიღებული სარგებლის 2/3 ნილზე უფლების მოპოვებას. ამ ნაწილში, მოთხოვნის მართებულობაზე მსჯელობისას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში: სსკ-ის) 1151-ე და 1158-ე მუხლების დანაწესებიდან გამომდინარე უდავო ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1996 წლის 20 ნოემბრიდან და განქორწინდნენ 2013 წლის 19 აგვისტოს. დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციაში მდებარე პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე უძრავი ქონება მოპასუხემ შეიძინა და გაასხვისა 2002-2012 წლებში. იმის გათვალისწინებით, რომ უძრავი ქონება საჩელის აღძვრის დროისათვის გასხვისებული იყო, დავის საგნად – ქორწინების განმავლობაში მიღებულ ქონებად, უნდა შეფასებულიყო მათი განკარგვით მიღებული ქონებრივი სარგებელი. სწორედ ამ მიზნით იყო დასადგენი თუ რა სარგებელი მიიღო მოპასუხემ მათი გასხვისების შედეგად.

45. 2014 წლის 13 ნოემბრით დათარიღებული სახელმწიფო რეესტრის ამონაწერით დადგენილი იქნა, რომ მოპასუხეს და ლ. ი-ას შორის 2003 წლის 3 მარტს დაიდო ბინების გაცვლის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, პირველი უძრავი ქონება მოპასუხემ გადაცვალა მეორე უძრავ ქონებაში. შესაბამისად, პირველი უძრავი ქონების გასხვისებით მოპასუხეს ქონებრივი სარგებელი მიღებულ არ ჰქონდა. გაცვლის შედეგად მიღებულ მეორე უძრავ ქონებაში ცხოვრობდა მოსარჩელესთან და შვილებთან ერთად.

46. დადგენილია, რომ მოგვიანებით მეორე უძრავი ქონება მოპასუხემ გაყიდა 2010 წლის 28 აპრილს და 2010 წლის 6 მაისს შეიძინა მესამე უძრავი ქონება, რომელიც ასევე გაყიდა 2010 წლის 27 ივლისს და შეიძინა მეოთხე უძრავი ქონება.

47. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხე რუსეთის ფედერაციაში ყოფნის პერიოდში დასაქმებული იყო ქ. ტ-ის სასაქონლო-საგადასახადო დაწესებულებაში და გააჩნდა მატერიალური შემოსავალი ხელფასის სახით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ მას დასახელებულ პერიოდში რაიმე სხვა დამატებითი შემოსავალი გააჩნდა. აქედან გამომდინარე, მის მიერ უძრავი ქონებების ყიდვა განხორციელდა უშუალოდ წინა ბინის რეალიზაციიდან მიღებული თანხით, რაც გამორიცხავდა მისი მხრიდან რაიმე სარგებლის მიღებას.



48. არც უძრავი ქონებების შეძენასა და გაყიდვას შორის სხვაობის არსებობა დასტურდებოდა, რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს ემსჯელა უძრავი ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული ქონებრივი სარგებლის არსებობაზე.

49. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა მხოლოდ ის გარემოება, რომ მეოთხე უძრავი ქონება მოპასუხემ გაასხვისა 1390833.28 რუბლად, რაც შეადგენს 44 751 აშშ დოლარს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მეოთხე უძრავი ქონება შეძენილი იყო თანაცხოვრების პერიოდში, იგი მიიჩნეოდა მეუღლეთა თანასაკუთრებად, ხოლო მისი განკარგვით მიღებული შემოსავალი წარმოადგენდა იმ ქონებრივ სარგებელს, რომელიც მიღებული იყო საზიარო ქონების გასხვისების შედეგად, ამ სარგებლიდან  $\frac{1}{5}$  წილი ერგებოდა მოსარჩელეს სსკ-ის 1158-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით.

50. ხოლო სსკ-ის 1168-ე მუხლის იმ დანაწესის მიხედვით კი, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისას წილთა თანაბრობიდან გადახვევის სამართლებრივ შესაძლებლობას აწესებს, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემდეგი:

51. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე და მხარეთა არასრულწლოვანი ბავშვი რეგისტრირებულნი იყვნენ სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან სიაში. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო მხარეთა არასრულწლოვანი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ., ამ განჩინების პ-34). ამავდროულად, დაუდგენელი იყო საერთო ქონების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებელი მოხმარდა თუ არა ოჯახის კეთილდღეობას. ამ გარემოებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად, პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო ის განსხვავებული მდგომარეობა, როდესაც დასაშვები იყო წილის არათანაბარი გაყოფა, რაც გამონვეული იყო არასრულწლოვანი შვილის ინტერესისა ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესის მხედველობაში მიღებით. სწორედ ამიტომ მოსარჩელეს მიეკუთვნა  $\frac{1}{2}$  წილის ნაცვლად  $\frac{2}{3}$  წილი.

52. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე იმსჯელა მოსარჩელის (მეორე აპელანტი) იმ მოთხოვნაზე, რომელიც ალიმენტისა და აგრეთვე, დამატებით ხარჯებში მონაწილეობის სახით მოპასუხისათვის ვალდებულების დაკისრებას ითვალისწინებდა (მეორე და მესამე სასარჩელო მოთხოვნები). ამ ნაწილში, გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაკისრებული აქვს ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 180 ლარის ოდენობით, დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მიზნით – ყოველთვიურად 60 ლარის ოდენობით.

53. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ არას-

რულნლოვანი ბავშვი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საჭიროებს სამედიცინო გამოკვლევებს, მუდმივ დაკვირვებას და მედიკამენტოზურ მკურნალობას, რაც წარმოადგენს განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის ავადმყოფობით) გამონკვეულ მოპასუხისათვის დამატებით ხარჯებში მონაწილეობის დაკისრების საფუძველს (ამ განჩინების 3-33).

54. ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 1214-ე და 1230-ე მუხლით, რომელთა დანაწესი ადგენს მშობელთა ვალდებულებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების მატერიალური კეთილდღეობა. აღნიშნული მიზნით მშობლები თანხმდებიან შვილის სარჩენად განკუთვნილი ალიმენტის ოდენობის შესახებ, თუმცა, შეთანხმების მიუღწევლობისას გადაწყვეტილებას ალიმენტის მოცულობის თაობაზე იღებს სასამართლო. კანონმდებელი არასრულწლოვნის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა.

55. განსახილველ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქმის მასალებით დადასტურებული იყო მოსარჩელისა და არასრულწლოვანი ბავშვის სოციალურად დაუცველთა სტატუსის ქონა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა მძიმეა. დადგენილად იქნა მიჩნეული ისიც, რომ არასრულწლოვანი ბავშვი პერიოდულად საჭიროებს ოფთალმოლოგიურ გამოკვლევას – კონსულტაციას. ამასთან, მისი დიაგნოზი კბილთა რკალის ანომალია, კბილთა დგომის ანომალია, რეტენციული კბილი, ზეკომპექსური კბილი. მოსარჩელე არ მუშაობს, შესაბამისად არ გააჩნია ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი, რაც შეუძლებელს ხდის ბავშვის ინტერესების გათვალისწინებას და ბავშვის რჩენა-აღზრდისათვის ნორმალური პირობების შექმნას. იმავდროულად, მხედველობაში იქნა მიღებული მოპასუხის ფინანსურ მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით, დადგენილი იქნა, რომ ა. ლ-ძისაგან (დამსაქმებელი) მოპასუხეს ჰქონდა მატერიალური შემოსავალი 2014 წლის მარტის თვიდან ყოველთვიურად 500 (ხუთასი) ლარი. აქედან გამომდინარე, ა. გ-ის მითითება, რომ მას შემოსავლის სახით ჰქონდა მხოლოდ 800 ლარი – პენსია, უმართებულო იყო. შესაბამისად, ალიმენტის ოდენობად 180 ლარი იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული. იმავდროულად, ვინაიდან საქმის მასალებით დადასტურებუ-

ლი იყო არასრულწლოვნის საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელი დამატებითი ხარჯების არსებობაც, რადგან იგი საჭიროებდა სამედიცინო გამოკვლევებს, მუდმივ დაკვირვებასა და მედიკამენტოზურ მკურნალობას, დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მიზნით მოპასუხეს გადასახდელად დაეკისრა ყოველთვიურად 60 ლარი.

56. მოსარჩელის მეოთხე მოთხოვნას, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით უარყოფილი იყო, წარმოადგენდა 2010 წლის 13 აგვისტოს შპს „ბ-სა“ და მოპასუხეს შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 2010 წლის 25 აგვისტოს მოპასუხესა და მოპასუხის მამას შორის დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების თვალთმაქცურ გარიგებებზე ცნობა; შპს „ბ-სთან“ დადებული მეოთხე უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარედ მოპასუხის მიჩნევა და მეოთხე უძრავი ქონების, 2/3 წილზე მესაკუთრედ აღიარება.

57. აღსანიშნავია, რომ ამ ნაწილში, არ დადასტურდა მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობის ფაქტი, რამდენადაც საქმის მასალებით დადასტურებული გარემოება ის იყო, რომ მეოთხე უძრავი ქონების მესაკუთრეს არც ერთი მოდავე მხარე (მეუღლეთაგანი) არ წარმოადგენდა, არამედ, მეოთხე უძრავი ქონების შემძენს და მესაკუთრეს მოპასუხის მამა წარმოადგენდა.

58. უარყოფილი იქნა მოსარჩელის მეხუთე სასარჩელო მოთხოვნაც იმაზე მითითებით, რომ 2013 წლის 22 მაისს გ. ს-იას და მოპასუხის მამას შორის დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების თვალთმაქცურობა დაუდასტურებელი იყო.

59. ამ ნაწილში, დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 2010 წლის 13 აგვისტოს მოპასუხის მამამ შპს „ბ-სგან“ შეიძინა საქართველოში მდებარე მეხუთე უძრავი ქონება 68000 ლარად. ეს ქონება 2010 წლის 25 აგვისტოს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხის მამამ საკუთრებაში გადასცა მოპასუხეს, რომელზედაც ამჟამად, რეგისტრირებულია მოპასუხის საკუთრების უფლება. დადგენილია ისიც, რომ 2013 წლის 22 მაისის უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის მამამ გ. ს-იასაგან შეიძინა საქართველოში მდებარე მეექვსე უძრავი ქონება 30 000 აშშ დოლარად, რომელიც ამჟამად საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მოპასუხის მამის სახელზე (ამ განჩინების პპ: 25-27).

60. მოსარჩელე 2010 წლის 13 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების თვალთმაქცურობის ნაწილში, აპელირებდა იმაზე, რომ შპს „ბ-სა“ და მოპასუხის მამას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა რეალური ხელშეკრულება, რომლის მხარეს

წარმოადგენდა მოპასუხე. ამიტომაც, ამ ხელშეკრულების მხარედ მოპასუხის აღიარება მოსარჩელეს წარმოუშობდა ქონებრივ სარგებელს თანასაკუთრების სამართლებრივი სტატუსის კონტექსტში.

61. გარიგების თვალთმაქცურობის ნაწილში, მოსარჩელის არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ მოპასუხის მამას არ გააჩნდა შესაბამისი შემოსავალი, რომ შეეძინა აღნიშნული ქონება, რაც არ იქნა გაზიარებული სააპელაციო პალატის მიერ შემდეგი მოსაზრებით:

62. საქმეში წარმოდგენილი მოპასუხის შრომის წიგნაკით, სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გაცემული ცნობით, ასევე, ერთ-ერთი ბანკის მიერ გაცემული ცნობით და მხარეთა ახსნა-განმარტებით დადგენილად იქნა მიჩნეული რომ მოპასუხის მამა პროფესიით არის მეტყვევ-ტექნიკოსი. იგი 1959 წლიდან დასაქმებულია სამეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობაში და ასევე, მუშაობდა სატყეოს უფროსის თანამდებობაზე. მას ჰქონდა შესაბამისი შემოსავლები. მოპასუხის მამა წარმოადგენს ხარაგაულის რაიონის სოფელ ნ-ის კომლის წევრს. ამ კომლს აქვს საკუთრებაში საცხოვრებელი სახლი და 6300 კვ.მ.-ის მიწის ნაკვეთი; ოჯახი დაკავებულია სოფლის მეურნეობის შედეგად მიღებული მოსავლის რეალიზაციით; მოპასუხის მამის სახელზე 1994 წლის 12 ივლისისათვის ირიცხებოდა 147 კუპონი; მოპასუხის მამა დასაქმებული იყო 2007-2010 წლებში და გააჩნდა შესაბამისი შემოსავალი ხელფასის სახით; ამასთანავე, დადგენილია, რომ მოპასუხე და მისი ძმა მ. გ-ი 2009-2014 წლებში ფულადი გზავნილის სახით აგზავნიდნენ გარკვეული ოდენობის თანხებს მოპასუხის მამის სახელზე. ამდენად, მოპასუხის მამის მიერ ქონების შეძენის შეუძლებლობა არ დასტურდებოდა და აპელანტის მითითებული მოსაზრება სსკ-ის 56-ე მუხლის სამართლებრივ წინაპირობებს არ წარმოშობდა მეოთხე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნებისათვის.

63. იმავდროულად, სააპელაციო პალატამ უარყო მოთხოვნა მოპასუხის მამასა და მოპასუხეს შორის დადებული გარიგების ბათილობის თაობაზე, რადგანაც მიიჩნია, რომ მესაკუთრე უფლებამოსილი იყო თავისუფლად განეკარგა მის საკუთრებაში არსებული ნივთი. აქედან გამომდინარე, ჩუქების ხელშეკრულება მიჩნეული იქნა რეალურ გარიგებად, რომლის ძალითაც მამამ შვილს საჩუქრად გადასცა ნივთი. იმავდროულად, უარყოფილი იქნა მოთხოვნა უძრავ ნივთზე თანასაკუთრების რეჟიმიდან გამომდინარე საკუთრების უფლების ცნობის ნაწილშიც, ვინაიდან საჩუქრად მიღებულ ქონებაზე თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი გამორიცხებულია.

64. სააპელაციო პალატამ უარყო მოპასუხის შემხებლობა ასევე

2013 წლის 22 მაისს გაფორმებულ უძრავი ნივთის ხელშეკრულებასთან მიმართებითაც, ვინაიდან აღნიშნული გარიგების მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ გ. ს-ია და მოპასუხის მამა. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს მოპასუხე და რომ სწორედ მის მიერ იქნა გადახდილი ნასყიდობის ღირებულება. მოწმეების ლ. თ-ის და ლ. გ-ვილის ჩვენებები, რომელთა თანახმად მოპასუხეს სურდა თბილისში, გ-ის რაიონში ფართის შექმნა, არ წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას უძრავ ქონებაზე გაფორმებული გარიგების მხარედ მოპასუხის მიჩნევისათვის.

65. საქმის მასალებით დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ მოპასუხის მამის მიერ შექმნილი უძრავი ქონება გაქირავებული იყო და იგი ყოველთვიურად იღებდა შესაბამის ქირას. შესაბამისად, უარყოფილი იქნა მოთხოვნა მასზე, რომ მოპასუხის მამას და შპს „ბ-ს“, ასევე მოპასუხის მამას და გ. ს-იას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები იყო თვალთმაქცური და ამ ხელშეკრულებების რეალურ მხარეს წარმოადგენდა მოპასუხე.

66. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე იმსჯელა პირველი აპელანტის შედავებაზე, რომელიც შეეხებოდა სარჩელის ხანდაზმულობასა და მოცემულ დავაზე საქართველოს სასამართლოს კომპეტენციის გამორიცხვას.

67. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მხარეები განქორწინდნენ 2013 წლის 19 აგვისტოს, ქ. ტ-ის მოსკოვის რაიონის №6 სასამართლოს გადაწყვეტილებით. სსკ-ის 1171-ე მუხლის თანახმად, განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. სარჩელი აღიძრა იქნა 2015 წლის 13 მაისს, სამწლიანი ვადის დაცვით.

68. განჩინება ორივე მხარემ გაასაჩივრა საკასაციო საჩივრით.

69. პირველი კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და სარჩელის უარყოფას, ხოლო მეორე კასატორი – გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

70. პირველი საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

71. პირველი საკასაციო საჩივრით სადავოა მოცემულ დავაზე საქართველოს სასამართლოების კომპეტენცია და უწყებრივი ქვედებარეობა. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ მხარეები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ ითვლებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებად. ამდენად, მათზე არ ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი. მოპასუხე თავიდანვე წინააღმდეგი

იყო დავა განეხილა საქართველოს სასამართლოებს (იხ., კასაციის საფუძვლები).

72. პირველი კასატორი აღნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში, რომელიც წილთა თანაბრობის საწყისიდან გადახვევის საფუძვლით მოსარჩელისათვის ქონებიდან მიღებული სარგებლის 2/3 ნაწილის მიკუთვნებას შეეხება სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ის ფაქტობრივი გარემოება რომ მოპასუხემ სწორედ 1996 წლის 07 აგვისტოს გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო საკუთრებაში მეორე უძრავი ქონება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოსარჩელეს ამ ქონებაზე პრეტენზია ვერ ექნება. საბოლოოდ, ეს ბინა გაიყიდა 2012 წლის 16 ოქტომბერს და მოპასუხეს დარჩა ბინის საფასური მხოლოდ 18 500 აშშ დოლარი. მოპასუხეს ფაქტობრივად არ მიუღია სარგებელი, რაც დაფიქსირებულია სარჩელში, არამედ, მოახდინა თავდაპირველად მისი კუთვნილი ბინის გაცვლა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნას მოპასუხეზე 169 472 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ გააჩნია არც ფორმალური და არც სამართლებრივი საფუძვლები.

73. პირველ კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ შეფასება არ მისცა ქ. ტ-ის მოსკოვის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც მოსარჩელეს ჩამოერთვა ყველა სახის უფლებები. ამ გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ 2003 წლის ივნისის თვეში მოსარჩელე შვილებთან ერთად გაემგზავრა საქართველოში მუდმივი ცხოვრებით, რეგისტრირებული არიან და ცხოვრობენ მისამართზე – თბილისი, ვ-ის მ-ი, მე-2 მ/რ კორპ. №16 ბინა 93. ქ. ტ-ში დაბრუნებას არ აპირებენ. ბავშვები სწავლობენ თბილისის სკოლაში, მოპასუხე კი უხდის კომუნალურ გადასახადებს, იმავე გადაწყვეტილებაში ასევე დაფიქსირებულია ის გარემოებაც, რომ მოპასუხე აპირებს აღნიშნული ბინის გაყიდვას. 1996 წლის 07 აგვისტოს გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხეს საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა პირველი უძრავი ქონება. 1996 წლის 20 ნოემბერს მხარეები დაქორწინდნენ. ქორწინებიდან ჰყავთ ორი შვილი.

74. დადგენილია, რომ მხარეთა შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა ქ. ტ-ის მოსკოვის რაიონის №6 მომრიგებელი სასამართლო უზნის მომრიგებელი მოსამართლის 2013 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით.

75. ამასთან, პირველ კასატორს მიაჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლობის გარდა ხანდაზმულია, რამდენადაც გასულია კანონით განსაზღვრული 3 წლიანი ან/და 6 წლიანი ვადა.

76. პირველი კასატორი სადავოდ ხდის წილთა თანაბრობის სან-

ყისიდან გადახვევასაც და ამ კუთხით, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ უთითებს კონკრეტულ მტკიცებულებას, რომლის საფუძველზეც მან მოახდინა მოსარჩელის წილის გაზრდა. ამასთან, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება მიღებულია 2018 წლის 06 მარტს, ა-ვილი, რომელიც ცხოვრობს მოსარჩელესთან (დედასთან) დაბადებულია 1999 წლის 28 სექტემბერს, ამდენად სააპელაციო სასამართლოს განჩინების გამოტანის დროს იგი უკვე იყო სრულწლოვანი და შესაბამისად ის გარემოება, რის გამოც, სასამართლომ 2/3 წილი მიაკუთვნა მოსარჩელეს დაუსაბუთებელია და უკანონო.

77. ამასთან, პირველი კასატორის მითითებით, ის გარემოება, რომ არასრულწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობა საჭიროებს სამედიცინო გამოკვლევებს, მუდმივ დაკვირვებას და მედიკანტოზურ მკურნალობას, რაც წარმოადგენს განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის ავადმყოფობით) გამოწვეულ მოპასუხისათვის დამატებით ხარჯებში მონაწილეობის დაკისრების საფუძველს, არ შეესაბამება სინამდვილეს. დღეის მდგომარეობით ბავშვი ჯანმრთელია და მას დამატებით მკურნალობა არ სჭირდება.

78. პირველი კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად მიიჩნია დამტკიცებულად გარემოებები მოპასუხის ყოველთვიური შემოსავლების შესახებაც, კერძოდ, არასწორია თითქოს სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2015 წლის 21 სექტემბრის წერილის თანახმად, ა. ლ-ძისაგან (დამსაქმებელი) მოპასუხეს აქვს მატერიალური შემოსავალი 2014 წლის მარტის თვიდან ყოველთვიურად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. საქმეზე მოპასუხემ წარმოადგინა შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ მოპასუხეს სხვა შემოსავალი არ გააჩნია.

79. მოსარჩელემ შეამცირა აპელაციაში მოთხოვნები და წარადგინა შემცირებული მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი. სასამართლომ კი ეს გარემოება მხედველობაში არ მიიღო და განჩინების 4.2-ე პუნქტში განაცხადა – „4.2 მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონებების განკარგვით მიღებული სარგებლის 2/3 წილის გადახდა, რაც მოსარჩელის განმარტებით შეადგენს 169 472 აშშ დოლარს. მოსარჩელე ითხოვს 4 უძრავი ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის 2/3 წილს. საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლოში მხარე ამ თანხას აღარ ითხოვდა; პირველი ინსტანციის სასამართლოში მას ჰქონდა ეს მოთხოვნა წარდგენილი, მაგრამ შემდგომ შეამცირა მოთხოვნა; ეს გარემოებაც იძლევა საფუძველს გაუქმდეს გასაჩივრებული გან-

ჩინება (იხ., დაზუსტებული საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

80. მეორე საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

81. მეორე კასატორს მიაჩნია, რომ პირველი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დათვალა მოპასუხის მიერ ქონების განკარგვით მიღებული შემოსავლები, რითაც პრაქტიკულად, მისი წილის საკომპენსაციო თანხის ოდენობა შემცირდა.

82. მეორე კასატორი აღნიშნავს, რომ მოპასუხემ გამოუგზავნა მის მამას რუსეთში გაყიდული ბინის საფასური და ამ ფულით იყიდა მოპასუხემ საქართველოში უძრავი ქონება. თუმცა, იმის გამო, რომ მოსარჩელეს არ მიკუთვნებოდა თანასაკუთრებიდან წილი, მოპასუხემ და მოპასუხის მამამ ამგვარი სქემა შეიმუშავეს და სასამართლო შეცდომაში შეიყვანეს. მოგვიანებით, თითქოს მოპასუხემ მამისაგან ჩუქებით მიიღო უძრავი ქონება. მეორე კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლომ ის ფაქტიც კი არ გაითვალისწინა თვალთმაქცურ გარიგებებზე ცნობის ნაწილში, რომ მოპასუხის მამამ თ-ის იმ რაიონებისა და ქუჩების მდებარეობაც კი არ იცოდა, სადაც ვითომ „მის მიერ შეძენილი“ უძრავი ნივთები მდებარეობს. ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს კითხვების ეტაპზე გამოვლინდა. მეორე კასატორი ასევე მიუთითებს, რომ მოპასუხე გაფორმებულია საკუთარი კომერციული ფართის დამქირავებლის თანამშრომლად და ყოველთვის ურად, ყოველთვის თვითონ იღებს ბინის ქირას ვითომ ხელფასის სახით. ამ გარემოებათ ანალიზის საფუძველზე, უსაფუძვლოა მითითება მასზე, თითქოს არ იკვეთებოდეს სადავო გარიგებათა თვალთმაქცური ხასიათი. ამასთან, სასამართლო დადასტურებულად არ მიიჩნევს მეხუთე უძრავი ქონების ნასყიდობის ფასის მოპასუხის მიერ გადახდას, თან საბუთების გამოთხოვაზე შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

83. მეორე კასატორი არ ეთანხმება განჩინების იმ დასაბუთებას, რომ მეორე უძრავი ქონების გასხვისებით მოპასუხეს სარგებელი არ უნახავს, თანაც, არ პასუხობს ფასში 60000 დოლარიან სხვაობასთან დაკავშირებით არსებულ გარემოებას (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

84. მეორე კასატორი შუამდგომლობს მოპასუხისათვის ადვოკატის პონორარის სახით 2500 ლარის დაკისრებას.

85. მეორე კასატორი შუამდგომლობს, რომ თავდაპირველი მოპასუხეების მიმართ შპს „ბ-სა“ და გ. ს-იას მიმართ შესაგებლის წარმოდგენლობის გამო დაუსწრებელი გადანყევტილების გამოტანის შესახებ, რაზედაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მათ უარი უთხრა.

86. საქმიდან ამოირიცხოს მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი



დოკუმენტები, მათ შორის, მოპასუხეების დაზუსტებული შესაგებელი, რომელსაც კანონი არ იცნობს.

87. სასამართლომ გამოითხოვოს მეხუთე უძრავი ქონების ნასყიდობის ფასის გადახდის ქვითრები შპს „ბ-დან“.

88. საქმეს მტკიცებულების სახით დაერთოს დოკუმენტები: შპს „ლ-ს“ შესახებ, მონმეების ჩვენები, მოსარჩელის წერილობითი ახსნა-განმარტება, საოჯახო ხარჯების რვეული, მოპასუხის დედის წერილი, ბავშვის ჩვენება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

89. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ივნისის განჩინებით პირველი საკასაციო საჩივარი, ხოლო 2018 წლის 7 ივნისის განჩინებით მეორე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

90. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებს სსსკ-ის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, საკასაციო საჩივრები მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

91. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლებზე მსჯელობის თვალსაზრისით, საკასაციო პალატა პირველ რიგში, ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას, შემდეგ კი, განიხილავს ამავე ნაწილში, კასატორების მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების საფუძვლიანობას:

92. სარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა შეეხებოდა მოპასუხისათვის თანასაკუთრების განკარგვით მიღებული სარგებლიდან, წილთა თანაბრობის პრინციპიდან გადახვევის სამართლებრივი საფუძვლით [სსკ-ის 1158-ე და 1168-ე მუხლები] 2/3 წილის სახით 169 472 აშშ დოლარის დაკისრებას (საიდანაც, სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე მეორე აპელანტმა მოთხოვნა შეამცირა – ამ განჩინების პ – 106).

93. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, ქონების გაყოფისას, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, წილთა თანაბრობიდან გადახვევა და სადავო ქონების  $\square$  წილის ნაცვლად (სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი) 2/3 ნაწილის მიკუთვნება, სარჩელი დაკმაყოფილებადი იქნებოდა სსკ-ის 1168-ე მუხლის შემდეგი წინაპირობების განხორციელების შემ-

თხვევაში, როგორცაა: არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების არსებობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. ნორმის დანაწესით განსაზღვრულია მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი, რომლითაც დადგენილია მათი უფლებები ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონების შესახებ. მისი ნორმატიული რეგულირების მიზანია ოჯახის ინტერესების დაცვა. პრეზუმირდება, რომ ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება შეძენილია ოჯახის გაძღოლის საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად, ამიტომ დავის შემთხვევაში, ქორწინების განმავლობაში ქონების შეძენის ფაქტი (კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა) საკმარისი საფუძველია, რომ მივიჩნიოთ ეს ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად.

94. საგულისხმოა, რომ პირველი სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნებოდა სულ ოთხი უძრავი ქონების (რუსეთის ფედერაციაში მდებარე პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე უძრავი ქონება) განკარგვით მიღებული სარგებლის 2/3 წილზე უფლების მოპოვებას.

95. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განწყვეტილებით მოთხოვნის ამ ნაწილიდან მოპასუხეს დაეკისრა მხოლოდ 29 834 აშშ დოლარის გადახდა, რამდენადაც სასამართლოს მოსაზრებით, მეოთხე უძრავი ქონების ნასყიდობის საფასურს შეადგენდა 44751 აშშ დოლარი, რომლის 2/3 ნაწილი ერგებოდა მოსარჩელეს (იხ., ამ განჩინების პ-24).

96. ამავე ნაწილში, წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრების განხილვის შედეგად (ერთი მხრივ, მოპასუხე უარყოფდა მოთხოვნის აღნიშნულ ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ, მოსარჩელე მიიჩნევდა რომ უძრავი ქონების გასხვისებით მიღებული სარგებლიდან მისი წილის საკომპენსაციო ღირებულება უფრო მეტი იყო). სააპელაციო სასამართლომ უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1996 წლის 20 ნოემბრიდან და განქორწინდნენ 2013 წლის 19 აგვისტოს. დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ რუსეთის ფედერაციაში მდებარე პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე უძრავი ქონება მოპასუხემ შეიძინა და გაასხვისა 2002-2012 წლებში ანუ, რეგისტრირებული ქორ-

წინების პერიოდში, რაც სსკ-ის 1158-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით თანასაკუთრების უფლებას წარმოუშობდა მოსარჩელეს. თუმცა, ვინაიდან ოთხივე უძრავი ქონება გასხვისებული იყო და დავის საგნად მათი განკარგვით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელის კუთვნილი წილი რჩებოდა, სასამართლოს შეფასების საგნად რჩებოდა განკარგვის შედეგად მიღებული ქონებრივი სარგებლის ოდენობა. ამ გარემოების დადგენისას, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

97. სახელმწიფო რეესტრის ამონაწერით დადგენილი იქნა, რომ მოპასუხეს და ლ. ი-ას შორის 2003 წლის 3 მარტს დაიდო ბინების გაცვლის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, პირველი უძრავი ქონება მოპასუხემ გადაცვალა მეორე უძრავ ქონებაში. შესაბამისად, პირველი უძრავი ქონების გასხვისებით მოპასუხეს ქონებრივი სარგებელი მიღებული არ ჰქონდა. გაცვლის შედეგად მიღებულ მეორე უძრავ ქონებაში ცხოვრობდა მოსარჩელესთან და შვილებთან ერთად.

98. დადგენილი იქნა, რომ მოგვიანებით მეორე უძრავი ქონება მოპასუხემ გაყიდა 2010 წლის 28 აპრილს და 2010 წლის 6 მაისს შეიძინა მესამე უძრავი ქონება, რომელიც ასევე გაყიდა 2010 წლის 27 ივლისს და შეიძინა მეოთხე უძრავი ქონება.

99. მოპასუხე რუსეთის ფედერაციაში ყოფნის პერიოდში დასაქმებული იყო ქ. ტ-ის სასჯელალსრულების დანესეტულებაში და გააჩნდა მატერიალური შემოსავალი ხელფასის სახით. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ მას დასახელებულ პერიოდში რაიმე სხვა დამატებითი შემოსავალი გააჩნდა. აქედან გამომდინარე, მის მიერ უძრავი ქონებების ყიდვა განხორციელდა უშუალოდ წინა ბინის რეალიზაციიდან მიღებული თანხით, რაც გამორიცხავდა მისი მხრიდან რაიმე სარგებლის მიღებას.

100. არც ის გარემოება დასტურდებოდა არსებობდა თუ არა უძრავი ქონებების შექენასა და გაყიდვას შორის სხვაობა, რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს ემსჯელა უძრავი ქონების გაყიდვის შედეგად მიღებული ქონებრივი სარგებლის არსებობაზე.

101. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა მხოლოდ ის გარემოება, რომ მეოთხე უძრავი ქონება მოპასუხემ გაასხვისა 1390833.28 რუბლად, რაც შეადგენს 44 751 აშშ დოლარს.

102. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მეოთხე უძრავი ქონება შექენილი იყო თანაცხოვრების პერიოდში, იგი მიიჩნეოდა მეუღლეთა თანასაკუთრებად, ხოლო მისი განკარგვით მიღებუ-

ლი შემოსავალი წარმოადგენდა იმ ქონებრივ სარგებელს, რომელიც მიღებული იყო საზიარო ქონების გასხვისების შედეგად.

103. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს სწორად დაუდგინდა 44 751 აშშ დოლარიდან თავისი წილი სარგებლის მიღების მართლზომიერება სსკ-ის 1158-ე მუხლის სამართლებრივი საფუძვლით. ამასთან, მოცემული დავის გადანყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ შეუღღეთა წილის თანაბრობის საწყისს გადაუხვია, რაც დაასაბუთა იმით, რომ მოსარჩელე და მხარეთა არასრულწლოვანი ბავშვი რეგისტრირებულნი იყვნენ სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან სიაში. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო, რომ მხარეთა არასრულწლოვანი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ., ამ განჩინების პ-34). ამავდროულად, დაუდგენელი იყო საერთო ქონების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებელი მოხმარდა თუ არა ოჯახის კეთილდღეობას. ამ გარემოებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად, პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზე იყო ის განსხვავებული მდგომარეობა, როდესაც დასაშვები იყო წილის არათანაბარი გაყოფა, რაც გამონეული იყო არასრულწლოვანი შვილის ინტერესისა ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესის მხედველობაში მიღებით. სწორედ ამიტომ მოსარჩელეს მიეკუთვნა 1/2 წილის ნაცვლად 2/3 წილი.

104. პირველი კასატორი მიიჩნევს, რომ პირველი სასარჩელო მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელემ შეამცირა. სასამართლომ კი ეს გარემოება მხედველობაში არ მიიღო. ეს გარემოებაც იძლევა საფუძველს გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება (იხ., დაზუსტებული საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

105. მეორე კასატორს კი, მიაჩნია, რომ პირველი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დათვალა მოპასუხის მიერ ქონების განკარგვით მიღებული შემოსავლები, რითაც პრაქტიკულად, მისი წილის საკომპენსაციო თანხის ოდენობა შემცირდა.

106. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილების ნაწილში, ვერცერთმა კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება). ვერცერთმა კასატორმა ვერ მიუთითა საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევაზე, რასაც შეეძლო მოცემულ საქმეზე სხვაგვარი იურიდიული შედეგის დადგომა [სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი]. მართალია, პირველი კასატორი სააპელაციო სასამართლოს მიერ მეორე სააპელაციო საჩივრის მოთხოვნების დაუცველობაზე მიუთითებს, თუმცა, საკასაციო პალა-

ტას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, სახეზე არ არის იმგვარი საპროცესო ნორმების დარღვევა, რასაც შეეძლო საქმეზე სხვაგვარი იურიდიული შედეგის დადგომა შემდეგ გარემოებათა გამო:

107. დადგენილია, რომ პირველ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხისათვის თანასაკუთრების განკარგვით მიღებული სარგებლიდან 2/3 წილის სახით 169 472 აშშ დოლარის დაკისრება. აქედან, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაეკისრა 29 834 აშშ დოლარის გადახდა, რამდენადაც სასამართლოს მოსაზრებით, ნასყიდობის საფასურს შეადგენდა 44751 აშშ დოლარი, რომლის 2/3 ნაწილი ერგებოდა მოსარჩელეს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრით მეორე აპელანტმა მოითხოვა მოპასუხისათვის საერთო ჯამში, 63 688 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება, რაც მოიცავს დაკმაყოფილებულ 29 834 აშშ დოლარსაც – იხ., სააპელაციო საჩივარი. საგულისხმოა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 06 მარტის განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, სახეზე არ არის ის იურიდიული შედეგი, რომლის მიხედვით საკასაციო პალატას შეეძლო ემსჯელა მეორე აპელანტისათვის მოთხოვნის გადაჭარბებით მატერიალური სარგებლის მიკუთვნების საკითხზე.

108. რაც შეეხება მეორე კასატორის პრეტენზიას, რომ მისი წილის საკომპენსაციო ღირებულება არასწორად შეფასდა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საპირწონედ საპროცესო ნორმების დარღვევა არ დასტურდება, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს საკასაციო პალატა იზიარებს.

109. რაც შეეხება პირველი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, პირველი საკასაციო საჩივრის დაუშვებლობის კუთხით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რამდენადაც სსკ-ის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს საკუთრების უფლების მოპოვების განსხვავებულ რეჟიმს, რაც მხოლოდ ამავე ნორმით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები, სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებული ნორმის გამოყენებისას დასაბუთებული უნდა იყოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც ადასტურებენ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისისასგან გადახვევის აუცილებლობას (კანონმდებლის მიერ დაშვებულ იშვიათ სამართლებრივ აღწერილობას), რომლის მიხედვით დავის კვალიფიკაციისათვის მხოლოდ წონადი არგუმენტი და მყარი სასამართლო პრაქტიკაა გამოსადეგი.

110. იმავდროულად, მხედველობაშია მისაღები, სამართლის განსაზღვრულობის უმნიშვნელოვანესი პრინციპის დაცულობა, რამდენადაც შესაფარდებელი ნორმა – 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ფართო დისკრეციის შესაძლებლობას უტოვებს სასამართლოს.

111. საქმეში ALBU AND OTHERS v. ROMANIA (Applications no. 34796/09), §§: 34 (III, IV), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს დასკვნები უნდა დაეფუძნოს სამართლის განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც ადგენს კანონისმიერი წესრიგის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს. სხვა საქმეში აღნიშნა იმგვარი მექანიზმის შექმნის აუცილებლობა, რომელიც შექმნის რა სამართლებრივ განსაზღვრულობას (Nejdet Sahin and Perihan Sahin v. Turkey [GC] (Application no. 13279/05), §§59-96) ხელს შეუწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენას კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის, ხოლო სასამართლო გადანყვეტილებათა კონფლიქტი არაერთგვაროვნების კონტექსტში კი, პირიქით, შეამცირებს საზოგადოების ნდობას.

112. საკასაციო პალატა მოცემულ საქმეში ყურადღებას მიაქცევს მსგავსი კატეგორიის დავებზე გაკეთებულ განმარტებებს:

113. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ განმარტა: „სსკ-ის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილის ნორმის გამოყენების აუცილებელი ნინაპირობები, რომლებსაც წარმოადგენს არა მხოლოდ არასრულწლოვანი შვილის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი, არამედ ისეთი გარემოების ან გარემოებათა არსებობა, რომელიც სასამართლოს უქმნის მყარ შინაგან რწმენას, რომ პირის (მეორე მეუღლის) თანასაკუთრების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს – შეამცირდეს. სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ცალსახად ადასტურებენ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას. ეს გარემოებები შესაძლებელია იყოს არასათანადო საბინაო პირობები, არასაკმარისი საცხოვრებელი ფართი და სხვა ნებისმიერ ფაქტორი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესშია და მის ნორმალურ აღზრდას ხელს უშლის. ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არასრულწლოვანი შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი უფრო მეტად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე მეორე მშობელი“ (იხ., სუსგ ას-894-1180-09, 22 იანვარი, 2010).

114. სხვა სამოქალაქო საქმეში საკასაციო პალატამ იმსჯელა იმაზე რა ფაქტობრივი გარემოებები უნდა იქნეს გათვალისწინებული არასრულწლოვანი შვილების ინტერესების ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების შემონგების დროს, კერძოდ: ერთ-ერთ მეუღლესთან არასრულწლოვანი შვილების ცხოვრების ფაქტი; მისი შრომისუუნარობის ფაქტი; მეორე მეუღლის მიერ სა-

ერთო ქონების ოჯახის ინტერესების საზიანოდ ხარჯვის ფაქტი; არასათანადო საბინაო პირობები; არასაკმარისი საცხოვრებელი ფართი და სხვა ნებისმიერ ფაქტორი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესშია და მის ნორმალურ აღზრდას ხელს უშლის. ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არასრულწლოვანი შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი უფრო მეტად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე მეორე მშობელი (იხ., სუსგ №ას-752-703-2017, 31 ივლისი, 2017 წელი).

115. საგულისხმოა, რომ განსახილველ დავაში, განხორციელებულად მიიჩნევა საგამონაკლისო ნორმით დადგენილი აუცილებელი წანამძღვრები, რაც მხარეთა არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესების არსებობასა და მოსარჩელის – მეუღლის ყურადსაღებ ინტერესებში გამოიხატება, კერძოდ, დადგენილია, რომ მოსარჩელე მეუღლესთან მუდმივ საცხოვრებლად იმყოფება არასრულწლოვანი ბავშვი, დადგენილია, რომ არასრულწლოვანი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე მუდმივ მეთვალყურეობას, ზრუნვას, მკურნალობას და სამედიცინო ჩარევას საჭიროებს (ამ განჩინების პ-34).

116. ამასთან, დადგენილია, რომ არასრულწლოვანი ბავშვი დედასთან – მოსარჩელესთან ერთად რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რაც მოწმობს, რომ მათ მიძიმე სოციალური პირობები აქვთ საცხოვრებლად.

117. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული გასათვალისწინებელია სადავო საკითხის გადასაწყვეტად, რამდენადაც ბავშვს აქვს უფლება ჰქონდეს აუცილებელი საცხოვრებელი პირობები, ჰარმონიული გარემო, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოების ღირსეულ წევრად. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ წილთა თანაბრობიდან გადახვევის პრინციპის საფუძველზე სარჩელით დაკმაყოფილებული ნაწილი მხოლოდ მცირედით თუ შეუწყობს ხელს საჭირო პირობებით მათ უზრუნველყოფას.

118. რაც შეეხება სამართლის განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნებსა და საგამონაკლისო ნორმით ხელმძღვანელობის წონად სამართლებრივ არგუმენტს, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებას სხვადასხვა ორგანოებში, მათ შორის, სასამართლოებში, სადაც უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას და განმარტავს, რომ „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების“ ცნება ახალი არ არის. იგი კონვენციამდე წარმოიშვა და უკვე ასახული იყო 1959 წლის ბავშვის უფლებათა დეკლარაციაში (პუნქტი 2), ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესა-

ხებ კონვენციაში (მუხლები 5(ბ) და 161(დ)), ისევე, როგორც რეგიონულ ინსტრუმენტებსა და მრავალ ეროვნულ თუ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში. ამასთან, კონვენცია ცალსახად მიუთითებს ბავშვის საუკეთესო/ჭეშმარიტ ინტერესებზე სხვა მუხლებშიც: მე-9 მუხლში: მშობლებისაგან დაშორება; მე-10 მუხლში: ოჯახის გამთლიანება; მე-18 მუხლში: მშობლის პასუხისმგებლობა; მე-20 მუხლში: ოჯახური გარემოდან ჩამოცილება და ალტერნატიული ზრუნვა; ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების მიზანია, უზრუნველყოს როგორც კონვენციით აღიარებული ყველა უფლებით სრული და ეფექტიანი სარგებლობა, ისე ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარება. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარის №14 (2013) მიხედვით, ბავშვის უფლების შესახებ, მის საუკეთესო ინტერესებს უნდა დაეთმოს უპირველესი ყურადღება (მე-3 მუხლის პირველი პუნქტი). კომიტეტი სახელმწიფოებისაგან მოელის, რომ ისინი განვითარებას განმარტავენ როგორც „ყოვლისმომცველ ცნებას, რომელიც მოიცავს ბავშვის ფიზიკურ, ფსიქიკურ, სულიერ, მორალურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ განვითარებას“ (ზოგადი კომენტარი №5, პუნქტი 12). კომიტეტმა აღნიშნა, რომ „ზრდასრული ადამიანის მიერ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების აღქმა არ შეიძლება იყოს უპირატესი კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის ყველა უფლების პატივისცემის ვალდებულებასთან შედარებით“. კომიტეტი აღნიშნავს, რომ დაუშვებელია რომელიმე უფლების შელახვა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების ნეგატიური განმარტებით. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების სრული გამოყენება მოითხოვს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვას, რომელშიც ჩაერთვება ყველა მონაწილე მხარე, ბავშვის ყოვლისმომცველი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ფსიქიკური და სულიერი ერთიანობის უზრუნველსაყოფად და მისი ადამიანური ღირსების პატივსაცემად. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება სამგანზომილებიანია: მათგან ერთ-ერთია ძირითადი, სართლებრივი პრინციპი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თუ სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების შესაძლებლობას, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი განმარტება, რომელიც ყველაზე ეფექტიანად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმებში ასახული უფლებები ქმნიან ჩარჩოს განმარტებისათვის. ყველა სასამართლო და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებაში, ისევე, როგორც ბავშვებთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში ნათლად ჩანდეს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესს დაეთმო უპირველესი ყურადღება.

119. განსახილველ შემთხვევაში, გამოსაყენებელი მატერიალუ-



რი ნორმა ადგენს ერთ-ერთი მეუღლის წილის გადიდების შესაძლებლობას, იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. მითითებული ნორმა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის ამგვარი განსხვავებული წესით დადგენას ითვალისწინებს მხოლოდ ამავე ნორმით ჩამოთვლილი შემთხვევების არსებობისას.

120. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იძლევა ამ საგამონაკლისო ნორმაზე დაყრდნობით წილთა თანაბრობის საწყისიდან გადახვევის სამართლებრივ შესაძლებლობას, რის გამოც, პირველი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, მოთხოვნა სწორად დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

121. მეორე და მესამე მოთხოვნები ალიმენტის დაკისრებასა და დამატებით ხარჯებში მონაწილეობას შეეხება. ამ ნაწილშიც, მეორე და მესამე სასარჩელო მოთხოვნები ნაწილობრივ – ალიმენტი ყოველთვიურად 180 ლარის, ხოლო დამატებით ხარჯებში მონაწილეობის სახით ყოველთვიურად 60 ლარის გადახდის ნაწილში, დამაკმაყოფილდა.

122. პირველ კასატორს მიაჩნია, ამ ნაწილშიც უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გაჩინება და სარჩელი უარყოფილი იქნეს. მისი მოსაზრებით, დაუდასტურებულია მოსარჩელისა და არასრულწლოვანი ბავშვის სოციალურად დაუცველთა სტატუსის ქონა, რაც მათ ფინანსურ სიდუხჭირეზე მიუთითებს. აგრეთვე, პირველ კასატორს მიაჩნია, რომ ამჟამად, ბავშვს არ აქვს ჯანმრთელობის პრობლემები და რომ იგი დავის გადანეციტის დროისათვის სრულწლოვანია, რაც გამორიცხავს, როგორც სსკ-ის 1168-ე მუხლის გამოყენებას, ასევე დამატებით ხარჯებში მოპასუხის მონაწილეობასაც.

123. საკასაციო პალატა არ იზიარებს პირველი კასატორის პრეტენზიას და აღნიშნავს, რომ როგორც ეს საქმის მასალებითაა დადგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის მიხედვით არასრულწლოვანი ბავშვის დიაგნოზია: „ნაადრევი სქესობრივი მომწიფების შემდგომი ფიზიკური განვითარების შეფერხება, დასაზუსტებელი E28.1 პარაკუჭთაშუა ძვიდის დეფექტის და 2000 წელს ჩატარებული ღია ბოტალის სადინრის ქირურგიული კორექციის შემდგომი მდგომარეობა“. მას ასევე, აქვს მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ – „მიოპიური ასტიგმატიზმი, შეუღლებული გარეთა სიელმე“, რის გამოც, პერიოდულად ესაჭიროება ოფთალმოლოგიური გამოკვლევა – კონსულტაცია, ოფთალმოლოგიური ელექტროსტიმულაცია, თვალის ვარჯიში და წვეთები. ამასთან, შპს „ორთოდონტიული ცენტრის“ 2016 წლის 01 ივ-

ნისს გაცემული „ფორმა – 100“-ის მიხედვით, ბავშვის დიაგნოზია – „კბილთა რკალის ანომალია, კბილთა დგომის ანომალია, რეტენციული კბილი, ზეკომპექსური კბილი“ (იხ., ამ განჩინების პ-34). ამ გარემოებების გასაქარწყლებლად და იმის დასადასტურებლად, რომ ბავშვი აღარ საჭიროებს სამედიცინო მეთვალყურეობას, განსაკუთრებულ ზრუნვას ჯანმრთელობის კუთხით, პირველ კასატორს არ წარმოუდგენია.

124. რაც შეეხება მოსარჩელის და ბავშვის სოციალურად დაუცველ სტატუსს, საქმეში წარმოდგენილია ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

125. ხოლო პრეტენზია იმ გარემოებაზე, რომ ბავშვი აღარ არის არასრულწლოვანი, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნული საკითხი სავსებით მართებულადაა გადანყვეტილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებით, რომლითაც მოპასუხის საალიმენტი და დამატებით ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულება განსაზღვრულია ა-ვილის სრულწლოვანების მიღწევამდე.

126. ამასთან, დადგენილია, რომ მოსარჩელე არ მუშაობს, შესაბამისად არ გააჩნია ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი, რაც შეუძლებელს ხდის ბავშვის ინტერესების გათვალისწინებას და ბავშვის რჩენა-აღზრდისათვის და მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობისათვის ნორმალური პირობების შექმნას. იმავდროულად, მხედველობაში იქნა მიღებული მოპასუხის ფინანსურ მდგომარეობა. კერძოდ, დადგენილია, რომ მოპასუხე რუსეთის ფედერაციაში ყოფნის პერიოდში დასაქმებული იყო ქ. ტ-ის სასჯელალსრულების დაწესებულებაში და გააჩნდა შესაბამისი მატერიალური შემოსავალი ხელფასის სახით. ამჟამად, იგი პენსიის სახით იღებს დაახლოებით 800 ლარის ოდენობით თანხას. სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2015 წლის 21 სექტემბრის წერილის თანახმად, ა. ლ-ისაგან (დამსაქმებელი) მოპასუხეს აქვს მატერიალური შემოსავალი 2014 წლის მარტის თვიდან ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით. მოპასუხე ასევე დაკავებულია სოფლის მეურნეობით (ჰყავს საქონელი და შინაური ფრინველი) და მეურნეობის წარმოების შედეგად იღებს შესაბამის პროდუქციას. აღნიშნული საქმიანობის შედეგად, მოპასუხეს ფულადი თანხით შემოსავალი არ გააჩნია (ამ განჩინების პპ: 38-40).

127. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სსკ-ის 1214-ე მუხლზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად იმსჯელა ალიმენტზე, გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში და მხედველობაში მიიღო როგორც მშობლების, ისე შვილის რეალური მატერიალური მდგომარეობა.

128. აქვე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის ძირითადი საარსებო პირობების შექმნას და, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. არასრულწლოვნის რჩენისათვის აუცილებელი მინიმალური ოდენობის დადგენისას, მხედველობაში მიიღება მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი, სარჩენი ბავშვის ასაკი, მისი საჭიროებები, ალიმენტის გადამხდელი მშობლის სხვა შვილის (შვილების) არსებობა და სხვ.

129. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს მოპასუხისთვის ალიმენტის სახით ყოველთიურად 180 ლარის დაკისრებას და იმავდროულად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 1215-ე მუხლის თანახმად მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამონეუულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა). აღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის სარჩენად ალიმენტის გადამხდელი მშობლისათვის, დამატებითი ხარჯის სახით, ერთჯერადად თანხის გადახდის დაკისრება დასაშვებია მხოლოდ ისეთი განსაკუთრებული გარემოებების დადასტურებისას, როგორცაა ბავშვის მძიმე ავადმყოფობა, დასახიჩრება და სხვა ობიექტური ფაქტორები. სსკ-ის 1215-ე მუხლის საფუძველზე, დამატებით ხარჯებში მონაწილეობის თაობაზე, სსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ასეთი ხარჯის ოდენობის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს (მეორე აპელანტს), რომელმაც თავისი პოზიციის დასამტკიცებლად, წარადგინა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მტკიცებულებები (ამ განჩინების პ-34). მით უმეტეს, გასათვალისწინებელია, რომ ერთობლივად მოპასუხისათვის დაკისრებული ტვირთი 240 ლარს არ აჭარბებს.

130. საკასაციო პალატა უარყოფს პირველი კასატორის შედეგებას ხანდაზმულობის საკითხზეც და აღნიშნავს, რომ როგორც ეს პირველ კასატორს განემარტა, მეუღლეები განქორწინდნენ 2013 წლის 19 აგვისტოს, ქ. ტ-ის მოსკოვის რაიონის №6 სასამართლოს გადაწყვეტილებით. სსკ-ის 1171-ე მუხლის თანახმად, განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის თაობაზე მოთხოვნებისათვის დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. სარჩელი აღიძრა 2015 წლის 13 მაისს, სამწლიანი ვადის

დაცვით.

131. რაც შეეხება დავის განხილვაზე საქართველოს სასამართლოების კომპეტენციის არარსებობას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველ კასატორს ამ საკითხთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია.

132. მოსარჩელის მეოთხე და მეხუთე სასარჩელო მოთხოვნები უარყოფილია. ამ ნაწილში, წარმოდგენილია მეორე საკასაციო საჩივარი, რომლითაც მოსარჩელე უმართებულოდ მიიჩნევს მოთხოვნათა უარყოფის შესახებ გასაჩივრებული გადანყვეტილების დასკვნებს.

133. გარიგების თვალთმაქცურობის ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის არგუმენტი იმაზე მითითებით უარყო, რომ დაუშვა პრეზუმცია, რომ მოპასუხის მამას გააჩნდა შესაბამისი შემოსავალი, რომლითაც შეეძლო შეეძინა აღნიშნული ქონება და გარიგების მხარედ მისი მონაწილეობა მხოლოდ ფორმალური ვერ იქნებოდა. ამ პრეზუმფციის დაშვების საფუძველს კი, ის გარემოებები წარმოადგენდა, რომ საქმეში წარმოდგენილი მოპასუხის შრომის წიგნაკით, სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გაცემული ცნობით, ასევე, ერთ-ერთი ბანკის მიერ გაცემული ცნობით და მხარეთა ახსნა-განმარტებით დადგენილად იქნა მიჩნეული რომ მოპასუხის მამა პროფესიით არის მეტყვევ-ტექნიკოსი. იგი 1959 წლიდან დასაქმებულია სამეურნეობათამორისო სატყეო მეურნეობაში და ასევე, მუშაობდა სატყეოს უფროსის თანამდებობაზე. მას ჰქონდა შესაბამისი შემოსავლები. მოპასუხის მამა წარმოადგენს ხარაგაულის რაიონის სოფელ ნ-ის კომლის წევრს. ამ კომლს აქვს საკუთრებაში საცხოვრებელი სახლი და 6300 კვ.მ.-ის მიწის ნაკვეთი; ოჯახი დაკავებულია სოფლის მეურნეობის შედეგად მიღებული მოსავლის რეალიზაციით; მოპასუხის მამის სახელზე 1994 წლის 12 ივლისისათვის ირიცხებოდა 147 კუპონი; მოპასუხის მამა დასაქმებული იყო 2007-2010 წლებში და გააჩნდა შესაბამისი შემოსავალი ხელფასის სახით; ამასთანავე, დადგენილია, რომ მოპასუხე და მისი ძმა მ. გ-ი 2009-2014 წლებში ფულადი გზავნილის სახით აგზავნიდნენ გარკვეული ოდენობის თანხებს მოპასუხის მამის სახელზე. ამდენად, მოპასუხის მამის მიერ ქონების შექცენის შეუძლებლობა არ დასტურდებოდა და აპელანტის მითითებული მოსაზრება სსკ-ის 56-ე მუხლის სამართლებრივ წინაპირობებს არ წარმოშობდა მეოთხე მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნებისათვის.

134. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არც ამ ნაწილშია დასაშვები მეორე საკასაციო საჩივარი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს დასკვნები შეესაბამება მსგავს საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლებრივ შეფასე-

ბას სსკ-ის 56-ე მუხლის სამართლებრივ ქრილში (შდრ: საქმე №ას-474-455-2016, 6 ივლისი, 2016 წელი; საქმე №ას-1142-1088-2014, 23 იანვარი, 2015 წელი).

135. საგულისხმოა, რომ გარიგების ბათილობის საფუძვლებზე მითითებისა და დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა (სსსკ-ის, მე-4 და 102-ე მუხლები), რომელ ნაწილშიც მოსარჩელის (მეორე კასატორი) მტკიცების ვალდებულება ვერ იქნა რეალიზებული.

136. მეორე კასატორი წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში შუამდგომლობს თავდაპირველი მოპასუხეების მიმართ შპს „ბ-სა“ და გ. ს-იას მიმართ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას შესახებ, რაზედაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მათ უარი უთხრა. ასევე, მოითხოვს, რომ საქმიდან ამოირიცხოს მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, მათ შორის, მოპასუხეების დაზუსტებული შესაგებელი, აგრეთვე, ითხოვს, რომ საკასაციო სასამართლომ მეხუთე უძრავი ქონების ნასყიდობის ფასის გადახდის ქვითრები გამოითხოვოს შპს „ბ-სგან“ და საქმეს მტკიცებულების სახით დართოს დოკუმენტები შპს „ლ-ს“ შესახებ, მონმეების ჩვენები, წერილობითი განმარტება, საოჯახო ხარჯების რეეული, მოპასუხის დედის წერილი, ბავშვის ჩვენება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მეორე კასატორის მითითებული შუამდგომლობები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით:

137. ჯერ ერთი, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს ეწინააღმდეგება. მეორეც, მტკიცებულებების გამოთხოვა საკასაციო სასამართლოში დაუშვებელია სსკ-ის 404.2 მუხლის სამართლებრივი საფუძვლით, ხოლო რაც შეეხება მტკიცებულებათა ამოირიცხვას, აღნიშნულზე საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს ვინაიდან მეორე კასატორი კონკრეტულად არ უთითებს საქმიდან მტკიცებულებათა ამოირიცხვაზე რომელი განჩინებით და რა საფუძვლით ეთქვათ უარი.

138. რაც შეეხება ნ. გ-ვილის შუამდგომლობას საკასაციო ინსტანციაში წარმომადგენლის მომსახურებისათვის გადასახდელი ხარჯების სახით, ა. გ-ისათვის 2500 ლარის დაკისრების თაობაზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მეორე კასატორს არ წარმოუდგენია შესაბამისი ხარჯების განევის დამადასტურებელი მტკიცებულება (იხ., შუამდგომლობა).

139. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრების დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათ-

ვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციისა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ანდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

140. ამასთან, საკასაციო საჩივრების განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-

მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით, ვინაიდან თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფისას წილთა თანაბრობის საწყისიდან გადახვევის, გარიგების თვალთმქცურობის, ალიმენტისა და დამატებით ხარჯებში მშობლის მონაწილეობის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ასახულია განჩინებაში.

141. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივრები, რის გამოც, მათ უარი უნდა ეთქვათ განხილვაზე.

142. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ვინაიდან პირველ კასატორს გადავადებული ჰქონდა საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის საერთო ოდენობის თანხის 70% გადახდა დავის გადაწყვეტამდე, ხოლო სახელმწიფო ბაჟის საერთო ოდენობის თანხის 30% მის მიერ გადახდილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში (იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 ივნისის განჩინება). ამასთან იმის გათვალისწინებით, რომ პირველი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, პირველი კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 30% უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

143. მეორე კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან კანონის საფუძველზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დასაბუთება:**

1. ა. გ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. ნ. გ-ვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

3. ნ. გ-ვილის შუამდგომლობა თავდაპირველი მოპასუხეების: შპს „ბ-სა“ და გ. ს-იას მიმართ შესაგებლის წარმოდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის, საქმიდან მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, მათ შორის, მოპასუხეების დაზუსტებული შესაგებლის, საკასაციო სასამართლოს მიერ

ხ-ის სადავო ბინის ნასყიდობის ფასის გადახდის ქვითრების შპს „ბ-დან“ გამოთხოვის, საქმეზე მტკიცებულების სახით შპს „ლ-ს“ შესახებ დოკუმენტების, მოწმეების ჩვენების, საოჯახო ხარჯების რეგულის, მოპასუხის დედის წერილის, ბავშვის ჩვენების დართვის შესახებ, აგრეთვე, შუამდგომლობა წარმომადგენლის მომსახურებისათვის გადასახდელი ხარჯების სახით, ა. გ-ისათვის 2500 ლარის დაკისრების შესახებ, არ დაკმაყოფილდეს;

4. ნ. გ-ვილის საკასაციო საჩივარზე დართული დოკუმენტები: ქვითრები 2 ფურცლად, ფოტოსურათების ფოტოასლები 5 ფურცლად, საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი დოკუმენტები 3 ფურცლად, განცხადება თანდართული დოკუმენტებით 27 ფურცლად, დაუბრუნდეს ნ. გ-ვილს;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



### **3. მშობელთა უფლებები და მოვალეობები შვილების მიმართ**

#### **შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა**

##### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-159-149-2017

31 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება, არასრულწლოვან შვილ-  
თან ურთიერთობის წესის დადგენა და თანხის დაკისრება

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ნ. ჯ-ე (შემდეგში: მოსარჩელე ან ბავშვის დედა) და ვ. რ-ი (შემ-  
დეგში: ბავშვის მამა, მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, აპელან-  
ტი ან კასატორი) 2012 წლის 18 აპრილიდან 2015 წლის 28 მაისამდე  
იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში (იხ. ქორწინებისა  
და განქორწინების მონმობები).

2. მოსარჩელესა და მოპასუხეს 2012 წლის 25 ივლისს შეეძინათ  
შვილი – ნ. რ-ი (შემდეგში: არასრულწლოვანი ან ბავშვი; იხ. დაბა-  
დების მონმობა).

3. მხარეების დაშორების შემდეგ, ბავშვი დედასთან ერთად  
ცხოვრობს.

4. სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტა“ და სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი“ მო-  
პასუხე სალექციო კურსს კითხულობს. იგი შპს „ა-ის“ 33.34%-იანი  
წილის მფლობელი და სანარმოს დირექტორია.

5. არასრულწლოვანის მამასა (მოპასუხესა) და ლ. გ-ეს შორის,  
2014 წლის 17 თებერვალს, ოთხი თვის ვადით – 2014 წლის 17 ივნის-  
სამდე გაფორმდა ხელშეკრულება ქ. ბათუმში, ჰ. ა-ის ქ. №72/40 ბ.  
21-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობაზე გამოსყიდვის უფ-  
ლებით. ხელშეკრულების მიხედვით, ლ. გ-ემ, მოპასუხეს გამოს-  
ყიდვის უფლებით 16 050 აშშ დოლარად მიჰყიდა კუთვნილი ქონე-  
ბა. ლ. გ-ემ 2014 წლის 17 ივნისამდე ქონება ვერ გამოისყიდა. 2015  
წლის 9 თებერვალს, მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, ლ. გ-ეს

2015 წლის 18 აპრილამდე გაუგრძელდა უძრავი ქონების გამოსყიდვის ვადა. ამასთან, მოპასუხეს ხელშეკრულებაში ვ. დ-ი ჩაენაცვლა. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამოსასყიდი თანხა 16 050 აშშ დოლარის ნაცვლად იქნებოდა 16 625 აშშ დოლარი, ხოლო შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირი – ვ. დ-ი.

6. ბავშვის მამამ 2014 წლის ივლისის თვეში, ი. ჯ-ისაგან ისესხა 6 000 აშშ დოლარი, ხოლო ვ. დ-ისაგან – 7 500 აშშ დოლარი.

7. მოპასუხესა და მ. წ-ის შორის, 2014 წლის 22 ივლისს, ოთხი თვის ვადით – 2014 წლის 21 ნოემბრამდე გაფორმდა ხელშეკრულება ქ. ბათუმში, ა. ა-ის ქ, №22-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობაზე გამოსყიდვის უფლებით. ხელშეკრულების მიხედვით, მ. წ-ემ კუთვნილი ქონება 13 260 აშშ დოლარად მიჰყიდა მოპასუხეს, გამოსყიდვის უფლებით. აღნიშნული ქონება მ. წ-ემ 2015 წლის 15 იანვარს გამოისყიდა.

### **8. სარჩელის საფუძვლები**

8.1. არასრულწლოვნის დედამ 2015 წლის 8 აპრილს სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაჰკისრებოდა ყოველთვიური ალიმენტის – 700 ლარის გადახდა ბავშვის სრულწლოვანებამდე. ასევე, მოითხოვა მეუღლეთა თანაცხოვრების დროს დაგროვილი თანხიდან კუთვნილი წილი – 14 942 აშშ დოლარი.

8.2. მოსარჩელემ წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მეუღლესთან დაშორების შემდეგ, ის მშობლებთან ცხოვრობდა და შვილს მარტო ზრდიდა, მოპასუხე შვილის აღზრდა-განვითარებაში არ მონაწილეობდა.

8.3. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხემ შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც შემდეგ 13 260 აშშ დოლარად გაასხვისა. გარდა ამისა, მოპასუხემ გამოსყიდვის უფლებით შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ასევე გაასხვისა 16 625 აშშ დოლარად. ორივე ხელშეკრულებით განკარგული ქონების შემოსავალმა შეადგინა 29 885 აშშ დოლარი. მოსარჩელის განმარტებით, ქონების შეძენისა და გასხვისებისას მოსარჩელე და მოპასუხე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ, ამიტომ ქონების გასხვისების შედეგად მიღებული თანხა არის თანასაკუთრება, შესაბამისად თანხის ნახევარი მოსარჩელეს ეკუთვნოდა.

### **9. მოპასუხის შესაგებელი**

9.1. მოპასუხემ მხოლოდ ალიმენტის – 150 ლარის დაკისრების ნაწილში ცნო სარჩელი, ხოლო სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით განმარტა:

9.1.1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტ-

ში ლექციებს კითხულობს წელიწადში 10 თვის განმავლობაში და თვეში 390 ლარი ერიცხება; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს წელიწადში 10 თვის განმავლობაში და თვეში 962 ლარი ერიცხება. სულ მისი შემოსავალი თვეში 1400 ლარამდეა, რასაც უნდა გამოაკლდეს ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციის ნაკითხვისათვის თბილისში გამგზავრებისათვის განუყოფი ხარჯები;

9.1.2. სანარმო, სადაც მოპასუხეს ნილი აქვს და დირექტორადაა გაფორმებული, არ ფუნქციონირებს, ხოლო რაიმე სახის კომერციული ფართები, რაზედაც მოსარჩელე მიუთითებს, ბავშვის მამას არ გააჩნია;

9.1.3. თანაცხოვრების პერიოდში უძრავ ქონებებზე დადებულ გარიგებებში გამოყენებული თანხის ნაწილი არ იყო მისი საკუთრება, ნაწილი კი მოსარჩელესთან დაქორწინებამდე ჰქონდა;

9.1.4. მ. წ-ესთან 2014 წლის 22 ივლისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, სინამდვილეში სესხის ხელშეკრულებას წარმოადგენდა, რომლის საფუძველზეც მან, მ. წ-ეს ასესხა 13 200 აშშ დოლარი. 13 200 აშშ დოლარიდან 7 500 აშშ დოლარი – ვ. დ-ს, ხოლო 6 000 აშშ დოლარი ი. ჯ-ეს ეკუთვნოდა. მ. წ-ემ უძრავი ქონება გამოისყიდა;

9.1.5. მეორე ნასყიდობის ხელშეკრულება ლ. გ-ესთან დაიდო. ეს ხელშეკრულებაც სინამდვილეში სესხთან დაკავშირებული გარიგება იყო. ამ უკანასკნელმა შეთანხმებულ ვადაში თანხა ვერ დაუბრუნა, თუმცა, იმ მიზეზით, რომ მას გააჩნდა ვ. დ-ისა და ი. ჯ-ის ვალი, ამ ვალის გასტუმრების მიზნით, გამოსყიდვის ხელშეკრულებაში ჩაენაცვლა ვ. დ-ი, რომელმაც ი. ჯ-ეს პირადად გადაუხადა თანხა. შესაბამისად, უძრავი ქონების განკარგვიდან მიღებული თანხები არ წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას და ამ ნაწილში სარჩელი უსაფუძვლო იყო.

## **10. შეგებებული სარჩელის საფუძვლები**

10.1. ბავშვის მამამ შეგებებული სარჩელი წარადგინა და მოითხოვა განსაზღვროდა არასრულწლოვანი შვილის ნახვის დღეები – კვირაში ორი დღე, ღამე დარჩენის უფლებით, ასევე, წელიწადში ერთხელ, ზაფხულის პერიოდში, ბავშვის დასასვენებლად წაყვანის უფლება მინიჭებოდა.

10.2. ბავშვის დედამ შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ ცნო და დაეთანხმა მამის მოთხოვნას, რომ ამ უკანასკნელს დედის თანდასწრებით მოენახულებინა შვილი, კვირაში ერთხელ – 12:00-დან 15:00 საათამდე.

11. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

11.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით არასრულწლოვანის დედის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მოპასუხეს ყოველთვიურად გადასახდელად დაეკისრა ალიმენტი – 300 ლარი, ხოლო მეუღლეთა თანასაკუთრებიდან – 8 025 აშშ დოლარი; ამავე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ბავშვის მამის (მოპასუხის) შეგებებული სარჩელი და მას ბავშვის ნახვისათვის დაუდგინდა დღეები: 6 წლის ასაკის მიღწევამდე – ყოველ კვირის ხუთშაბათს – 17:00 საათიდან 20:00 საათამდე; შაბათს – 13:00 საათიდან 18:00 საათამდე; 6 წლიდან 10 წლამდე – ყოველ კვირის ხუთშაბათს, 17:00 საათიდან 20:00 საათამდე; ასევე ყოველი კვირის შაბათს – საღამოს 18:00 საათიდან კვირის 17:00 საათამდე, ღამით დარჩენის უფლებით; სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მამას შეუძლია 6 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ბავშვი ყოველი წლის ზაფხულში დასასვენებლად წაიყვანოს ერთი თვით. თუ მხარეები ვადაზე ვერ შეთანხმდებიან ეს ვადა განისაზღვროს 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე პერიოდით; მამის შვილთან ურთიერთობის საკითხი, ბავშვის 10 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით. ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, დავა გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე.

11.2. საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 1212-ე, 1202-ე, 1214-ე, 1230-ე, 1234-ე, 1158-ე, 1161-ე, 1164-ე, 1165-ე, 1197-ე, 1198-ე, 1199-ე მუხლებით, ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციით და განმარტა, რომ ალიმენტის გადახდევინების მიზანია არასრულწლოვანი ბავშვების დაცვა. მათთვის იმ სარჩოს მიღების გარანტიის შექმნა, რაც კანონით ერგებათ მშობლებისაგან. ბავშვის ინტერესების უპირატესობის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეს ალიმენტის სახით უნდა დაეკისროს იმ ოდენობის თანხა, რაც უზრუნველყოფს ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელი ხარჯების მინიმუმს მაინც. ალიმენტის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, როგორც მშობლების ეკონომიკური მდგომარეობა, ისე – შვილის რჩენისათვის საჭირო თანხის გონივრული ოდენობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილებით განსაზღვრული 300 ლარი შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფდა არასრულწლოვანი ბავშვის ნორმალურ განვითარებას, რაც მოიცავდა მის განათლებას, უცხო ენის შესწავლას, ხელოვნების დარგებში მეცადინეობას, სპორტის დაუფლებასა და სხვა აუცილებელ ღონისძიებებს. სასამართლოს შეფასებით, ამ შედეგის მიღწევა, მოპასუხის მიერ მითითებული

ალიმენტით – 150 ლარით შეუძლებელი იქნებოდა.

11.3. მტკიცებულებათა ანალიზით სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის თებერვლის თვეში, მოპასუხესა და ლ. გ-ეს შორის გამოსყიდვის უფლებით გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რეალურად პროცენტის გადახდის პირობით 16 050 აშშ დოლარზე დადებული სესხის ხელშეკრულება იყო. გ-ისათვის სესხად გადაცემული 16 050 აშშ დოლარი მხარეთა თანაცხოვრების პერიოდის დანაზოგი და მეუღლეთა თანასაკუთრება იყო (სსკ-ის 1158-ე მუხლი), რაც მოპასუხემ დამოუკიდებლად განკარგა. შესაბამისად, ამ თანხის ნახევრის დაკისრების თაობაზე ძირითადი მოსარჩელის მოთხოვნა სსკ-ის 1164-ე მუხლის საფუძველზე დასაბუთებულად იქნა მიჩნეული და დაკმაყოფილდა.

11.4. სასამართლომ განმარტა, რომ დაუშვებელია, მეუღლეებს თანასაკუთრებად ჩაეთვალოთ ის თანხა, რომელიც ნასესხებია და ექვემდებარება დაბრუნებას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი). ამიტომ, ძირითადი სარჩელი 13 200 აშშ დოლარიდან წილის მიკუთვნების თაობაზე უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული და არ დაკმაყოფილდა.

11.5. ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბავშვი მცირეწლოვანია, საქმის განხილვის მომენტისათვის სამი წლის და 5 თვისაა. საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული იქნა მისი ასაკი, ოჯახის წევრებთან მიჩვევის, თანატოლებთან ურთიერთობის, ღამე დედის გარეშე სხვაგან დარჩენისას ფსიქოლოგიური განცდები და სხვა აუცილებელი საკითხები (შესაძლებელია დედის გარეშე ბავშვის სხვაგან დარჩენამ გამოიწვიოს ნეგატიური შედეგი), ამიტომ არასრულწლოვანის ნახვის დღეები შეზღუდულად იქნა გადაწყვეტილი.

## **12. მხარეთა სააპელაციო საჩივრის საფუძველი**

12.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით თავდაპირველი სარჩელის უარყოფა და შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

12.2. მოსარჩელის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მოპასუხის მიერ ვ. დ-თან და ი. ჯ-ესთან სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი; მონშეთა განმარტებებით დადასტურდა, რომ ორივე ხელშეკრულება ფიქტიური ხასიათის იყო. სასამართლომ არას-

წორად დაადგინა იმ თანხის ოდენობა, რომელიც მოპასუხემ მ. წ-ეს გადასცა და შემდეგ დაიბრუნა მისგან, არ წარმოადგენდა მე-ულლეთა თანაცხოვრების დროს დაგროვილ დოვლათს;

12.3. მოსარჩელის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ მოპასუხესა და ლ. გ-ეს შორის არა ნასყიდობის, არამედ სესხის ხელშეკრულება დაიდო, ამას ადასტურებდა წერილობითი მტკიცებულება – ნასყიდობის ხელშეკრულება და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, შესაბამისად, გაურკვეველია, რა მტკიცებულებებს დაეყრდნო გასაჩივრებული გადანყვევტილება;

12.4. მოსარჩელის მტკიცებით, სასამართლომ ჯეროვნად არ შეაფასა მოპასუხის შემოსავლები და ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის, შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაცია.

12.5. მოპასუხის სააპელაციო პრეტენზიით, არასრულწლოვანს მასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ფაქტობრივად ბავშვს მამა ზრდიდა, ყოველთვის და ყველგან მის გვერდით იყო. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ ბავშვთან ურთიერთობის შესაძლებლობა მოპასუხეს ფაქტობრივად მოუსპო და თვეების განმავლობაში არ ჰქონდა საშუალება შეილთან შეხვედრის, სასამართლოს ჩარევის შემდეგ, ბავშვმა შეხვედრისას განსაკუთრებული სიყვარული გამოხატა მამისადმი და მასთან ღამისთევით დარჩენა მოითხოვა;

12.6. მოპასუხის მითითებით, მას შემოსავალთან ერთად, გააჩნია აუცილებელი ხარჯები, როგორცაა თბილისში ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად მგზავრობის, ღამისთევისა და კვების ხარჯები, რაც ყოველთვიურად დაახლოებით 300 ლარს შეადგენს.

12.7. აპელანტის განმარტებით, გაუგებარია, რატომ მიიჩნია სასამართლომ მხარეები 16 050 აშშ დოლარის თანამესაკუთრედ, რადგან აღნიშნული თანხა ლ. გ-ესთან ხელშეკრულებაში ჩანაცვლებით გაიქვითა.

12.8. მოპასუხის მტკიცებით, სასამართლომ არ შეაფასა ის ფაქტი, რომ მას ქორწინებამდე უდავოდ გააჩნდა ბანკში საკუთარ ანგარიშზე თანხა და ასევე საკუთრებაში ჰყავდა ავტომანქანა, რომელიც 2012 წელს გაასხვისა. აპელანტის განმარტებით, ეს ქორწინებამდე არსებული თანხებია, რომლებსაც მოპასუხე იყენებს დამატებითი შემოსავლის მისაღებად, ხოლო სტაბილური შემოსავლით არჩენს ოჯახს.

12.9. აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ 2015 წლის 14 დეკემბერს გადანყვევტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 7 500 აშშ დოლარის

გადახდა დააკისრა, ხოლო წერილობით დასაბუთებული გადანყვეტილებით კი მას 8 025 აშშ დოლარი აქვს დაკისრებული. ამდენად, ზეპირად გამოცხადებული გადანყვეტილება და მხარისათვის გადაცემული გადანყვეტილების წერილობითი ვერსია განსხვავდება ერთმანეთისაგან.

### **13. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება და დასკვნები**

13.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ნოემბრის გადანყვეტილებით ძირითადი მოსარჩელის (ბავშვის დედის) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამავე გადანყვეტილებით, მოპასუხის (ბავშვის მამის) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის გადანყვეტილება იმ ნაწილში გაუქმდა, რომლითაც მამას თავის არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობისათვის 6 წლის ასაკის მიღწევამდე დაუდგინა ნახვის დღეები და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება; მოპასუხის დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა ღამისთევით ბავშვის წაყვანის ნაწილში დაკმაყოფილდა; მამას არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობისათვის 6 წლის ასაკის მიღწევამდე დაუდგინდა ნახვის დღეები, ყოველი კვირის ხუთშაბათი – 17:00 საათიდან – 20:00 საათამდე ასევე, ყოველი თვის პირველი შაბათი – 13:00 საათიდან – კვირა დღის 15:00 საათამდე; სხვა ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილება დარჩა უცვლელად.

13.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ, წინამდებარე გადანყვეტილების 11.2-11.5 პუნქტებში მითითებული ფაქტები და მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა მათზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ, 390.3-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტმა, ბავშვის ღამისთევით მასთან წაყვანის თაობაზე სააპელაციო საჩივარში დაყენებული მოთხოვნის დაზუსტების მიზნით განმარტა, რომ თანახმაა ღამისთევით, თვეში ერთხელ წაიყვანოს თავისთან მცირეწლოვანი შვილი.

13.3. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე, 2016 წლის 19 ოქტომბერს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის ტერიტორიული სამსახურიდან კონსულტაციის გასაწევად მოწვეულმა სპეციალისტმა – ფსიქოლოგმა თ. ქ-მ განმარტა, რომ 2012 წლის 25 ივლისს დაბადებული არასრულწლოვანის ერთი ღამით მამასთან დარჩენა მის ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად არ აისახება და ასეთი ურთიერთობა არ ნიშნავს ბავშვისთვის რადიკალურ ცვლილებას, რაც ასახულია მის

წერილობით დასკვნაში (იხ. სხდომის ოქმი, 18:45:12, 18:54:01-18:54:35).

13.4. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარდგენილი არ არის რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა არასრულწლოვნის 6 წლის ასაკამდე თვეში ერთი ღამით მამასთან დარჩენის გამო, მისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობას. შესაბამისად მოპასუხის მოთხოვნა, მასთან ბავშვის ღამისთევით დარჩენის ნაწილში დაკმაყოფილდა.

13.5. სსკ-ის 1212-ე-1214-ე მუხლებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ალიმენტი წარმოადგენს იმ გარანტირებულ მინიმუმს, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვის რჩენა და მისთვის ცხოვრების სათანადო პირობების სტაბილურად შენარჩუნება, ამასთან, თანხის ოდენობა იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ არც ალიმენტვალდებული პირი აღმოჩნდეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. საქართველოს საერთო სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, გონივრულად ითვლება ალიმენტის დაკისრება მხარის საერთო შემოსავლების 25%-დან 50%-მდე ოდენობით (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე №ა-1283-შ-73-03; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 8 ივნისის განჩინება საქმეზე №ა-781-შ-31-04). იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში განთავსებული მტკიცებულებებით, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობისა და საინფორმაციო დანართის მიხედვით, მოპასუხის შემოსავალი 2014 წელს საშუალოდ ყოველთვიურად შეადგენდა 1338,16 ლარს, ხოლო 2015 წელს – 1023,73 ლარს, მამისთვის არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად ალიმენტის – 300 ლარის დაკისრება გონივრულია და ვერ გახდება ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

13.6. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები, მართებულად დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ 2014 წლის 17 თებერვალს ლ. გ-ისათვის გადაცემული 16 050 აშშ დოლარი სსკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენდა და არა – აპელანტის ინდივიდუალურ საკუთრებას. ვინაიდან, მოპასუხემ ამ თანხიდან მიღებული სარგებლით (ლ. გ-ის უძრავი ქონება) მოსარჩელესთან შეუთანხმებლად ი. ჯ-ისა და ვ. დ-ის წინაშე არსებული პირადი ვალი გაისტუმრა, სსკ-ის 1160.3 მუხლის შესაბამისად, თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნა მისი წილი ქონების (ფულადი თანხის) განკარგვით მიღებული სარგებლის – 8 025 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე საფუძველიანია, რაც



დააკმაყოფილა კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლომ. ის გარემოება, რომ სესხის სახით ი. ჯ-ისა და ვ. დ-ისაგან აღებული, ხოლო შემდეგ მ. წ-ისათვის სესხად გადაცემული თანხები არ წარმოადგენდა მეუღლეთა საერთო ვალს, გამომდინარეობდა თავად მოპასუხის სააპელაციო საჩივრიდანაც, სადაც აღნიშნულია, რომ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულებები წარმოადგენდა მისთვის დამატებით შემოსავალს, ხოლო ოჯახს – მეუღლეს და ბავშვს არჩენდა სტაბილური შემოსავლით.

#### **14. საკასაციო საჩივრის საფუძვლები**

14.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ძირითადი მოსარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებული მოთხოვნის – 8 025 აშშ დოლარის – ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება დაკმაყოფილებაზე, ასევე – ალიმენტის შემცირება 100 ლარით და ბავშვის ნახვის დღედ ყოველი კვირის შაბათი დღის განსაზღვრა.

14.2. საკასაციო საჩივრის პრეტენზიები წინამდებარე გადაწყვეტილების 12.2-12.6 პუნქტებში მითითებული გარემოებების იდენტურია.

14.3. კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მდგომარეობა გააუარესა იმგვარად, რომ მამას შვილის ნახვისათვის თვეში მხოლოდ ერთი შაბათი გამოუყო მაშინ, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მამას ბავშვის ნახვა თვის ყველა შაბათ დღეს შეეძლო, აღნიშნული კი არც ერთი მხარის მიერ არ გასაჩივრებულა, რაც სააპელაციო სასამართლოს არ აძლევდა შესაძლებლობას, რომ ამ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეეცვალა.

#### **15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

15.1. მოპასუხის საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 თებერვლის განჩინებით სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

15.2. მოპასუხის საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 მაისის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუ-

თებულობის შემონმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კასატორს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორის პრეტენზიები შეეხება შემდეგ საკითხებს – უარი ეთქვას მოსარჩელეს 8 025 აშშ დოლარის დაკმაყოფილების ნაწილში, ალიმენტის შემცირდეს 100 ლარით და ბავშვის ნახვის დღედ განისაზღვროს ყოველი კვირის შაბათი დღე.

18. საკასაციო სასამართლო მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის საკითხთან დაკავშირებით იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების შეფასებებსა და დასკვნას და დამატებით აღნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ, 2014 წლის 17 თებერვალს, ლ. გ-ისათვის გადაცემული 16 050 აშშ დოლარი, სსკ-ის 1158-ე მუხლის თანახმად, კასატორისა და მოსარჩელის თანასაკუთრებას წარმოადგენდა და არა – მოპასუხის ინდივიდუალურ საკუთრებას. აღნიშნულის გათვალისწინებით თანხა მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის უნდა გაიყოს სსკ-ის 1164-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, ესე იგი თანხის ნახევარი მოსარჩელეს უნდა მიეკუთვნოს (იხ. ამ გადაწყვეტილების 11.3-11.5 და 13.6 პუნქტები).

19. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოთა შეფასებას, რომ 16 050 აშშ დოლარი მეუღლეთა თანასაკუთრებაა, თუმცა, მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით აღნიშნულს ვერ აბათილებს. ის ფაქტი, რომ აღნიშნული თანხა მოპასუხემ მოსარჩელესთან რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში მიიღო, დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებებით, რის გამოც საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ეს თანხა მეუღლეთა თანასაკუთრება იყო და მისი ნახევარი მოსარჩელეს ეკუთვნოდა (იხ.

ამ გადანყვეტილების 5-7 პუნქტები, სსკ-ის 1158-ე, 1164-ე მუხლები).

20. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას ალიმენტის შემცირებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო საქმის გარემოებებიდან და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე მოპასუხისათვის ალიმენტის სახით მისი არასრულწლოვანი შვილისათვის ყოველთვიურად 300 ლარის დაკისრებას გონივრულად და სამართლიანად მიიჩნევს. საკასაციო სასამართლო ამ ნაწილშიც იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების შეფასებებს (იხ. ამ გადანყვეტილების 11.2 და 13.5 ქვეპუნქტები).

21. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობებიდან და დავების განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ის გარემოებანი, რომელთა აუცილებლობა განაპირობებს არასრულწლოვნის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადანყვეტილების მიღებას (სუსგ №ას-53-51-2016, 2016 წლის 6 ივლისი), კერძოდ, სსკ-ის 354-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საოჯახო საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. აღნიშნული ვალდებულება ეკისრება როგორც დედას, ისე – მამას, მიუხედავად იმისა, ისინი ერთმანეთთან ქორწინებაში იმყოფებიან, თუ მათ შორის ქორწინება უკვე შეწყვეტილია. მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი შვილები სრულწლოვანებამდე. ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლებთან ერთ ოჯახად ცხოვრების პირობებში. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამავე დროს, ალიმენტის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ის გარემოება, თუ როგორია ალიმენტის გადამხდელის რეალური ქონებრივი მდგომარეობა. სსკ-ის 1214-ე მუხლი ითვალისწინებს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ძირითად პირობებს, კერძოდ, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს

გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე, მშობლებისა და შვილების რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. შვილების რჩენის ვალდებულება უპირობო ხასიათისაა, ის არაა დამოკიდებული მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე და იმის გამო, რომ შრომისუნარიან მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება, გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან. გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 27.2 მუხლი განსაზღვრავს, რომ მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები. ზემოაღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას ალიმენტის შემცირებასთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას და მიუთითებს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ორივე მშობლის მატერიალური მდგომარეობისა და ბავშვის უპირატესი, საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, შვილის ცხოვრებისათვის ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად, ალიმენტის – 300 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება ადეკვატური და სამართლიანია (მდრ. სუსგ ას-42-38-2017, 10.07.17 წ.).

22. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომელიც წინამდებარე გადანყვეტილების 14.3 ქვეპუნქტშია დასახელებული და დადგენილად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებით აპელანტის მდგომარეობა გაუარესდა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის დედას საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება იმ ნაწილში არ გაუსაჩივრებია, რომლითაც მამას მიენიჭა უფლება ყოველ შაბათს 13:00 საათიდან 18:00 საათამდე ენახა თავისი შვილი (იხ. საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნქტი, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი). აქედან გამომდინარე, კასატორის ეს პრეტენზია დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს. მოპასუხეს არ უნდა წაერთვას იმის უფლება, რაც მას სასამართლოს გადანყვეტილებით მიენიჭა და რაშიც მოწინააღმდეგე მხარე არ შედავებია. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ აპელანტმა სასარჩელო მოთხოვნა დააზუსტა და სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ ამ ნაწილში შეცვალა საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ბავ-

შვის მამა სააპელაციო საჩივრით დაეთანხმა იმას, რომ არასრულწლოვანი შვილი თვეში მხოლოდ ერთხელ წაეყვანა ლამისთევით, რაც მისი ნების იმგვარი განმარტების საშუალებას არ იძლევა, რომ მან ბავშვის ნახვისათვის თვის მეორე და ყოველი შემდეგი შაბათის, 13:00 საათიდან 18:00 საათამდე, გამოყოფაზე (ლამისთევით წაყვანის გარეშე) უარი განაცხადა. ამ ნაწილში პრეტენზია ბავშვის დედასაც არ გამოუთქვამს.

23. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამონეუ-ლია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“. მოხმობილი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს, ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს, აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობ-

ლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებულნი არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სსკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1199-ე მუხლი). მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადაწყვეტილებისას, უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში (იხ. სუსგ №ას-458-440-2016, 15.07.2016წ.).

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებულ თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

25. ზემოხსენებული მოტივაციით, საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, მოპასუხეს თავის არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობისათვის, 6 წლის ასაკის მიღწევამდე დაუდგინდეს ნახვის დღეები: ყოველი კვირის ხუთშაბათი დღე – 17:00 საათიდან 20:00 საათამდე; ყოველი თვის პირველი შაბათი დღე 13:00 საათიდან კვირა დღის 15 საათამდე პერიოდი, ღამისთევით დარჩენით; ყოველი თვის მეორე და შემდეგი შაბათი დღეები – 13:00 საათიდან 18:00 საათამდე; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

26. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხა-

რის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ვინაიდან, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა იმ ნაწილში, რომელშიც მხარეები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული არიან (სსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი) არ არსებობს მხარეთა შორის საპროცესო ხარჯების განაწილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ვ. რ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. რ-ს თავის არასრულწლოვან შვილთან, ნ. რ-თან (პირადი №6...) ურთიერთობისათვის, 6 წლის ასაკის მიღწევამდე დაუდგინდეს ნახვის დღეები:
  - 3.1. ყოველი კვირის ხუთშაბათი დღე – 17:00 საათიდან 20:00 საათამდე;
  - 3.2. ყოველი თვის პირველი შაბათი დღე 13:00 საათიდან კვირადღის 15 საათამდე პერიოდი, ღამისთევით დარჩენით;
  - 3.3. ყოველი კვირის მეორე და შემდეგი შაბათი დღეები – 13:00 საათიდან 18:00 საათამდე;
4. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ს-705-705-2018

23 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქუჩი

**დავის საგანი:** ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა,  
მშობლის უფლების ნაწილობრივ შეზღუდვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:

1.1. ზ. ლ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი)  
სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. რ-ძის (შემდგომში – მოპასუხე  
ან მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა 2011 წლის 30  
მარტს დაბადებული თ. ლ-ისა და 2010 წლის 8 თებერვალს დაბადე-  
ბული მ. ლ-ის საცხოვრებელი ადგილის მამის – ზ. ლ-ის საცხოვრე-  
ბელი ადგილის მიხედვით განსაზღვრა, ასევე, ე. რ-ძისათვის შვი-  
ლების თავისთან საცხოვრებლად წაყვანისა და მათი წარმომად-  
გენლობითი უფლებების შეზღუდვა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: სამ-  
ტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 იანვრის განჩი-  
ნებით მოდავე მხარეთა შვილების: მ. და თ. ლ-ის საცხოვრებლად  
განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი. ამჟამად შეიცვალა  
გარემოება და შვილები რამდენიმე თვეა არიან მასთან. ბავშვებს  
არავითარი სურვილი არ აქვთ, წავიდნენ დედასთან არათუ საც-  
ხოვრებლად, არამედ, ურთიერთობა იქონიონ მასთან ან ესაუბრონ  
ტელეფონით. ე. რ-ძე არ ასრულებს მშობლის უფლება-მოვალეო-  
ბებს, რაც დადასტურებულია ზ. გ-ძის მიერ შედგენილი ხელწერი-  
ლით. ბავშვები მიუთითებენ დედის უარყოფით პირად ცხოვრება-  
ზე, მ-ს ასახელებს მისი არაერთი მეგობარი მამაკაცის სახელს, რაც  
ცუდად აისახება მცირეწლოვნის ფსიქიკაზე, მის მომავალ ცხოვ-  
რებაზე. აღნიშნულის გამო ე. რ-ძეს უნდა შეეზღუდოს შვილების  
წაყვანისა და მათი წარმომადგენლობის უფლება, ხოლო, ბავშვე-  
ბის საცხოვრებლად უნდა განისაზღვროს მამის საცხოვრებელი ად-



გილი.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ზ. ლ-თან ქორნილების პერიოდში ჰქონდა კონფლიქტი, იგი მოპასუხეს ბავშვების თანდასწრებით აყენებდა შეურაცხყოფას, ხშირად იყო და არის ალკოჰოლური თრობის ქვეშ. მოპასუხემ დახმარებისთვის მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და ზ. ლ-ს ჩამოართვეს ხელწერილი. განქორწინების შემდეგ გარკვეული პერიოდი მხარეები ცხოვრობდნენ ზ. ლ-ის სახელზე რეგისტრირებულ, ხონში მდებარე ბინაში, რომელიც შეძენილ იქნა ე. რ-ძის დედის მიერ საბერძნეთის რესპუბლიკიდან გამოგზავნილი დანაზოგით, მაგრამ იმისათვის, რომ თავიდან აერიდებინა უსიამოვნება და ბავშვები გაეზარდა მშვიდ გარემოში, არასრულწლოვნებთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ნაქირავებ ბინაში, ქ. ქუთაისში. მოპასუხეს მატერიალურად ეხმარება დედა, თვითონ მუშაობა დაიწყო მალაზიაში გამყიდველად, იმყოფება ქორწინებაში ა. რ-ძესთან, რომელიც დასაქმებულია და ხშირად უწევს გამგზავრება გერმანიაში. მოპასუხის მეუღლე არ არის წინააღმდეგი, ბავშვებმა იცხოვრონ დედასთან. მოსარჩელე რაიმე მატერიალურ დახმარებას არ უწევდა და არც ახლა უწევს შვილებს, არ იხდის ალიმენტს. ზ. გ-ძის მიერ 2014 წელს შესრულებულ ხელწერილს მოსარჩელე ინახავდა 2 წელი, მხოლოდ მას შემდეგ გამოაჩინა და საფუძვლად დაუდო ბავშვების საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თაობაზე დავას, რაც ალიმენტის იძულებით გადახდევინებაზე დაიწყო სააღსრულებო წარმოება. სარჩელის აღძვრა ემსახურება არა ბავშვების ჭეშმარიტ, არამედ მოსარჩელის პირად ქონებრივ ინტერესს, ამასთან, სარჩელი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

## **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

## **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გამოიკვლია სარჩელის აღძვრის შემდგომ შეცვლილი გარემოებები, ფსიქოლოგთა დასკვნები თითოეული არასრულწლოვნის ფსიქო-ემოციური მდგომარეობისა და თითოეული მშობლის მიმართ მათი დამოკიდებულების თაობაზე, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება და მიიჩნევს, რომ ზ. ლ-ის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების დასაბუთება:**

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხი, ასევე, არსებობს თუ არა ერთ-ერთი მშობლის უფლებების შეზღუდვის ფაქტობრივი წინაპირობები. ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან სარჩელი უარყოფილ იქნა, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, არ ეთანხმება კასატორი. მართალია, ზოგადპროცესუალური სტანდარტის თანახმად (სსსკ-ს 404.1 მუხლი) საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებას კასატორის პრეტენზიების შესაბამისად ამოწმებს და მას მხოლოდ იმ ფარგლებში ცვლის, რა ფარგლებშიც შედავება გამოთქმული საჩივარში (სსსკ-ს 409-ე მუხლი), თუმცა, ვინაიდან განსახილველი დავა საოჯახო სამართლიდანაა ნაწარმოები და არასრულწლოვნის უფლებრივ მდგომარეობას ეხება, საკასაციო სასამართლომ განკარგა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული ინკვიზიციურობის პრინციპი (სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ), საკუთარი ინიციატივით დაავალა არასრულწლოვანთა კანონიერ წარმომადგენელ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სპეციალისტის – ფსიქოლოგის გამოყოფა, რომელსაც დაევალა შემდეგი საკითხების გამოკვლევა და შესაბამისი დასკვნის წარმოდგენა:

არასრულწლოვანი მ. და თ. ლ-ის ფსიქო-ემოციური დამოკიდებულება თითოეული მშობლის მიმართ;

თითოეული არასრულწლოვნის ამჟამინდელი ფსიქოლოგიური

მდგომარეობა (მათ შორის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით მათი დამოკიდებულება).

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ასევე დაევალა, შეცვლილი გარემოებების შესაბამისად, შეისწავლოს თითოეული მშობლის საცხოვრებელი გარემო-პირობები და წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა (იხ. 16.10.2019წ. საოქმო ამონაწერი).

საკასაციო სასამართლომ მხარეთა მონაწილეობით გამოიკვლია სოციალური მუშაკების 2019 წლის 21 ნოემბრისა და ფსიქოლოგ ნ. კ-ის 2019 წლის 25 ნოემბრის დასკვნები. მხარეთა საპროცესო თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით (სსსკ-ის მე-5 მუხლი), მონინალმდევე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საქმის ზეპირ განხილვაზე მოწვეულ იქნა ფსიქოლოგი ნ. ლ-ძე, რომლის ახსნა-განმარტებაც მიიღო სასამართლომ და დაფიქსირდა შესაბამის სხდომის ოქმში.

საკასაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოცემული დავის გადანყვეტისას დროის ფაქტორის საკითხი, რამდენადაც საქმის განხილვის გაჭიანურება ნეგატიურად მოქმედებს, როგორც დასადგენ გარემოებათა სტაბილურობაზე, ისე – არასრულწლოვანთა ინტერესებზე, იცვლება მათი ასაკი, გარემო და სხვა, რის გამოც, საკითხის საბოლოოდ და ამომწურავად დროული გადანყვეტა სამართალწარმოების ეფექტიანობას გაზრდის და მიღებული გადანყვეტილება მეტად იქნება ორიენტირებული არასრულწლოვანთა ინტერესებზე. ამდენად, საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადანყვეტილებას საფუძვლად დაედო, როგორც საქმის განხილვის წინა ეტაპებზე, ისე – საკასაციო განხილვისას გამოვლენილი გარემოებები, რომელთა ურთიერთშეჯერების შესაბამისადაც შეამოწმებს პალატა კასატორის მოთხოვნის საფუძველიანობას.

## **1.2. ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ:**

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადანყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნიათ სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქ-

ტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერი-  
ალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და გან-  
მარტება, კერძოდ:

1.2.1. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 იან-  
ვრის განჩინებით მოსარჩელე ე. რ-ძესა და მოპასუხე ზ. ლ-ს შორის  
დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით:

ა) ბავშვების: მ. და თ. ლ-ის საცხოვრებლად განისაზღვრა დე-  
დის – ე. რ-ძის საცხოვრებელი ადგილი;

ბ) მამის, ზ. ლ-ის ბავშვებთან ურთიერთობა განისაზღვრა შემ-  
დეგნაირად: მ. და თ. ლ-ი პარასკევს, 16:00 საათიდან კვირის 16:00  
საათამდე წაყვანისა და დარჩენის უფლებით იყვნენ მამასთან, რო-  
მელიც კისრულობს ვალდებულებას, კვირას, 16:00 საათზე დაუბ-  
რუნოს ბავშვები დედას;

1.2.2. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 8 დე-  
კემბრის განჩინებით ე. რ-ძესა და ზ. ლ-ს შორის დამტკიცდა მორი-  
გება შემდეგი პირობებით:

ა) განქორწინებით შეწყდა ე. რ-ძესა და ზ. ლ-ს შორის 2009 წლის  
3 ნოემბერს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხონის სამსახურის  
მიერ რეგისტრირებული ქორწინება;

ბ) ზ. ლ-ს დაეკისრა არასრულწლოვანი ბავშვების: 2011 წლის 30  
მარტს დაბადებული თ. ლ-ისა და 2010 წლის 8 თებერვალს დაბადე-  
ბული მ. ლ-ის საზრდოდ, თითოეული ბავშვის სასარგებლოდ 100  
ლარის, ორივე შვილისათვის – 200 ლარის გადახდა ბავშვების მიერ  
სრულწლოვანების მიღწევამდე;

გ) აღიმენტის გადახდევინება დაიწყო სარჩელის შეტანის მო-  
მენტიდან – 2014 წლის 12 ნოემბრიდან.

1.2.3. ბავშვები: მ. და თ. ლ-ი, 2016 წლის მარტამდე იზრდებოდ-  
ნენ დედასთან, ე. რ-ძესთან ქ. ქუთაისში. 2016 წლის მარტიდან დე-  
დის, ე. რ-ძის ნების საწინააღმდეგოდ, ზ. ლ-მა ბავშვები დაიტოვა  
თავის საცხოვრებელ ადგილას, ხონის რაიონის სოფელ ...-ში, სა-  
დაც ისინი ცხოვრობენ დღემდე;

1.2.4. 2016 წლის 28 ივლისიდან ე. რ-ძე რეგისტრირებულ ქორწი-  
ნებაში იმყოფება ა. რ-ძესთან. ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ,  
მიეკუთვნა გვარი – რ-ძე;

1.2.5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აღსრულების  
ეროვნული ბიუროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანე-  
თის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია საქმე ბავშვების: მ. და თ.  
ლ-ის რჩენა-აღზრდისათვის, 2014 წლის 12 ნოემბრიდან 2016 წლის  
17 ოქტომბრამდე წარმოშობილი დავალიანების – 4 600 ლარის ზ.  
ლ-ისათვის იძულებით გადახდევინების შესახებ;

1.2.6. იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის

ფსიქოლოგ ლ. ც-ის მიერ 2016 წლის 18 ივლისს შედგენილი ფსიქოლოგიური გამოკვლევის თანახმად, „სხვადასხვა მეთოდის მიხედვით ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ბავშვები გამოხატავენ დედასთან ურთიერთობის სურვილს, თუმცა, გარკვეული პირობების გათვალისწინებით, კერძოდ, რომ დედამ იცხოვროს მათთან და მამასთან ერთად. მ-სს შემთხვევაში წარსულში არსებული ნეგატიური გამოცდილება იწვევს გაურკვეველობის და შიშის გრძნობას, რაც წარმოადგენს ერთადერთ პირობას, რის გამოც უარს აცხადებს დედასთან ცხოვრებაზე, თუმცა ბავშვი არ ეწინააღმდეგება დედასთან შეხვედრას... მამის ოჯახში უფროსების მხრიდან არსებული ნეგატიური შეხედულება დედაზე ასევე ახდენს გავლენას მის დამოკიდებულებაზე დედის მიმართ. რაც შეეხება თ-ს, მასზე გავლენას ახდენს, როგორც მ-ს, ასევე ოჯახის უფროსი წევრების მიერ გამოთქმული აზრები და რეპლიკები“ (გასათვალისწინებელია, რომ ბავშვებზე არაპირდაპირი ფორმით ნათქვამი ან შემთხვევით გაგონილი აზრები იმავე ზემოქმედებას ახდენს, რაც მიზანმიმართულად მათი მისამართით ნათქვამი აზრი);

1.2.7. იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგ ლ. ც-ის 2016 წლის 11 ნოემბრის მოხსენებითი ბარათის თანახმად, „ბავშვის ასაკი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ მოვლენების შეფასებისას იყოს თანმიმდევრული და ობიექტური. დედასთან ცხოვრების პერიოდში მას აღნიშნულ მოვლენებთან მიმართებით ექნებოდა ნეგატიური ემოციური დამოკიდებულება, მაგრამ ის ნაკლებად იფიქრებდა მათ შეფასებით მომენტებზე (მაგალითად, რატომ იყო ცუდი ის, რაც დაინახა). მამის ოჯახის წევრების მხრიდან მის მონათხრობთან დაკავშირებულმა ემოციურმა რეაქციებმა და შეფასებებმა აშკარად გაამყარეს მისი ნეგატიური დამოკიდებულება აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, რამაც შესაბამისად იმოქმედა დედასთან ურთიერთობის საკითხზეც. თავის პარტნიორთან დედის ურთიერთობის სცენებს ბავშვი შემთხვევით, დაუდევრობის ფონზე შეესწრო და რა თქმა უნდა, მას არ ჰქონდა მიზანმიმართული ხასიათი“;

1.2.8. ფაქტის შემთხვევითობა იკვეთება, ასევე მ. ლ-თან ფსიქოლოგის გასაუბრებისას, როცა ფსიქოლოგის კითხვაზე, თუ რას აკეთებდა ამ დროს თავად, ბავშვმა თქვა, რომ ის თვალებს ხუჭავდა, რომ მათ არ დაენახათ: „ვითომ მეძინა“ (თან ფიზიკურად აჩვენა, როგორ ხუჭავდა თვალებს), ხოლო თ-ს ეძინა და ეს არ დაუნახავს (თ-ს გადახედა და დამცინავად თქვა: „ამას მართლა ეძინა“). იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგის, ლ. ც-ის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგების თანახ-

მად, გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია:

„იმისათვის რომ დაცული იქნეს ბავშვის ინტერესები, მიზანშეწონილია მისი თანდასწრებით უფროსებმა თავი შეიკავონ მსგავსი მოვლენების შეფასებებისაგან, გასათვალისწინებელია, რომ ბავშვების თვალში მშობლის დისკრედიტაცია მათ ფსიქიკაზე განსაკუთრებულად ნეგატიურად მოქმედებს“;

1.2.9. ხონის რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკის მოვალეობის შემსრულებლის დასკვნით, „ბავშვები კატეგორიულ უარს აცხადებენ დედასთან ერთად ცხოვრებაზე სხვა საცხოვრებელ მისამართზე, თუმცა გამოხატავენ სურვილს, რომ დედა იყოს მათ გვერდით“;

1.2.10. ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკების მიერ, დროის სხვადასხვა მონაკვეთში გაცემული დასკვნების თანახმად, ე. რ-ძე ზ. ლ-თან განქორწინების შემდეგ, შვილებთან ერთად ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში. საცხოვრებელი ბინა შედგება 3 ოთახისაგან. ბავშვებისათვის გამოყოფილია ცალკე საძინებელი, სახლი გარემონტებულია და საცხოვრებლად უსაფრთხოა. მეუღლე დასაქმებულია და პერიოდულად სამუშაოდ იმყოფება გერმანიაში. მას ყოველთვიურად მატერიალურად ეხმარება დედა, ლ. რ-ძე, რომელიც სამუშაოდ იმყოფება საბერძნეთის რესპუბლიკაში. ე. რ-ძის ოჯახში შექმნილია ბავშვების განვითარებისათვის საჭირო პირობები. ბავშვები: მ. და თ. ლ-ი დედასთან ცხოვრების პერიოდში დადიოდნენ ქ. ქუთაისის №... ბაგა-ბაღში, საბავშვო ბაღის პედაგოგის ინფორმაციით, ე. რ-ძე არის მზრუნველი დედა და ჩართული იყო შვილების სოციალურ ცხოვრებაში, ბავშვები ყოველთვის დადიოდნენ მონესრიგებულები და მონაწილეობდნენ საბავშვო ბაღში დაგეგმილ ღონისძიებებში. დედის ინიციატივით ბავშვები ჩაირიცხენ ქ. ქუთაისში, სკოლა „ი-ში“. დედის აღმზრდელობითი უნარ-ჩვევები დადებითია, მას შესწევს უნარი, შექმნას ბავშვების საჭიროებებზე ორიენტირებული, უსაფრთხო და მზრუნველი გარემო. იგივე გარემოებები დაადასტურეს მონაწილემ: ა. ფ-ძემ, ჟ. რ-ძემ და მ. რ-ძემ;

1.2.11. ააიპ „ახალი ინიციატივა, ახალი შესაძლებლობების“ დასკვნის თანახმად, იმ საკითხზე, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ბავშვების ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე დედასთან ურთიერთობამ, ასევე, საცხოვრებელ ადგილად ბავშვების მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრამ, ფსიქოლოგმა ნ. ლ-ძემ განმარტა:

„გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვებს აქვთ სურვილი დედასთან ურთიერთობისა და მათ შორის იკვეთება პოზიტიური ემოციური კავშირის სიმპტომატიკა, დედასთან ურთიერთობა ბავშვების

ემოციურ მდგომარეობაზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს.

გამომდინარე იქიდან, რომ მ-სს დიდი სურვილი აქვს მშობლების შერიგების, დედასთან ურთიერთობა მისთვის იქნება ერთგვარი კომპენსაცია ოჯახური მთლიანობის დარღვევისაგან გამონჯული დანაკარგის. მის ცხოვრებისეულ რეალობაში მამის გარდაშემოვა დედაც, ორივე მშობელთან ურთიერთობა მის ემოციურ მდგომარეობაზე პოზიტიურ გავლენას მოახდენს. დედასთან ურთიერთობისას დედის მხრიდან განხორციელდება ადეკვატური ზრუნვა ბავშვების საჭიროების დაკმაყოფილების კუთხით, რაც პოზიტიურ გავლენას მოახდენს ბავშვების მოვლისა და ზრუნვის პროცესზე.

საყურადღებოა გარკვეული სახის რისკები, კერძოდ: დედის მეორე მეუღლის არსებობა, რომელიც ბავშვებისათვის უცხო ადამიანია, დედასთან ურთიერთობის დამაბრკოლებელ სუბიექტად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან ბავშვების ცხოვრებისეულ გამოცდილებაში დედისა და მისი ყოფილი მამაკაცების ურთიერთობა მათ აღქმაში ნეგატიურ გამოცდილებად არის მიჩნეული.

მამის მიმართ ბავშვებს აქვთ პოზიტიური, ემოციური დამოკიდებულება, სურთ მასთან ერთად ცხოვრება. აქედან გამომდინარე, მამის საცხოვრებელი სახლის ბავშვების საცხოვრებელ სახლად განსაზღვრის შემთხვევაში, მამასთან ურთიერთობა მათ ემოციურ მდგომარეობაზე პოზიტიურად იმოქმედებს.

გასათვალისწინებელია გარკვეული სახის რისკები ბავშვების საცხოვრებელი ადგილის მამის საცხოვრებელი ადგილით განსაზღვრის შემთხვევაში, კერძოდ, ვინაიდან მამა გეგმავს სამუშაოდ ისევ თურქეთში გამგზავრებას და გარკვეული დროის ხანგრძლივობით ვერ იქნება ბავშვებთან (დაახლოებით 2-3 თვის განმავლობაში), ძირითადად მზრუნველობას მათზე განახორციელებს ბებია, რომელსაც მოუწევს ოთხ არასრულწლოვან ბავშვზე ზრუნვა. იგი სავარაუდოდ ვერ განახორციელებს ბავშვებზე ადეკვატურ ზრუნვას, რაც ნეგატიურ გავლენას მოახდენს ბავშვების მოვლისა და ზრუნვის პროცესზე.

საყურადღებოა, ბავშვებზე ზეგავლენის შემთხვევების გაძლიერების რისკფაქტორი ბებულის მხრიდან, ასევე ბავშვებსა და დედას შორის ურთიერთობის პროცესის მხარდაჭერის ნაკლებობა, რაც უარყოფითად იმოქმედებს ბავშვებისა და დედის ურთიერთობის პროცესზე. ასეთ შემთხვევაში, დამაშორებელი ქცევების ეფექტი სავარაუდოდ გაიზრდება, როდესაც დაბრკოლებული იქნება შეხვედრები დედასთან, ბავშვები მნიშვნელოვან დროს ვერ გაატარებენ მასთან და მის ოჯახთან/ნათესაობასთან, ბავშვები ვერ შეძლებენ გადაამონმონ რეალობა დედასთან დაკავშირებით. შე-

საბამისად, ბავშვების დაბნეულობა მიმდინარე მოვლენებისა და ქცევების გაგებაში გაიზრდება, რაც გამოიწვევს მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამწვავებას.

მოცემულ შემთხვევაში, ასევე გასათვალისწინებელია ბავშვის ასაკი. იმისთვის რომ ბავშვი გადავიდეს ერთი მშობლის მხარეს და შესაბამისად უარყოს მეორე, საჭიროა კოგნიტიური და ემოციური სიმნიფე, რაც 7-8 წლის ასაკიდან მიიღწევა. შესაბამისად, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ერთი მხარის მიერ გავლენის მცდელობის რისკი და თანმდევი ეფექტები. თუკი გავითვალისწინებთ ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებული სტრესული გამოცდილების ნეგატიურ ზემოქმედებას, მეორე მხრივ კი, მშობლების განქორწინებას, როგორც მატრავმირებელ მოვლენას, შესაძლებელია, რომ ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობის შემდგომმა საფუძვლიანმა გამოკვლევამ გამოავლინოს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური სირთულეები, რაც სპეციალისტის ჩარევას საჭიროებს (მოცემულ შემთხვევაში, მომართვის მიზანს წარმოადგენდა ფსიქოლოგიური შეფასება სასამართლო პროცესის მხარდასაჭერად და შეფასება წარმართა აღნიშნული მიმართულებით). რეკომენდებულია ორივე მშობლისა და ოჯახის წევრებისათვის სპეციალისტის/ფსიქოლოგის კონსულტირება განქორწინების შემდეგ, ბავშვებსა და მშობლებს შორის ურთიერთობების საკითხთან მიმართებაში, თუ როგორ უნდა დაეხმარონ ბავშვებს სტრესთან გამკლავებაში და ასევე აღზრდა/განვითარების შესახებ. აუცილებელია საქმეში ჩაერთოს სპეციალისტი/ფსიქოლოგი/სოციალური მუშაკი შემდეგი ძირითადი სტრატეგიით: მუშაობა ბავშვებთან, განსაკუთრებით მათან, ვინაიდან მასთან იკვეთება განსაკუთრებული საჭიროება ემოციური მხარდაჭერის, ემპათიისა და უკუკავშირის მიმდინარე მოვლენებისა და ქცევების გაგებაში. განხორციელდეს სპეციალისტების მიერ ბავშვების მომზადება დედის მეორე ქმრის ბავშვებისათვის გაცნობისა და მასთან ურთიერთობის საკითხის შესახებ;

1.2.12. საქმის სააპელაციო განხილვისას ე. რ-ქმ აღნიშნა, რომ ამჟამად განქორწინებულია და მიმდინარეობს ქორწინების შეწყვეტასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო წარმოება. შესაბამისად, იგი ცხოვრობს მარტო, ბავშვებს მის მეორე მეუღლესთან ცხოვრება აღარ მოუწევთ, რაც გამორიცხავს ამ მიმართებით რისკების არსებობას;

1.2.13. სასამართლო გაესაუბრა არასრულწლოვნებს სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. შეხვედრაზე მ. ლ-მა მოსამართლის შეკითხვაზე უპასუხა, რომ არ მოსწონს დედა, დედასთან ცხოვრება არ უნდა იმიტომ, რომ ეშინია, სხვა კაცი მოიტაცებს. თ. ლ-მა მოსა-



მართლის შეკითხვაზე უპასუხა, რომ გაბრაზებულია დედაზე, იცის, რომ დედას არ უყვარს, არ უნდა მასთან ერთად ცხოვრება, თუმცა ვერ იხსენებს რატომ.

საკაცაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები-სა და ახსნა-განმარტებათა მოსმენიდან გამომდინარე, გამოიკვეთა შემდეგი:

1.2.14. ზ. ლ-ი ცხოვრობს ხონის რაიონის სოფელ ...-ში. ოჯახი დღეის მდგომარეობით შედგება ოთხი პირისგან: არასრულწლოვანი მ. და თ. ლ-ის, ზ. ლ-ისა და ბავშვების ბებიის – ნ. ლ-გან. სახლში მონესრიგებულია საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები დამაკმაყოფილებელია, დაცულია უსაფრთხოების ზომები. ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ამჟამად მიმდინარეობს დამატებითი გადამონმება. ოჯახის ძირითადი შემოსავალი საარსებო შემწეობა, პენსია და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის რეალიზაციიდან მიღებული თანხაა. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ზ. ლ-ი ზრუნავს შვილების აღზრდა-განვითარებაზე, ისინი ი-ს საჯარო სკოლის მონაწილეები არიან. მასწავლებლების თქმით, რეგულარულად ესწრებიან სასწავლო პროცესს და არ უფიქსირდებათ უმიზეზო გაცდენები, არიან მონესრიგებულები და სწავლის დონით შეესაბამებიან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, უზრუნველყოფილი არიან სასწავლო ინვენტარით. არ უფიქსირდებათ ჯანმრთელობის პრობლემები, ჩატარებული აქვთ ასაკის შესაბამისი აცრები და იმყოფებიან სამედიცინო აღრიცხვაზე. ბავშვებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დედას პერიოდულად მიჰყავს ქუთაისში, ყიდულობს სხვადასხვა ნივთებს, თუმცა, ბავშვებს აქვთ მიჯაჭვულობა ბიოლოგიური მამის მიმართ, საუბრისას პოზიტიურად მოიხსენიებენ მას და ბებიას, სურთ მამასთან ცხოვრება, ხოლო, დედას შეხვდებიან პერიოდულად;

1.2.15. ე. რ-ძე ცხოვრობს ქ. ქუთაისში, ნაქირავებ სახლში, ქირას უხდის დედა. სახლში საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია, არის საყოფაცხოვრებო ნივთები და საცხოვრებლად უსაფრთხო გარემო. ბინის პირველ სართულზე არსებულ ფართში მოპასუხემ გახსნა სალონი, მისი გადმოცემით ყოველთვიური შემოსავალი 500-600 ლარია, ასევე, მატერიალურად ეხმარებიან ნათესავები. დასკვნაში ასახულია ე. რ-ძის განმარტება, რომლის თანახმადაც მოსარჩელე ფსიქოლოგიურ ზენოლას ახდენს ბავშვებზე. ბოლო შეხვედრისას შვილებმა ჰკითხეს აპირებდა თუ არა გათხოვებას, რადგანაც, მამის თქმით, მას სხვა შვილი შეეძინებოდა და კვლავ მიატოვებდა არასრულწლოვნებს. ე. რ-ძე ზრუნავს შვი-

ლებზე, ყიდულობს სასკოლო და სხვა ინვენტარს, ასევე, მისი თქმით, მოპასუხის ყოფილ დედამთილს ე. რ-ძის დედა ყოველთვიურად ურიცხავს გარკვეულ თანხას;

1.2.16. უკანასკნელი ფსიქოლოგიური კვლევა საინტერესოა ბავშვების მშობლებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. არასრულწლოვნები პოზიტიურ დამოკიდებულებაში არიან მამასთან, თუმცა, დედის მიმართ გამოხატავენ ამბივალენტურ განცდებს, ბოლომდე არ უარყოფენ მას, პერიოდულად ადგილი აქვს მის უარყოფით შეფასებას, მიუღებლობას, ვერბალურად თუ არავერბალურად გამოხატულ ანტიპათიას. განსაკუთრებულ გაუცხოებას ავლენს მ. მიუხედავად საკასაციო სასამართლოს თხოვნისა, ფსიქოლოგიური კვლევა წარსულ ფაქტებთან დაკავშირებით ნაკლებად მატრავმირებელი ყოფილიყო ბავშვებისათვის, მათ მიანც გაიხსენეს დედის პირადი ცხოვრების დეტალები. ფსიქოლოგის დაკვირვებით, მ. ამ ამბის შემსწრეა და დამაჯერებლად, თანმიმდევრულად იხსენებს მისთვის არასასიამოვნო მოვლენებს, მისი საუბრიდან იკვეთება, რომ ობიექტური პირადი გამოცდილება აქვს დედის მიმართ წყენის საფუძველი რომ ჰქონდეს, მესამე პირში მოიხსენიებს მას. ფსიქოლოგი ასკვნის იმასაც, რომ მამასთან და ბებიასთან ყოფნისას მ-ს სურს დედასთან კონტაქტიც, თუმცა, ერიდება ოჯახის წევრების. ნიშანდობლივია ფსიქოლოგის კვლევა ბებრის მიერ დედის პერსონის მიუღებლობისა და ბავშვის ნეგატიურად განწყობის თვალსაზრისით. გაორებული დამოკიდებულება გააჩნია თ-ს დედის მიმართ, დიალოგისას გამოხატავდა სევდას, მოწყენილობას, ამოიხრა რამდენჯერმე. ბავშვი ძმისგან გაზიარებული ინფორმაციის გავლენის ქვეშაა, საუბრისას ცდილობდა მ-ს მოეყვანა დასამონმებლად. თ-ს ემოციური თავშეკავებულობა არასასიამოვნო მოცემულობამ განაპირობა, თუმცა, ურთიერთობის დეფიციტის კომპენსირებას ცდილობს პოზიტიური მოლოდინით, დადებითი ცვლილებების აქცენტირებული ხაზგასმით. მიუხედავად სტრესული ფონისა, დედის სახე ბავშვში სასურველთან, მისი მისანვდომობის სურვილთან ასოცირდება. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე ფსიქოლოგების: ნ. კ-სა და ნ. ლ-ძის გამოკითხვით საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ბავშვების მიერ განცდილი ტრავმა, მათი ასაკის გათვალისწინებით, არ არის დაძლეული და ის ნეგატიურ გავლენას ახდენს მშობლებთან ურთიერთობის საკითხზე.

1.1.17. ფსიქოლოგის რეკომენდაციით, ბავშვები ადაპტირებული არიან ხონის რაიონში მდებარე თავიანთ საცხოვრებელ გარემოსთან, ბებია წარმოადგენს მზრუნველ ფიგურას, გრძნობენ ყურადღებასა და მზრუნველობას და ჰყავთ სოციალური წრე. მნიშ-

ენელოვანია, ოჯახის მხრიდან ხელი შეეწყოს დედასთან კონტაქტის აქტიუალური გამოცდილების მიღებას, ასეთ შემთხვევაში, ცალმხრივად ნეგატიური ფოკუსირებით არ შეაფასებენ დედას. მნიშვნელოვანია, მამამ და ბებიამ მისცენ არჩევანის შესაძლებლობა ბავშვებს და თავი შეიკავონ დედის უარყოფით კონტექსტში პრეზენტირებისგან ქცევითი, ემოციური თუ აზრობრივი ფორმებით. დედ-მამა ინტენსიურად უნდა ჩაერთონ არასრულწლოვანთა აღზრდის პროცესში, სასურველია დედამ გამოიჩინოს მეტი ინიციატივა, რადგანაც მისი მხრიდან პასიურობა შვილებისადმი დისტანცირებას გაზრდის.

### **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:**

1.3.1. ზემოხსენებული გარემოებების სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე, 1198-ე (1) (3), 1201-ე (2), 1202-ე, 1205-ე (1198-ე) მუხლებით, რომელთა ფარგლებშიც, კანონმდებლობით დადგენილია მშობელთა თანაბრობის პრინციპი არასრულწლოვნის აღზრდა-განვითარებისათვის სასარგებლო მოქმედებათა განხორციელებაში. მათი საცხოვრებელი ადგილისა თუ სხვა უფლებების განსაზღვრის ნაწილში პრიორიტეტს კანონმდებელი მშობელთა ნებას ანიჭებს, თუმცა, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საკითხის გადაჭრა სასამართლოს ვალდებულებაა. მშობელთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის გათვალისწინებით, ეროვნული კანონმდებლობა არ ადგენს რაიმე წესს, თუ რომელ მშობელს უნდა მიანიჭოს სასამართლომ უპირატესობა დავის გადაწყვეტისას, თუმცა, საკითხის განსაკუთრებული სენსიტიურობიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში, გადამწყვეტია სასამართლოს მხრიდან ბავშვის საუკეთესო ინტერესების გამორკვევა, რომელიც ნებისმიერ სხვა ინტერესს, იქნება ეს მშობლის სუვერენული უფლება თუ სხვა, გადანონის. ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება ასახულია ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის (შემდგომში – კონვენცია) მე-3 მუხლში, რომლის თანახმადაც, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპურველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებ-

სა და მოვალეობებს და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვებზე ზრუნვისათვის ან მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი დანესებულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და მათი პერსონალის რიცხვისა და ვარგისიანობის, აგრეთვე, კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

1.3.2. კონვენციის ხსენებული დებულებები ფართო განმარტებას ექვემდებარება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება სამგანზომილებიანია:

(ა) მატერიალური უფლება: ბავშვის უფლება, მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესის განხილვა კონკრეტულ საკითხზე გადანყვეტილების მისაღებად და გარანტია, რომ ეს უფლება განხორციელდება ყოველთვის, როდესაც გადანყვეტილება მისაღები ბავშვთან, ბავშვთა დადგენილ თუ დაუდგენელ ჯგუფთან ან ზოგადად ბავშვებთან დაკავშირებით. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ანესებს სახელმწიფოთა არსებით ვალდებულებას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს (თვითაღსრულებადია) და შეიძლება მოხმობილ იქნეს სასამართლოს წინაშე.

(ბ) ძირითადი, სამართლებრივი პრინციპი: თუ სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების შესაძლებლობას, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი განმარტება, რომელიც ყველაზე ეფექტიანად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმებში ასახული უფლებები ქმნიან ჩარჩოს განმარტებისათვის.

(გ) საპროცესო ნორმა: როდესაც ხდება ისეთი გადანყვეტილების მიღება, რომელიც შეეხება კონკრეტულ ბავშვს, ბავშვთა დადგენილ თუ დაუდგენელ ჯგუფს ან ზოგადად ბავშვებს, გადანყვეტილების მიღების პროცესი უნდა მოიცავდეს ამ გადანყვეტილების შესაბამის ბავშვზე ან ბავშვებზე შესაძლო ზეგავლენის (დადებითი თუ უარყოფითი) შეფასებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. ამასთან, გადანყვეტილების დასაბუთებაში უნდა ჩანდეს, რომ ეს უფლება ცალსახად იქნა გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განმარტონ, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული ეს უფლება გადანყვეტილებაში, ე.ი. რა იქნა მიჩნეული ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებად, რა კრიტერიუმებს

დაეფუძნა იგი და როგორ შეფასდა ბავშვის ქვეყნარბი ინტერესებში სხვა მოსაზრებებთან შედარებით, იქნება ეს პოლიტიკის ზოგადი საკითხები თუ ცალკეული შემთხვევები. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს ჩარჩოს მონაწილე სახელმწიფოთა სამი სხვადასხვა სახის ვალდებულებისთვის:

(ა) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ბავშვის ქვეყნარბი ინტერესები სათანადოდ ინტეგრირებული იყოს და თანმიმდევრულად ხდებოდეს მათი გათვალისწინება საჯარო უწყების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში, განსაკუთრებით განხორციელების ყველა ღონისძიებაში, ადმინისტრაციულ და სასამართლო სამართალწარმოებაში, რომელსაც პირდაპირი ზეგავლენა აქვს ბავშვებზე;

(ბ) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ყველა სასამართლო და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებაში, ისევე, როგორც ბავშვებთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში ნათლად ჩანდეს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესს დაეთმო უპირველესი ყურადღება. საჭიროა იმის აღწერაც, თუ როგორ მოხდა საუკეთესო ინტერესების შესწავლა და შეფასება და რა მნიშვნელობა მიენიჭა მათ გადაწყვეტილებაში.

(გ) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ბავშვის ინტერესები შეფასდა და დაეთმო უპირველესი ყურადღება კერძო სექტორის ყველა გადაწყვეტილებასა და ქმედებაში, მათ შორის მომსახურების მიმწოდებლების ან ნებისმიერი სხვა კერძო ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ, რომლებიც იღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვზე ან შეეხება მას.

1.3.3. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიზანია ნებისმიერი ქმედება, რომელიც უკავშირდება ბავშვს, უნდა ითვალისწინებდეს მის საუკეთესო ინტერესებს, როგორც უპირველეს პრიორიტეტს. სიტყვა „ქმედება“ მოიცავს არა მხოლოდ გადაწყვეტილებებს, არამედ მოქმედებებს, ქცევას, წინადადებებს, მომსახურებას, პროცედურებსა და სხვა ღონისძიებებს. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, სათანადოდ გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები, წარმოადგენს ყოვლისმომცველ ვალდებულებას, რომელიც მოიცავს ყველა საჯარო და კერძო სოციალური დაცვის ორგანოს, სასამართლოს, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და საკანონმდებლო ორგანოებს, რომლებსაც შეეხება აქვთ ან დაკავშირებული არიან ბავშვებთან. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები პირდაპირ არ არიან ნახსენები მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, ბავშვის საუკეთესო ინტერესები „უნდა იყოს მათი მთავარი საზრუნავი“ (მე-18 მუხლის პირველი პუნქტი). ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას, კონკრეტული ლო-

ნისძიების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

(ა) საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ კონტექსტში უნდა განისაზღვროს, თუ რომელია შესაბამისი ელემენტები საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის, მიენიჭოს მათ კონკრეტული შინაარსი და პრიორიტეტი ერთმანეთთან მიმართებაში;

(ბ) ამისათვის დაცული უნდა იქნეს ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ გარანტიებსა და უფლების სათანადო გამოყენებას.

„საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა“ წარმოადგენს ოფიციალურ პროცესს მკაცრი საპროცესო გარანტიებით, რომელიც შექმნილია ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრად საუკეთესო ინტერესების შეფასების საფუძველზე. სავალდებულოა ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მშობლებისაგან ბავშვის პოტენციური განცალკევების კონტექსტში (მე-9, მე-18 და მე-20 მუხლები). აქვე უნდა ითქვას, რომ ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ფუნდამენტურ ერთეულს და მისი წევრების, განსაკუთრებით ბავშვების, ბუნებრივ გარემოს აღზრდისა და კეთილდღეობისათვის (კონვენციის პრეამბულა). ბავშვის ოჯახური ცხოვრების უფლება დაცულია კონვენციით (მე-16 მუხლი). ტერმინი „ოჯახი“ ფართოდ განიმარტება და მოიცავს ბიოლოგიურ, შვილად ამყვან, მინდობით მიმღებ მშობლებს, შესაბამის შემთხვევებში, ნათესავებს ან თემის წარმომადგენლებს ადგილობრივი ჩვეულებების შესაბამისად (მე-5 მუხლი). ოჯახის განცალკევების პრევენცია და ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება ბავშვთა დაცვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტებია და ეფუძნება მე-9 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ უფლებას, რომელიც მოითხოვს, რომ „ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ [...] ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს“, ამასთან, ერთ ან ორივე მშობელთან დაცილებული ბავშვი უფლებამოსილია, „რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს“ (მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი). ბავშვზე მშობლებთან დაშორების ზეგავლენის სიმძიმედან გამომდინარე, ამგვარი დაშორება უნდა განხორციელდეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა, როდესაც ბავშვს ემუქრება უშუალო საფრთხე ან როდესაც ეს სხვაგვარად არის აუცილებელი. დაშორება არ უნდა განხორციელდეს, თუ ნაკლებად მკაცრი ზომებით შესაძლებელია ბავშვის დაცვა. დაშორების განხორციელებამდე სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება მშობლებს თა-

ვიანთი პასუხისმგებლობის შესრულებაში და აღადგინოს ან გააძლიეროს ოჯახის უნარი, იზრუნოს ბავშვზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაშორება აუცილებელია ბავშვის დასაცავად. ეკონომიკური მიზეზები არ შეიძლება იქნეს გამოყენებული გამართლებად ბავშვის მშობლებთან დაშორებისათვის. დაშორება შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ოჯახისათვის აუცილებელი დახმარება ოჯახის შესანარჩუნებლად არ არის საკმარისად ეფექტიანი ბავშვის უგულვებელყოფის ან მიტოვების, ან ბავშვის უსაფრთხოების რისკის პრევენციისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის უფლება, შეინარჩუნოს ურთიერთობა ორივე მშობელთან, საქმისათვის რელევანტურ სხვა ელემენტებთან ერთად. ემოციური ზრუნვა ბავშვთა ძირითად საჭიროებას წარმოადგენს. თუ მშობლები ემოციურ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებენ, მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა ბავშვს განუვითარდეს უსაფრთხო სიყვარული. ბავშვებს უნდა ჩამოუყალიბდეთ სიყვარული მზრუნველის მიმართ ძალზე ადრეულ ასაკში და ეს სიყვარული, თუ იგი ადეკვატურია, შენარჩუნებული უნდა იქნეს დროთა განმავლობაში ბავშვისათვის სტაბილური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით.

1.3.4. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის უსაფრთხოებაც, ე.ი ბავშვის უფლება, იყოს დაცული ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის ყველა ფორმისაგან, ზიანისა და ჩაგვრისაგან (მე-19 მუხლი), სექსუალური ძალადობისაგან, თანატოლთა მხრიდან ზეწოლისაგან, ჩაგვრისაგან, დამამცირებელი მოპყრობისაგან და სხვ., ასევე სექსუალური, ეკონომიკური და სხვა სახის ექსპლუატაციისაგან, ნარკოტიკებისაგან, შრომისაგან, შეიარაღებული კონფლიქტისაგან და ა.შ (მუხლები 32-39). საუკეთესო ინტერესების შეფასების ელემენტები შესაძლოა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს კონკრეტული შემთხვევისა და მისი გარემოებების განხილვის დროს. მაგალითად, ოჯახური გარემოს შენარჩუნება შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მშობლების მხრიდან ძალადობის ან ჩაგვრის რისკისაგან ბავშვის დაცვის საჭიროებას. ამგვარ სიტუაციებში ელემენტები ერთმანეთთან მიმართებით უნდა აინონ-დაინონოს, რათა მოძიებული იქნეს ისეთი გადაწყვეტის გზა, რომელიც ბავშვის ან ბავშვების საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება. სხვადასხვა ელემენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის მიზანია კონვენციით და მისი ფაკულტატური ოქმებით გათვალისწინებული უფლებებით სრული და ეფექტიანი სარგებლობისა და ბავშვის ყოვლისმომცვე-

ლი განვითარების უზრუნველყოფა. ელემენტების დაბალანსებისას არსებითი უნდა იყოს ბავშვის ასაკი და სიმწიფის ხარისხი. ბავშვის სიმწიფის ხარისხის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის ფიზიკური, ემოციური, შემეცნებითი და სოციალური განვითარება. საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ბავშვის უნარები, განვითარდება. ამიტომ მხედველობაში მიიღება ისეთი ელემენტები, რომელთა გადასინჯვა ან მორგება იქნება შესაძლებელი. ამისათვის შეფასებას ექვემდებარება არა მხოლოდ ფიზიკური, ემოციური, საგანმანათლებლო და სხვა საჭიროებები გადანყვეტილების მიღების კონკრეტულ მომენტში, არამედ ბავშვის განვითარების შესაძლო ვარიანტებიც და უნდა გაანალიზდეს ისინი მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ თვალსაზრისით გადანყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის არსებული და სამომავლო სიტუაციის განგრძობადობასა და სტაბილურობას.

1.3.5. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს არასრულწლოვანი მ. და თ. ლ-ის ასაკს, მიჯაჭვულობას მამის მიმართ, ასევე იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ბავშვები იმყოფებიან მამისა და ბებუის მხრიდან დედასთან დამამორებელი გავლენის ქვეშ და მათ ამ ეტაპზე არ შეუძლიათ დამოუკიდებელი დასკვნების გამოტანა, შესაბამისად, იკვეთება მათი სურვილი, ურთიერთობა იქონიონ დედასთან, თუმცა, გარეგანი ფაქტორი რეალური ნების გამოვლენაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. ასეთ ვითარებაში, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ არასრულწლოვანთა საცხოვრებელი განისაზღვროს მამის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც ბავშვები ადაპტირებული არიან გარემოსთან, იღებენ განათლებას, აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას, აქვთ შექმნილი კეთილსაიმედო გარემო და მეტ-ნაკლებად იღებენ ნორმალური აღზრდა-განვითარებისათვის საჭირო სერვისს, თუმცა, სასამართლო მხარს უჭერს ოჯახთან გაერთიანების პრინციპს და მიიჩნევს, რომ სავალდებულოა, არასრულწლოვანთა დედას მიეცეს შეუზღუდავი ურთიერთობის შესაძლებლობა შეილებთან, მათ შორის თავისთან წაყვანისა და ღამის გათევის უფლებით, რათა დროთა განმავლობაში დედა-შვილებს შორის წარმოშობილი გაუცხოება აღმოიფხვრას, დედას მიეცეს შესაძლებლობა, შეცვალოს ბავშვებში არსებული ნეგატიური მუხტი და განწყობის ისინი საკუთარი თავის მიმართ კეთილსაიმედოდ, ვინაიდან, მშობელთა დაშორების მიუხედავად, არასრულწლოვნებს აქვთ სრული უფლება, შეძლებისდაგვარად იქონიონ ურთიერთობა ორივე მათგანთან, ჰქონდეთ ნორმალური აღზრდისათვის მშობლიური სიტბოს მიღებისა და მშვიდობიან გარემოში ცხოვრების შე-



საძლებლობა.

1.3.6. საკასაციო სასამართლო შეშფოთებას გამოხატავს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ბავშვების მიმართ ვლინდება ნეგატიური ფსიქოლოგიური ზემოქმედება ერთ-ერთი მშობლის მხრიდან, როგორც ფსიქოლოგის დასკვნიდან ირკვევა, ბავშვებს სურვილი აქვთ, ურთიერთობა იქონიონ დედასთან, თუმცა, ამ სურვილის გამჟღავნების ერიდებათ ოჯახის სხვა წევრებთან, ასევე, ისინი დედასთან წასვლას სიამოვნებით თანხმდებიან თუ ოჯახის სხვა წევრები ამაზე თანახმა იქნებიან და დედა დააბრუნებს მათ მამის სახლში. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაზე (იხ. ECHR: რ. ი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ, 18.12.2018წ.), რომლის თანახმადაც, მშობლისა და ბავშვის ერთად ყოფნის, თანაცხოვრების სიამოვნება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის, „ოჯახური ცხოვრების“ უფლების ძირითადი არსია, მაშინაც კი, როდესაც ურთიერთობა მშობელსა და ბავშვს შორის გარკვეულწილად პრობლემურია. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური ცხოვრება, კონვენციის მიხედვით, ძირითადად, დაცულია სახელმწიფოს მხრიდან შერჩევითი ჩარევის შემთხვევებისგან, დამატებით, ასევე, არსებობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება – „პატივი სცეს“ ოჯახურ ცხოვრებას. სახელმწიფოს პოზიტიური ღონისძიება მე-8 მუხლის მიზნებისთვის გულისხმობს სახელმწიფო ორგანოების ნაბიჯებს – გააერთიანოს მშობლები და ბავშვები, ხელი შეუწყოს მათ ერთმანეთთან დაბრუნებას. ოჯახების გაერთიანება ეხება არა მარტო იმ შემთხვევებს, როდესაც ბავშვი მოთავსებულია სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებაში, საიდანაც უნევს ოჯახში დაბრუნება, არამედ იმ შემთხვევებსაც, როდესაც მშობლებს შორის მიმდინარეობს საოჯახო დავა ბავშვებთან ურთიერთობისა და საცხოვრებლის განსაზღვრის თაობაზე. ეს პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს როგორც კანონმდებლობის არსებობას, ისე – მის ეფექტიან აღსრულებას. სასამართლო ამონმებს იყო თუ არა დაცული ბალანსი ინდივიდისა და საზოგადოების, მათ შორის, მესამე პირების, ინტერესებს შორის. ამ ბალანსის დაცვის პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის საუკეთესო ინტერესს, რომელიც, გარემოებების არსიდან და სირთულიდან გამომდინარე, შესაძლოა, აჭარბებდეს მშობლების ინტერესის დაცვის მიზანს. ამავე დროს, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ბავშვის მონყვლადი სტატუსიდან გამომდინარე, იგი დაცვის განსაკუთრებულ ზომას საჭიროებს.

1.3.7. საკითხის სენსიტიურობიდან, ასევე, ბავშვის მონყვლადი სტატუსიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საკასაციო სა-

სამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისას მხედველობაში უნდა იქნეს ზემოხსენებული ინტერესები მიღებული და სწორედ არასრულწლოვანთა ფსიქო-სოციალური საჭიროებიდან გამომდინარე, გრძელვადიან პერსპექტივაში დედასთან ურთიერთობის გაჯანსაღების მიზნით, უნდა მიეცეს ე. რ-ძის შვილების თავისთან წაყვანის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ბავშვების ასაკის, არსებული დაძაბული ფონისა და ურთიერთობის კრიზისის სიცხადის გათვალისწინებით, იმისათვის, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს ორივე მშობელთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს ბოლო ფსიქოლოგიური კვლევის რეკომენდაციას ფსიქოლოგის ჩართულობის თაობაზე, რათა საბოლოოდ გადაიჭრას შვილების ოჯახთან გაერთიანების ნეგატიური ფაქტორები, შესაბამისად, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების ხანგრძლივ პერსპექტივაში სრულყოფის მიზნით, ერთი მხრივ, ზ. ლ-ს უნდა აეკრძალოს დედის მიმართ იმგვარი დამაშორებელი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც ნეგატიურად იმოქმედებს ბავშვების მოპასუხესთან ურთიერთობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, არასრულწლოვანთა კანონიერ წარმომადგენელს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა დაევალოს, გამოეყოს ფსიქოლოგი, რათა დახმარება გაენიოთ არასრულწლოვნებს დედასთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში, სტრესთან გამკლავებაში, ემპათიის, მიმდინარე მოვლენებისა და ქცევის გაგებაში. ის მშობელი, რომელთანაც იქნებიან ბავშვები, ვალდებულია, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შეთანხმებით, უზრუნველყოს არასრულწლოვნების ვიზიტი ფსიქოლოგთან (არდადეგების პერიოდში ეს საკითხი გადაწყდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შეთანხმებით, ბავშვთა ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით). კონსულტაციების ხანგრძლივობა/ ინტენსივობა კი, უნდა განისაზღვროს ფსიქოლოგის მიერ. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოს მშობლებისა და შვილების ურთიერთობის აღდგენის კონტექსტში მნიშვნელოვნად მიაჩნია ზ. ლ-ისა და ე. რ-ძის ინტენსიური ჩართულობა არასრულწლოვნების აღზრდის პროცესში მათი ფსიქო-ემოციური, სოციალური და საგანმანათლებლო საჭიროებების ხელშეწყობის თვალსაზრისით. ამ პროცესის სრულყოფის მიზნით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, შესაბამისი სოციალური მუშაკის ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, საჭიროების აღმოფხვრამდე ზედამხედველობა უნდა განახორციელოს თითოეული მშობლის ბავშვთან დამოკიდებულებაზე, იქონიოს აქტიური კომუნიკაცია ბავშვებთან, რათა გამოარკვიოს წინამდება-

რე გადაწყვეტილების პოზიტიური კუთხით აღსრულების დამაბრკოლებელი წინაპირობების არსებობა.

1.3.8. საკასაციო სასამართლო, პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, ხაზს უსვამს მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს როლს მსგავსი კატეგორიის საქმეებში და აღნიშნავს, რომ მეურვეობის არაეფექტური და დაგვიანებული ჩართულობა, შესაძლოა არღვევდეს კონვენციის მე-8 მუხლს. ამ კონტექსტში ღონისძიებების ადეკვატურობა ფასდება მისი აღსრულების სისწრაფით, ვინაიდან, დროის ფაქტორს აქვს შეუქცევადი ეფექტი ბავშვის და იმ მშობლის ურთიერთობაზე რომელთანაც არ თანაცხოვრობს. სამართალწარმოების დრო განსაკუთრებულად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, როდესაც დავა ეხება ბავშვებს, ვინაიდან, ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ პროცედურების ნებისმიერი სახით გაჯანჯლება გავლენას იქონიებს საკითხის გადაწყვეტაზე. ევროსასამართლოს განმარტებით, ხელისუფლების ორგანოების წარუმატებელი ქმედებები ავტომატურად არ გულისხმობს, რომ მან დაარღვია მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება. ხელისუფლების ვალდებულება ბავშვისა და მშობლის გაერთიანებისა, არ არის აბსოლუტური, ვინაიდან იმ ბავშვისა და მშობლის გაერთიანება, რომლებიც გარკვეული ხნის განმავლობაში ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, შესაძლოა, ვერ მოხდეს დაუყოვნებლივ და შესაძლოა, მოითხოვოს მოსამზადებელი სამუშაოები. მოსამზადებელი სამუშაოების ხასიათი და ინტენსივობა დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, მაგრამ ამ სამუშაოების დროს გადამწყვეტია ყველა მხარის ჩართულობა და თანამშრომლობა ერთმანეთთან. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გააკეთონ მაქსიმუმი ამ თანამშრომლობის მხარდასაჭერად, თუმცა, ამავე დროს, მათ აქვთ იძულებითი ღონისძიებების განხორციელების შეზღუდული ვალდებულება, ვინაიდან მათ უნდა გაითვალისწინონ ყველა ჩართული მხარის ინტერესი, უფლებები და თავისუფლებები, განსაკუთრებით კი, ბავშვის საუკეთესო ინტერესი და მისი მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლება. არ არის მისაღები და სასურველი იძულებითი ღონისძიებების გატარება ბავშვების მიმართ ამ განსაკუთრებულად მგრძობიარე ვითარებაში, თუმცა, არ უნდა გამოირიცხოს სანქციების გამოყენება იმ მშობლის უკანონო ქმედების მიმართ, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი. შესაძლებელია, ხელისუფლების მხრიდან უფრო მკაცრი სანქციის გამოყენებამ არ შეცვალოს ამ მშობლის პოზიცია, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს ხელისუფლების ორგანოებს ვალდებულებისგან მიიღონ ყველა საჭირო ზომა კონტაქტის დასამყარებლად (ბავშვსა და იმ მშობელს შორის, რომელთანაც ბავშვი დააცილეს).

მართალია, ბავშვების აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული, მაგრამ მათი აზრი ყოველთვის საბოლოოდ ჩამოყალიბებული და უცვლელი არ არის. ბავშვის უფლება გამოხატოს თავისი აზრი, არ უნდა განიმარტოს, როგორც უპირობო უფლება, სხვა ფაქტორებისა და მისი ქვემარტივი ინტერესის გამოკვლევის გარეშე. ასეთი ინტერესი კი, როგორც წესი, მიუთითებს, რომ ბავშვის კავშირები ოჯახთან უნდა შენარჩუნდეს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კავშირი საზიანოა ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის. ხელისუფლების სწრაფი მოქმედების ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმეში, სადაც მეურვეობაზე უფლების მქონე მშობელი ითხოვს ბავშვების დაბრუნებას პირისგან (იქნება ეს ერთ-ერთ მშობელი თუ მესამე მხარე), ვისაც ბავშვები უკანონოდ ჰყავს, მეურვეობის მქონე პირის თანხმობის გარეშე.

1.3.9. რაც შეეხება ე. რ-ძისათვის უფლებების შეზღუდვის საკითხს, როგორც უკვე ითქვა, ხსენებული საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1205-ე (1) (2) და 1198-ე (5) (6) მუხლების ფარგლებში უნდა შეფასდეს. ხსენებული ნორმების თანახმად, მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში. მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად. მსგავსად არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა, საკასაციო სასამართლო ამ შემთხვევაშიც ხელმძღვანელობს ბავშვების საუკეთესო ინტერესებით, მხედველობაში იღებს მათი ურთიერთობის აუცილებლობას და გრძელვადიან პერსპექტივაში დედასთან დამოკიდებულების სტაბილიზაციის შესაძლებლობას, შეფასებას აძლევს არასრულწლოვანთა მატრავმატიზირებელ, წარსულში გამოვლენილ ფაქტს, რომელმაც გავლენა იქონია ბავშვებზე. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს არ წარმოადგენს დედის პირადი ცხოვრება, უფრო მეტიც, აღნიშნული საკითხის შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის ვერ იქნება, თუკი არ ვლინდება ბავშვების მიმართ სექსუალური ან სხვა ხასიათის ძალადობა. მოცემულ შემთხვევაში, არცერთი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას არ დადგენილა დედის მხრი-

დან პირადი ცხოვრების უფლების იმგვარი დემონსტრირება, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვების ინტერესების შელახვას, გარდა ამისა, სასამართლო ითვალისწინებს დედის სურვილს, ურთიერთობა იქონიოს შვილებთან, მის ზრუნვას შვილებზე, მცდელობას, აღადგინოს არსებული გაუცხოება, ასევე, ბავშვების პოზიტიურ მოლოდინს დადებითი ცვლილებების მიმართ, მათ სურვილს დედის მიმართ მისანვდომობაზე და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს 1205-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობები.

#### **1.4. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:**

1.4.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

1.4.2. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ იკვეთება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს დავა. ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.3. პუნქტში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელი ნაწილობრივ საფუძვლიანია, კერძოდ, გარემოების სხვაგვარად შეცვლამდე არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ადგილი უნდა განისაზღვროს მამის საცხოვრისით იმგვარად, რომ ბავშვებს არ შეეზღუდოთ დედასთან ურთიერთობის შესაძლებლობა, ამასთანავე, სპეციალისტთა აქტიური ჩართულობით მშობლებს უნდა დაეკისროთ შვილების საუკეთესო ინტერესების გამოვლენა და ამ გზით მათი დამაშორებელი ქცევის აღმოფხვრის ხელშეწყობა. რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას, მოპასუხისათვის მშობლის უფლებების შეზღუდვის თაობაზე, ამ ნაწილში სარჩელი უსაფუძვლოა და პალატა უარყოფს მას.

#### **1.5. პროცესის ხარჯები:**

1.5.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა

დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

1.5.2. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ (მოთხოვნის  $\frac{1}{2}$  ნაწილში) დაკმაყოფილდა, პალატა თვლის, რომ დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 350 ლარის გადახდა, ხოლო, განუული ხარჯი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 411-ე მუხლებით და

### **ბ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ზ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. ზ. ლ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს:
  - 3.1. მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე არასრულწლოვნების: თ. ლ-ისა (დაბადებული 2011 წლის 30 მარტს) და მ. ლ-ის (დაბადებული 2010 წლის 8 თებერვალს) საცხოვრებელი ადგილი განისაზღვროს მამის – ზ. ლ-ის საცხოვრებელი ადგილით;
  - 3.2. ზ. ლ-ის მოთხოვნა ე. რ-ძისათვის შვილების: თ. და მ-ს ლ-ის საცხოვრებლად წაყვანისა და ბავშვების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
  - 3.3. ე. რ-ძეს მიეცეს უფლება, შეუზღუდავად იქონიოს ურთიერთობა შვილებთან, მათ შორის, უქმე და/ან არასასწავლო დღეებში წაიყვანოს ისინი ღამის თევის უფლებით არასრულწლოვანთა ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით;
  - 3.4. ზ. ლ-ს აეკრძალოს მ. და თ. ლ-ის მიმართ დამაშორებელი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც ნეგატიურად იმოქმედებს ბავშვების დედასთან – ე. რ-ძესთან ურთიერთობაში;

3.5. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც არასრულწლოვანთა კანონიერ წარმომადგენელს დაევალოს, გამოყოს ფსიქოლოგი, რათა დახმარება გაენიოთ არასრულწლოვნებს დედასთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში, სტრესთან გამკლავებაში, ემპათიის, მიმდინარე მოვლენებისა და ქცევის გაგებაში. ის მშობელი, რომელთანაც იქნებიან ბავშვები, ვალდებულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შეთანხმებით, უზრუნველყოს არასრულწლოვნების ვიზიტი ფსიქოლოგთან (არდადეგების პერიოდში ეს საკითხი გადაწყდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შეთანხმებით, ბავშვთა ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით). კონსულტაციების ხანგრძლივობა/ინტენსივობა განისაზღვროს ფსიქოლოგის მიერ;

3.6. ზ. ლ-სა და ე. რ-ძეს დაევალოთ, იქონიონ ინტენსიური ჩართულობა არასრულწლოვნების აღზრდის პროცესში მათი ფსიქოემოციური, სოციალური და საგანმანათლებლო საჭიროებების ხელშეწყობის თვალსაზრისით;

3.7. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, შესაბამისი სოციალური მუშაკის ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, საჭიროების აღმოფხვრამდე ზედამხედველობა განახორციელოს თითოეული მშობლის ბავშვთან დამოკიდებულებაზე, იქონიოს აქტიური კომუნიკაცია ბავშვებთან, რათა გამოარკვიოს წინამდებარე გადაწყვეტილების პოზიტიური კუთხით აღსრულების დამაბრკოლებელი წინაპირობების არსებობა.

4. ე. რ-ძეს (პ/№...) ზ. ლ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს 350 ლარის გადახდა.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

## ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-735-735-2018

20 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ბ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მონინალმდევე მხარე ან დედა) და ზ. ხ-ძე (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი, კასატორი ან მამა) 2004 წლის 15 თებერვლიდან იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში, ხოლო 2013 წლის 21 თებერვალს მათი ქორწინება დარეგისტრირდა კანონით დადგენილი წესით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 1106-ე, 1151-ე მუხლები).

2. თანაცხოვრების პერიოდში მხარეებს შეეძინათ ორი შვილი: გ. (დაბადებული 2004 წლის 22 ივლისს, შემდეგში ასევე მოხსენიებული, როგორც პირველი შვილი ან ვაჟი) და გ. (დაბადებული 2009 წლის 19 იანვარს, შემდეგში ასევე მოხსენიებული, როგორც მეორე შვილი ან ქალიშვილი) ხ-ები (შემდეგში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც შვილები, ბავშვები ან არასრულწლოვნები).

3. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ურთიერთობა გამწვავებულია. ისინი 2016 წლის ივლისიდან ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

4. ამჟამად მოსარჩელე მამასთან, ქ. ბათუმში, ... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც დედის საცხოვრებელი მისამართი ან დედის საცხოვრებელი ადგილი) მდებარე ბინაში, ხოლო მოპასუხე წალკის რაიონის სოფელ ...-ში (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც მამის საცხოვრებელი ადგილი ან მამის საცხოვრებელი მისამართი) ცხოვრობს.

5. ბავშვები საკასაციო საჩივრის განხილვის დროისათვის დედასთან იმყოფებიან, ხოლო სარჩელის აღძვრის დროს, მამასთან (მოპასუხესთან) ცხოვრობდნენ. ისინი პირველი კლასიდან წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ...-ის საჯარო სკოლაში სწავლობდნენ,



ამჟამად კი, ...-ის საჯარო სკოლაში ირიცხებიან.

6. მოპასუხე (მამა) დასაქმებულია ერთ-ერთ კომპანიაში, ყოველი კვირის ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, დილის 08:00 საათიდან საღამოს 18:00 საათამდე, ყოველთვიური ხელფასის – 1000 ლარის ანაზღაურების სანაცვლოდ.

7. მოპასუხესთან ერთად ცხოვრობენ ამ უკანასკნელის მშობლებიც, 57 წლის მამა – ი. ხ. (შემდეგში მოხსენიებული, როგორც მოპასუხის მამა), რომელიც ამჟამად უმუშევარია და ძირითად დროს ატარებს სახლში და 59 წლის დედა – ქ. ხ. (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხის დედა).

**8. 2016 წლის 26 აგვისტოს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა მოითხოვა. იმავე წლის 7 ოქტომბერს, სხვა სარჩელით, მან არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებლად, თავისი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრაც მოითხოვა. აღნიშნული საქმეები მათი პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს, ერთ წარმოებად გაერთიანდა.**

8.1. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მეუღლეები ერთად 13 წელი ცხოვრობდნენ. ამ პერიოდის განმავლობაში მოპასუხე მეუღლის მიმართ იჩენდა აგრესიას და ძალადობდა მასზე. ვინაიდან, გამწვავებული ურთიერთობის გამო, მეუღლეთა თანაცხოვრება შეუძლებელი იყო, მოსარჩელე ორივე შვილთან ერთად ქ. ბათუმში მამასთან გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა, მოგვიანებით, მოპასუხემ ბავშვები დაუკითხავად წაიყვანა თავის საცხოვრებელ ადგილზე და დედას შეუზღუდა შვილებთან ურთიერთობა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ბავშვები არიან მზრუნველობის გარეშე. მოპასუხე თანაცხოვრების პერიოდშიც არ აქცევდა ყურადღებას შვილებს, ის მათ აღზრდა-განვითარებაში არასდროს მონაწილეობდა. მოპასუხის სახლში ცხოვრობენ ასევე ამ უკანასკნელის მშობლები, რომლებიც ავად არიან და არ აქვთ შესაძლებლობა, სათანადო ყურადღება მიაქციონ შვილიშვილებს. გარდა აღნიშნულისა, ძალადობის გამო პოლიციამ მოპასუხის მიმართ შემაკავებელი ორდერი გასცა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოსარჩელესთან თანაცხოვრების პერიოდში, შვილების თანდასწრებით ავლენდა აგრესიას და ძალადობდა მასზე, შესაბამისად, ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მათ საცხოვრებლად, მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი უნდა განსაზღვრულიყო.

9. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მეუღლეზე არასოდეს უძალადია. ბავშვები იზრდებოდნენ და იზრდებიან მშვიდად, მათთვის საუკეთესო ინტერესების შესაფერის გარემოში. მართალია მოსარჩელე საცხოვრებლად ქ. ბათუმში გადავიდა, თუმცა

მას ბავშვები თავისთან არ წაუყვანია, არასრულწლოვნები დაბადებიდან, მუდმივად ცხოვრობდნენ მამის საცხოვრებელ მისამართზე. მოპასუხემ მიუთითა, რომ მას არასოდეს შეუშლია ხელი მოსარჩელისა და ბავშვების ურთიერთობისათვის. არასრულწლოვნები ზაფხულის არდადეგებზე გარკვეული დროით იმყოფებოდნენ კიდევ დედასთან ბათუმში. მოსარჩელის საცხოვრებელ მისამართზე არ არის შექმნილი ბავშვების ცხოვრებისთვის შესაფერისი პირობები. საცხოვრებელი სახლი არის ოროთახიანი. გარდა ამისა, მოსარჩელესთან ერთად ცხოვრობს მისი ძმაც, რომელიც ნასამართლევა ქურდობისთვის. შესაბამისად, ცხადი იყო, რომ ასეთ გარემოში ბავშვების ცხოვრება არ გამომდინარეობდა მათი საუკეთესო ინტერესებიდან.

მოსარჩელის მითითება, რომ მოპასუხე არ ზრუნავდა შვილებზე – არ შეესაბამებოდა სიმართლეს. ბავშვების აღზრდაში მას ეხმარებიან თავისი მშობლები. არასრულწლოვნები დაბადებიდან იზრდებოდნენ და იზრდებიან ბებიისა და ბაბუის გვერდით, ბებია და ბაბუა ზრუნავენ საკუთარ შვილიშვილებზე, ხოლო მოსარჩელის განცხადება, თითქოს, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბავშვებს საფრთხეს უქმნის – უსაფუძვლო იყო. მოპასუხემ განმარტა, რომ ის ცხოვრობს ორსართულიან სახლში, სადაც ბავშვებს აქვთ თავიანთი ოთახები, სამეცადინო კუთხე, რომელიც უზრუნველყოფილია კომპიუტერთა და სხვა საჭირო ტექნიკით. მამის საცხოვრებელ მისამართზე ბავშვების ცხოვრებისთვის საუკეთესო პირობებია, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ამ ნაწილში უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

10. მესამე პირის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო) წარმომადგენელი დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას, ბავშვების საცხოვრებლად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ.

**11. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შეწყდა რეგისტრირებული ქორწინება; ბავშვების საცხოვრებლად განისაზღვრა დედის (მოსარჩელის) საცხოვრებელი ადგილი. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 1106-ე, 1122-ე, 1127-ე, 1197-ე, 1199-ე, 1202-ე, 1212-ე, 1213-ე, 1214-ე, 1234-ე, 1182-ე, 1185-ე მუხლები, ასევე, „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენცია გამოიყენა. სასამართლომ შემდეგ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოიტანა სარჩელის საფუძვლიანობის შესახებ დასკვნა:**

11.1. ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალუ-

რი მუშაკის 2016 წლის 28 ოქტომბრის დასკვნა, რომლის მიხედვით, შესწავლილ და შეფასებულ იქნა მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი და ოჯახი. მოკვლევის შედეგად, სოციალურმა მუშაკმა მიიჩნია, რომ მოსარჩელის ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლი, რომელიც მისი მამის – ვ. ბ-ძის (შემდეგში ტექსტში ასევე მოხსენიებული, როგორც მოსარჩელის მამა) საკუთრებაა, არის კეთილმოწყობილი, აღჭურვილია ავეჯითა და აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთებით. სანიტარულ-ჰიგიენური პირობები დამაკმაყოფილებელია. საცხოვრებელი ფართი არის 64 კვ.მ, სადაც განთავსებულია მისაღები, ორი საძინებელი, სამზარეულო, აბაზანა ტუალეტით. ოჯახში ყველა წევრი დასაქმებულია. თვითონ მოსარჩელე სერტიფიცირებული პედაგოგია და მუშაობს ბათუმის ...-ის სახელობის სკოლა-ლიცეუმში, მისი ყოველთვიური ხელფასი 760 ლარს შეადგენს. აღნიშნული შეფასების დროს დედისა და შვილების ურთიერთობა ვერ შეფასდა, გამომდინარე იქიდან, რომ 2016 წლის 19 სექტემბერს მოპასუხემ ბავშვები სკოლიდან თვითნებურად და დაუკითხავად წაიყვანა ნალკის რაიონში. დასკვნაში აღნიშნულია, რომ დედას აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა. მას გააჩნია ის აუცილებელი თანადგომის ქსელი მშობლის სახით, რომელიც იზრუნებს ბავშვებზე. დედის გადმოცემით, მისი ოჯახის შემოსავალი იძლევა იმის საშუალებას, რომ შვილები უზრუნველყოს საკვებით, ტანსაცმლითა და სხვა აუცილებელი პირადი ნივთებით. ამისათვის ოჯახს გააჩნია საკმარისი დრო და ენერჯია. არასრულწლოვანი ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მშობლებს შორის არსებული წინააღმდეგობები და უთანხმოება არ უნდა ზღუდავდეს ბიოლოგიურ მშობლებთან ურთიერთობას, რაც შემდგომში, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს მათი ფიზიკური, კოგნიტური თუ ფსიქოლოგიური განვითარების პროცესზე და შექმნას საფრთხე მათი საზოგადოების სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის;

11.2. ნალკის სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის 2016 წლის 8 ნოემბრის დასკვნა, რომლითაც შეფასდა მოპასუხის ოჯახური პირობები და საცხოვრებელი გარემო და გამოიკვეთა, რომ მოპასუხის საცხოვრებელი სახლის ზოგადი მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. მოპასუხე შვილებთან და მშობლებთან ერთად ცხოვრობს ორსართულიან, კეთილმოწყობილ საკუთარ სახლში, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით. სახლის გათბობას უზრუნველყოფს შემის ლუმელი, მონესრიგებულია სველი წერტილები. მათ აქვთ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ხელფასითა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მოპასუხის ოჯახი მატერიალურად სრულად უზრუნველყოფილია.

არასრულწლოვნები დაბადებიდან ცხოვრობენ წალკის რაიონის სოფელ ...-ში, დადიან ... საჯარო სკოლაში. გაკვეთილებზე დასწრების სიხშირე სასწავლო განრიგის შესაბამისია. ისინი დაკმაყოფილებული არიან სასკოლო ინვენტარით, სეზონის შესაბამისი ტანსაცმლით, ვიტამინიზირებული საკვებით და ა.შ.;

11.3. სოციალური მომსახურების სააგენტოს ქვემო ქართლის სამხარეო ცენტრის ფსიქოლოგიური კვლევის შედეგები, რომლის საფუძველზეც, ფსიქოლოგმა აღნიშნა შემდეგი: „შეფასების პროცესში ბავშვები დაგეგმილ შეხვედრაზე მოიყვანა მამამ, თავიდან შეხვედრა ჩატარდა მამასთან ერთად. გაცნობისა და რამდენიმეწუთიანი ურთიერთობის შემდეგ შეხვედრა გაგრძელდა მამის გარეშე. ინტერვიუსა და პროექციულ სავარჯიშოებში ბავშვები მშობლების მიმართ ავლენდნენ მშობლიურ დამოკიდებულებას; დასმულ კითხვაზე პასუხობდნენ, რომ მშობლების განქორწინების შემთხვევაში აქვთ სურვილი, იცხოვრონ მშობლებთან ერთად: კერძოდ, იცხოვრონ დედასთან, შაბათ – კვირასა და არდადეგებზე მივიდნენ მამასთან; თუ იცხოვრებენ მამასთან, შაბათ – კვირასა და არდადეგებზე მივიდნენ დედასთან; ინტერვიუს განმავლობაში, ბავშვები მსჯელობდნენ შემდეგზე: უფროსი შვილი (ვაჟი) აღნიშნავდა, რომ შორი მანძილია მშობლების საცხოვრებლებს შორის და, დიდი სურვილის მიუხედავად, შაბათ-კვირას რთული იქნება ერთი მშობლისგან მეორესთან მისვლა; ქალიშვილი პასუხობდა, რომ მაინც იქნებოდა შესაძლებელი შაბათ-კვირას მეორე მშობელთან წასვლა. შეხვედრის განმავლობაში ბავშვებმა გამოთქვეს საპირისპირო მოსაზრებაც, კერძოდ აღნიშნეს, რომ მშობლების განქორწინების შემთხვევაში, ისინი იცხოვრებდნენ მამასთან, დამაზუსტებელ კითხვებზე პასუხობდნენ დუმილით, საუბრისას დედის მიმართ გამობატავდნენ მონატრებას, პოზიტიურ ემოციებს. ბავშვებთან შეხვედრას შემოუერთდა დედა; შეხვედრისას ბავშვების მიმართ გამობატავ სიხარული, აღტაცება, ჩაეხუტა შვილებს; დედის მხრიდან გამობატულ დამოკიდებულებას ბავშვების ქცევითი და ემოციური რეაგირება არ მოჰყოლია, აღნიშნულის საპასუხოდ ეს უკანასკნელები თავიდან იყვნენ დაძაბული, რამოდენიმეწუთიანი ურთიერთობის შემდეგ, აქტიურად გამობატავდნენ პოზიტიურ ემოციებს დედის მიმართ, უზიარებდნენ აზრებსა და შთაბეჭდილებებს მრავალ საკითხზე. შეხვედრაზე ბავშვები დედასთან ერთად დაკავდნენ შეთავაზებული აქტივობებით, ქალიშვილი დედასთან ერთად აკეთებდა აპლიკაციას, დაამზადა სათამაშო სამკაულები დედისათვის. შვილები შეხვედრის განმავლობაში დედის მიმართ გამობატავდნენ პოზიტიურ ემოციებს, გ. ეხუტებოდა, კოცნიდა, კალთაში იჯდა დედასთან; ვაჟი იყო შედარებით თავშეკავე-

ბული. ბავშვები დასმულ კითხვაზე პასუხობდნენ, რომ არ სურდათ შეხვედრის დასრულება; შედეგად შეხვედრა გაგრძელდა და გეგმილზე მეტხანს; მომდევნო ერთობლივ შეხვედრაზე ბავშვები გაახარა დედასთან შეხვედრამ, ვიზიტი გაგრძელდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, არასრულწლოვნები ინტერესითა და ხალისით ერთვებოდნენ დედასთან ერთად აქტივობებში, პასუხობდნენ დედის მიერ დასმულ კითხვებს, უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, არ სურდათ შეხვედრის დასრულება“.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ „ბავშვების განვითარება შეესაბამება მათ ასაკს, მათთვის მშობლების განქორწინება და მოცემულ მომენტში დედასთან ურთიერთობაში შექმნილი დეფიციტი მატრავმირებელია და უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვების ემოციურ მდგომარეობაზე. შვილები, მშობლების მიმართ ავლენენ მშობლიურ დამოკიდებულებას. მამასთან დაკავშირებით თავისუფლად გამოხატავენ დამოკიდებულებას; დედის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვისას – გადმოცემული აზრი, ემოცია და ქცევა ეპიზოდურად არის შეუსაბამო; ერთი მხრივ, გამოხატავენ დედის მიმართ ძლიერ პოზიტიურ დამოკიდებულებას, მონატრებას, არ სურთ შეხვედრის დასრულება; მეორე მხრივ, თავიდან დედის თბილ დამოკიდებულებას პასუხობენ დაძაბულობით, თავშეკავებით, დედასთან მიმართებით (ურთიერთობასა და თანაცხოვრებასთან დაკავშირებით) ცვლიან აზრებს. მამა კატეგორიულია და თვლის, რომ ბავშვების აზრი ცალსახაა, მათი სურვილია მშობლების განქორწინების შემთხვევაში, იცხოვრონ მამასთან. მშობლის კატეგორიული დამოკიდებულება გავლენას ახდენს ბავშვზე; აღნიშნულ გარემოში რთულდება ბავშვის მხრიდან მეორე მშობლის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამომჟღავნება“;

11.4. შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია, რომ 2016 წლის 15 ივლისს, მოპასუხე, სალამოს საათებში, მივიდა მსხვერპლის – მოსარჩელის საცხოვრებელ სახლში არაფხიზელ მდგომარეობაში, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა მსხვერპლსა და მსხვერპლის დედას – ნ. ჩ-ძეს, რის საფუძველზეც მოსარჩელემ დახმარებისთვის მიმართა პოლიციის განყოფილებას; აღნიშნული გადაწყვეტილებით დამტკიცდა 2016 წლის 15 ივლისის აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს კ-ის პოლიციის განყოფილების უბნის ინსპექტორ გამომძიებლის მიერ გაცემული შემაკავებელი ორდერი, მოპასუხის მიმართ; „მოძალადეს (მოპასუხეს) აეკრძალა იმ ადგილას მიახლოება, სადაც მსხვერპლი – მოსარჩელე ცხოვრობს (ქ. ბათუმი, ...). მოძალადეს ასევე აეკრძალა მსხვერპლთან, მის სამ-

სახურსა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. აეკრძალა ნებისმიერი ფორმით კონტაქტი (ტელეფონით, სოც. ქსელის – ინტერნეტის მეშვეობით), აეკრძალა იარაღით, მათ შორის, სამსახურებრივი – საშტატო იარაღით სარგებლობა.

12. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. მან გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება მოითხოვა, რომლითაც ბავშვების საცხოვრებლად, დედის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა.

**13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 21 მარტის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.**

13.1. სააპელაციო პალატამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე მითითებით, განმარტა, რომ, ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლისა და ბავშვის ინტერესებს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასაწევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი;

13.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და აღნიშნა, რომ ბავშვების ასაკის, მშობლების ოჯახური პირობებისა და დედამამიშვილების ინტერესების გათვალისწინებით (რაც, უწინარესად, მათ ერთად ცხოვრებას გულისხმობს), არასრულწლოვნების საცხოვრებლად, დედის საცხოვრებელი ადგილი, მართებულად განისაზღვრა;

13.3. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხის კატეგორიული მიდგომა საკითხისადმი, რომ არასრულწლოვნებმა უნდა იცხოვრონ მამასთან, გავლენას ახდენდა ბავშვებზე, რაც ხელს უშლიდა დედასთან მშობლიური ურთიერთობის შენარჩუნებას და მშობელთან გაუცხოვებასა და მიჯაჭვულობის რღვევას იწვევდა, აღნიშნული კი, უარყოფითად აისახებოდა ბავშვების ჯანმრთელობასა და ფსიქოემოციურ განვითარებაზე. პალატამ დაასკვნა, რომ მხარეთა მეორე შვილი (გ.) განსაკუთრებით იტანჯება დედასთან ურთიერთობაში შექმნილი დეფიციტით, რაც დასტურდებოდა საქ-

მეში განთავსებული ფსიქოლოგიური გამოკვლევით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბავშვების საცხოვრებლად, დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

**14. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ. მან გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა იმ ნაწილში, რომლითაც ბავშვების საცხოვრებლად, დედის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა. კასატორის მტკიცებით:**

14.1. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელის დაკმაყოფილებით, უხეშად დაარღვიეს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-3 და მე-9 მუხლები;

14.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა უგულვებელყვეს ბავშვების უპირატესი ინტერესები და მათი თავისუფალი ნება, ასევე – ის შედეგები, რაც ბავშვების საცხოვრებლის შეცვლას, მეგობრების, ახლობლებისა და ოჯახის წევრების ჩამოშორებას მოჰყვება. ნიშანდობლივია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე გამოკითხულ იქნა ორივე არასრულწლოვანი და თითოეულმა მათგანმა გამოავლინა უარყოფითი დამოკიდებულება ბათუმში, დედასთან საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით;

14.3. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით უდავოდ დადასტურდა, რომ არასრულწლოვნებს მამასთან შექმნილი აქვთ თბილი ოჯახური გარემო, სასამართლომ დაუსაბუთებლად, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე დაასკვნა, რომ არასრულწლოვნებს უკეთესი პირობები შეექმნებათ დედასთან, მათი ამჟამინდელი საცხოვრებლიდან 691 კილომეტრის დაშორებით;

14.4. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნებმა სასამართლო სხდომაზე ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება – საცხოვრებლად დარჩენილიყვნენ მამასთან. შესაბამისად, სასამართლოებმა უგულვებელყვეს არასრულწლოვნებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება – მათი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად აერჩიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და სასარჩელო მოთხოვნა მხოლოდ იმ არგუმენტზე მითითებით დააკმაყოფილეს, რომ ბავშვებს დედასთან ურთიერთობაც ესაჭიროებათ;

14.5. რაიონულმა და სააპელაციო სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ არცერთი ბავშვი არ არის მცირეწლოვანი, შესაბამისად, მათ შეუძლიათ, დამოუკიდებლად უზრუნ-

ველყონ თავიანთი საქიროებები. ამასთან, ბავშვებზე მუდმივად ზრუნავს მამა, ბაბუა და მონინაალმდევე მხარის დედა – ბებია, რომელიც ნალკაში მოპასუხის მომიჯნავედ ცხოვრობს;

14.6. მხედველობაშია მისაღები, რომ მოპასუხე შვილების დაბადებიდან დღემდე ზრუნავს მათი საუკეთესო ინტერესებისა და თბილი ოჯახური გარემოს შექმნაზე, სადაც ისინი შეძლებენ ფიზიკურად, გონებრივად, სულიერად და ზნეობრივად განვითარებას და აღიზრდებიან საზოგადოების ღირსეულ წევრებად. მოპასუხე დასაქმებულია ერთ-ერთ კომპანიაში და მისი ყოველთვიური შემოსავალი – 1000 ლარია. ბავშვები უზრუნველყოფილი არიან უძრავი ქონებით, ისინი ცხოვრობენ ორსართულიან სახლში, სადაც ბავშვებს აქვთ საკუთარი ოთახი, სამეცადინო კუთხე, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერთა და სხვა საჭირო ტექნიკით. ოჯახი ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, რაც ოჯახისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს;

14.7. სოციალური მომსახურების სააგენტოს დასკვნებით დადასტურდა, რომ ბავშვებს მამასთან, ბებია-ბაბუასთან, ასევე დედის დედასთან (ბებიასთან) აქვთ თბილი დამოკიდებულება და მათ მიმართ ნდობასა და მიჯაჭვულობას გამოხატავენ. ისინი მუდმივად მოზრდილების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან და ინტეგრირებულნი არიან მამის ოჯახში. შესაბამისად, ბავშვების მამა, დედისგან განსხვავებით, სრულად უზრუნველყოფს არასრულწლოვნებისთვის იმ გარემოს შექმნას, რაც აუცილებელია მათი სათანადო აღზრდისა და განვითარებისთვის;

14.8. სააკველაციო პალატამ უსაფუძვლოდ ასახა გასაჩივრებულ განჩინებაში მოპასუხის მხრიდან მოსარჩელის მიმართ ძალადობის ფაქტობრივი გარემოება. სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, დაედგინა, გამოეკვლია და გადაწყვეტილება დაემყარებინა იმ ფაქტზე, რასაც სადავო საკითხთან შემხებლობა არ აქვს;

14.9. არასრულწლოვნებისთვის საცხოვრებელი ადგილის, გარემოსა და სკოლის შეცვლა გამოინვეს მათ ასოციალიზაციას საზოგადოებაში, პრობლემები შეექმნებათ თანატოლებში თავის დამკვიდრების პროცესში, რაც დააზიანებს ბავშვების ფსიქოემოციურ მდგომარეობას და მათში გამოინვეს აგრესიას გარშემომყოფების მიმართ. აღნიშნული მითითებები გაცემულია შესაბამისი სპეციალისტების მიერ, რომლებიც განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს;

14.10. სასამართლოებმა არასწორად განმარტეს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასკვნა, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად დგინდებოდა არასრულწლოვნების უარყოფითი, გაუცხოებულნი დამოკიდებულება დედისადმი, კერძოდ კი ის, რომ მათ დედის



ნახვა არ ისურვეს;

14.11. მოსარჩელის ამჟამინდელი საცხოვრებელი სახლის ფართობი არის 63.48 კვ.მ, რაც არ არის საკმარისი ექვსი ადამიანის, მათ შორის ორი არასრულწლოვანი ბავშვის ნორმალური აზრდისა და მათი განვითარებისათვის. სველი წერტილები მდებარეობს ეზოში, მათ საცხოვრებელ ადგილას არ არის შექმნილი ბავშვების სათანადო აღზრდისათვის საჭირო პირობები. გარდა ამისა, მოსარჩელემ თავადვე განმარტა, რომ ოჯახის ყველა წევრი დასაქმებულია, შესაბამისად, გაურკვეველია, თუ როგორ აპირებს ის ბავშვების აღზრდასა და მათზე ზრუნვას;

14.12. სასამართლო სხდომაზე არასრულწლოვანმა ვაჟმა გაიხსენა, თუ როგორ ამუშავებდნენ მას ზაფხულში, ბათუმში ყოფნის დროს, მოსარჩელის მამა და დედინაცვალი ხილისა და ბოსტნეულის მოვაჭრედ, შესაბამისად, უსაფუძვლოა არასრულწლოვნის მიერ მსგავსი დასაბუთებისა და ინფორმაციის სასამართლოსთვის მიწოდების შემდეგ, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ სარჩელის საფუძვლიანობის შესახებ დასკვნა;

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 16 ნოემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვა ზეპირი მოსმენით დაინიშნა. 2019 წლის 23 იანვრის სასამართლო სხდომაზე, პალატამ უშუალოდ მოუსმინა როგორც ბავშვებს, ისე – მხარეებს და იმავე სხდომაზე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, დაავალა ბავშვების სოციალური გარემოსა და მათი საცხოვრებელი პირობების შესწავლა, ასევე, შესაბამისი დასკვნის (ფსიქოლოგი. გამოკვლევის) საკასაციო სასამართლოსთვის წარმოდგენა. საოჯახო საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. ამდენად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს ის გარემოებანი, რომელთა აუცილებლობა განაპირობებს არასრულწლოვანის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადაწყვეტილების მიღებას (შდრ. სუსგ №ას-53-51-2016, 2016 წლის 6 ივლისი).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

18. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 1201.2 (შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს) მუხლი.

19. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ ხდის არასრულწლოვნების საცხოვრებლად, დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას, სახელდობრ, მისი ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გამომდინარეობს ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან, ვინაიდან მოპასუხე, მოსარჩელისაგან (დედისგან) განსხვავებით, სრულად უზრუნველყოფს არასრულწლოვნებისთვის იმ გარემოს შექმნას, რაც აუცილებელია მათი ნორმალური აღზრდისა და განვითარებისთვის. ბავშვები დაბადებიდან ცხოვრობენ მამის საცხოვრებელ ადგილზე, შესაბამისად, გარემოსა და სკოლის შეცვლა მათთვის მატრავმირებელი იქნება. გარდა ამისა, არასრულწლოვნებს უარყოფითი და გაუცხოებული დამოკიდებულება აქვთ დედისადმი და მათი სურვილი არა დედასთან, არამედ მამასთან ცხოვრებაა. კასატორის ეს მოსაზრება დაუსაბუთებელი

და არადამაჯერებელია, რადგანაც:

19.1. სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის, უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასა და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადწყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადწყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – Elsholz v. Germany, №25735/94, 31.07.2000, პარ. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – TK and KM v. UK, № 28945/95, 10.05.2001, პარ.72) – შდრ. ასევე, სუსგ №ას-967-916-2015, 25.02.2016წ).

19.2. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის მისამართის განსაზღვრა, სრულად შეესაბამება მათ საუკეთესო ინტერესებს.

19.3. აღნიშნული დასკვნის გამოტანის საფუძველს საკასაციო პალატას აძლევს საქმეში წარმოდგენილი ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები, სახელდობრ, 2016 წლის 14 დეკემბრის დასკვნის თანახმად, რომელიც მომზადდა ბავშვების მამის საცხოვრებელ მისამართზე ცხოვრების პერიოდში, დედასთან ურთიერთობაში შექმნილი დეფიციტი მატრავმირებელია და უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვების ემოციურ მდგომარეობაზე. არასრულწლოვნები საუბრისას დედის მიმართ გამოხატავდნენ მონატრებას, დადებით ემოციებს, უზიარებდნენ მას აზრებსა და შთაბეჭდილებებს სხვადასხვა საკითხებზე. აღნიშნავდნენ, რომ არ სურდათ შეხვედრის დასრულება, შედეგად შეხვედრა გაგრძელდა დაგეგმილზე მეტხანს; მომდევნო ერთობლივ შეხვედრაზე არასრულწლოვნები გაახარა დედასთან შეხვედრამ, ვიზიტი გაგრძელდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ბავშვები ინტერესითა და ხალისით ერთვებოდნენ დედასთან ერთად აქტივობებში, პასუხობდნენ დედის მიერ დასმულ კითხვებს, უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, არ სურდათ შეხვედრის დასრულება.

19.4. საკასაციო სასამართლოში ბავშვებს მიეცათ შესაძლებლობა, ჩართულიყვნენ გადწყვეტილების მიღების პროცესში. მათ მოუსმინა სასამართლომ. ბავშვებმა გამოხატეს თავიანთი დადებითი დამოკიდებულება დედასთან ურთიერთობასა და ახალ გარემოში

ინტეგრაციასთან დაკავშირებით. მართალია, 2019 წლის 12 თებერვლის დასკვნის მიხედვით, საცხოვრებელი გარემოს შეცვლამ და ბავშვების დედასთან საცხოვრებლად გადასვლამ ვაჟის შემთხვევაში, სავარაუდოდ გამოიწვია ადაპტირების პრობლემა, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ, ბავშვი უკეთ მოახერხებს მისთვის ახალ გარემოსთან შეგუებას. ქალიშვილის შემთხვევაში, ადაპტირების პრობლემა არ ჩანს, საუბრისას გამოხატავს პოზიციას, რომ დედასთან ყოფნა მოსწონს. ის, რომ ვაჟმა შედარებით რთულად მიიღო საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, არ ნიშნავს, რომ მას დედასთან არ უნდა ყოფნა, პირიქით, დედასთან ცხოვრებამ შეაქცო იმ ურთიერთობის დანაკლისი, რაც მნიშვნელოვანი და აუცილებელია ბავშვებისთვის, რადგან, ამ ასაკში დედასთან ურთიერთობის არ ქონა, იწვევს მთელ რიგ ემოციურ სირთულეებს (პასიურობას, დანაშაულის გრძნობას, თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემებს, შიშს, დეპრესიასა და მორჩილებას). ამ მხრივ როდესაც მოგვარდა დედასთან ურთიერთობა, სავარაუდოდ სხვა ცვლილება ბავშვებისთვის არ იქნება გამოსავალი, მივიღებთ საცხოვრებელი სისტემის ხშირ ცვლას, ხოლო დედასთან დამყარებული სანდო ემოციური კავშირის განყვეტა შესაძლებელია იყოს საზიანო. მითუმეტეს, რომ ვაჟი იმყოფება პუბერტატულ (სექსობრივი მომწიფების) ასაკში და მომატებული აქვს ასაკობრივი და პიროვნული შფოთვის დონე, ქალიშვილი კი, ასაკობრივი ცვლილებების დასაწყისშია და განსაკუთრებით საჭიროებს დედის მხარდაჭერასა და თანადგომას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დედამ მოიპოვა ნდობა და გაღრმავდა კომუნიკაცია, ხელი უნდა შეეწყოს დედასა და შვილებს შორის ადაპტაციის პროცესს სტაბილურ რეჟიმში.

19.5. აქვე საკასაციო პალატა მოიშველიებს „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენციის მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების დებულებებს, რომელთა თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის სანინალმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. ასეთი განსაზღვრა შეიძლება საჭირო გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე, ანდა, როცა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით. ამასთან, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან

გან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამავე კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან, შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია.

**20. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის არც იმ პრეტენზიას, რომ ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მათი სურვილი ეცხოვრათ მამასთან.**

20.1. პალატა აღნიშნავს, რომ ბავშვის სურვილები და გრძნობები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მშობელთან ურთიერთობის საკითხის გადანყევტისას (შდრ. Sahin v. Germany [GC], no. 30943/96, § 73, ECHR 2003-VIII).

20.2. „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მონიფულობის შესაბამისად.

20.3. გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარში № 12 (2009), რომელიც ეხება ბავშვის უფლებას, მითითებულია, რომ ბავშვის მიერ საკუთარი შეხედულებების თავისუფლად გამოხატვა ნიშნავს იმას, რომ არ უნდა მოხდეს ბავშვის მანიპულირება ან ბავშვი არ უნდა დაექვემდებაროს ზემოქმედებას ან ზეწოლას. ამასთან ერთად, „თავისუფლად“ თავისთავად დაკავშირებულია ბავშვის „საკუთარ“ შეხედულებებთან: ბავშვს გააჩნია უფლება, გამოხატოს თავისი შეხედულებები და არა – სხვების შეხედულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული დავის განხილვისას, კასატორის პრეტენზიის საფუძველიანობის შესასწავლად, მნიშვნელოვანია შეფასდეს ბავშვების დამოკიდებულება დედის მიმართ. ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგებიდან კი, ნათლად იკვეთება ბავშვების დადებითი განწყობა დედის მიმართ. ისინი გამოხატავენ მონატრებას და არ სურდათ დედასთან შეხვედრის

დასრულება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ აღნიშნული წარმოადგენს ბავშვების საკუთარ შეხედულებას. შესაბამისად, დაუსაბუთებელია კასატორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, არ გაითვალისწინა მათი სურვილები.

21. ამრიგად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, არასრულწლოვნების საცხოვრებლად, დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე.

22. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81); *Boldea v. Romania*, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის ყველა პრეტენზიაზე.

23. აქვე, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმაზეც, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სასამართლოს გადაწყვეტილების დროულ და ეფექტიან აღსრულებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რათა დაცული იქნეს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი და სასამართლოს მიერ დადგენილი წესით მოხდეს ბავშვის ფსიქო-ემოციური მომზადება დედის საცხოვრებელ ადგილას გადასასვლელად. კასატორს, რომელიც ბავშვის მამაა, ევალება საკუთარი შვილის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, ხელი შეუწყოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას, რაც მშობლის ზნეობრივი მოვალეობაცაა და გამიზნულია ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარების ხელშეწყობისათვის, ამასთან, მამას არ ეზღუდება საკუთარ შვილთან ურთიერთობასა და მის აღზრდაში მონაწილეობა. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ნებისმიერმა პროცესუალურმა დაყოვნებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქმის შედეგზე, რაც, უნინარესად, ბავშვის საუკეთესო ინტერესის ხელყოფას გამოიწვევს (იხ. საჰინი გერმანიის წინააღმდეგ; *Sahini v. Germany*; No 30943/96, 8.7.03, par. 65).

24. სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია,

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

25. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264.3, 404-ე, 408-ე, 410-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ზ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ას-198-2019

28 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თერჯოლის მაგისტრატ სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. ბ-ემ (შემდეგში – მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე), მოპასუხე ნ. ბ-ის მიმართ (შემდეგში – მოპასუხე ან კასატორი) და მოითხოვა თავის არასრულწლოვან შვილებთან, ურთიერთობის წესის განსაზღვრა ითხოვა.

2. მოსარჩელის განმარტებით: მხარეებს ერთად ცხოვრების პერიოდში, შეეძინათ ორი შვილი: 20... წლის ... აპრილს დაბადებული ლ. ბ-ე (შემდეგში პირველი არასრულწლოვანი ბავშვი) და 20... წლის ... აგვისტოს დაბადებული ნ. ბ-ე (შემდეგში მეორე არასრულწლოვანი ბავშვი). 2017 წლის აგვისტოს თვიდან მეუღლეებს შორის დაიძაბა ურთიერთობა, რის შემდეგაც, მოპასუხე საცხოვრებლად გადავიდა თავის მშობლებთან. მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების შემდეგ, მოპასუხე არ აძლევს შვილებთან ურთიერთობის უფლებას. მოსარჩელეს არ ეძლევა შვილების თავისუფლად ნახვისა და მათთან ურთიერთობის საშუალება. მოსარჩელე ითხოვს შვილები გარკვეული დროით თავისთან წაიყვანოს სახლში, ღამით მასთან დარჩენით. ასევე, ბავშვებმა ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების ნახევარი გაატარონ მასთან. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და ითხოვა არასრულწლოვანი შვილების გარკვეული დროით თავისთან წაყვანა სახლში, ღამით მასთან დარჩენით. ხოლო ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების არა ნახევრის, არამედ მთელი პერიოდის მამასთან გატარება.

3. საქმეში მესამე პირად ჩართული სოციალური მომსახურების სააგენტოს თერჯოლის რაიონული განყოფილების წარმომადგენელი დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და განმარტა, რომ ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, მამას უნდა ჰქონდეს შვილებთან თავისუფალი ურთიერთობის საშუალება. სოციალური სააგენტოს მიერ შემოწმდა მოსარჩელის საყოფაცხოვრებო პირობები და დადებითად შეფასდა ოჯახში არსებული გარემო. დასკვნის მიხედვით ბავშვების მამასთან ყოფნის დროს მათთვის შექმნილი იქნება უსაფრთხო და მზრუნველი გარემო.

4. მოპასუხემ სარჩელი ცნო ნაწილობრივ და განმარტა, რომ მას არასოდეს უთქვამს უარი მამის შვილებთან ურთიერთობაზე. იგი თანახმაა მამამ შვილები მოინახულოს ბავშვების საცხოვრებელ ადგილას, ანუ მოპასუხის საცხოვრებელ ადგილას, ჰქონდეს მათთან სისტემატური ურთიერთობა, მოპასუხე წინააღმდეგია ბავშვები წაიყვანოს მოსარჩელემ თავის საცხოვრებელ ადგილზე ღამით დარჩენით, რადგან არ სურს ბავშვებთან ურთიერთობა ჰქონდეს მოსარჩელის ოჯახის წევრებს.

5. იმავდროულად, მოპასუხემ წარმოადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა შვილების რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიურად აღიშენების თანხის – თითოეულ ბავშვზე 150-150 ლარის, ასევე, სოციალური დახმარების თანხის 400 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

6. შეგებებული სარჩელი ეფუძნება მამის ვალდებულებას მო-



ნაწილობა მიიღოს შვილების აღზრდაში, რაც გამომხატული უნდა იქნეს კონკრეტული თანხით, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ალიმენტის, რომელიც მოხმარდება ბავშვების კეთილდღეობას. ამასთან, შეგებებული სარჩელში აღინიშნა, რომ მოპასუხის ოჯახი იღებს სოციალურ დახმარებას, საიდანაც ბავშვების კუთვნილი თანხა შეადგენდა თითოეულ ბავშვზე 50-50 ლარს. მათი დაშორების შემდეგ ბავშვების კუთვნილი სოციალური დახმარება 2017 წლის 1 აგვისტოდან აიღო მოპასუხემ და შვილებისათვის არ მიუცია.

7. თერჯოლის მაგისტრატის სასამართლოს 2018 წლის 06 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს თავის არასრულწლოვან შვილებთან ურთიერთობის წესი განესაზღვრა შემდეგი სახით: ყოველი თვის პირველი და მესამე შაბათ-კვირა: შაბათი დღის 10:00 საათიდან კვირა დღის 17:00 საათამდე თავის საცხოვრებელ ადგილას წაყვანის და მის ოჯახში ღამე დარჩენის უფლებით სასწავლო პროგრამის და ბავშვების სურვილის გათვალისწინებით, მათ სრულწლოვანების მიღწევამდე ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე; ბავშვებთან ურთიერთობისათვის შესაბამისი სააღმზრდელო და სასწავლო დანებსებულებისათვის დადგენილი ზამთრისა და საზაფხულო არდადეგების პერიოდის პირველი ნახევარი თავის საცხოვრებელ ადგილას წაყვანის უფლებით ბავშვების სურვილის გათვალისწინებით მათ სრულწლოვანების მიღწევამდე ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე. სასამართლოს მიერ დანიშნულ დღეებში გადაწყვეტილებით განსაზღვრული საათების დაცვით არასრულწლოვანი შვილების მოსარჩელის (დედა) საცხოვრებელი ადგილიდან და ასევე უკან, დედის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება უზრუნველყოს მოსარჩელემ. არასრულწლოვან შვილებთან მოსარჩელის მოპასუხის ურთიერთობაზე კონტროლი და მეთვალყურეობა დაევალა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თერჯოლის რაიონულ განყოფილებას. დაკმაყოფილდა ნაწილობრივ შეგებებული სარჩელი: მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა 200 ლარის, თითოეული ბავშვზე 100-100 ლარის ოდენობით მათ სრულწლოვანებამდე ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე. ალიმენტის გადახდევინება დაიწყო სარჩელის აღძვრის მომენტიდან 2017 წლის 20 ოქტომბრიდან. მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული სოციალური დახმარების თანხის 400 ლარის ანაზღაურება.

8. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველად მიუთითა შემდეგზე:

9. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეები რეგის-

ტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2009 წლის 29 სექტემბრიდან. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი, რომლებიც 2017 წლის ივნისამდე იზრდებოდნენ ორივე მშობელთან ერთად. 2017 წლის ივნისიდან მეუღლეები ერთად აღარ ცხოვრობენ და მათი შვილები ცხოვრობენ დედასთან, დედის მშობლების სახლში – თერჯოლის რაიონის სოფელ ...-ში. 2017 წლის ივნისიდან მოპასუხეს მოსარჩელე არ აძლევს საშუალებას თავისთან წაიყვანოს თავისი შვილები ღამით მასთან დარჩენით.

10. სოციალური მომსახურების სააგენტოს თერჯოლის რაიონული განყოფილების მიერ წარმოდგენილი დასკვნის თანახმად, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის ოჯახში არის კარგი საყოფაცხოვრებო პირობები. ყველანაირი საშუალებაა იმისათვის, რომ ბავშვებმა კომფორტულად და კარგად იგრძნონ თავი. მოპასუხეს ოჯახში ჰყავს პენსიონერი მშობლები. საზღვარგარეთ ჰყავს და, რომელიც მატერიალურად ეხმარება ოჯახს.

11. მოპასუხეს შეზღუდული აქვს შვილებთან ურთიერთობა. თერჯოლის მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 06 ოქტომბრის დროებითი განკარგულების საფუძველზე ნება დაერთო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კვირაში ორი დღით – შაბათს და კვირას დილის 12:00 საათიდან 15:00 საათამდე მოინახულოს ბავშვები დედის საცხოვრებელი ადგილის, ან ბავშვებისა და დედის ადგილსამყოფელის მიხედვით.

12. სასამართლომ დაადგინა, რომ მამასა და ბავშვებს შორის არ არის გაუცხოება, მათ შორის დამოკიდებულება ნორმალურია.

13. მოპასუხის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და წარმოადენს სოციალური დახმარების მიმღებ ოჯახს.

14. სარჩელისა და შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად სასამართლომ გამოიყენა „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენცია; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 1197-ე, 1198-ე, 1201-ე, 1202-ე, 1212-ე, 1214-ე მუხლები.

15. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ, რომელმაც თერჯოლის მაგისტრატი სასამართლოს 2018 წლის 06 თებერვლის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

16. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თერჯოლის მაგისტრატი სასამართლოს 2018 წლის 06 თებერვლის გადაწყვეტილება.

17. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩი-

ნების 3-9-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

18. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში იმსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების კანონიერებაზე იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს განესაზღვრა თავის არასრულწლოვან შვილებთან ურთიერთობის ნესი ბავშვების მამასთან ღამით დარჩენის უფლებით.

19. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თერჯოლის რაიონული განყოფილების 2017 წლის 18 დეკემბრის დასკვნაზე, რომლის თანახმად, დადგენილია, რომ მ. ბ-ის სოციალური გარემო დამაკმაყოფილებელია, სადაც არასრულწლოვანებისათვის შექმნილია უსაფრთხო და მზრუნველი გარემო; ამავე დასკვნაში სოციალური მუშაკის მიერ აღნიშნულია, რომ ბავშვებსა და მამას შორის არ არის გაუცხოება.

20. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 28 ივნისის განჩინებით დაინიშნა ფსიქოლოგიური კვლევა და დაევალა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრის სპეციალისტს არასრულწლოვანი ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობის შემოწმება იმ კუთხით: თუ რა გავლენას იქონიებს ბავშვებზე, მათი ურთიერთობა მამასთან ღამე დარჩენის უფლებით, ასევე, არდადეგების ნაწილის მამის საცხოვრებელ ადგილას გატარება.

21. ფსიქოლოგის 2018 წლის 09 ნოემბრის დასკვნა შემდეგი შინაარსისაა: „... შესწავლილ იქნა არასრულწლოვანი ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობა, განვითარების შესაბამისი ინტელექტუალური მონაცემები. მათ აჩვენეს, რომ საგნობრივი ცოდნა, განვითარებული სიტუაციებისადმი დამოკიდებულება ასაკის შესაბამისობაშია. პირველი, რაც გამოკვეთილად შეინიშნებოდა, ორივე არასრულწლოვანს სურვილი აქვს მამასთან, მოპასუხესთან ჰქონდეთ ხშირი ურთიერთობა. ისინი დედის თანდასწრებით, ღიად აღიარებენ ამ ფაქტს. საყურადღებოა ის დეტალი, რომელშიც ამბობდნენ, რომ მამამ ჩვენთან იცხოვროსო. აქ ნათლად ჩანდა დედის სურვილი, ზეგავლენა, რომ მამამ იცხოვროს მათთან, რადგან კონფლიქტის მთავარი მიზეზი დედამთილია. უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხე წინააღმდეგია შვილები ღამისთევით დარჩენენ მამასთან, მითუმეტეს, არ ეთანხმება მოსაზრებას არდადეგების პერიოდში თანაბრად გაიყონ დარჩენის დღეები. გასაუბრების შედეგი მეტყველებს იმაზე, რომ ბავშვებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მამის ოჯახი. მშობლებთან ურთიერთობაში იგრძნობა ორგანული, რომლის წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება დანაშაულია. მითუმეტეს, როცა მამა არაა მაგალითი სამართლებრივი ნორმის დარღვევის, არაა მოძალადე და არ სახელდება მოპა-

სუხის მხრიდან არსებითი მიზეზი, რის გამოც, მოპასუხეს უნდა ეკრძალებოდა სვილებთან აქტიური ურთიერთობა. მოსარჩელე დედამთილთან კონფლიქტურ დამოკიდებულებას დრამატულად წარმოგვიდგენს, რაც საბოლოოდ უშლის ხელს სვილებს მამის ოჯახთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაში. ბავშვებისთვის ორივე მშობელი და მათი სოციალური არის რესურსი მათი შემდგომი ფსიქოფიზიკური განვითარებისთვის. ამიტომაც გვევალება გავითვალისწინოთ არასრულწლოვანების განცდები და დამოკიდებულებები ორივე მხარესთან. ეს ფაქტი კი აძლიერებს მოსაზრებას, რომ ბავშვებთან ურთიერთობის დროს შეინარჩუნონ ცივილური, ნეიტრალური პოზიციები ერთმანეთთან მიმართებაში და უარი თქვან პრივატულ მოთხოვნილებებზე. არასრულწლოვანებზე ფსიქოლოგიურმა დაკვირვებამ ნათელი გახადა ფაქტი იმის თაობაზე, რომ დედა წინააღმდეგობა ბავშვების მამასთან ღამისთევით დარჩენისა, რაც გამომდინარეობს წარსულში არსებული პირადი კონფლიქტური დამოკიდებულების მიზეზით მეუღლესთან და მისი ოჯახის წევრებთან. არსებითი მიზეზი, არის თუ არა მოპასუხე მოძალადე მამა, ან ყავს თუ არა მშობლები, რომლებიც ბავშვებს დისკომფორტს შეუქმნიან – არ სახელდება; ბავშვებთან გასაუბრებისას ნათლად გამოიხატა მამასთან მათი დამოკიდებულების რეალური სურათი, სტაბილური სიმბიოზის აუცილებლობა, რაც გულისხმობს მათი ფსიქო-ფიზიკური სრულყოფისათვის აუცილებელ და განმავითარებელ სოციალურ შექმნას. მოპასუხეს უნდა მიეცეს შეუზღუდავი ურთიერთობის უფლება სვილებთან, ღამისთევით, არასასწავლო დღეებში – პარასკევი, შაბათი, ხოლო კვირას საუზმის შემდგომ დაბრუნდნენ დედასთან საცხოვრებელ სახლში, ზამთრისა და ზაფხულის არდადეგები კი განაწილდეს თანაბრად...“.

22. ზემოთმითითებული დასკვნის შემდგენელი – სპეციალისტი ასევე დაიკითხა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზეც. მან სასამართლოს წინაშე მიცემული განმარტებითაც დაადასტურა ის პოზიცია, რაც დასკვნაშია ასახული.

23. საბოლოოდ, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ორივე არასრულწლოვანს გამოკვეთილად სურთ ჰქონდეთ ურთიერთობა მამასთან. ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია მამის ოჯახი. მოპასუხე არ არის მოძალადე, პირიქით ის მზრუნველი მამაა.

24. პალატას მიაჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სავსებით სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტები და სსკ-ის 1197-ე, 1198-ე, 1199-ე, 1202-ე მუხლების გამოყენებით მართებულად მიუთითა, რომ მოსარჩელეს უფლება უნდა მიეცეს ურთიერთობა იქონიოს არასრულწლოვან სვილებთან. ასეთი ურთიერთობის არ ქონა, ან ხელშეშლა პირველ რიგში, დააზარალებს არასრულწლოვანთა ინ-

ტერესებს.

25. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისათვის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „ბავშვთა უფლებათა კონვენციის“ მე-9 მუხლის პირველი და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და დაასკვნა, რომ ბავშვების, ინტერესი არის ის, რომ ორივე მშობელთან ჰქონდეთ ურთიერთობა და ამ ურთიერთობების დროს არ იქნეს დარღვეული მათი, როგორც ბავშვების უფლებები. უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რაც მათ საშუალებას მისცემს იყვნენ ორივე მშობელთან მჭიდრო ურთიერთობაში. სწორედ ასეთი ურთიერთობით ხდება ბავშვების სათანადო აღზრდა და ჩამოყალიბება.

26. უარყოფილი იქნა აპელანტის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ბავშვები არ უნდა დარჩნენ მამასთან ლამით, და არ უნდა გაატარონ არდადეგების პერიოდი მასთან, რადგან აპელანტს დედამთილთან აქვს კონფლიქტური სიტუაცია.

27. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი – „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია ზედმიწევნით სწორად დაადგინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი. ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

28. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, მშობლებისა და შვილების მიერ ერთმანეთის კომპანიით ორმხრივად სარგებლობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში „ოჯახური ცხოვრების“ ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს (*Kutzner v. Germany*). ამდენად, პალატა ვერ დაეთანხმება აპელანტის არგუმენტს იმის შესახებ, რომ მამასთან ურთიერთობისთვის მუდმივი მგზავრობით ბავშვებს ხელი შეეშლება როგორც სწავლაში, ისე ფიზიკურ განვითარებაში, რადგან საფუძველს მოკლებულია და არ არსებობს ამ არგუმენტის დამადასტურებელი მტკიცებულება.

29. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გა-

უქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

30. კასატორი სადავოდ ხდის დავის ტერიტორიულ (საერთო) განსჯადობას და აღნიშნავს, რომ საქმე განსახილველად ექვემდებარებოდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, სადაც ბავშვები ცხოვრობენ დედასთან ერთად და იქვე სწავლობენ.

31. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში მესამე პირად ჩაბმული უნდა ყოფილიყო არა სსიპ სოციალური სააგენტოს თერჯოლის სამსახური არამედ, ქუთაისის სამსახური.

32. კასატორს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონშეუსაბამოა. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ უკანონოდ მოხდა არასრულწლოვანი ბავშვების გამოკითხვა. საქმის განმხილველი მოსამართლეები ითვალისწინებდნენ არა ბავშვების, არამედ მოპასუხის ინტერესებს. ამასთან, კასატორს კანონშეუსაბამოდ მიაჩნია სოციალური სამსახურის დასკვნებიც.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 2 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განსახილველად დაინიშნა ზეპირი მოსმენა 2019 წლის 7 მაისს და 17 მაისს. მხარეთა შორის მორიგება ვერ იქნა მიღწეული. დასაშვებობის საკითხზე განჩინების სარეზოლუციო ნაწილი გამოტანილ იქნა 2019 წლის 28 მაისს ზეპირი მოსმენის გარეშე.

35. საკასაციო პრეტენზიების დასაბუთებულების შემოწმებამდე, პალატა ყურადღებას გაამახვილებს განსახილველი კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოსათვის სახელმძღვანელო რამდენიმე საკითხზე:

36. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის

ასპექტიც, რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამონეუელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით, ამასთან, ჩარევის სტანდარტად, გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვთა უფლებათა კონვენციაში“. მითითებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ბავშვის უფლებების დაცვის იმ მინიმალურ სტანდარტებს აწესებს, რომლებიც საზოგადოების არასრულწლოვანი წევრის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების ამოცანას ემსახურება და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, ყველა ღონე იხმარონ არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების დაცვისათვის. კონვენციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყოფონ ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით (სსკ-ის 1198.1 მუხლი). მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1199-ე მუხლი)

37. ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისებურებას საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვისას, სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ინკვიზიციურობის პრინციპის უფრო ფართოდ გამოყენება. მართალია, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლო ინარ-

ჩუნებს უფლებას, დაადგინოს ის გარემოებანი, რომელთა აუცილებლობა განაპირობებს არასრულწლოვანის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახო-სამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს უფლება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა (მტკიცების საგანი). მაშასადამე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დებულება არის სპეციალური ნორმა და მას უპირატესობა ენიჭება ამავე კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან შედარებით. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლოს შეუძლია: ა) თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი, ე.ი. იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადაწყვეტა; ბ) თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად. საოჯახო საქმეთა განხილვისას პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლოს აძლევს უფლებას, „წარმართოს საქმის წარმოება“, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო არსებით გავლენას ახდენს საქმის მიმდინარეობასა და პროცესის შედეგზე. სასამართლომ საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა წარადგინონ განმარტებები და შესაბამისი შუამდგომლობები. სასამართლოს აკისრია ვალდებულება, მისცეს მხარეებს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სიძნელეებს. შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად, სასამართლოს გადაცემული აქვს პროცესის მატერიალური ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. თუმცა აქ დგება ამ ორი პრინციპის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პრინციპების პროპორციის საკითხი. ამიტომაც, შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სასამართლოს უკიდურესი პასიურობა. საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოს არ ერთმევა უფლება, შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, ასე მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დავა შეეხება არასრულწლოვანის კანონიერ ინტერესებს, აქ უპირატესია ბავშვის აღ-



ზრდის, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში წარმატებული ადაპტაციისათვის აუცილებელი წინაპირობების გათვალისწინება. შესაბამისად, არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადანყვეტისას, სასამართლოს ამოსავალი წერტილი არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

38. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს ბავშვთა უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს. ამავე კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

39. 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

40. მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევრო საბჭოს ნევრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R (84) 4 რეკომენდაციის პირველი პრინციპის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობა არის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ერთობლიობა რომელიც მონოდებულია უზრუნველყოს ბავშვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა, კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი ურთიერთობების შენარჩუნება, და მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისათვის საჭირო სახსრებით, ოფიციალური წარმომადგენლობით და მისი ქონების ადმინისტრირებით.

41. ამავე რეკომენდაციის მე-2 პრინციპის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს ნებისმიერი გადანყვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ან ამ პასუხისმგებლობის განხორციელების გზებთან დაკავშირებით უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ინტერესებს.

42. მაშასადამე, სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახო-სამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-

ე მუხლის საფუძველზე კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მითითებული საპროცესო წესის გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავე კოდექსის 380-ე მუხლით, მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც გააჩნია. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმიწევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვთა უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები). გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დიდი პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე №41615/07 Neulinder and Shuruk v. Switzerland (აბზაცი 136) განმარტა, რომ „ბავშვის ინტერესი ორი ასპექტისაგან შედგება. ერთი მხრივ, ინტერესი მოგვიწოდებს, რომ ბავშვის კავშირი ოჯახთან შენარჩუნებული იყოს გარდა იმ შემთხვევისა, როცა ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ოჯახური კავშირები შეიძლება განყვეტილ იქნეს

მხოლოდ გამონაკლის ვითარებაში და ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირველადი უთიერთობების შესანარჩუნებლად და, როცა ეს შე-საძლებელია, უნდა „აღსდგეს“ ოჯახი. მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ ბავშვის ინტერესშია, უზრუნველყოფილ იქნეს მისი განვითარება ჯანსაღ გარემოში და მშობელი არ შეიძლება აღიჭურვოს მე-8 მუხლით განსაზღვრული უფლებით იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც ზიანს მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას“. თავის მხრივ, არასრულწლოვნის „უპირატესი ინტერესი“ („main interest“) – მიიღოს მშობლებისაგან ის სამართლებრივი სიკეთე, რაც აუცილებელია მისი საზოგადოებაში ღირსეულწევრად ჩამოყალიბებისათვის, უპირისპირდება მშობლის უფლებას – ინოვაციურად და იურიდიულად იყოს მითითებული ბავშვის მამად. არასრულწლოვანი ბავშვის ამ ლეგიტიმური ინტერესის დაცვას ეძღვნება ეროვნული კანონმდებლობის – სამოქალაქო კოდექსის არა ერთი ნორმა, ბავშვის ეს უფლება გარანტირებულია ასევე უნივერსალური საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით, რომლებიც სახელმწიფო მხრიდან აწესებენ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს ბავშვის ამგვარი ინტერესის დაცულობა. აღნიშნული მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ ნეგატიური ჩარევის დაუშვებლობას (რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს არასრულწლოვნისათვის კანონით მინიჭებული უფლებები), არამედ აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასაც – განახორციელოს აქტიური მოქმედებები არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დაცვისათვის, კერძოდ, შეიმუშავოს არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, თავის მხრივ, სასამართლოს გადწყვეტილება, რომელიც „სახელმწიფოს სახელით“ გამოტანილი სამართლებრივი დოკუმენტია და შეეხება არასრულწლოვნის ინტერესებს, არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების ყველაზე ნათელი მაგალითი. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სიკეთეში ჩარევის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ სწორი შეფასებისათვის, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადწყვეტილებაზე: ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ (Johansen v. Norway) აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნეს დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს, რომლებსაც შე-

იძლება, ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ანგარიშგასანევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვნის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. ევროსასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძველით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორწინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (Cylz v. the Netherlands). ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლების განქორწინებამდე ერთად, ერთ სახლში ცხოვრობდნენ (inter alia, Olsson v. Sweden (no. 1), 24 March 1988, § 81, Series A no. 130). კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია, ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უფლება, აგრეთვე, მოიცავს დამატებით პოზიტიურ ვალდებულებებს, თუმცა, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არსებული ზღვარი ზუსტ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. მათ მიმართ გამოყენებადი პრინციპები იდენტურია: ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იქნეს შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხის შეფასება ევროსასამართლოსაგან მოითხოვს, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებას საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი (რაც მოიცავს, მონმეთა ჩვენებებს, კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოთა დასკვნებს, ფსიქოლოგისა და სხვა ექსპერტის შეფასებებს და სამედიცინო ცნობებს); აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ბავშვებს, მიეცათ თუ არა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა (Havelka and Others v. the Czech Republic, საჩ. ნომ. 23499/06, § 62, 2007 წლის 21 ივნისი; Haase v. Germany, საჩ. ნომ. 11057/02, § 97, ECHR 2004-III (extracts)).

43. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი და-

უშვებლად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

44. კასატორი სადავოდ ხდის თერჯოლის მაგისტრატი სასამართლოს განსჯადობას და აღნიშნავს, რომ საქმე განსახილველად ექვემდებარებოდა არა თერჯოლის მაგისტრატ სასამართლოს, არამედ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, სადაც ბავშვები დედასთან ერთად ცხოვრობენ და სწავლობენ.

45. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმეში არსებული მტკიცებულებები, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მოისმინა მხარეთა მოსაზრებები და მიაჩნია, რომ კასატორის მოსაზრება დავის ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა და გაზიარებული არ უნდა იქნეს. ასევე, უსაფუძვლოა კასატორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში მესამე პირად ჩართული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თერჯოლის რაიონული განყოფილების ნაცვლად ჩართული უნდა ყოფილი ქუთაისის განყოფილება.

46. ამასთან, კასატორს მიაჩნია, რომ არსებობს გასაჩივრებულის განჩინების გაუქმების საფუძველი, თუმცა, არ უთითებს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სსკ-ის 393-ე მუხლით გათვალისწინებულ რომელ საფუძველს აქვს ადგილი.

47. მოცემულ შემთხვევაში, პალატა იზიარებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლის მიხედვით მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან 2009 წლის 29 სექტემბრიდან. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი, რომლებიც 2017 წლის ივნისამდე იზრდებოდნენ ორივე მშობელთან ერთად. 2017 წლის ივნისიდან მეუღლეები ერთად აღარ ცხოვრობენ და მათი შვილები ცხოვრობენ დედასთან. 2017 წლის ივნისიდან მოპასუხეს მოსარჩელე არ აძლევს საშუალებას თავისთან წაიყვანოს თავისი შვილები ღამით მასთან დარჩენით.

48. მოპასუხეს შეზღუდული აქვს შვილებთან ურთიერთობა. თერჯოლის მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 06 ოქტომბრის დროებითი განკარგულების საფუძველზე ნება დაერთო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კვირაში ორი დღით – შაბათსა და კვირას დილის 12:00 საათიდან 15:00 საათამდე მოინახულოს ბავშვები დედის საცხოვრებელი ადგილის, ან ბავშვებისა და დედის ადგილსამყოფელის მიხედვით.

49. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრის მოთხოვნის სასამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 1198-ე მუხლის მეხუთე ნაწილი (მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება). ასევე, 1202-ე

და 1201-ე მუხლები.

50. სადავო საკითხთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენესი სასამართლოს პრაქტიკა. ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მცირეწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის კანონიერება წარმოადგენდა (შდრ: №ას-53-51-2016, 6 ივლისი, 2016 წელი, პ-46). განიმარტა შემდეგი: „...როდესაც საკითხი სსკ-ის 1201-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმიწევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვნის ქვმარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვთა უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა განმორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განმორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განმორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები)“. მოცემულ შემთხვევაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს თერჯოლის რაიონული განყოფილების მიერ წარმოდგენილი დასკვნის თანახმად ირკვევა, რომ მოსარჩელის ოჯახში არის კარგი საყოფაცხოვრებო პირობები. ყველანაირი საშუალებაა იმისათვის, რომ ბავშვებმა კომფორტულად და კარგად იგრძნონ თავი. მოპასუხეს ოჯახში ჰყავს პენსიონერი მშობლები. იმავდროულად, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია, რომ მამასა და ბავშვებს შორის არ არის გაუცხოება, მათ შორის დამოკიდებულება ნორმალურია.

51. საკასაციო პალატის მოსაზრებით, როდესაც საქმე არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასა და ცალკე მცხოვრებ მშობლებთან ურთიერთობის მოწესრიგებას ეხება, განსაკუთრებული სიფრთხილით შეფასებას მოითხოვს არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე პირებისა თუ შესაბამისი სპეციალისტების (ფსიქოლოგის) მიერ გაკეთებული დასკვნები. ამ კონ-

ტექსტში საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს საქმის მასალებზე, კერძოდ, ფსიქოლოგის 2018 წლის 09 ნოემბრის დასკვნის შინაარსზე, რომლის მიხედვით: „... შესწავლილ იქნა არასრულწლოვანი ბავშვების ფსიქოლოგიური მდგომარეობა, განვითარების შესაბამისი ინტელექტუალური მონაცემები. მათ აჩვენეს, რომ საგნობრივი ცოდნა, განვითარებული სიტუაციებისადმი დამოკიდებულება ასაკის შესაბამისობაშია. პირველი, რაც გამოკვეთილად შეინიშნებოდა, ორივე არასრულწლოვანს სურვილი აქვს მამასთან, მოპასუხესთან ჰქონდეთ ხშირი ურთიერთობა. ისინი დედის თანდასწრებით, ღიად აღიარებენ ამ ფაქტს. საყურადღებოა ის დეტალი, რომელშიც ამბობდნენ, რომ მამამ ჩვენთან იცხოვროსო. აქ ნათლად ჩანდა დედის სურვილი, ზეგავლენა, რომ მამამ იცხოვროს მათთან, რადგან კონფლიქტის მთავარი მიზეზი დედამთილია. უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხე წინააღმდეგია შვილები ღამისთევით დარჩნენ მამასთან, მითუმეტეს, არ ეთანხმება მოსაზრებას არდადეგების პერიოდში თანაბრად გაიყონ დარჩენის დღეები. გასაუბრების შედეგი მეტყველებს იმაზე, რომ ბავშვებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მამის ოჯახი. მშობლებთან ურთიერთობაში იგრძნობა ორგანულობა, რომლის წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება დანაშაულია. მითუმეტეს, როცა მამა არაა მაგალითი სამართლებრივი ნორმის დარღვევის, არაა მოძალადე და არ სახელდება მოპასუხის მხრიდან არსებითი მიზეზი, რის გამოც, მოპასუხეს უნდა ეკრძალებოდეს შვილებთან აქტიური ურთიერთობა. მოსარჩელე დედამთილთან კონფლიქტურ დამოკიდებულებას დრამატულად წარმოგვიდგენს, რაც საბოლოოდ უშლის ხელს შვილებს მამის ოჯახთან ჰარმონიულ დამოკიდებულებაში. ბავშვებისთვის ორივე მშობელი და მათი სოციალური არის რესურსი მათი შემდგომი ფსიქო-ფიზიკური განვითარებისთვის. ამიტომაც გვევალება გავითვალისწინოთ არასრულწლოვანების განცდები და დამოკიდებულებები ორივე მხარესთან. ეს ფაქტი კი აძლიერებს მოსაზრებას, რომ ბავშვებთან ურთიერთობის დროს შეინარჩუნონ ცივილური, ნეიტრალური პოზიციები ერთმანეთთან მიმართებაში და უარი თქვან პრივატულ მოთხოვნილებებზე. არასრულწლოვანებზე ფსიქოლოგიურმა დაკვირვებამ ნათელი გახადა ფაქტი იმის თაობაზე, რომ დედა წინააღმდეგია ბავშვების მამასთან ღამისთევით დარჩენისა, რაც გამომდინარეობს წარსულში არსებული პირადი კონფლიქტური დამოკიდებულების მიზეზით შეუღლესთან და მისი ოჯახის წევრებთან. არსებითი მიზეზი, არის თუ არა მოპასუხე მოძალადე მამა, ან ყავს თუ არა მშობლები, რომლებიც ბავშვებს დისკომფორტს შეუქმნიან – არ სახელდება; ბავშვებთან გასაუბრებისას ნათლად გამოიხატა მამასთან მათი და-

მოკიდებულების რეალური სურათი, სტაბილური სიმბიოზის აუცილებლობა, რაც გულისხმობს მათი ფსიქო-ფიზიკური სრულყოფისათვის აუცილებელი და განმავითარებელი სოციალური შექმნას. მოპასუხეს უნდა მიეცეს შეუზღუდავი ურთიერთობის უფლება შვილებთან, ღამისთევით, არასასწავლო დღეებში – პარასკევი, შაბათი, ხოლო კვირას საუზმის შემდგომ დაბრუნდნენ დედასთან საცხოვრებელ სახლში, ზამთრისა და ზაფხულის არდადეგები კი განაწილდეს თანაბრად...“.

52. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას გამახვილებს მოცემულ დავაში სოციალური მომსახურების სააგენტოს როლზე და აღნიშნავს, რომ განსახილველი კატეგორიის საქმეებზე მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს (სკ-ის 1200-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

53. მოცემულ შემთხვევაში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თერჯოლის რაიონული განყოფილების 2017 წლის 18 დეკემბრის დასკვნის თანახმად, დადგენილია, რომ მოპასუხის სოციალური გარემო დამაკმაყოფილებელია, სადაც არასრულწლოვანებისათვის შექმნილია უსაფრთხო და მზრუნველი გარემო; ამავე დასკვნაში სოციალური მუშაკის მიერ აღნიშნულია, რომ ბავშვებსა და მამას შორის არ არის გაუცხოება.

54. აღსანიშნავია, სოციალური მომსახურების სააგენტოს თერჯოლის რაიონული განყოფილების წარმომადგენლის პოზიცია სარჩელთან დაკვირვებითაც, რომლის მიხედვით ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, მამას უნდა ჰქონდეს შვილებთან თავისუფალი ურთიერთობის საშუალება. სოციალური სააგენტოს მიერ შემოწმდა მოსარჩელის საყოფაცხოვრებო პირობები და დადებითად შეფასდა ოჯახში არსებული გარემო. დასკვნის მიხედვით ბავშვების მამასთან ყოფნის დროს მათთვის შექმნილი იქნება უსაფრთხო და მზრუნველი გარემო.

55. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ ორივე არასრულწლოვანი ბავშვისთვის მნიშვნელოვანია მამის ოჯახი, მოპასუხე არ არის მოძალადე, პირიქით ის მზრუნველი მამაა, არასრულწლოვან ბავშვებს სურთ მამასთან ურთიერთობა, მოსარჩელეს აქვს მართლობითი უფლება ურთიერთობა იქონიოს არასრულწლოვან შვილებთან. ასეთი ურთიერთობის არ ქონა, ან ხელშეშლა კი, პირველ რიგში, დააზარალებს არასრულწლოვანთა ინტერესებს.

56. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მი-



აჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა. საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არც დასაბუთებული პოზიციისა წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან ან/და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობის საფუძვლით.

57. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სა-

სამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით. შრომითსამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივ საკითხებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელთა ნაწილიც ასახულია წინამდებარე განჩინებაში.

58. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

59. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სსსკ-ის 46-ე მუხლის „ვ“ პუნქტის საფუძველზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **4. საალიმენტო მოვალეობანი**

## ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-619-619-2018

12 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:**

1.1. ე. ნ-მა (შემშვომში – მოსარჩელე, პირველი აპელანტი ან კასატორის მონინალმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლო-ში ნ. ს-ის (შემდგომში – მოპასუხე, მეორე აპელანტი ან კასატორი) მიმართ და მოითხოვა, არასრულწლოვანი შვილები: ა. ს-ისა (დაბ: ...09.20...წ.) და გ. ს-ის (დაბ: 22...20...წ.) სასარგებლოდ, სარჩელის აღძვრიდან (20.06.2017წ.) ალიმენტის სახით 600-600 ლარის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მხარეები იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქონწინო ურთიერთობაში. თანაცხოვრების პერიოდში, 2015 წლის 22 სექტემბერს შეეძინათ ტყუპი შვილი: ა. და გ. ს-ეები. მხარეები ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობენ. მოსარჩელე დასაქმებულია და არასრულწლოვანი იზრდებიან ძიძასთან. ამ ეტაპზე, მოსარჩელე იხდის ძიძის მომსახურების თანხას ორივე ბავშვისათვის 700 ლარის ოდენობით. თითოეულ არასრულწლოვანს კვებისთვის ესაჭიროება თვეში 350 ლარი, მკურნალობისა და მედიკამენტებისათვის – 150 ლარი, სამოსისათვის – 150 ლარი და ჰიგიენური საშუალებებისათვის – 125 ლარი. მოპასუხე სათანადოდ არ იღებს მონაწილეობას არასრულწლოვანი შვილების აღზრდა-განვითარებაში, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულია და აქვს სტაბილური შემოსავალი. მოსარჩელე მხოლოდ საკუთარი შემოსავლით ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნებს რჩენა-აღზრდისათვის ნორმალური პირობებით. ალიმენტის სახით მოთხოვნილი თანხის ოდენობა მეტ-ნაკლებად საკმარისია ბავშვების ნორმალური აღზრდა-განვითარებისათვის.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ, თითოეული შვილის სასარგებლოდ 200-200 ლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში ცნო და განმარტა, რომ ის შვილებზე ზრუნვას თავს არ არიდებს და იღებს ვალდებულებას, მიიღოს მონაწილეობა მათ რჩენასა და აღზრდაში. მოპასუხე მუშაობს ქ-ის საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე და თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2 460 ლარს (ხელზე მისაღები თანხა 1918 ლარია), ამასთან, 2032 წლამდე სს „ს-ის“ წინაშე ერიცხება საკრედიტო დავალიანება -90 240,37 ლარის ოდენობით და ვალდებულების დასაფარად ყოველთვიურად გადასახადელი თანხა შეადგენს 1 200 ლარს. 2017 წლის 10 მაისს დაქორწინდა ნ. ჩ-ეზე. საკუთარი მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, ის ვერ გადაიხადის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ოდენობით ალიმენტს არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ. შესაძლებლობის ფარგლებში, ფინანსურად ყოველთვის დაეხმარება არასრულწლოვან შვილებს.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს ა. და გ. ს-ეების სასარგებლოდ 2017 წლის 20 ივნისიდან ყოველთვიურად დაეკისრა ალიმენტის – 350-350 ლარის გადახდა.

### **4. აპელანტების მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, მოსარჩელემ მისი ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ – ალიმენტის ოდენობის თითოეული ბავშვის სასარგებლოდ, 200-200 ლარით განსაზღვრა მოითხოვა.

### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით პირველი აპელანტის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ, სარჩელის აღძვრიდან ყოველთვიურად დაეკისრა 450-450 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივარი.

### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით

გასაჩივრა მეორე აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით აღიმენტის ოდენობის 250 ლარით განსაზღვრა თითოეული შვილის სასარგებლოდ ან საქმის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისთვის დაბრუნება ხელახლა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

1.1.1. ვიდრე საკასაციო პრეტენზიების საფუძვლიანობის კვლევას შეუდგება, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების ფარგლები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამომწებებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე მოწმდება გადაწყვეტილების სამართლებრივი კანონიერება, რაც ამავე კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით რეგულირდება. პირველ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის წარმატებას განაპირობებს მხარის მიერ საკუთარი პრეტენზიის იურიდიული დასაბუთება, რაც შეეხება მეორე ნორმას, ამ შემთხვევაში კანონმდებლის პოზიცია იმპერატიულია და სასამართლოს ყოველთვის ავალდებულებს, განსაზღვროს ხომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი (გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული).

1.1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა რა პირველი აპელანტის მოთხოვნა, თითოეული არასრულწლოვნის მიმართ აღიმენტი 450-450 ლარით განსაზღვრა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებას არ ეთან-

ხმება ალიმენტვალდებული პირი და ის გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებას რამდენიმე საფუძვლით მოითხოვს, კერძოდ:

i სააპელაციო სასამართლოს არ აუხსნია, თუ რა მეთოდებითა და რომელი მტკიცებულებების კვლევით განსაზღვრა ალიმენტის ოდენობა, არ იმსჯელა მეორე აპელანტის სააპელაციო პრეტენზიების საფუძვლიანობაზე (არასრულწლოვანთა აღზრდისათვის საჭირო მატერიალური სახსრები, მშობლის რეალური ფინანსური შესაძლებლობები, მათ კმაყოფაზე მყოფ პირთა საჭიროებები, მშობელთა ფინანსური ვალდებულებები და სხვა), შესაბამისად, მიღებული გადანყვეტილება არ არის დასაბუთებული (მხარე მიიჩნევს, რომ ამ მხრივ დარღვეულია ევროკონვენციის 6.1 მუხლი, ასევე, გადანყვეტილება არ შეესაბამება ევროსასამართლოს პრაქტიკას საქმეებზე: *Jgarkava v. Georgia*; *Garsia Ruiz v. Spain*) და არ შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე;

ii საქმე არ განუხილავს მიუკერძოებელ სასამართლო შემადგენლობას, ამ მხრივ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის იმპერატიული მოთხოვნები, რადგანაც დავის მონაწილე მხარე სააპელაციო სასამართლოს თანამშრომელი იყო, რაც აქსიომატურს ხდის მისთვის სასამართლოს მხრიდან უპირატესობის მინიჭებას. მართალია, სასამართლოს მიმართ კასატორს არ უსარგებლია აცილების შუამდგომლობის განცხადებით, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს თავად უნდა განეცხადებინა აცილება (*ECHR: Padovani v. Italy*; *Micallef v. Malta*; *Hauschildt v. Denmark*; *Morel v. France*), უფრო მეტიც, ხსენებული საფუძვლიდან გამომდინარე, აცილებადი იყო კოლეგიური შემადგენლობის ყველა მოსამართლე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, საქმე სხვა სააპელაციო პალატას უნდა გადასცემოდა განსახილველად. სასამართლოს ტენდენციურობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიაქცია იმგვარად, რომ ალიმენტის გადახდის დღედ განსაზღვრა ყოველი თვის 20 რიცხვი. სასამართლოს არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ მოპასუხეს ხელფასი თვის ბოლოს ერიცხება, შესაბამისად, ყოველი თვის 20 რიცხვში უნდა მოხდეს ანგარიშის დაყადაღება, შემდეგ ხელფასის ჩარიცხვა და ალიმენტის გადახდის შემდგომ ყადაღის მოხსნა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია გადანყვეტილების დასაბუთების ვადა, რაც არ შეესაბამება უფლების სასამართლო წესით დაცვისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს.

1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)), წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სავალდებულო ძალა გააჩნია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1.2.1. მოსარჩელე და მოპასუხე იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში. მხარეები ამჟამად აღარ ცხოვრობენ ერთ ოჯახად და არ ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას;

1.2.2. უდავოა, რომ თანაცხოვრებისას მხარეებს შეეძინათ ორი შვილი: ა. ს-ე (დაბ: ...09.20...ნ.) და გ. ს-ე (დაბ: 22.09.2015წ.);

1.2.3. არასრულწლოვნები ცხოვრობენ მოსარჩელესთან, რომლებსაც ზრდიდა და ამჟამადაც ზრდის ძიძა;

1.2.4. 2017 წლის მაისიდან მოპასუხე აღარ უწევს სტაბილურ ფინანსურ დახმარებას არასრულწლოვნებს, მან 2017 წლის 29 ივნისს მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე ერთჯერადად ჩარიცხა 300 ლარი;

1.2.5. ნ. ს-ემ იქორწინა 2017 წლის 10 მაისს, მისი მეუღლე ორსულობასთან დაკავშირებით აღრიცხვაზეა შპს „ჰ-ში“;

1.2.6. მოსარჩელე მხარე დასაქმებულია და აქვს სტაბილური მატერიალური შემოსავალი. სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობით, 2017 წლის 1 მაისიდან 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით ე. წ-ის კუთვნილი დასაბეგრი შემოსავლები შეადგენს: 2017 წლის მაისში – 1 365 ლარს, ივნისში – 2 730 ლარს და ივლისში – 2 871.90 ლარს. მოსარჩელეს 2017 წლის 16 ივნისის მდგომარეობით, სს „თ-ის“ წინაშე ერიცხება დავალიანება: 4 082.13 (№-... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე) და – 52 470.82 ლარი (№-... საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე), ხოლო, საკრედიტო ბარათზე – 375.33 ლარი;

1.2.7. მოპასუხე დასაქმებულია ქ-ის საოლქო პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე და მისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა შეადგენს თვეში 2 460 ლარს, საიდანაც ხელზე ასაღები ხელფასი 1 918 ლარია, ხოლო, ყოველთვიური დანამატი შეადგენს – 400 ლარს. სს „ტ-ში“ ნ. ს-ის გახსნილ საბანკო ანგარიშზე 2017 წლის ივნისში ჩარიცხა თანამდებობრივი სარგო 1 918 ლარი და ივნისის დანამატი – 1 400 ლარი,

ივლისის თანამდებობრივი სარგო – 1 918 ლარი და ივლისის დანამატი – 400 ლარი. სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობით, 2017 წლის 1 მაისიდან 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით ნ. ს-ის კუთვნილი დასაბეგრი შემოსავლები შეადგენს: 2017 წლის მაისში 2 960 ლარს, 2017 წლის ივნისში 4 210 ლარს და 2017 წლის ივლისში – 2 960 ლარს. სს „ს-თან“ გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნ. ს-ის საბანკო დავალთანება 2017 წლის 29 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 90 240,37 ლარს; მასვე საბანკო დავალთანებები ერიცხებოდა სს „ტ-ის“ და სს „თ-ის“ წინაშეც;

1.2.8. ამჟამად არასრულწლოვნები არ სწავლობენ სკოლამდელ აღმზრდელით დაწესებულებაში. მოპასუხე ამხსნა-განმარტებით დაადასტურა (2017 წლის 26 სექტემბრის სხდომის ოქმი), რომ არასრულწლოვანისათვის ასაკის შესაფერისი პირობებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ქვემოთ მითითებული ხარჯი. მას ალტერნატიული საფასურის გადახდის პირობით სხვა ძიძის მომსახურებაზე არ მიუთითებია. ყოველთვიურად თითოეული არასრულწლოვნის:

- კვებისათვის საჭირო თანხა შეადგენს დაახლოებით 150-160 ლარს;

- სამოსისათვის – 70 ლარს;

- ჰიგიენური ნივთების შესაძენად – 125 ლარს;

- ძიძის მომსახურებისათვის 350 ლარს.

1.2.9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, სახელმწიფოში საარსებო მინიმუმის ოდენობა ორსულიანი ოჯახისათვის შეადგენდა: 2017 წლის ივნისისათვის – 247 ლარს, ივლისისათვის – 236.9 ლარს და აგვისტოსათვის – 237.3 ლარს.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

ამ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.1.2. პუნქტში გამოცემულ საკასაციო პრეტენზიათა შეფასების მიზნით უნდა გაანალიზდეს ორი საკითხი:

i დაირღვა თუ არა პირის მიმართ საქმის სამართლიანი განხილვის უფლება და მიღებული გადანყვეტილება შეესაბამება თუ არა დასაბუთების საკანონმდებლო სტანდარტს;

ii სასამართლომ სრულყოფილად გამოიკვლია თუ არა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები და დაადგინა თუ არა გონივრული თანაფარდობა მშობლის/მშობელთა გადახდისუნარიანობასა და არასრულწლოვანთა ინტერესებს შორის.

1.3.1. საკასაციო სასამართლო პირველ საკითხთან მიმართებით



არ იზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ საქმე განიხილა მიკერძოებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, უნდა განეცხადებინა ყველა მოსამართლეს თვითაცილება (სსსკ-ის 31.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ მოტივით, რომ ე. წ-ი თბილისის სააპელაციო სასამართლოს თანამშრომელია) და, ამავე კოდექსის 34-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, საქმე უნდა გადასცემოდა განსახილველად სხვა სააპელაციო სასამართლოს. ამ პრეტენზიის შეფასების მიზნით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ორ ფაქტორზე: ა) რა წარმოადგენს მხარის მოსაზრებით, სასამართლოს მიკერძოების საფუძველს; ბ) ისარგებლა თუ არა მხარემ სასამართლოსათვის აცილების შუამდგომლობის დაყენებით.

1.3.2. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი მოსამართლეთა მიკერძოების საფუძველად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მოსარჩელე დასაქმებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობა გარანტირებულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე, საპროცესო კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. ე.წ „ბანგალორის პრინციპების“ თანახმად, ერთ-ერთ ღირებულებას წარმოადგენს მოსამართლის მიუკერძოებლობა, რაც არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად. ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც, რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება (ამ ღირებულების გამოყენების წინაპირობად დადგენილია, რომ: მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე; მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლის და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან; მოსამართლე გონივრულობის ფარგლებში უნდა მოიქცეს ისე, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს იმ შემთხვევათა რიცხვი, როდესაც საჭირო გახდება მისი ჩამოცილება საქმის განხილვის ან გადაწყვეტილების მიღებისგან; მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს რაიმე კომენტარი ისეთ საქმეზე, რომელსაც ის განიხილავს ან რომელიც შეიძლება გახდეს მისი განხილვის საგანი, რამაც შეიძლება გონივრული მოლოდინის ფარგლებში ზეგავლენა მოახდინოს ასეთი საქმისწარმოების შედეგზე, ან დააზიანოს პროცესის აშკარა სამართლიანობა. მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს რაიმე კომენტარი საჯაროდ ან იმდაგვარად, რომ გავლენა მოახდინოს ვინმეს წინააღმდეგ ან რაიმე საკითხის გამო წარმართულ სა-

მართლიან პროცესზე; მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი, საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი. ასეთი შემთხვევები მოიცავს, მაგრამ არ ამოიწურება ისეთი საქმეებით, რომლებშიც: მოსამართლე რეალურად გადახრილია ან წინასწარ განწყობილია რომელიმე მხარის საწინააღმდეგოდ, ან აქვს პერსონალური ინფორმაცია სადაო ფაქტებთან დაკავშირებით მოცემულ საქმეზე; მოსამართლე წინათ მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი ან მატერიალური მონაწილეობდა საქმეში; ან მოსამართლეს ან მოსამართლის ოჯახის წევრი მატერიალურად დაინტერესებულია სადაო საქმის შედეგით. მოსამართლის თვითაცილება არ არის სავალდებულო თუ ვერ შედგება სხვა სასამართლო ამ საქმის განსახილველად, ან, გამონაკლის გარეშე – თა გამო, უმოქმედობამ შეიძლება გამოიწვიოს მართმსაჯულების სერიოზული ხარვეზი). მოცემულ შემთხვევაში, გაურკვეველია, სასამართლოში პირის დასაქმების ფაქტორი რატომ ახდენს იმხელა ზეგავლენას ამ სასამართლოს მოსამართლეთა ქცევაზე, რაც სრული შემადგენლობის აცილების წინაპირობა შეიძლება გახდეს, უფრო მეტიც, თუკი მხარეს მართლმსაჯულების განხორციელებისას გაუჩნდა დასაბუთებული ვარაუდი, მას უნდა განეკარგა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლით განსაზღვრული საშუალება. საგულისხმოა, რომ მხარე საქმის განმხილველი შემადგენლობისა და მოსარჩელის იმგვარ სუბორდინაციულ კავშირზე არ მიუთითებს, რაც გონიერ ადამიანში აღძრავს მიკერძოების ეჭვს, ამასთანავე, მხოლოდ ის გარემოება, რომ ე. წ-ი თბილისის სააპელაციო სასამართლოს თანამშრომელია, არ შეიძლება, მოსამართლის თვითაცილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი გახდეს.

1.3.3. პალატა დამატებით განმარტავს, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპი ემსახურება და გარანტირებულს ხდის მხარის უფლებას, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლის შესაბამისად, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლემ. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება: პირველი – სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან; მეორე – იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოს საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20

მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, gv. 1030- 31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-I). რაც შეეხება სუბიექტურობას, მოსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. „ჰაუსშიდტი დანიის წინააღმდეგ“, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A № 154, გვ. 21, §47; „დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ“, №42095/98, §30, ECHR 2000-X). პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, მოსამართლის აცილების საკითხის განხილვისას, უფრო მნიშვნელოვან გარანტიებს აწესებს ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა, ამასთან, იმ საქმეების უდიდეს უმრავლესობაზე, რომლებიც მიკერძოებულობის საკითხს ეხება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აქცენტს სწორედ ობიექტურობის ტესტზე აკეთებს. ობიექტურობის ტესტით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად აქვს ადგილი დადასტურებად ფაქტებს მოსამართლის ქცევისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ეჭვს ბადებს ამ უკანასკნელის მიუკერძოებლობაში. იმის განსასაზღვრად, არსებობს თუ არა კონკრეტულ საქმეში ლეგიტიმური ეჭვი იმ მოსამართლის მიკერძოებულობისა, რომელიც განიხილავს საქმეს, პირის პოზიცია არ არის გადამწყვეტი. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ის, თუ რამდენად არის პირის ეჭვი მიკერძოების შესახებ ობიექტურად გამართლებადი, ანუ რამდენად აქვს მას შიშის საფუძველი (იხ. „ვეტსტაინი შვეიცარიის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება; მიქალეფი მალტის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება; პადოვანი იტალიის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება; პესკადორ ვალერო ესპანეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება).

1.3.4. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მიერ მოყვანილი არგუმენტი მოდავე მხარის ამავე სასამართლოში დასაქმების თაობაზე, არ არის საკმარისი სასამართლოს მიკერძოებულად მიჩნევისათვის, ისევე, როგორც ამ საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელობა ვერ ექნება სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 6 ნოემბრის განჩინებასა (რომლითაც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ მოსარჩელის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა) და ალიმენტის გადახდის კონკრეტული თარიღის განსაზღვრას, გარდა ამისა, ვინაიდან ე. წ-ის თბილისის სააპელაციო სასამართლოში მუშაობის ფაქტი კასატორისათვის, როგორც მოსარჩელის ყოფილი მეუღლისათვის, იმთავითვე იყო ცნობილი, სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 33-ე მუხლის შესაბამისად, მას წარმოუშობდა ვალდებულებას, ჯერ კიდევ სააპელაციო განხილვის დაწყებამდე წარედგინა აცილების შესახებ შუამდგომლობა. საბოლოოდ საკასაციო პალატა ასკვნის, რომ საქმის არაკანონიერი შემადგენლობით განხილვის წინაპირობები არ დგინდება, შესაბამისად, არ არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წინაპირობა (გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ).

1.3.5. რაც შეეხება გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტს, ამ მხრივ საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ დასტურდება განსჯის ის პროცესი, რომლის შედეგადაც მივიდა სასამართლო კონკრეტულ დასკვნებამდე, არ ირკვევა რა მტკიცებულებები შეაფასა მან, მხარეთა რომელი პოზიციები გაიზიარა და რომელი უარყო. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პალატა აპელირებს ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებზე: „ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ“, № 7932/03; „Van de Hurk v. Netherlands“, პარ. 61, „Garcia Ruiz v. Spain [GC]“ პარ.26; „Jahnke and Lenoble v France (dec.)“; „Perez v France [GC]“, par. 81); „Boldea v. Romania“, პარ. 30 და განმარტავს, რომ არ იმსჯელებს მხარეთა იმ არგუმენტებზე, რომელთაც მნიშვნელობა არ აქვს დავის გადაწყვეტას, რასაც საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე (389-ე) მუხლი ადგენს გადაწყვეტილების დასაბუთებულობის სტანდარტს და მსგავსად ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა, იგი ადგენს გადაწყვეტილების დასაბუთების იმგვარ სტანდარტს, რომლის გაცნობის შედეგად მოდავე მხარეს ყველა იმ სამართლებრივ კითხვაზე უნდა გაეცეს პასუხი, რომელიც მასში დავას ან დაურწმუნებლობას წარმოშობს. ღსაკვირველია, სასამართლო არც არის ვალდებული დეტალურად გასცეს მხარის ყველა პრეტენზიას პასუხი, თუმცა როდესაც მხარეთა შორის შეუთანხმებლობის საგანს წარმოადგენს სარჩოს ოდენობის განსაზღვრა, ბუნებრივია, არსებითი ხასიათისაა ყველა ის პრეტენზია, რომელიც გამოკვეთს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას. ამ მხრივ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მართლაც არ არის სრულყოფილად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველია (გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული).

1.3.6. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების განსაზ-

ღვრის მიზნით საკასაციო პალატა ითვალისწინებს ქვემდგომი სასამართლოების მიერ დადგენილ და საკასაციო საჩივრით შეუდაველ დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის ფაქტებს (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.2.) და განმარტავს, რომ „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის პრეამბულით, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დეკლარაციით დადგენილია, რომ „ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, მათ შორის სათანადო სამართლებრივ დაცვას, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“. „სპეციალური დაცვის“ აუცილებელ ერთ-ერთ კომპონენტად კონვენცია განიხილავს არასრულწლოვნის სოციალურ უფლებას, რომელიც უდავოა, რომ ამავე კონვენციით აღიარებულ „საუკეთესო ინტერესების“ ცნებაში მოიაზრება და კონვენციის მე-3 მუხლის (1) (2) თანახმად, აღიარებულია შემდეგი: ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ, უზრუნველყოფონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მისი მშობლების, მეურვეების ან კანონით მისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, და ამ მიზნით მიმართავენ ყველა შესაბამის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომებს. არასრულწლოვნის დაცვის (მათ შორის სოციალური) იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებშია ასახული, რომელთაგან ერთ-ერთს, სამოქალაქო კოდექსის 1212-ე-1238-ე მუხლები წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლში ასახულია მშობელთა სოციალური ვალდებულების საკანონმდებლო დეკლარირება და დადგენილია, რომ მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. უნდა განიმარტოს, რომ ალიმენტი, სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს მინიმალურ მატერიალურ დაცვას იმ პირისა, რომელიც საჭიროებს ზრუნვას. სამოქალაქო კოდექსი შვილის საჭიროებიდან გამომდინარე სარჩოს ოდენობის განსაზღვრას მშობლების ურთიერთშეთანხმებას მიანდობს (სკ-ის 1213-ე მუხლი). სწორედ იმ გარემოებიდან, გამომდინარე, რომ ალიმენტის მიღების უფლების მქონე პირს არ შეუძლია, დამოუკიდებლად მიაღწიოს იმ საარსებო აუცილებლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რომელიც მისი განვი-

თარების ინტერესს ემსახურება, კანონი აღჭურავს ფართო უფლებამოსილებით, ვალდებულ პირს, მოსთხოვოს სარჩოს გადახდა, რომლის ნებაყოფლობით განუხორციელებლობის შემთხვევაში, მას სრული რესურსი გააჩნია, მიმართოს სამართლებრივი იძულების მექანიზმებს (სკ-ის 1214-ე მუხლი).

1.3.7. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კასატორი არ ედავება სააპელაციო პალატის იმ შუალედურ განჩინებებს, რომლებითაც მას უარი ეთქვა ამა თუ იმ მტკიცებულების დაშვებაზე, თუმცა, პალატა განმარტავს, რომ ზოგადი წესის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოება, საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლიდან გამომდინარე, აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგადპროცესუალური სტანდარტიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარმატებულობას თავად მხარის აქტიურობა განაპირობებს, კერძოდ, იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლებს იგი საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების წარდგენას, მისი წარმატების ხარისხიც მალაღია. ამ თვალსაზრისით, საპროცესო სამართლისათვის აქსიომატურია 103-ე (1) მუხლის დებულება, რომლის მიხედვითაც მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები და მხოლოდ სათანადო წინაპირობების არსებობისას, დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე შეიძლება ჩაერიოს სასამართლო მტკიცების პროცესში (მაგ: 103.2, 136.5, 157-ე მუხლები). ამ სტანდარტისაგან განსხვავებულ მიდგომას ადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საოჯახო საქმეთა განხილვის მიმართ (სსსკ-ის 352-ე მუხლი) და 354-ე (1) მუხლის ძალით სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა ინტერესების დადგენისათვის, რომელიც ამ დავის გადანყვეტისათვის ცენტრალური მნიშვნელობის საკითხია, არ არის აუცილებელი დამატებით მტკიცებულებათა წარმოდგენა, არამედ, კასატორი ძირითადად საკუთარი ვალდებულებების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის შეუძლებლობას ხდის სადავოდ. ეს დოკუმენტი კი, მისი ოჯახის წევრის – დედის საჭიროებებს განსაზღვრავს. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პოზიციას საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის თაობაზე, თუმცა, მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის წინაპირობების არსებობა არ იკვეთება (საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადანყვეტილების გაუქმების სა-

ფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადან-  
ყვეტილება იქნა გამოტანილი).

1.3.8. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის კონტექსტში საკასა-  
ციო პალატა მიუბრუნდება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერე-  
სების კვლევის საკითხს და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის  
1214-ე მუხლის ფარგლებში სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა დაად-  
გინოს ბავშვთა ის მატერიალური აუცილებლობანი, რომლებიც მათი  
რჩენა-აღზრდის საკითხს მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფენ, ხოლო,  
მეორე მხრივ, გადანყვეტილება უნდა იყოს აღსრულებადი, კერძოდ,  
ალიმენტვალდებულმა პირმა რეალურად უნდა შეძლოს დაკისრებუ-  
ლი თანხის გადახდა. ამ შემთხვევაში სასამართლო ითვალისწინებს  
ბავშვების ასაკს, მათ ყოველთვიურ მატერიალურ საჭიროებას (დად-  
გენილი გაანგარიშების გათვალისწინებით, თითოეული არასრულწლო-  
ვანის რჩენა-აღზრდის თანხა საშუალოდ 695-700 ლარს აღწევს, თა-  
ნახმად სამოტივაციო ნაწილის 1.2.8. პუნქტისა), ქვეყანაში დადგე-  
ნილ საარსებო მინიმუმს, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე და 1212-ე  
მუხლებით განსაზღვრულ მშობელთა თანაბრობის პრინციპს (შვილე-  
ბის მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. მშობ-  
ლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილე-  
ბი), მოდავე მხარეთა რეალურ მატერიალურ მდგომარეობას (ორივე  
მშობელი დასაქმებულია და აქვთ სტაბილური, თითქმის მსგავსი შე-  
მოსავალი, ორივე მათგანს გააჩნია გარკვეული ვალდებულება საბან-  
კო სექტორის მიმართ იხ. სამოტივაციო ნაწილის 1.2.6.; 1.2.7. პ. პ.), მათ  
უფლებას საარსებო მინიმუმსა თუ ოჯახის სხვა წევრთა მიმართ არ-  
სებულ მორალურ ვალდებულებებზე, ასევე იმას, რომ კასატორი  
ელოდება შვილს მეორე ქორწინებიდან (იხ. სამოტივაციო ნაწილის  
1.2.5. პუნქტი) და მიიჩნევს, რომ საერთო შვილების აღზრდაში ნ. ს-ის  
მატერიალური მონაწილეობა, მისი ყოველთვიური შემოსავლის გათ-  
ვალისწინებით უნდა განისაზღვროს თითოეული ბავშვის მიმართ 350  
ლარით, რამდენადაც ამავე ოდენობით მატერიალური სახსრების მო-  
სარჩელის მიერ განევის შემთხვევაში, დადგინდება გონივრული ბა-  
ლანსი არასრულწლოვანთა ინტერესებსა (რაც მეტ-ნაკლებად უზრუნ-  
ველყოფს ბავშვების საჭიროებებს) და მშობელთა სოციალურ თუ სხვა  
პასუხისმგებლობას შორის საზოგადოებაში.

## **2. ახალი გადანყვეტილების მიღების პროცესუალური და- საბუთება:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სა-  
სამართლო მიიჩნევს, რომ გადანყვეტილების დასაბუთებულობის,  
ასევე, ალიმენტის ოდენობაზე მსჯელობის ნაწილში არსებობს გა-  
საჩირებელი გადანყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცე-  
სო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

წინაპირობა. ამასთანავე, რადგანაც არ იკვეთება მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევის ან სხვა საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის გამო საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის დაბრუნების წინაპირობები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად (საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები), პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება: ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.3.9. პუნქტში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, ნ. ს-ეს, არასრულწლოვანი შვილების: ა. და გ. ს-ეების სასარგებლოდ სარჩელის აღძვრიდან – 2017 წლის 20 ივნისიდან ყოველთვიურად უნდა დაეკისროს ალიმენტის სახით 350-350 ლარის გადახდა.

### **3. სასამართლო ხარჯები:**

3.1. მოცემული დავის საგნის ღირებულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 40.2 მუხლისა და 41.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეადგენს 14 400 ლარს, საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება კი, ხსენებული ნორმისა და 391-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად – 4 800 ლარს (მხარე მოითხოვს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების 400 ლარით შემცირებას), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარჩელე სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ გათავისუფლებულია ანგარიშსწორებისაგან, გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ალიმენტის დაკისრების შესახებ სარჩელი მაგისტრატ მოსამართლეთა განსახილველ დავას განეკუთვნება და სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ექვემდებარება განახევრებას. ასევე უდავოა, რომ სარჩელი დაკმაყოფილდა 58%-ით (უარყოფილია 48%).

3.2. პალატა მიიჩნევს, რომ პროცესის ხარჯები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 55-ე მუხლების შესაბამისად, უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:

i ნ. ს-ეს დაკმაყოფილებული მოთხოვნის (700X12=8 400) პროპორციულად ე. წ-ის სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის გამო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 294 ლარის გადახდა ( $8\ 400 \times 3\% : 2 + 8\ 400 \times 4\% : 2$ );

ii ნ. ს-ემ საკასაციო საჩივარზე საკუთარი ინიციატივით გადაიხადა 300 ლარი, საიდანაც ზედმეტად გადახდილი 90 ლარი ( $8\ 400 \times 5\% : 2$ ) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის ანალოგიით (სსსკ-ის მე-7 მუხლი), ექვემდებარება დაბრუნებას;



iii რაც შეეხება მხარეთა შორის პროცესის ხარჯების განაწილებას, ვინაიდან კასატორმა დავის 42% მოიგო, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების გამო გაწეული ხარჯიდან – 360 ლარიდან (150-210) ე. წ-ს მის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 42%-ის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 47-ე, 53-ე, 55-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ნ. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. ე. წ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
  - 3.1. ნ. ს-ეს (პ/№-...) ა. ს-ის (დაბ: ...09.20.წ.) სასარგებლოდ დაეკისროს აღიმენტის სახით ყოველთვიურად 350 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრიდან (20.06.2017წ.) ბავშვის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე.
  - 3.2. ნ. ს-ეს (პ/№-...) გ. ს-ის (დაბ: ...09.201...წ.) სასარგებლოდ დაეკისროს აღიმენტის სახით ყოველთვიურად 350 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრიდან (...06.20...წ.) ბავშვის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე.
  - 3.3. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. ნ. ს-ეს (პ/№-...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაეკისროს 294 ლარის გადახდა.
5. ნ. ს-ეს (პ/№-...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივრის გამო მის მიერ გადახდილი ზაჟიდან – 300 ლარიდან ზედმეტად გადახდილი 90 ლარი (საგადახდო დავალება №..., გადახდის თარიღი: 04.05.2018წ., გადამხდელი: ნ. ს-ე (პ/№-...)).
6. ე. წ-ს (პ/№-...) ნ. ს-ის (პ/№-...) სასარგებლოდ დაეკისროს 208,8 ლარის გადახდა.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **აღიმენტის ოდენობის განსაზღვრა**

**ბანკინება**  
**საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1339-2018

2 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის გადახდა

**აღწერილობითი ნაწილი:**

**სასარჩელო მოთხოვნა:**

1. ი-ემ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლო-ში ვ. გ-ას (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის არასრულწლოვანი შვილის – 2.. წლის 2-ს დაბადებული ე. გ-ას სარჩენად ალიმენტის სახით სარჩელის აღძვრიდან – 2018 წლის 14 თებერვლიდან ყოველთვიურად 700 ლარისა და დამატებითი ხარჯის, ერთჯერადად, 2 000 ლარის გადახდის დაკისრება.

**სარჩელის საფუძვლები:**

2. მოსარჩელის განმარტებით, 2... წლის 2-ს მხარეებს შეეძინათ შვილი – ე. გ-ა. ისინი ერთ ოჯახად არ ცხოვრობენ. მოსარჩელე არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს ქირით და ყოველთვიურად გადასახდელი ქირის ოდენობა შეადგენს 570 ლარს. ბავშვი მცირეწლოვანია და საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას, რის გამოც მოსარჩელე ვერ მუშაობს და არ აქვს შემოსავალი. ბავშვის დაბადებიდან ბინის ქირას იხდიდა მოპასუხე, ეხმარებოდა მოსარჩელეს ბავშვისათვის საჭირო ნივთებისა და საკვების შეძენაში. არასრულწლოვანის აღზრდისათვის ყოველთვიური მიმდინარე ხარჯი საშუალოდ შეადგენს: კვებაზე – 280 ლარს, ტანსაცმელის შესაძენად – 100 ლარს, კომუნალური გადახადი – 120 ლარს.

3. ამასთან, არასრულწლოვანი სარგებლობს ჯანმრთელობის დაზღვევით, რომლის ყოველთვიური საფასური განისაზღვრება 54 ლარით. მოპასუხემ თავისი ოჯახის წევრების გავლენით შეწყვიტა არასრულწლოვანი შვილის ფინანსური დახმარება. მოპასუხე ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ფლობს წილს საწარმოში, ასევე, სარგებლობს ძვირადღირებული ავტომანქანით, აქვს ყოველთვიური დიდი შემოსავალი, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2018 წლამდე ყოველთვიურად ურიცხავდა მოსარჩელეს ბინის ქირას 570 ლარს და მიმდინარე ხარჯებისათვის – დაახლოებით 300-400 ლარს. მო-

პასუხე ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და მას შემოსავალი აქვს დღეის მდგომარეობითაც, თუმცა უარს აცხადებს არასრულწლოვანი შვილის დახმარებაზე. არასრულწლოვნისათვის საჭირო ყველა ხარჯი (ჯანმრთელობის დაზღვევის თანხა, ორთოპედიული ფეხსაცმლის შესაძენი თანხა და 2018 წლის იანვრის ბინის ქირა) გაიღო თავად მოსარჩელემ.

#### **მოპასუხის პოზიცია:**

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოპასუხე ეთანხმება სარჩელს ალიმენტის სახით ყოველთვიურად 80 ლარის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში, მოპასუხე არასრულწლოვანი შვილის ზრუნვას თავს არ არიდებს და იღებს ვალდებულებას, მიიღოს მონაწილეობა არასრულწლოვანი შვილის რჩენასა და აღზრდაში. მოპასუხე დასაქმებული იყო კერძო კომპანიაში და იგი 2018 წლის 29 იანვრიდან გათავისუფლდა სამსახურიდან. იმ პერიოდში, როდესაც მოპასუხეს ჰქონდა სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი იღებდა მონაწილეობას არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდაში, თუმცა ამჟამად დასაქმებული არ არის და შემოსავალი არ გააჩნია. მოპასუხე ბავშვის დაბადების პერიოდიდან კეთილსინდისიერად ასრულებდა მამის უფლება-მოვალეობებს და იღებდა ყველა საჭირო ხარჯს, რაც დაკავშირებულია ბავშვის მოვლის, აღზრდისა და განვითარებისათვის. იგი ამ ეტაპზე სრულად ვერ ახერხებს იმ ხარჯების გაღებას არასრულწლოვნის რჩენისათვის, რა ოდენობითაც 2018 წლამდე უზრუნველყოფდა არასრულწლოვან შვილს. დასაქმების პერიოდში სხვადასხვა საბანკო დანესებულებიდან აღებული ჰქონდა გარკვეული ვალდებულებები, რასაც პირნათლად ასრულებდა, თუმცა შემდგომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა გართულდა. მოპასუხე მხარეს სასამართლო წესით დაკისრებული აქვს 257 865.98 ევროს გადახდა, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება. მოპასუხე თავისი მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ვერ გადაიხდის მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ოდენობით ალიმენტს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ. ამასთან, არ არსებობს დამატებითი ხარჯების სახით სარჩელში მითითებული თანხის გადახდის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

#### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის სარჩენად ალიმენტის სახით დაეკისრა სარჩელის აღძვრიდან (2018 წლის 14 თებერვლიდან) ყოველთვიურად 250 ლარის გადახდა, ხო-

ლო სარჩელს მოპასუხის მიმართ 2000 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე ეთქვა უარი, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ივლისის განჩინებით მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

7. მოსარჩელე და მოპასუხე არ ცხოვრობენ ერთ ოჯახად და საერთო საოჯახო მეურნეობას არ ეწევიან. მოსარჩელე, არასრულწლოვან შვილთან ერთად, ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, ცხოვრობს დამოუკიდებლად. მისი ყოველთვიურად გადასახდელი ქირის ოდენობა შეადგენს 570 ლარს.

8. 2016 წლის ივნისამდე მოსარჩელე დასაქმებული იყო ბუღალტრის პოზიციაზე. მითითებული პერიოდიდან იგი აღარ არის დასაქმებული და არ გააჩნია მატერიალური შემოსავალი.

9. მოპასუხე 2016 წლის მარტიდან 2018 წლის იანვრის ჩათვლით არასრულწლოვანი ბავშვის რჩენა-აღზრდისა და საცხოვრებელი ბინის ქირის გადახდის მიზნით, პერიოდულად ურიცხავდა გარკვეული ოდენობის თანხას.

10. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე შრომისუნარიანი პირია. 2... წლის 2...ს მხარეებს შეეძინათ შვილი.

11. სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, 2018 წლის 22 მარტის მდგომარეობით, მოპასუხის მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ ფიქსირდება.

12. 2018 წლის 29 იანვრიდან მოპასუხე აღარ მუშაობს. სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, 2018 წლის 22 მარტის მდგომარეობით, მის მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი შეადგენს 7825 ლარს, ხოლო დაკავებული საშემოსავლო გადასახადი – 1565 ლარს.

13. მოსარჩელის განმარტებით, არასრულწლოვანს კვებისათვის ყოველთვიურად ესაჭიროება 280 ლარი, სამოსისათვის – 100 ლარი, კომუნალური გადასახადებისათვის – 30 ლარი, ხოლო საცხოვრებელი ბინის ქირისათვის – 142.5 ლარი.

14. მოსარჩელეს შვილისათვის ხარჯი არ გაუწევია, რაც გამონკვეული იქნებოდა განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძი-

მე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა).

15. თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული №... სააღსრულებო ფურცელი (საქმის წარმოების №...), რომლის თანახმად, მოპასუხესა და ორ პირს დაეკისრა თანხის გადახდა საბანკო დანესებულების სასარგებლოდ.

16. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) მე-4 მუხლის პირველი ნაწილზე, 102-ე და 105-ე მუხლებზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 1198-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 1202-ე, 1212-ე, 1213-ე, 1214-ე მუხლებზე, „ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის“ 27-ე მუხლით და განმარტა, რომ ალიმენტის დაკისრებისას მხედველობაში მიიღება ორივე მშობლის მატერიალურ მდგომარეობა, შემოსავლები, რომელსაც ალიმენტზე ვალდებული მხარეები იღებენ, ასევე, გასათვალისწინებელია მათ კმაყოფიზზე მყოფ პირთა კანონიერი ინტერესი.

17. ალიმენტის ოდენობა განისაზღვრება გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ არასრულწლოვანი ცხოვრობს დედასთან ერთად, რომელიც მოცემული მდგომარეობით უმუშევარია და არ გააჩნია შემოსავალი, მხარეები არ ცხოვრობენ ერთ ოჯახად და არ ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას.

18. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ არასრულწლოვანთა აღზრდა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვა უპირველესად მშობლების ვალდებულებას წარმოადგენს. ეს ვალდებულება გულისხმობს არასრულწლოვანთათვის ცხოვრების ისეთი პირობების შექმნას, რომელიც შეესაბამება მათ საუკეთესო ინტერესებს. ამასთან, არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისათვის ასაკთან შესაბამისი საჭირო პირობები ზრდის ბავშვისთვის აუცილებელ ხარჯს. ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება არასრულწლოვანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და, შესაბამისად, ამისათვის საჭირო ხარჯების ოდენობაც.

19. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სტაბილური შემოსავალი მოსარჩელე მხარეს არც დღეის მდგომარეობით აქვს და არც განქორწინების საქმის მიმდინარეობისას გააჩნდა, როგორც ამას საქმის განხილვისას თავად უთითებდა, თუმცა მშობელთა ვალდებულება, არჩინოს არასრულწლოვანი შვილი, არ შეიძლება დამოკიდებული იქნეს მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე და იმის გამო, რომ მშობელი არ არის სტაბილური მატერიალური შემოსავლების მქონე, იგი არ შეიძლება გათავისუფლდეს შვილის რჩე-

ნის ვალდებულებისაგან.

20. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია მის მძიმე მატერიალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რამდენადაც, აღნიშნული არ შეიძლება გახდეს დადგენილი ალიმენტის შემცირების საფუძველი. მას შრომისუნარიანობის დაქვეითების ან/და დაკარგვის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოში არ წარმოუდგენია, ხოლო, რაც შეეხება მხარის მატერიალურ მდგომარეობას, სსიპ შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ ბაზაში არსებულ მონაცემებზე აპელანტის ყოველთვიური მატერიალური შემოსავლის ოდენობა, წარმოდგენილი საქმის მასალებით, არ დასტურდება. სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, 2018 წლის 22 მარტის მდგომარეობით, მოპასუხის მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი შეადგენს 7825 ლარს, ხოლო დაკავებული საშემოსავლო გადასახადი – 1565 ლარს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აპელანტს, გარდა არასრულწლოვანი შვილისა, სხვა პირის რჩენის ვალდებულება არ აკისრია. შესაბამისად, სასამართლო მიზანშეუნონლად მიიჩნევს აპელანტი მოპასუხის სააპელაციო საჩივრის არგუმენტაციის გაზიარებას.

21. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე. მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრიათ თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელი საპროცესო მოვალეობები, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. შესაბამისად, მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე, მათი სათანადო მტკიცებულების წარდგენით დამტკიცების ტვირთი.

22. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. აღნიშნული ვალდებულება ეკისრება როგორც დედას, ისე მამას, მიუხედავად იმისა, ისინი ერთმანეთთან ქორწინებაში იმყოფებიან თუ მათ შორის ქორწინება უკვე შეწყვეტილია. მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი შვილები სრულწლოვანებამდე. ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის არა მარტო არსებობისათვის აუცილებელი მინიმუმის უზრუნველყოფას, არამედ, თუ ეს შესაძლებელია, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებასაც, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამავე დროს, ალიმენტის ოდენობის გან-

საზღვრისას მხედველობაში მიიღება ის გარემოება, თუ როგორია ალიმენტის გადამხდელის რეალური ქონებრივი მდგომარეობა.

23. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მტკიცება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაანგარიშებული ალიმენტის ოდენობა არ აკმაყოფილებს არასრულწლოვანის საჭიროებებს. თავად მოსარჩელის განმარტებით, არასრულწლოვანს კვებისათვის ყოველთვიურად ესაჭიროება 280 ლარი, სამოსისათვის – 100 ლარი, კომუნალური გადასახადებისათვის – 30 ლარი, ხოლო საცხოვრებელი ბინის ქირისათვის – 142.5 ლარი. პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული კომუნალური გადასახადის 120 ლარი უნდა განახევრდეს (საცხოვრებელ ბინაში ცხოვრობენ დედა-შვილი) და მიღებული თანხის (60 ლარის) ნახევარი უნდა განისაზღვროს არასრულწლოვანი რჩენა-აღზრდის საჭიროებისათვის. იმავე პრინციპის გამოყენებით, საცხოვრებელი ბინის ქირის ოდენობა იანგარიშება 142.5 ლარის ოდენობით, ამასთან, პალატის შეფასებით, სასამართლომ სათანადო მტკიცებულების არარსებობის გამო არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია ბავშვის ჯანმრთელობის დაზღვევისათვის ყოველთვიურად 54 ლარის გადახდის თაობაზე.

24. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას, რომ განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა რეალური მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, არასრულწლოვანი ბავშვის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში ალიმენტის გონივრული და სამართლიანი ოდენობა არის სწორედ თვეში 250 ლარი. კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენისათვის აუცილებელ მინიმალურ, ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი, სარჩენი ბავშვის ასაკი, მისი საჭიროებანი, ალიმენტის გადამხდელი მშობლის სხვა შვილის (შვილების) არსებობა. ცხადია, ალიმენტის გადამხდელ მშობელთან მისი დანარჩენი შვილების ცხოვრების შემთხვევაში მათ სარჩენ არასრულწლოვანთან მიმართებით რაიმე სახის უპირატესობა არ ენიჭებათ. ამდენად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო აფასებს თითოეული მშობლის მატერიალურ მდგომარეობას, მეორე მშობლის მიერ მისთვის ბავშვის სარჩენად დახმარების აღმოჩენის საჭიროებასა და ობიექტურ შესაძლებლობას (იხ.

სუსგ №ას-1356-1194-2010, 04.03.2011 წელი).

25. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, აპელანტი მოპასუხის მატერიალური მდგომარეობისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს ალიმენტის ოდენობის შეცვლის, კერძოდ, თვეში 250 ლარზე ნაკლები ოდენობით განსაზღვრის, ხოლო აპელანტი მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საფუძვლების ფარგლებში – ალიმენტის ოდენობის გაზრდისა და თვეში 700 ლარის ოდენობით განსაზღვრის წინაპირობები.

#### **კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:**

26. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მისი ნაწილობრივ – ყოველთვიურად ალიმენტის სახით 170 ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

27. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რითაც უხეშად იქნა უგულებელყოფილი კასატორის კანონით დაცული უფლებები და ინტერესები.

28. მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადანყვეტილების მიღებისას სასამართლოს მიერ არასწორად იქნა მხედველობაში მიღებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხის დასაბეგრი შემოსავალი 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით შეადგენდა 7825 ლარს, ხოლო დაკავებული საშემოსავლო გადასახადი – 1565 ლარს.

29. ზემოაღნიშნულ პერიოდში კასატორი დასაქმებული იყო კერძო კომპანიაში, საიდანაც 2018 წლის 29 იანვრიდან გათავისუფლდა. შესაბამისად, მას არ გააჩნია ის სტაბილური/ყოველთვიური შემოსავალი, საიდანაც შეძლებს დაკისრებული ოდენობით ალიმენტის გადახდას.

30. ამასთან, იმ პერიოდში, როდესაც მოპასუხეს ყოველთვიურად გააჩნდა სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი სრულად იღებდა მონაწილეობას არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდაში, თუმცა ამჟამად მოპასუხე დასაქმებული არ არის და ყოველთვიურად სტაბილური შემოსავალი არ გააჩნია. მისი ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, აღსრულების ეროვნულ ბიუროში მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოება სასამართლო გადანყვეტილებით დაკისრებული 257865.98 ევროს ოდენობით ამოღების მიზნით. შესაბამისად, მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას, მცირეწლოვან შვილს ყოველთვიურად გადაუხადოს სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტი 250 ლარის ოდენობით, რომლის განსაზღვრი-



სას სასამართლომ არ გაითვალისწინა მოპასუხის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა.

31. კასატორმა მიიჩნია, რომ ალიმენტის ოდენობა გონივრულ და სამართლიან შესაბამისობაში უნდა იყოს მშობლის ფინანსურ შესაძლებლობებთან, ხოლო მოპასუხის რეალური მატერიალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სამართლიანი და გონივრული ალიმენტის ოდენობას წარმოადგენს 80 ლარი, რა ნაწილშიც მოპასუხემ სარჩელი ცნო.

32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

33. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

34. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები ცხოვრობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე. მათი არასრულწლოვანი შვილი ცხოვრობს დედასთან – მოსარჩელესთან ერთად ნაქირავე ბინაში, სადაც ქირის ოდენობა ყოველთვიურად შეადგენს 570 ლარს.

35. 2016 წლის ივნისამდე მოსარჩელე დასაქმებული იყო ბუღალტრის პოზიციაზე. მითითებული პერიოდიდან იგი აღარ არის დასაქმებული და არ გააჩნია მატერიალური შემოსავალი.

36. მოპასუხე 2016 წლის მარტიდან 2018 წლის იანვრის ჩათვლით არასრულწლოვანი ბავშვის რჩენა-აღზრდისა და საცხოვრებელი ბინის ქირის გადახდის მიზნით, პერიოდულად ურიცხავდა გარკვეული ოდენობის თანხას.

37. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე შრომისუნარიანი პირია.

38. სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, 2018 წლის 22 მარტის მდგომარეობით, მოპასუხის მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი არ ფიქსირდება.

39. 2018 წლის 29 იანვრიდან მოპასუხე აღარ მუშაობს. სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, 2018 წლის 22 მარ-

ტის მდგომარეობით, მის მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი შეადგენს 7825 ლარს, ხოლო დაკავებული საშემოსავლო გადასახადი – 1565 ლარს.

40. მოსარჩელის განმარტებით, არასრულწლოვანს კვებისათვის ყოველთვიურად ესაჭიროება 280 ლარი, სამოსისათვის – 100 ლარი, კომუნალური გადასახადებისათვის – 30 ლარი, ხოლო საცხოვრებელი ბინის ქირისათვის – 142.5 ლარი.

41. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მხარემ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ნაწილში სააპელაციო პალატამ მოპასუხის რთული მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით მოპასუხისათვის დაკისრებული აღმინტის ოდენობა არასწორად არ შეამცირა.

42. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

43. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მი-

თითებული საფუძვლით.

44. საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიებიდან საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ იმ პრეტენზიებზე, რომლებიც მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანია. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, პარ.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] პარ.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, პარ. 30).

45. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 1197-ე მუხლზე, რომლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამავე კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება. სსკ-ის 1212-ე მუხლის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ; ამავე კოდექსის 1213-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით, 1214-ე მუხლის შესაბამისად, თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

46. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინება მიზნად ისახავს ბავშვის ინტერესების დაცვას, მისთვის, შეძლებისდაგვარად, ცხოვრების იმ დონის შენარჩუნებას, რომელიც მას ექნებოდა მშობლების ნორმალური ურთიერთობის პირობებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარე-

თა მატერიალურ მდგომარეობას, შემოსავლებს, რომელსაც ალიმენტის გადამხდელი იღებს, ასევე ითვალისწინებს მის კმაყოფაზე მყოფ პირთა კანონიერ ინტერესს და განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას გონივრული და სამართლიანი შეფასების საფუძველზე. დასახელებული ნორმებით დადგენილია მშობელთა ვალდებულება, არჩინონ თავიანთი შვილები. ამ ვალდებულების არსებობა არ შეიძლება დამოკიდებული იქნეს მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე და იმის გამო, თუ მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება, გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან. ამასთან, სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს სარჩენი პირისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას. ანუ, ალიმენტის ოდენობა, რასაც სასამართლო განსაზღვრავს, არ შეიძლება იყოს იმ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები, რაც აუცილებელია პირის სარჩენად (სუსგ 1.07.2015წ. საქმე №ას-495-469-2015).

47. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მშობლების ბავშვთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ დავებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის ინტერესები არის განსაკუთრებული მნიშვნელობის (Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014). ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს უპირველესი საზრუნავი (Gnahore v. France, n. 40031/98, § 59, ECHR 2000-IX) და შესაძლებელია, თავისი შინაარსიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, გადანონოს მშობლების ინტერესი (Sahin v. Germany [GC], no. 30943/96, § 66, ECHR 2003-VIII). კერძოდ, კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, მშობელს არა აქვს ისეთი ღონისძიებების მოთხოვნის უფლება, რომელთა განხორციელებამ შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას (Krasicki v. Poland, no. 17254/11, § 83, 15 April 2014, Scozzar and Giunta v. Italy [GC], no. 39211/98 and 41963/98, § 169, ECHR 2000-VIII, and P., C. And S. v. the United Kingdom. no. 56547/00, § 177, ECHR 2002-VI).

48. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობაზე ერთ-ერთ საქმეში – „ნ. ნ და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“: „ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება, ატარებდეს მშობლების ინტერესებს“.

49. „სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო

ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადაწყვეტილების მიღება (იხ. ელსჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ – Elsholz v. Germany, №25735/94, 31.07.2000, par. 52 და TK და KM გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – TK and KM v. UK, # 28945/95, 10.05.2001, par.72)“ სუსგ №ას-967-916-2015, 15.12.2015წ(სუსგ ას-1141-1061-2017 17.10.2017წ.).

50. მოცემულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად ვერ შეფასდება კასატორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ყოველთვიური ალიმენტის ოდენობა – 250 ლარი მოპასუხის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მისთვის დიდ ოდენობას წარმოადგენს.

51. სააპელაციო სასამართლომ მართებულად შეაფასა ის გარემოებანი, რომ არასრულწლოვანი ცხოვრობს დედასთან. მოსარჩელე უმუშევარია და არც რაიმე შემოსავალი გააჩნია. მხარეები არ ცხოვრობენ ერთ ოჯახად და არ ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას. მოპასუხეს შრომისუნარიანობის დაქვეითებისა ან/და დაკარგვის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარუდგენია. სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, 2018 წლის 22 მარტის მდგომარეობით, მოპასუხის მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი შეადგენს 7825 ლარს, ხოლო დაკავებული საშემოსავლო გადასახადი – 1565 ლარს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აპელანტს, გარდა არასრულწლოვანი შვილისა, სხვა პირის რჩენის ვალდებულება არ აკისრია.

52. ამდენად, სადავო ალიმენტის ოდენობა განისაზღვრა გონივრულად და საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობა კასატორის მიერ არ დადასტურებულა.

53. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი მატერიალური ან/და საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

54. კასატორმა ვერ დაასაბუთა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობაში მოდის.

55. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით და არც იმ საფუძვლით, რომ საკასაციო სასამართლოს მსგავს საკითხზე ჯერ არ უმსჯელია და გადაწყვეტილება არ მიუღია. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე არ არსებობს ვარაუდი, რომ საკასაციო საჩივრის განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს უკვე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

56. ამავდროულად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან.

57. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

58. სსსკ-ის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით ლ. ა-ისა და ვ. გ-ას მიერ 2018 წლის 15 ოქტომბერის №... საგადახდო დავალებით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. გ-ას საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ ვ. გ-ას (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის

სახით ლ. ა-ისა და ვ. გ-ას მიერ 2018 წლის 15 ოქტომბერის №... საგადახდო დავალებით გადახდილი 150 ლარის 70% – 105 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ალიმენტის ოდენობის შემცირება**

### **განჩინება საქართველოს სახელში**

№ას-753-753-2018

6 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის ოდენობის შემცირება (ძირითად სარჩელში), დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მიღება (შეგვებულ-ლი სარჩელში)

**აღწერილობითი ნაწილი:**

**სასარჩელო მოთხოვნა:**

1. ზ. ი-ემ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში ც. კ.-ას (შემდგომში – მოპასუხე, შეგვებულ-ლი სარჩელის ავტორი) მიმართ ალიმენტის ოდენობის 50 ლარამდე შემცირების შესახებ.

**სარჩელის საფუძვლები:**

2. მოსარჩელის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით, მოპასუხის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს 1999 წლის 26 ივლისის დაბადებული არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრიდან 2015 წლის 17 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

3. მოსარჩელე ამჟამად აღარ არის დასაქმებული, არ გააჩნია შემოსავალი, რის გამოც მოკლებულია შესაძლებლობას, გადაიხადოს არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდისათვის სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტი. მოსარჩელე დაქორწინდა სხვა პირ-

ზე, რამაც გამოიწვია მოპასუხესთან ურთიერთობის დაძაბვა. ამ უკანასკნელმა არასრულწლოვან შვილს აუკრძალა მოსარჩელესთან ურთიერთობა. სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადაუხდელობა გამოწვეულია მოსარჩელის მძიმე მატერიალური მდგომარეობით. იგი ცხოვრობს სოფელში მეუღლესთან და დედასთან ერთად, რომელსაც აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და ესაჭიროება შესაბამისი მკურნალობა. მოსარჩელის ოჯახის შემოსავალს წარმოადგენს დედის პენსია და სოფლის მეურნეობის წარმოებით მიღებული პროდუქცია. მოსარჩელეს ერიცხება დავალიანება საბანკო დანესებულებების მიმართ. შესაბამისად, მოსარჩელეს არ გააჩნია შესაძლებლობა, გადაიხადოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის ოდენობა და არსებობს ალიმენტის ოდენობის შემცირების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

**მოპასუხისა შეგებებული სარჩელის ავტორის პოზიცია:**

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა მოსარჩელის მიმართ არასრულწლოვანი შვილისათვის დამატებითი აუცილებელი ხარჯის სახით 4500 ლარის გადახდის დაკისრება.

5. შეგებებული სარჩელი ავტორმა განმარტა, რომ მოქმედი საქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს არასრულწლოვანი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მოპასუხისათვის დამატებით ხარჯებში მონაწილეობის მიღების ვალდებულებას. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ მხარეთა შვილს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, კერძოდ, მისი დიაგნოზია სქოლიოზი, ტანადობის დარღვევა და ექიმის დანიშნულების საფუძველზე ესაჭიროება სამკურნალო მასაჟი, ვარჯიში და ცურვა. ამასთან, არასრულწლოვანს აქვს ჰორმონალური დარღვევები, რაც საჭიროებს გამოკვლევების ჩატარებას და შესაბამის მკურნალობას. ყოველივე დაკავშირებულია ფინანსურ სახსრებთან, რისი გაღების ვალდებულება მოსარჩელესთან ერთად მოპასუხესაც აკისრია.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით ძირითადი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოსარჩელისათვის დაკისრებული ალიმენტის ოდენობა შემცირდა 140 ლარამდე, ხოლო შეგებებულ სარჩელს ეთქვა უარი, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუ-**



### **ციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ძირითადი სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მხარეები იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში. 1999 წლის 26 ივლისს მათ შეეძინათ შვილი, 2005 წლიდან კი არ ცხოვრობენ ერთ ოჯახად.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით ძირითად მოსარჩელეს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრიდან – 2015 წლის 17 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

11. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება, რომ ალიმენტის დაკისრების (2015 წლის 10 ივნისის) შემდგომ წარმოიშვა ისეთი ახალი გარემოება, რაც აშკარა გავლენას ახდენს მოსარჩელის, როგორც ალიმენტვალდებული პირის გადახდისუუნარობაზე.

12. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 1197-ე, 1198-ე, 1212-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ „ბავშვთა უფლებათა შესახებ კონვენციის“ პრეამბულაში აღიარებულია, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში. ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუშნიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ.

13. კონვენციის 27-ე მუხლით აღიარებულია ასევე ყოველი ბავშვის უფლება, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის. მშობლებს ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლო-

ბა, თავიანთი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფენ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები. კონვენციის აღნიშნული ნორმა არასრულწლოვან შვილზე ზრუნვას და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის ვალდებულებას უპირატესად მშობლებს აკისრებს და მათ თანაბრად ეკისრებათ შვილის რჩენისა და აღზრდის ვალდებულება.

14. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ისა და „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მიხედვით, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში უპირატესი ყურადღება ეთმობა ბავშვის უფლების სათანადოდ დაცვას. შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას უპირატესია ბავშვის უფლება, მიიღოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მატერიალური სახსრები. ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის მიხედვით, ბავშვისათვის ნორმალური განვითარების პირობების შექმნის ძირითადი ვალდებულება ეკისრებათ მის მშობლებს.

15. სსკ-ის 1214-ე მუხლით გათვალისწინებულია ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმები.

16. დასახელებული ნორმებით დადგენილია მშობელთა ვალდებულება, არჩინონ თავიანთი შვილები. ამ ვალდებულების არსებობა არ არის დამოკიდებული მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე და იმის გამო, რომ მშობელს არ გააჩნია სტაბილური მატერიალური შემოსავალი, იგი არ შეიძლება, გათავისუფლდეს შვილის რჩენის ვალდებულებისაგან. ამასთან, სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და ალიმენტი რეალურად უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნას.

17. ზემოაღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ალიმენტი წარმოადგენს იმ გარანტირებულ თანხას, რითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბავშვის რჩენა და მისთვის ცხოვრების სათანადო პირობების სტაბილურად შენარჩუნება. თანხის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ყურადღებას ამხვილებს იმ გარემოებაზე, რომ იგი არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და მიმართული უნდა იყოს ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ. ამასთან, შესაძლებლობის ფარგლებში, ბავშვს უნდა შეექმნას მაქსიმალურად საუკეთესო პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მის ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ განვითარებას და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. ამგვარი პირობები მოიცავს როგორც შვილის სრულფასოვანი კვებით, ჰიგიენით, საჭიროებისას მკურნალობით, დასვენებით უზრუნველყოფას, ისე მის განათლებას და ა.შ. თუმცა თანხის ოდენობა იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ არც ალიმენტვალდებული პირი აღმოჩნდეს მძიმე

მატერიალურ მდგომარეობაში.

18. სსკ-ის 1221-ე, 1231-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ 2018 წლის 20 თებერვლის ცნობაზე, რომლითაც დგინდება, რომ ძირითადი მოსარჩელე 2017 წლის 3 აგვისტოდან დანიშნულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №3 პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე და მისი თანამდებობრივი სარგო თვეში 1120 ლარს შეადგენს. 2014 წლის 22 სექტემბრიდან 2017 წლის 3 აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დეპარტამენტის გარე დავისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის სამმართველოს №6 განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე.

19. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 1221-ე და 1231-ე მუხლების თანახმად, კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს სასამართლო გადაწყვეტილებით ალიმენტის შემცირებას, ხოლო ამის საფუძვლად განიხილავს ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლას, რაც მოიაზრებს ალიმენტის დაკისრების შემდეგ ისეთი ახალი გარემოებების წარმოშობას, რომლებიც აშკარა გავლენას ახდენს ვალდებული პირის გადახდისუნარიანობაზე.

20. შესაბამისად, ალიმენტის ოდენობის შემცირების მოთხოვნით სარჩელის აღძვრისას, ალიმენტის გადამხდელმა პირმა უნდა დაადასტუროს და წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ მას ფინანსური და ოჯახური მდგომარეობის გამო, რაც წარმოიშვა ალიმენტის დაკისრების შემდეგ, აღარ შესწევს უნარი გადაიხადოს მისთვის დაკისრებული ალიმენტი, არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ.

21. სააპელაციო პალატის მითითებით, სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება 2012-2014 წლების საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციებს, საბანკო სესხის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ვალდებულება წარმოშობილია 2014 წლის 5 ნოემბრიდან, საბანკო ცნობებს 2015 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით მოსარჩელის ვალდებულების მოცულობის შესახებ. მოსარჩელის დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2014 წლის 13 მარტის, 2015 წლის 17 მარტის ცნობებს. შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 2015 წლის 18 მაისიდან მოსარჩელემ შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა.

22. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ ალიმენტვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის დადგენის მიზნით, გამოიკვლია და შეაფასა წარმოდგენილი მტკი-

ცებულებები და დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ არ არის მითითებული არც ერთი ახალი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ალიმენტის დაკისრების (2015 წლის 10 ივნისის) შემდეგ წარმოიშვა და შეეძლო, გავლენა მოეხდინა მის გადახდისუნარიანობაზე.

23. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება ეყრდნობა მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილების გამოტანამდეც არსებობდა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია და კანონიერ ძალაშია.

24. ამდენად, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 10 ივნისის შემდეგ მოსარჩელის მატერიალური მდგომარეობის საუარესოდ შეცვლის ფაქტობრივი გარემოება საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება. მოსარჩელემ, თავისი მტკიცების ფარგლებში, ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით ალიმენტის დაკისრების შემდეგ, მას წარმოეშვა ისეთი ფინანსური პრობლემები, რის გამოც აღარ შესწევს უნარი, გადაიხადოს მისთვის დაკისრებული ალიმენტი არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

25. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ძირითადად მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

26. კასატორმა განმარტა, რომ ამჟამად მხარეთა საერთო შვილი სრულწლოვანია და მოპასუხეს სსსკ-ის 81-ე მუხლის საფუძველზე უფლება არ ჰქონდა, ყოფილიყო შვილის კანონიერი წარმომადგენელი. ფაქტობრივად, სააპელაციო პალატამ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის – მხარეთა შვილის დაუსწრებლად, რადგან 2017 წლის 26 ივლისს მან მიაღწია სრულწლოვან ასაკს, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია. კასატორის შვილს საქმეში მონაწილეობის შემთხვევაში შესაძლებელია, რომ საერთოდ უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის შეტანაზე.

27. კასატორმა მიიჩნია, რომ არასწორია სააპელაციო პალატის მითითება 2014 წლის 22 სექტემბრიდან 2017 წლის აგვისტომდე ძირითადი მოსარჩელის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში მუშაობის თაობაზე. აღნიშნულ სამინისტროში მხარე მუშაობდა 2014 წლის 22 სექტემბრიდან 27 ნოემბრამდე. 2017 წლის 3 აგვისტოს კი მოსარჩელემ კვლავ დაიწყო იმავე ადგილას მუშა-

ობდა.

28. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრებაზე გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება კასატორის მიერ სამენარმეო საქმიანობის შეწყვეტის შესახებ. წარდგენილი მტკიცებულება ადასტურებდა, რომ იგი ეწეოდა სამენარმეო საქმიანობას და გააჩნდა შემოსავალი.

29. მოცემული სარჩელის შეტანისას ახალ გარემოებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, დასაბეგრი თანხა აღარ ერიცხებოდა, ე.ი მას არ ჰქონდა შემოსავალი.

30. კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად მიუთითა მის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუსაჩივრებლობის ფაქტზე. აღნიშნულ ფაქტს მოცემული სარჩელის მიმართ გავლენა არ უნდა მოეხდინა.

31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

32. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

33. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები იმყოფებოდნენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში. 1999 წლის 26 ივლისს მათ შეეძინათ შვილი, 2005 წლიდან კი არ ცხოვრობენ ერთ ოჯახად.

34. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით ძირითად მოსარჩელეს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 500 ლარის ოდენობით, სარჩელის აღძვრიდან – 2015 წლის 17 თებერვლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე.

35. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

36. სააპელაციო პალატის მითითებით, სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება 2012-2014 წლების საშემოსავლო გადასახადის წლიურ

დეკლარაციებს, საბანკო სესხის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ვალდებულება წარმოშობილია 2014 წლის 5 ნოემბრიდან, საბანკო ცნობებს 2015 წლის 2 ნოემბრის მდგომარეობით მოსარჩელის ვალდებულების მოცულობის შესახებ. მოსარჩელის დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2014 წლის 13 მარტის, 2015 წლის 17 მარტის ცნობებს. შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 2015 წლის 18 მაისიდან მოსარჩელემ შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა.

37. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორმა მიუთითა, რომ მხარეთა შვილმა, რომლის სასარგებლოდაც ალიმენტს იხდიდა, სრულწლოვანებას ასაკს მიაღწია, შესაბამისად, მოპასუხე უფლებამოსილი აღარ იყო, მისი კანონიერი წარმომადგენლის სახით მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში. ამასთან, მოცემული სარჩელის შეტანისას ახალ გარემოებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, დასაბეგრი თანხა აღარ ერიცხებოდა, ე.ი მას არ ჰქონდა შემოსავალი.

38. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, კერძოდ, 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ ან არაქონებრივ დავაზე დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ: ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას; ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადანყვეტილება არ მიუღია; გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადანყვეტილების მიღება; დ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ვ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ზ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადანყვეტილება

ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

39. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

40. საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზიებიდან საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ იმ პრეტენზიებზე, რომლებიც მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანია. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30).

41. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი შეეხება არასრულწლოვანი ბავშვის სასარგებლოდ მშობლისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის ოდენობის შემცირებას.

42. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსკ-ის 1221-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, მშობელს რომელიც არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ იხდის ალიმენტს, უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოს მიერ დადგენილი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ; იმ მშობლების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში, რომლებიც ალიმენტს იხდიან მტკიცე თანხის სახით, სასამართლოს უფლება აქვს, დაინტერესებული პირის მოთხოვნით, შეამციროს ან გაადიდოს ალიმენტის ოდენობა.

43. კანონის მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა არ არის მუდმივი ხასიათის. კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს სასამართლო გადაწყვეტილებით ალიმენტის ოდენობის შემცირებას ან პირიქით, მის გაზრდას, ხოლო ამის საფუძვლად განიხილავს – ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლას. აქ ჩნდება კითხვა: რას გულისხმობს ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის შეცვლა? საკასაციო პალატის მოსაზრებით, აქ იგულისხმება ალიმენტის დაკისრების შემდეგ ისეთი ახალი გარემოებების წარმოშობა, რომლებიც აშკარა გავლენას ახდენენ ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის მატერიალურ და ოჯახურ

მდგომარეობაზე, მაგალითად, შემოსავლების შემცირება, კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობის გაზრდა ან შემცირება და სხვა. შემოსავლების შემცირებისა და კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში შესაძლებელია ადრე განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა შემცირდეს, ხოლო კმაყოფაზე მყოფი პირების რაოდენობის შემცირების შემთხვევაში შესაძლებელია გაიზარდოს ალიმენტის ოდენობა.

44. ზემოხსენებული მუხლის დანაწესი გამომდინარეობს თავად ალიმენტის მიზნიდან, სსკ-ის 1212-ე, 1213-ე და 1214-ე მუხლებით კანონი ადგენს მშობლის ვალდებულებას, იზრუნოს თავის შვილზე, რაც გულისხმობს მისი მატერიალურად უზრუნველყოფის მოვალეობას. არასრულწლოვნის რჩენისათვის აუცილებელი მინიმალური ოდენობის დადგენისას მხედველობაში მიიღება მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი, სარჩენი ბავშვის ასაკი, მისი საჭიროებები, ალიმენტის გადამხდელი მშობლის სხვა შვილის (შვილების) არსებობა. შესაბამისად, იმ მშობლის ფინანსური თუ ოჯახური მდგომარეობის შეცვლამ, რომელიც ალიმენტს იხდის, შესაძლოა განაპირობოს აღნიშნული ალიმენტის ოდენობაში სასამართლოს მიერ ცვლილების შეტანა (30.12.2014წ. საქმე №ას-617-585-2014).

45. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპზე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებაანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

46. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებუ-



ლი შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება სათანადო და სარწმუნო მტკიცებულებების წარდგენის გზით, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები. მხარეთა მხოლოდ და მხოლოდ ზეპირი განმარტებები სადავო ფაქტების სამტკიცებლად საკმარისად ვერ ჩაითვლება და მხარეთათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს.

47. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ ეფუძნება არც ერთ ახალი ფაქტობრივ გარემოებას, რომელიც ალიმენტის დაკისრების – 2015 წლის 10 ივნისის შემდეგ წარმოიშვა და შეეძლო, გავლენა მოეხდინა მის გადახდისუნარიანობაზე.

48. სსსკ-ის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების შეფასების პირობებს, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

49. ამდენად, სადავო გარემოებების დადგენისას სასამართლო იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილობითი დოკუმენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლიობაში, რისი ურთიერთშეჯერებით გადაწყვეტს, სარწმუნოდ მიიჩნიოს თუ არა ამა თუ იმ ფაქტი არსებობა.

50. სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის მასალების შეფასების შედეგად დაადგინა, რომ, 2018 წლის 20 თებერვლის ცნობის თანახმად, ძირითადი მოსარჩელე 2017 წლის 3 აგვისტოდან დანიშნულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №3 პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე და მისი თანამდებობრივი სარგო თვეში 1120 ლარს შეადგენს. 2014 წლის 22 სექტემბრიდან 2017 წლის 3 აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დეპარტამენტის გარე დავისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს გარე დავის სამმართველოს №-6 განყოფილების ინსპექტორის თანამდებობაზე.

51. მართალია, კასატორმა სადავოდ გახადა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებები, თუმცა ვერ მიუთითა კონკრეტულ მტკიცებულებაზე, რომელიც სარწმუნოდ გააქარწყლებდა მათ შინაარსს და დაადასტურებდა, რომ ნამდვილად არსებობს სსკ-ის 1221-ე მუხლით გათვალისწინებული ახალი გარემოება.

52. დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას არ წარმოადგენს მხარის მითითება მისი შვილის სრულწლოვანებასთან დაკავშირებით.

53. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას, რომ თუ მისი შვილი უშუალოდ ჩაებმებოდა დავაში და მონაწილეობას კანონიერი წარმომადგენლის – დედის მეშვეობით არ მიიღებდა, შესაძლოა მას უარიც ეთქვა დავაზე. ამასთან, სააპელაციო საჩივრის შეტანისა და წარმოებაში მიღების მომენტში მხარეთა შვილი არასრულწლოვანი იყო, შესაბამისად, მოპასუხე (დედა) მოქმედებდა როგორც მისი კანონიერი წარმომადგენელი.

54. მოცემულ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოპასუხის დავაში მონაწილეობა ცალსახად ემსახურებოდა შვილის კანონიერი ინტერესების დაცვას. იმ შემთხვევაში კი, თუ მხარეთა შვილი გადაწყვეტდა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მამის მიმართ არსებულ მოთხოვნაზე უარის თქმას ან მასთან სხვაგვარად მორიგებას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთი შესაძლებლობა მხარეებს გააჩნდათ და მომავალშიც გააჩნიათ ნებისმიერი, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზეც. თუმცა მხარეთა შვილს აქამდე აღნიშნული უფლებით არ უსარგებლია და არც სასამართლოსათვის რაიმე მოთხოვნით არ მიუმართავს.

55. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი მატერიალური ან/და საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

56. კასატორმა ვერ დაასაბუთა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან წინააღმდეგობაში მოდის.

57. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასა-

მართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით და არც იმ საფუძველით, რომ საკასაციო სასამართლოს მსგავს საკითხზე ჯერ არ უმსჯელია და გადაწყვეტილება არ მიუღია. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე არ არსებობს ვარაუდი, რომ საკასაციო საჩივრის განხილვის შემთხვევაში მოსალოდნელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს უკვე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

58. ამავდროულად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ განსხვავდება საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან.

59. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

60. სსსკ-ის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით ს. ა-ისა და ზ. ი-ის მიერ 2018 წლის 28 მაისს №... საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ი-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ ზ. ი-ის (პირადი №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით ს. ა-ისა და ზ. ი-ის მიერ 2018 წლის 28 მაისს №... საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **5. მეურვეობა, მზრუნველობა და მხარდაჭერა**

# მხარდაჭერის დანიშვნა

## ბანკინება საქართველოს სასხელით

№ას-982-914-2017

14 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: მხარდაჭერის დანესება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. განმცხადებლის მოთხოვნა და განცხადების ფაქტობრივი საფუძვლები:**

1.1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შიდა ქართლის სოციალური მომსახურების ცენტრმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მ. კ-ის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა და დროებითი მხარდაჭერის/მხარდამჭერის დანიშვნა.

1.2. განცხადება ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მ. კ-ი (დაბადებული 17.04.1954წ. პ/ნ ...) გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 14 ნოემბრის №... გადაწყვეტილებით აღიარებულია ქმედუუნაროდ. მის მეურვედ დანიშნული იყო შვილი – ი. კ-ი (გორის სოციალური მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილება №...). სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მეურვესა და სამეურვეო პირს შორის არის მუდმივი კონფლიქტი. ძირითადად ისინი ვერ თანხმდებიან მ. კ-ის კუთვნილი პენსიის განკარგვაზე. თანხის ძირითად ნაწილს მეურვე თავის ოჯახს ახმარს და ოჯახის წევრები ქმედუუნარო პირისაგან ითხოვენ მატერიალურ უზრუნველყოფას. მ. კ-ის დიაგნოზი ბოღვითი აშლილობა, თუმცა მას აქვს უნარი, საკუთარი მოთხოვნები თვითონ დაიკმაყოფილოს, საუბრობს ადეკვატურად, აკონტროლებს საკუთარ ქცევას, შეუძლია დამოუკიდებლად აილოს და განკარგოს პენსია. მ. კ-მა სურვილი გამოთქვა, გაუქმებულიყო დანიშნული მეურვეობა. ოჯახში არსებული კონფლიქტური სიტუაციის გამო და ვინაიდან ი. კ-ი არაჯეროვნად ასრულებდა მეურვის მოვალეობებს, ამიტომ შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის №... გადაწყვეტილებით იგი გათავისუფლდა დანიშნული მეურვეობისაგან, ხოლო მ. კ-ის მხარდამჭე-

რად დანიშვნის სურვილი გამოთქვა მ. მ-მა. ამავე განცხადებით, განმცხადებელმა იშუამდგომლა საქმის საბოლოო განხილვამდე, მ. კ-ის ინტერესებიდან გამომდინარე, დროებით მხარდამჭერად მ. მ-ის დანიშვნის შესახებ. გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განჩინებით, მ. მ-ი (მ. კ-ის მეუღლის და) დაინიშნა მ. კ-ის დროებით მხარდამჭერად სოციალური პაკეტის მიღების, მისი კუთვნილი პენსიის მიღება-განკარგვის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვისა და მისი სახელით მედიკამენტების მიღების სფეროში.

## **2. მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია:**

მ. კ-მა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ იგი არის ჯანმრთელი და მხარდაჭერას არ საჭიროებს, რასაც დაეთანხმა მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი ლ. ლ-ი.

## **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის გადანყვეტილებით შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის განცხადება დაკმაყოფილდა, მ. კ-ი (პ/ნ ...) ცნობილ იქნა მხარდაჭერის მიმღებად შემდეგ სფეროებში: ფსიქიატრიული დაწესებულებიდან მედიკამენტების აღების, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, მესამე პირებთან გარეგების დადების, საკუთრების უფლების, მემკვიდრეობის მიღების უფლების, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისა და უძრავი ქონების მართვის სფეროში; ი. კ-ი (პ/ნ ...) დაინიშნა მ. კ-ის (პ/ნ ...) მხარდამჭერად ზემოთ აღნიშნულ სფეროებში და მიენიჭა უფლებამოსილება, თვითონ განახორციელოს ზემოაღნიშნული უფლებები მხარდაჭერის მიმღების ინტერესების შესაბამისად; მხარდაჭერის ვადა (მისი გადასინჯვის პერიოდულობა) განისაზღვრა 5 (ხუთი) წლით; მხარდამჭერს განემარტა, რომ ის ვალდებულია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, აღნიშნულ ორგანოს მიაწოდოს სასამართლოს გადანყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაცია, სადაც მხარდამჭერი მიუთითებს მის მიერ მხარდაჭერის განევასთან დაკავშირებულ თავისებურებებს, ასევე, განემარტა მხარდამჭერს, რომ ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის/მხარდაჭერის გაუქმების შესახებ, თუ აღარ იარსებებს ან შეიცვლება ის საფუძველი, რომლის გამოც მხარდაჭერის მიმღებს მხარდაჭერა დაუნესდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ უკვე მიმართა სასამართლოს. თუ მხარდაჭერის მიმღებს სურს, მხარდამ-

ჭერი თავისი მოვალეობისაგან გათავისუფლდეს, იგი შესაბამისი მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს (რომელზედაც ვრცელდება მხარდამჭერისთვის კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები). გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ მხარდაჭერა შეწყდება, თუ: ა) მხარდაჭერის მიმღები გარდაიცვლება; ბ) მიზეზი, რომლის გამოც მხარდაჭერა დაწესდა, აღარ იარსებებს. მხარდაჭერის მიმღების გარდაცვალების შემთხვევაში, მხარდაჭერა შეწყდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ აღარ იარსებებს მიზეზი, რომლის გამოც მხარდაჭერა დაწესდა, შეწყდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, დაიცვას და გააძლიეროს მხარდაჭერის მიმღებები და დაეხმაროს მხარდამჭერებს თავიანთი მოვალეობების შესრულებაში, რათა მათ ხელი შეუწყონ მხარდაჭერის მიმღებებს არჩევანის გაკეთებასა და გადაწყვეტილების მიღებაში. მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობას განახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზედამხედველობის მიზანია მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, შეამოწმოს მხარდამჭერის მიერ განხორციელებული მოქმედებების სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებთან შესაბამისობა გეგმური შემოწმებით, რომელიც ტარდება ა) 6 თვეში ერთხელ; ბ) სასამართლოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით; გ) თავისი ინიციატივით, შემხვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის საჭიროების შესახებ, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის შემოწმებითა და ფაქტობრივი ზედამხედველობით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია, მას შემდეგ, რაც მხარდამჭერი მიაწვდის სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაციას, საჭიროების შემთხვევაში, თავისი ინიციატივით განახორციელოს მხარდამჭერის საქმიანობაზე ფაქტობრივი ზედამხედველობა. მხარდამჭერის

მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მიმართავს სასამართლოს მხარდამჭერის თავისი მოვალეობებისაგან განთავისუფლების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო, გადანყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს შეუჩერებს უფლებამოსილებას და მისი მოვალეობების შესრულებას დააკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს (რომელზედაც ვრცელდება მხარდამჭერისთვის კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები).

#### **4. აპელანტების მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა როგორც მხარდაჭერის მიმღებმა, ისე – მხარდამჭერმა. მ. კ-მა მისი გაუქმება და სოციალური მომსახურების ცენტრის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, ხოლო ი. კ-მა – გადანყვეტილების შეცვლა ქონების განკარგვაზე უარის თქმის ნაწილში.

#### **5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადანყვეტილება დარჩა უცვლელად.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შიდა ქართლის სამხარეო მომსახურების ცენტრის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ მ. კ-ის მოთხოვნა უსაფუძვლოა შემდეგი გარემოებების გამო:

#### **1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება:**

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მხარდაჭერის სფეროთა განსაზღვრის კანონიერება. მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირი არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოს დასკვნებს სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადების საფუძვლიანობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ არ არსებობს მხარდაჭერის დაწესების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

**1.1. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ფაქტები და მათი სავალდებულობა საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ:**

1.1.1. გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ე. კ-ის განცხადება და მისი მეუღლე – მ. კ-ი აღიარებულ იქნა ქმედუუნარო პირად;

1.1.2. გორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. კ-ი დაინიშნა ქმედუუნაროდ აღიარებული მ. კ-ის მეურვედ;

1.1.3. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ი. კ-ი გათავისუფლდა მეურვის მოვალეობისაგან;

1.1.4. გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განჩინებით სამოქალაქო საქმეზე დაინიშნა სასამართლო ფსიქოსოციალური ექსპერტიზა. 2016 წლის 4 ივლისის ამბულატორიული სასამართლო ფსიქოსოციალური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ექსპერტთა აზრი გაიყო, კერძოდ: ექსპერტ ფსიქიატრისა და ექსპერტ ფსიქოლოგის დასკვნის თანახმად, მ. კ-ს აქვს მყარი ფსიქიკური (გონებრივ/ინტელექტუალური) დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. მ. კ-ის ფსიქიკური (გონებრივ/ ინტელექტუალური) დარღვევების ხარისხი, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, ფსიქიატრიული დაწესებულებიდან მედიკამენტების აღების, პენსიის აღების, განკარგვის, მესამე პირებთან გარიგების დადების, საცხოვრებლის განსაზღვრის სფეროებში, მნიშვნელოვნად არის გამოხატული. მ. კ-ის მოქმედებები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა და გარემოსთან ურთიერთქმედება შეზღუდულია მნიშვნელოვნად. მ. კ-ის სოციალური ადაპტაციის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დაქვეითებული. მ. კ-ს ესაჭიროება მხარდამჭერი, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, ფსიქიატრიული დაწესებულებიდან მედიკამენტების აღებისა და განკარგვის, მესამე პირებთან გარიგების დადების, საცხოვრებლის განსაზღვრის და სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ყველა სფეროში. მ. კ-ის მდგომარეობის გაუმჯობესება-გაუარესება შესაძლებელია. მხარდაჭერის გადასინჯვის ვადა რეკომენდებულია, განისაზღვროს ხუთი წლით; ოკუპაციური თერაპევტის დასკვნის თანახმად, მ. კ-ს აქვს მყარი ფსიქიკური (გონებრივ/ ინტელექტუალური) დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზო-



გადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. მ. კ-ის ფსიქიკური (გონებრივი/ინტელექტუალური) დარღვევების ხარისხი, სასამართლოსათვის მიმართვისა და მისი უფლებების დაცვის, უძრავი ქონების მართვა-განკარგვის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვისა და ზიანის თავიდან აცილების, რეცეპტით შესაძენი მედიკამენტების შეძენაზე უფლება-მოვალეობების განხორციელების სფეროებში მნიშვნელოვნად არის გამოხატული. მ. კ-ის მოქმედებები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა და გარემოსთან ურთიერთქმედება შეზღუდულია მნიშვნელოვნად, მ. კ-ის სოციალური ადაპტაციის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დაქვეითებული, მ. კ-ს ესაჭიროება მხარდაჭერი, სასამართლოსათვის მიმართვისა და მისი უფლებების დაცვის, უძრავი ქონების მართვა-განკარგვის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვისა და ზიანის თავიდან აცილების, რეცეპტით შესაძენი მედიკამენტების შეძენაზე ნებისმიერ სააფთიაქო დაწესებულებაში (მათ შორის ფსიქოტროპულში) უფლება-მოვალეობების განხორციელების სფეროებში. მ. კ-ი არ საჭიროებს დახმარებას სოციალური პაკეტის მიღებისა და განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის სფეროებში. მ. კ-ის მდგომარეობის გაუმჯობესება-გაუარესება შესაძლებელია. მხარდაჭერის გადასინჯვის ვადა რეკომენდებულია, განისაზღვროს ხუთი წლით;

1.1.5. სოციალური მუშაკის დასკვნის თანახმად, მ. კ-ი საჭიროებს დახმარებას მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვისა და მედიკამენტების მიღებაზე, ხოლო სოციალური პაკეტის მიღება-განკვარგვაში არ საჭიროებს დახმარებას;

1.1.6. სასამართლო სხდომაზე ექსპერტებმა ნ. დ-მა და თ. ჯ-ემ მხარი დაუჭირეს დასკვნას და კატეგორიულად მიუთითეს, რომ მ. კ-ს ესაჭიროება მხარდაჭერა. ექსპერტმა ნ. ქ-მა განმარტა, რომ მ. კ-ი არ საჭიროებს მხარდაჭერას სოციალური პაკეტის მიღებისა და განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის სფეროში. ექსპერტმა უ. პ-ამ განმარტა, რომ მ. კ-ი არ საჭიროებს მხარდაჭერას არც ერთ სფეროში. იგი დამოუკიდებლად ზრუნავს საკუთარ თავზე, იმზადებს სადილს, ირეცხავს, ბანაობს, უვლის პირად კუთხეს, დამოუკიდებლად შეუძლია, წავიდეს სასამართლოში, დაიცვას თავისი უფლებები, თუნდაც გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთან, მის მიერ გამოკველეულ იქნა გარკვეული გარემოებები და არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა იმის შესახებ, რომ მ. კ-ს ვინმესათვის ზიანი მიეყენებინოს. რაც შეეხება მკურნალობაზე მხარდაჭერას, ამ სფეროშიც არ უნდა ესაჭიროებოდეს მხარდაჭერა, ვინაიდან აღნიშნული უფლება ყოფილი მეურვის, ი. კ-ის მიერ ბოროტად იქნა გამოყენებული და ძალის გამოყენებით

იქნა მოთავსებული ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სადაც უყუ-  
რადღებოდ იყო დატოვებული, ხოლო, თუ საჭიროება იქნება, რომ  
მ. კ-მა მიიღოს მედიკამენტები, მას ამ სფეროში დასჭირდება მხარ-  
დამჭერი.

## **1.2. საკასაციო განაცხადის მოცულობა:**

1.2.1. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რა პირვე-  
ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრი-  
ვი დასაბუთება, მან არასწორად განმარტა კანონი, რაც იმაში გა-  
მოიხატა, რომ სასამართლოს განმარტება ორიენტირებული იყო  
მხარდაჭერის მიმღებად კასატორის აღიარებაზე;

1.2.2. „ფსიქოლოგიური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტი-  
ზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის სა-  
ნინააღმდეგოდ, სასამართლომ არ გაიზიარა ექსპერტის დადები-  
თი დასკვნა მ. კ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე და  
დაეყრდნო გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 14 ნოემ-  
ბრის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც კასატორი მიჩნეუ-  
ლია ქმედუვნაროდ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, აკ-  
რძალულია დადებითი დასკვნის გაცემა მხოლოდ იმ დიაგნოზის სა-  
ფუძველზე, რომელიც ადასტურებს პირის გონებრივ/ინტელექტუ-  
ალურ დარღვევას, შესაბამისად, კასატორი უნდობლობას უცხა-  
დებს ექსპერტიზის დასკვნას;

1.2.3. სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექ-  
სის 1289-ე მუხლის მე-2 ნაწილით, თუმცა, არ გაითვალისწინა მხარ-  
დაჭერის მიმღებსა და მხარდამჭერს შორის არსებული დაძაბული  
ურთიერთობის არსებობა.

## **1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებ- რივი დასკვნები:**

1.3.1. საკასაციო პალატა არ იზიარებს საკასაციო საჩივარში გა-  
მოთქმულ შედავებებს და მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩი-  
ნება კანონიერია. უპირველესად, სასამართლო ყურადღებას გაა-  
მახვილებს მოცემული დავის საპროცესო მხარეზე: სამოქალაქო  
საპროცესო კოდექსის 363<sup>18</sup>-ე და 363<sup>20</sup>-ე მუხლებით დადგენილია  
სასამართლოს ვალდებულება, მხარდაჭერის საკითხი გადანყვიტოს  
მხარდაჭერის მიმღების აუცილებელი მონაწილეობით, ამასთან, სა-  
სამართლოს შეფასებები და დასკვნები უნდა ემყარებოდეს სპე-  
ციალისტის კვალიფიციურ გამოკვლევას. აღნიშნული განპირობე-  
ბულია, როგორც მხარდაჭერის მიმღები პირის (კანდიდატის) ინ-  
ტერესების დაცვის აუცილებლობით, ისე – მწვავე სოციალური სა-  
ჭიროებით, რათა პირმა, რომელიც შესაძლოა, საჭიროებდეს საკუ-  
თარი უფლებების განხორციელებაში გარკვეულ მხარდაჭერას, შეძ-  
ლოს მათი სრულყოფილი რეალიზაცია, ამასთან, ამ უფლებათა გან-

ხორციელებას სხვა პირთა დაცული ინტერესების შეზღუდვა არ მოჰყვეს. საგულისხმოა, ამავე კოდექსის 363<sup>13</sup>-ე მუხლის დებულება, რომ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმეების განხილვა რეგულირდება XLIV<sup>11</sup> თავით დადგენილი წესით, თუმცა ეს ნორმები არ არის ამომწურავი და მაგალითად, ექსპერტიზის დასკვნის შეფასებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 172-ე (105-ე) მუხლით დადგენილი წესებით. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლოებმა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შეაფასეს საქმეში წარმოდგენილი ექსპერტთა დასკვნები, ასევე, გამოკვლეულ იქნა დასკვნის გამცემ ექსპერტთა პოზიციები (სსსკ-ის 363<sup>21</sup>-ე მუხლი) და ამ მხრივ დასაბუთებულ პრეტენზიას მხარე არ აცხადებს, ხოლო საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნებს მ. კ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე.

1.3.2. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ ექსპერტიზის კვლევა ეწინააღმდეგება „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის დებულებას. მხარე ამ მხრივ პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ ექსპერტთა დასკვნა განპირობებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვით. პალატა ამ არგუმენტისა და საქმეში წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის კვლევითი ნაწილის კრიტიკულად შეფასების შედეგად ასკვნის, რომ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი, ექსპერტიზა აღწერს კვლევის იმ მეთოდებს, თუ როგორ მივიდნენ შესაბამისი განათლების მქონე პირები სადავო დასკვნამდე, სხვა რაიმე სარწმუნო არგუმენტი კასატორს არ წარმოუდგენია და არც საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გაუჟღერებია;

1.3.3. სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მითითებასა და სამართლებრივ დასკვნებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ განმარტებასთან დაკავშირებით. სწორედ ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნის შედეგებისა და მ. კ-ის ინტერესების გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს მისი მხარდაჭერის მიმღებად ცნობის წინაპირობები. რაც შეეხება მხარდამჭერის პიროვნებას, საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირ განხილვაზე მოიწვია, როგორც კასატორი, ისე – მისი მხარდამჭერი, რომელიც კასატორის შვილია, შეაფასა მათი პიროვნული ურთიერთდამოკიდებულება და მიიჩნევს, რომ ამ მხრივ საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზია არ არის დასაბუთებული და ამ ეტაპზე არ წარმოადგენს ი. კ-ის მხარდამჭერად დანიშვნაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთანავე, პალატის შეფასებით, ი.

კ-ის მხარდამჭერად დანიშვნა შეესაბამება კანონის მოთხოვნებსაც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1280-ე მუხლის პირველი-მე-4 ნაწილების თანახმად, სასამართლო, რომელმაც გამოიჩინა გადანყვეტილება პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ, ვალდებულია, იმავე გადანყვეტილებით დანიშნოს მხარდამჭერი (მხარდამჭერები), განსაზღვროს მხარდაჭერის ფარგლები და მხარდამჭერის (მხარდამჭერების) უფლება-მოვალეობები. მხარდამჭერად შეიძლება დანიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. მხარდამჭერის არჩევისას, სასამართლო ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარს, მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულებას, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებსა და ნებას, ხოლო მხარდაჭერის მიმღების არასრულწლოვანების შემთხვევაში – აგრეთვე მისი მშობლის მითითებას. პირი მხარდამჭერად შეიძლება დანიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით.

1.3.4. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ მხარდამჭერის დანიშვნით მხარდაჭერის მიმღების ინტერესების დაცვის ამონურვა არ ხდება, რადგანაც საკითხი, თავისი სოციალური არსითა და ქვეყანაში პირის უფლებების დაცვის ლეგიტიმური ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროებს გარკვეულ ზედამხედველობასა და რეგულირებას. სასამართლო, ბუნებრივია, არ წარმოადგენს ამ პროცესის უშუალო მეთვალყურეს, თუმცა, მოვლენათა განვითარების შესწავლა-ზედამხედველობას კანონმდებელი ავალდებულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. სამოქალაქო კოდექსის 1289-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მხარდამჭერის ძირითადი ვალდებულება (მხარდამჭერი ვალდებულია თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადანყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადანყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაცემი საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში, ასევე, 1293-ე მუხლით გათვალისწინებული დახმარება გარიგების დადებისას და სხვა) ექვემდებარება გადამონშებას კანონით დადგენილი წესით (იხ. სკ-ის 1305<sup>1</sup>-ე-1305<sup>5</sup>-ე მუხლები), გარდა ამისა, კანონი ადგენს ქმედით მექანიზმს დაწესებული მხარდაჭერის შეწყვეტისათვის (იხ. სკ-ის 1304<sup>1</sup>-ე მუხლი), ისევე, როგორც ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღების მოთხოვნის წარდგენას სასამართლოსათვის საკუთარი მოვალეობებისაგან მხარდამჭერის გათავისუფლების თაობაზე (იხ. სკ-ის 1301-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამდენად, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მხარ-

დამჭერად ქვემდგომი სასამართლოების მხრიდან სწორად იქნა შერჩეული მხარდაჭერის მიმღები პირის შვილი – ი. კ-ი და არც ამ ნაწილში არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობები.

#### **1.4. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების სა- მართლებრივი დასაბუთება:**

1.4.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

1.4.2. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა მტკიცებულებათა სწორი შეფასების გზით დაადგინეს მხარდაჭერის მიღების საჭიროება, ამასთან, მართებულად განსაზღვრეს მხარდაჭერის სფეროები (სსსკ-ის 363<sup>15</sup>-ე მუხლის მე-3 ნაწილი) და დანიშნეს მხარდამჭერად კასატორის შვილი, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები.

#### **2. პროცესის ხარჯები:**

ვინაიდან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, პროცესის ხარჯებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, გაიღებს სახელმწიფო.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 363<sup>21</sup>-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 7 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 2 98-21-03  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)